

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართველური ენათმეცნიერება

დარეჯან კირთაძე

საკუთარი სახელი ქართულ ორიგინალურ აბიოგრაფიულ კმბლებსა  
და საისტორიო წყაროებში (V-X სს.)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის  
დოქტორის (Ph. D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი პატიკო (პაატა) ცხადაია



2009

## შესავალი

ენის ლექსიკურ საგანძურში არსებით სახელთა შორის გამოიყოფა განსაკუთრებული ფენა, რომელსაც ქმნის საკუთარი სახელები: ადამიანთა სახელები და გვარები, აგრეთვე გეოგრაფიული ობიექტების სახელები და სხვ. მათი ერთობლიობის აღსანიშნავად მიღებულია ტერმინი ონიმია, ხოლო ონომასტიკა („სახელის შერქმევის ხელოვნება“) არის ენათმეცნიერების დარგი, რომლის კვლევის ობიექტი უხვი ლექსიკური ფონდია, შედგენილი ანთროპონიმებისა, ტოპონიმებისა და სხვა კატეგორიის საკუთარი სახელებისაგან.

ბუნებასა და საზოგადოებაში ყველა საგანი (ობიექტი) – თავისთავად არსებული თუ ადამიანის ხელით შექმნილი, სულიერი თუ უსულო, რეალური თუ მოგონილი – აღინიშნება საგანთა კლასის აღმნიშვნელი სიტყვით, რომელსაც საზოგადო სახელი ეწოდება. ამასთანავე, კონკრეტულ ობიექტს (ადამიანს, როგორც წესი, აუცილებლად, ხოლო სხვა სახის ობიექტს – საჭიროების შემთხვევაში) შეიძლება მიემართოს ისეთი სახელი, რომელიც მას გამოყოფს მსგავს საგანთა სიმრავლისაგან, ე.ი. ახდენს ინდივიდუალიზაციას. ასეთი სახელი კი საკუთარი სახელია. ამის შესაბამისად, ენათმეცნიერებაში ენის ლექსიკური ფონდი იყოფა ორ ჯგუფად: საზოგადო და საკუთარ სახელებად.

საკუთარ სახელთა ერთობლიობა, ანუ ონიმია, ენის ლექსიკური ფონდის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეს გვიჩვენებს. საკუთარ და საზოგადო სახელებს ბევრი რამ აქვთ საერთოც და განმასხვავებელიც:

„საკუთარი სახელი ენის ლექსიკური ფონდის სპეციფიკურ ფენას წარმოადგენს, სპეციფიკურს როგორც მნიშვნელობა-დანიშნულებით, ასევე ფორმაწარმოებითაც. ყურადღებას იქცევს იგი თავისი წარმომავლობისა და ისტორიული თვალსაზრისითაც“ (290, 3).

საზოგადო სახელი ერთმანეთის მსგავს, ერთნაირ საგნებს (ნივთებს, მოვლენებს) აღნიშნავს. ფიქრობენ, რომ ყველა საკუთარი სახელი, ანუ ინდივიდუალური სახელი, საზოგადო სახელისაგან მომდინარეობს. „... საზოგადო სახელთა სამყარო არის ის ნაყოფიერი ნიადაგი, რომელშიაც ისტორიულად სათავეს იღებს ანთროპონიმია“ (198, 11).

აზროვნებისა და მეტყველების უნარის განვითარების კვალობაზე ადამიანმა დაიწყო თავის თვალსაწიერში მოქცეული ობიექტების აღნიშვნა ჯერ საზოგადო, შემდეგ საკუთარი სახელების მეშვეობით. მაშასადამე, საკუთარ სახელთა

სისტემა (ონიმური სისტემა) ვითარდებოდა და ვითარდება ენასთან ერთად, ოღონდ თავისებური კანონზომიერებებით, რომელთა გამოვლენაც დიდძალი მასალის საგულდაგულოდ დამუშავებას საჭიროებს.

დროთა განმავლობაში საკუთარი სახელი ისევე განიცდიდა ცვლილებებს, როგორც საზოგადო სახელი და მეტყველების სხვა ნაწილები: ქრებოდა ძველი სახელები, ჩნდებოდა ახალი, იცვლებოდა სახელის დარქმევის ჩვეულებანი.

საკუთარ სახელთა შორის, მკვლევართა თვალსაზრისით, ყველაზე ძველი ადამიანთა სახელები უნდა იყოს. ბგერითი მეტყველების განვითარების ადრინდელ საფეხურზე გაჩნდა ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად მათთვის სახელის დარქმევის საჭიროება. სახელდების პროცესი კაცობრიობის გარიჟრაჟზე უნდა მომხდარიყო. სახელდება უმაღლესი შემოქმედებითი პრინციპია. როგორც ადრე ფიქრობდნენ, სახელის დარქმევა, სახელდება რაიმეს გაჩენის ბადალია.

ონომასტიკური ფონდის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროს გვარ-სახელები (პატრონიმები – მამის ან მამის სახით წინაპრის, სახელისა თუ მეტსახელისაგან მომდინარე ზეწოდება, მეტსახელი, მამისახელობა (238, 90)) შეადგენდნენ, რომლებიც, ჩვეულებრივ, საკუთარი სახელის მსაზღვრელად გვევლინებიან და წარმოადგენენ ოჯახის წევრთა ოფიციალურად დაკანონებულ მეორეულ სახელს, აზუსტებენ და აკონკრეტებენ პიროვნების ვინაობას...

ქართველ ტომებში ძველთაგანვე ყოფილა გავრცელებული ადამიანისათვის მეორე სახელის შერქმევის ტრადიცია, რაც იმთავითვე აისახა მწერლობაში და დღესაც არ მისცემია დავიწყებას. შერქმეული სახელები უძველესად ძველი და ახალი აღთქმის ონომასტიკონის მთავარ ნაწილსაც.

ადრეულ საუკუნეებში მეტსახელი, რომელიც პიროვნულ სახელს ემატებოდა, მართალია, მეორე დამაკონკრეტებელი სახელი იყო, მაგრამ არა გვარი დღევანდელი გაგებით. სიტყვა „გვარმა“ ის ერთი უმთავრესი მნიშვნელობა, რაც დღეს აქვს, გვიან შეიძინა. ძველ დროში იგი ნიშნავდა მხოლოდ ჯიშს, სახეობას, რაც ამ სიტყვას დღემდე ცოცხლად შემორჩა.

მეტსახელს ზოგჯერ საფუძვლად ჩვეულება, რწმენა, სადაურობა, გამოჩენილი ადამიანის სახელი, წინაპრის საქმიანობა, თანამდებობა, პირადი თვისება, მისწრაფება, მოსაქმეობა, ფიზიკური გარეგნობა... ედებოდა. ამიტომ ადამიანთა გონებაამახვილობასა და შემოქმედებითს ნიჭზე იყო დამოკიდებული პირის შინაგანი თუ გარეგანი თვისების სააშკარაოზე წარმოჩენა.

უძველესი რწმენის თანახმად, ადამიანი შემთხვევით არ ატარებდა ამა თუ იმ სახელს. სახელი განუსაზღვრავდა კაცს თავის გზასა და მიზანდასახულობას, გამოხატავდა ადამიანის პიროვნულ არსს და ზემოქმედებდა მის სრულქმნილებაზე.

საკუთარ სახელთა ფონდის თავმოყრა-გაანალიზება მეტად საპასუხისმგებლო, შრომატევადი და, ამასთანავე, უაღრესად საინტერესო საქმეა.

ანთროპონიმის ცალკეულ საკითხებზე ყურადღება გამახვილებულია ი. მაისურაძის „ქართულ გვარსახელებში“ (1979, 1981), ზ. ჭუმბურიძის მრავალგზით გამოცემულ (პირველი გამოცემა 1966, ბოლო – 2003) შრომაში: „რა გქვია შენ?“, აღ. ღლონტის „ქართველურ საკუთარ სახელებში“ (1986), ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის ლექსიკონში „გვარ-სახელები საქართველოში“ (1997), რ. თოფჩიშვილის ნაშრომში „ქართული გვარსახელების ისტორიიდან“ (2003) და სხვ.

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა მნიშვნელობის ახსნა-განმარტების ცდებს ვხვდებით ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფ-ისტორიკოსები: ჰეროდოტე (დაახლ. ძვ.წ. 485-424), სტრაბონი (დაახლ. ძვ.წ. 64/63-ახ.წ. 23/24), ტაციტე (დაახლ. 55-116) და სხვ., მაგრამ ქართული ონომასტიკის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებლად XVIII საუკუნის ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი ითვლება თავისი თხზულებით „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ქართული ტოპონიმის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს XIX საუკუნის ქართველმა და უცხოელმა მეკვლევრებმა: მ. ბროსემ, ნ. ჩუბინაშვილმა, დ. ბაქრაძემ, ნ. მარმა, გ. ყაზბეგმა, ა. პავლინოვმა, ჟან მურიემ, ე. ვეიდენბაუერმა, ნ. ნადეჟდინმა, ვ. ნიკონოვმა, ნ. პოდოლსკაიამ, ა. სუპერანსკაიამ, მ. მელხეემა, ვ. მურზაევმა და სხვ. ტოპონიმისადმი ინტერესი ჩვენში განსაკუთრებით XX საუკუნეში გაღვივდა. ისტორიული ტოპონიმია გახდა სპეციფიკური კვლევა-ძიების საგანი ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილის, თ. სახოკიას, მ. ჯანაშვილის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის, ს. ჯანაშიას, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ნ. ბერძენიშვილის, დ. მუსხელიშვილის, დ. ბერძენიშვილის, პ. ინგოროყვას, ა. ხახანაშვილის, ჯ. გვასალიას, ი. სიხარულიძის, თ. ჟორდანიას, ს. გორგაძის, აღ. ცაგარელის, ს. ჯიქიას, მ. ბერიძის, ი. აბულაძის, ა. ღლონტის, ე. მეტრეველის, ს. კაკაბაძის, ბ. ჯორბენაძის, უ. სახლთხუციშვილის, ი. ყიფშიძის, ფ. ერთელიშვილის, გ. მელიქიშვილის, პ. ცხადაიას, გ. ბედოშვილის, მ. ჩიქოვანის, ნ. ცეცხლაძის, ფ. მაკალათიას, გ. ზარდალიშვილის, შ. გოგატიშვილის, კ. ხარაძისა და სხვათა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ლიტერატურულ-საენათმეცნიერო ნაშრომებში.

ონომასტიკური საკითხებით დაინტერესებულ პირებს დიდ დახმარებას უწევს 1969 წლიდან ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია და მის მიერ გამოცემული კრებულები: „ტოპონიმიკა I“ (1976), „ტოპონიმიკა II“ (1980), „ონომასტიკა I“ (1987); პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ (1988) და „ონომასტიკის შესავალი“ (2005), გ. ხორნაულის „ქართული ონომასტიკა“ (2003), გ. ბედოშვილის „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (2002) და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული საკუთარი სახელების შესწავლისათვის დიდი მუშაობაა გაწეული (გარკვეულია პირის სახელის ერთი ნაწილის სემანტიკა და სტრუქტურა, დადგენილია ტოპონიმთა აგებულება, შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართება, ეტიმოლოგიები), ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი: შესასწავლია ზოგიერთი პირის სახელის წარმომავლობა, მნიშვნელობა, ფონეტიკური ცვლილებების გამომწვევი მიზეზები; გადასატრეულია გვარსახელებთან დაკავშირებული პრობლემები; დასადგენია ზოგი ტოპონიმის ლოკალიზაცია, თავდაპირველი მნიშვნელობა. ამდენად, ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გარკვევა, თუ რა სახის თავისებურებები ახასიათებს ლინგვისტური თვალსაზრისით ისტორიული საქართველოს ონიმიას.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ქართული ორიგინალური აგიოგრაფიული ძეგლებისა და საისტორიო წყაროების (V-X სს.) ონომასტიკონზე. კერძოდ, ეს თხზულებებია: „მარტვლობაჲ წმიდისა შუშანიკისი“, რომელიც დაიწერა V ს. ბოლო მეოთხედში (476-483 წლებში) იაკობ ხუცესის მიერ (ზოგიერთი აგიოგრაფიული ძეგლის ირგვლივ (მოქმედების დრო, დაწერის წლები) არსებობს განსხვავებული შეხედულებები. ჩვენ ვყვართ კ. კეკელიძის მოსაზრებებს); უცნობი ავტორის „მარტვლობაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“, რომელიც დაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს VI ს. 70-იან წლებში და რომლის უძველესი, ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი დაახლოებით X ს. ბოლოსა და XI ს. დამდგეს ეკუთვნის; „მარტვლობაჲ წმიდისა ჰაბო ტფილელისაჲ“, დაწერილი არაუგვიანეს VIII ს. გასულისა (კერძოდ, 780-790 წლებს შორის) იოანე საბანისძის მიერ; უცნობი ავტორის „მარტვლობაჲ წმიდისა კოსტანტი კახაისი“, დაწერილი IX ს. II ნახევარში (კერძოდ, 853-856 წლებში); სტეფანე მტევეარის „მარტვლობაჲ წმიდისა გობრონისი“, დაწერილი X ს-ის დამდგეს (კერძოდ, 914-918 წლებში); უცნობი ავტორების „მარტვლობაჲ ყრმათა კოლაელთაჲ“ (მოქმედების დრო IV ს.) და „ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტი-

რიჭანისი საკითხავი“ (მოქმედების დრო VI ს.). ეს ძეგლები შექმნილი უნდა იყოს არაუგვიანეს IX ს-ისა; არსენ II კათალიკოსის „ცხორებაჲ წმიდისა იოანე ზედაზნელისაჲ“; „ცხორებაჲ შიოსი და ევაგრესი“ (წარმოადგენს „იოანე ზედაზნელის ცხორების“ გაგრძელებას); „ცხორებაჲ წმიდისა აბიბოს ნეკრესელისაჲ“, დაწერილი უნდა იყოს X ს-ში; უცნობი ავტორის „ცხორებაჲ დავით გარეჯელისაჲ“ (მოკლე რედაქცია X ს., ხოლო ვრცელი – XII ს. I ნახევარში); გიორგი მერჩულის „ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“ (მოქმედების დრო VIII-IX სს.), დაწერილი X ს-ში (კერძოდ, 951 წელს); ბასილი ზარზმელის „ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“ (მოქმედების დრო IX ს-ის II ნახევარი), დაწერილი X ს-ის I მეოთხედში; ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (V-VII სს.); ლეონტი მროველის „მეფე ქართლისა არჩილი“ (VIII ს.); „მატიანე ქართლისა“ (VIII-XI სს.).

ჩვენი მიზანია საკუთარ სახელთა შესწავლა ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და საისტორიო წყაროებში (V-X სს.), მათი სტუქტურის, სემანტიკისა და ბრუნების თავისებურებათა კვლევა და ანალიზი.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მიმოვიხილავთ აგიოგრაფიული ძეგლებისა და საისტორიო წყაროების ანთროპონიმებს (ადამიანის საკუთარ სახელებსა და გვარებს), ხოლო მეორე ნაწილში – გეოგრაფიულ სახელებს.

კვლევისას ვეყრდნობოდით უმდიდრეს საილუსტრაციო მასალას, მაგრამ ნაშრომში, გარკვეული მიზეზების გამო, მხოლოდ ნაწილი წარმოვადგინეთ.

## ნაწილი I

### ადამიანთა საკუთარი სახელები

ბიბლიის მიხედვით, სახელდება საკრალური ქმედებაა. სახელდება შესაქმის გაგრძელებაა. სახელი განისაზღვრება სახით, სახელი სახის გაგრძელება, მისი დასრულებაა.

ადამიანთა საკუთარი სახელების წარმოშობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ადამიანისათვის სახელის დარქმევის აუცილებლობა უხსოვარ დროში, მოაზროვნე ადამიანის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა. დღეს შეუძლებელია იმის გარკვევა, რა ერქვათ ჩვენს შორეულ წინაპრებს, რა სახელებით მიმართავდნენ ისინი ერთმანეთს, რომელია იმ უძველესი დროიდან შემორჩენილი სახელი ან, საერთოდ, გაუძლეს თუ არა მათ საუკუნეების ქარტეხილებს.

ბგერითი მეტყველების განვითარების ადრინდელ საფეხურზევე გახდა აუცილებელი ადამიანების ერთმანეთისაგან გასარჩევად მათთვის სახელების დარქმევის საჭიროება. მაშასადამე, პირის სახელის გაჩენა თვით ცხოვრებამ, კერძოდ, პიროვნების იდენტიფიკაციის საჭიროებამ, გახდა აუცილებელი.

თავდაპირველად პიროვნების აღსანიშნავად ნივთის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, ციური მნათობების, ფერის, თვისების, მოქმედებისა და სხვათა აღმნიშვნელი სიტყვები გამოიყენებოდა. ამისი ნიმუშები კარგადაა შემონახული იმ საკუთარ სახელთა შინაგან სტრუქტურაში, რომელთაც ძველი წერილობითი ძეგლებიდან და ხალხის წარმართული ყოფის ჩვენამდე მოღწეული გადმონაშთებიდან ვიცნობთ. ეს სახელები ჩვენში დღეს ნაკლებადაა გავრცელებული. ახალმა რელიგიურმა რწმენამ თავისი ასახვა პოვა საკუთარ სახელებში.

## თავი I

### აბიოგრაფიული კვლევის ანთროპონიმიის

#### პირითაღი საკითხები

##### § 1. კალენდარული და არაკალენდარული პირის სახელები

ენაში უამრავი ანთროპონიმი არსებობს. მათგან ზოგი მშობლიური ენობრივი ფონდის კუთვნილებაა, ძირძველია, ზოგიც – ნასესხები. დროთა განმავლობაში ქრებოდა ძველი საკუთარი სახელები და მათს ადგილს იჭერდა სხვა, ახალი. იცვლებოდა ასევე სახელთა დარქმევის პრინციპებიც.

ქართული ანთროპონიმიის განვითარებაზე თავისებური გავლენა იქონია ქართლის მოქცევა. ქართველ ტომებში გავრცელებული წარმართული ანთროპონიმია თანდათანობით შეავიწროვა და დავიწყებას მისცა ქრისტიანულმა მწიგნობრობამ. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას მოჰყვა სახელების რიტუალის გადასვლა სამღვდლოების ხელში, ტრადიციული ანთროპონიმიის განდევნა და კალენდარული სახელების დამკვიდრება. ეკლესიის მოთხოვნით, ყოველ ქრისტიანს უნდა დარქმეოდა ქრისტიანული სახელი, რომელიც სპეციალურ საეკლესიო კალენდარში (წმინდანის დაბადების, ან გარდაცვალების დღეს) იყო შეტანილი. ამდაგვარ სახელებს კალენდარულ სახელებს უწოდებენ. საეკლესიო „კალენდარი შედგენილ იქნა ბიზანტიაში და მასში შევიდა ძირითადად ბერძნული და ლათინური სახელები, რომელთაც დაემატა აგრეთვე იმ დროს ბიზანტიაში გავრცელებული ძველებრაული, სირიული და ეგვიპტური სახელები“ (256, 12). ნათლობის დროს მღვდელი ჩახედავდა საეკლესიო კალენდარს და ბავშვს იმ წმინდანის სახელს შეურჩევდა, რომლის ხსენებაც იმავე ან მახლობელ დღეებში იყო დაწესებული. ეს წმინდანი ითვლებოდა შემდეგ ნათელდებულის მფარველად.

ქართულ ანთროპონიმიაში კალენდარული წარმომავლობის სახელები ორი გზით გავრცელდა. ერთია ზეპირი ტრადიცია და მეორე – მწიგნობრობა. უცხოური წარმომავლობის სახელები ჩვენში მანამდეც არსებულა, ვიდრე ქრისტიანული მწიგნობრობა გაჩნდებოდა (ქართული წარმოშობის სახელების გვერდით უხვად გამოიყენებოდა ხურიტული, სპარსული, არაბული, რის გამოც, წარმართული ონომასტიკონი ერთსახოვანი არ ყოფილა). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მწიგნობრული საშუალებით ბიბლიური სახელები ძვე-



ლი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმნით დამკვიდრებულა. ეს წიგნები საქართველოში ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში არსებულა.

ნაშრომში სრულად წარმოვანხნთ იმ კალენდარულ პირის სახელებს, რომლებიც უხვადაა დადასტურებული V-X სს. ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში (კალენდარული სახელების შესადარებლად გამოვიყენეთ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი (2001)). ქვემოთ ჩამოთვლილი ადამიანის საკუთარი სახელები (ტექსტიდან გამომდინარე) სხვადასხვა ბრუნვის ფორმითაა მოცემული. პირის სახელთა ბრუნების საკითხს ჩვენ ცალკე თავში შევეხებით და ამჯერად ამ თემაზე აქ არ შევჩერდებით:

- მეფობასა... *თეოდორა* დედოფლისა [4, 165];
- მიუვლინა ანგელოზი ღმერთმან *ელია* პატრიარქსა [10, 238];
- საბა*, რომელსა ეწოდა *საბან* [12, 252];
- და სასწაულთა მიერ შემკული დედად *ფებრონია* [12, 261];
- მაშინ მოვიდა *ზაქარია* ანჩელი ეპისკოპოსი [12, 261];
- ... აკურთხენ ქრისტემან *ამონა* [12, 277];
- რომელსა პირველ სახელი ეწოდა *ბევრეულის* და მერმე *ანანტასია* [2, 298];
- ხოლო კაცი იგი *ია* თანამოგზაურ გუექმნა...[13, 329];
- რომელსა უკუნაღსკნელი *თეკლა* ეწოდა [13, 179];
- და ამისა შემდგომად *ესაია* იტყუს... [12, 179];
- ვითარცა თქუა *იერემია* წინასწარმეტყუელმან [5, 174];
- რამეთუ ითხოვა იგი *ანა* ცრემლითა და ლოცვითა [8, 193];
- და სანატრელთა მოწამეთა *კოზმან* და *დამიანწსთა* [1, 29];
- პრქუა *ევსტათის* და *სტეფანეს*... [2, 35];
- ხოლო *ნერსე*... შევიდა ქუეყანასა მას ჩრდილოდსასა [3, 58];
- მეფობასა...ქრისტიანეთა ზედა *კონსტანტინწსსა*, ძისა *ლეონისსა*, სარკინოზთა შორის მეფობასა *მოსე* ამირა მუმნისა [3, 63];
- ჟამსა... *პერაკლე* მეფისასა [7, 186];
- ვითარცა იგი... *პეროდეს* [4, 170];
- ... ვინმე მთავარი, სახელით *ევაგრე* [9, 219];
- ესე ნეტარი *ისე* შეიპყრა წმიდამან მამამთავარმან [9, 222];
- შეწუხნა *ლუკიანე* და პრქუა...[10, 230];
- თეოდორე* ნეტუსა მაშენებელი და მამად [12, 252];
- მოვიდეს მამა *ეტეფანე*... ქართლით [12, 263];

მეფემან... *დემეტრე*... ადგილსა კეთილსა დაამკუდრა [12, 267];  
და *ანატოლე*, რომელსა უწოდეს *ანტონიოს* [12, 285];  
გვედია *ევროსინე* [12, 303];  
ხოლო მამასა ამის ნეტარისასა ეწოდებოდა *კუპრიანე* [13, 321];  
რომელთა ეწოდებოდა *ამონა*, *ანდრია*, *პეტრე* და *მაკარი* [12, 322];  
... *პავლე* ვინმე ხუცესი [12, 322];  
... *კმა-ყო* და *თქუა*: *ლაზარე*, გამოგუალე! [2, 40];  
*ქრისტეფორე* კურიკეთისა მაშენებელი და მამად [12, 267];  
და მოციქული... მისწერს *ტიმოთე*სა [3, 49];  
ხოლო ნეტარი *ჰაბო* განძლიერდა ქრისტეს მიერ [3, 64];  
და ერხდა ბრძანებასა მისსა წმიდა *დოდო* [10, 234];  
და იხილა წმიდა იგი *შო* მჯდომარე ქუაბსა შინა [9, 213];  
დედად ჩუენი *ნინო* დაადგრა ღოცვასა ცრემლითა [8, 199];  
რომელსა სახელი ერქუა *კოსტანტი* [4, 165];  
თქმული *არსენი* დიდისა კათალიკოსისად [11, 240];  
და იყო ძმად დედისა მათისად *თევდოსი* [7, 187];  
რომელსა სახელი ეწოდა *გიორგი* [13, 324];  
ხოლო იყო *მატოი*... თუსსა მას საყოფელსა [12, 284];  
რამეთუ თუთ დასწერა *ბასილი*... [13, 345];  
იერუსალემს პატრიარქობასა *აგათონის*სა [12, 316];  
ვსენებასა წმიდა მამისა *ანტონის*სა [12, 60];  
მოვსენებად საძაგელთა სოდომელთა *ლოთის* ზე... [5, 173];  
და შემდგომად... *ეფთუმი* [13, 320];  
რომელი... მოწაფისა *ხარალამპისითა* განედლდა [13, 322];  
ვითარცა უფალმან სახლსა *ზაქეს*სა... [13, 346];  
ვითარცა საკურთხეველი იგი... *ენუქისი*... [3, 80];  
მივიდა ნეტარი *შუშანიკ* მახლობელად ეკლესიასა [1, 19];  
*სამოელ* ქართლისა კათალიკოზისადთა [3, 46];  
... წარიყვანნა მდღელნი: *იოვანე* და *საჰაკ* [7, 191];  
აჰა *მირიან* მეფე და ყოველი სიმრავლე ქართლისად [8, 200];  
ერთი მთავართაგანი, სახელით *კონონ* [9, 221];  
ნეტარი *აბიბოს* ნეკრესელი [11, 241];  
და კუერთხი წმიდისა *სუმონ* მესუეტისად [11, 243];

და ერქუა მას სახელი *გაბრიელ* დაფანხული [12, 258];  
 მეუღლმ მისი *მარიამ*... მიეგება... *გრიგოლს* [12, 258];  
 და წარმოუდგინა წინაშე მისსა... *პატრიკ*... [12, 259];  
 ... *ბაგრატ*... შეწირეს... ყოველი უხუებით [12, 263];  
 იხილა ძმ თვისი საყუარელი *დავითი* მოკლული [7, 189];  
 სახელ-სდევს *ტირიჭან* [7, 186];  
 რამეთუ... იშვა ურჩებად იგი *ადამისი* [8, 203];  
 წარმოავლინა... *სტეფანოზ* [3, 61];  
 ვიდრე... ყრმა-და იყო... *მიქაელ* [4, 165];  
 ... ძმ *აბრაჰამისი* [4, 168];  
 ამას ეწოდა პირველად *მიქელ* და მერმე *გობრონ* [5, 177];  
 და *ზენონ* გულს ეტყოდა [12, 263];  
*ეფრემ* მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ჩუენსა [12, 290];  
*ილარიონ*, მამად და მაშენებელი წყაროდსთავისად [12, 275];  
 დიდი *სოფრონ*... შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი [12, 294];  
 ... ნეტარი *სერაპიონ* [13, 432];  
 და ესუა *ისაკს იაკობი* [2, 37];  
 შემდგომად... *სოლომონ* მეფობდა [2, 38];  
 ...ჩუენ ვიცით მამად მისი *იოსები* [2, 40];  
*გედეონ* საწუმისი დადგა გამოცდად [13, 334];  
 ...წმიდასა მას ბერსა *ბესარიონს* [13, 331];  
 ... ემსგავსა ბერვარსა *აპრონისსა* [3, 80];  
 ვითარცა იტყვს *იობ*... [4, 173];  
 იტყვს *დანიელის* ჩვენებითა... [5, 179];  
 ვითარცა *სამოელის* მიერ სათნო იყო [5, 180].

არაკალენდარული პირის სახელები აგიოგრაფიულ ძეგლებში სულ რამდენიმე შემთხვევაში დასტურდება:

... კარად სამეფოდ წარემართა *ვარსქენ* პიტიახში, ძმ *არშუშაძისი* [1, 11];  
 რომელსა სახელი ერქუა *ბულა* [4, 16];  
 და აღდგა დედაკაცი იგი *თაგინე* [7, 189];  
 ძმ *ადრნესე* კურაპალატისა და ერისმთავრისა [3, 55];  
 წელსა მეთესა *ხუახრო* მეფისასა... [2, 30];  
 ... პირველ აღმაშენებელი *ამასპო*... დის-წული *მცხუედაძისად* [12, 317];

... და ჯიბრილისა ძმაჲ [12, 277];  
 ... უკეთურმან მან ცქირმან [12, 305];  
 ნუგეშინის-სცა დასა მისსა ლატაერის [13, 339];  
 რომელი იწამა... ჯაფარის მიერ [14, 164];  
 მამისაგან სახელით ვარდან [1, 11];  
 და ჯოჯიკ აღდგა და ცრემლით გარე განვიდა [1, 16];  
 რომელსა სახელი ერქუა აფოც [1, 12];  
 ნათელ იღო ბუბაქრ [10, 236];  
 ... ღმრთის-მსახური კელმწიფჳ... აშოტ [12, 258];  
 ... ოთხნი იგი ძენი... პატრიკ, გუარამ, არშუშა და აბუსალათ [12, 259];  
 უამსა... არშაკ მეფისასა [7, 186];  
 ... სუმბათ უკუნვიდა კუალად [5, 178];  
 კელითა ხსართან მღვდელისა... [3, 46];  
 რომელი იყო გურგენ ერისთავთა ერისთავისა [5, 17];  
 ძე ლიპარიტისი [12, 317];  
 ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისი [13, 339].

ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აგიოგრაფიულ თხზულებებში კალენდარული წარმოშობის ანთროპონიმები უფრო მეტი სიხშირით იხმარება, ვიდრე არაკალენდარული, რაც, რა თქმა უნდა, ბუნებრივი მოვლენაა. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ განაპირობა ქრისტიანული (კალენდარული) პირის სახელების გაბატონება.

## **§ 2. „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებული კალენდარული და არაკალენდარული პირის სახელები**

ისტორიული თხზულება „ქართლის ცხოვრება“, რომელიც აგიოგრაფიული ძეგლების შესადარებლად გამოვიყენეთ, ასევე მდიდარია ონიმური ლექსიკით. მასში გვხვდება საკვლევ ძეგლებში დადასტურებული პირის სახელების ის ნაწილი, რომლებიც განეკუთვნებიან როგორც კალენდარულ, ისე არაკალენდარულ სახელებს (ყოველ პირის სახელთან ვუთითებთ „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ტომისა და გვერდის ნომერს):

აბიბოსი, 1, 208.

ამონა, 1, 372.

აბრაჰამი, 1, 373.

არშაკი, 1, 28.

აქაბი, 1, 372.

აშოტი, 1, 381.

ბეშქენი, 2, 206.

ბუბაქრი, 1, 209.

გობრონი, 1, 263.

გრიგოლი, 1, 142.

გუარამი, 1, 218.

დავითი, 1, 98.

დამიანე, 2, 492.

დემეტრე, 1, 258.

ენუქი, 2, 244.

ვარდანი, 1, 216.

ვარსქენი, 1, 216.

თეოდოსი 1, 216.

იაკობი, 2, 3.

იერემია, 1, 372.

იობი, 1, 373.

კონსტანტინე, 1, 262.

ლიპარიტი, 1, 258.

მირიანი, 1, 60.

მოსე, 1, 273.

ნერსე, 1, 132.

ნოე, 1, 372.

სოლომონი, 1, 373.

სტეფანე, 1, 298.

ხუასრო, 1, 246.

ჯაფარი, 1, 263.

### § 3. პირის სახელთა კნინობით-ალერსობითი ფორმები

პირის სახელთა ძირითად სპეციფიკურ ნიშნად მიჩნეულია ის, რომ მათ ეწარმოებათ კნინობით-ალერსობითი ფორმები. მოფერებითობა-ალერსობითობის გადმოცემა გენეტიკურად დაკავშირებულია საზოგადო სახელთა კნინობითის გამოხატვის საშუალებებთან და წარმოადგენს საკუთარ სახელთა მორფოლოგიურ თავისებურებას. იგი უშუალო კავშირშია ანთროპონიმთა ძირითად ფუნქციასთან – მიმართვა-დაძახების დანიშნულებასთან, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს პირის სახელთა მორფოლოგიურ სტრუქტურაზე.

ყურადსადებია ის ფაქტი, რომ პირთა სახელების კნინობით-ალერსობითი ფორმები დასტურდება ადრექრისტიანული პერიოდის ძეგლებში. აგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადამიანის საკუთარი სახელი ნაწარმოებია კნინობითის -ა სუფიქსით. -ა აქ დერივატია, მაწარმოებელი მოფერებითობისა, რომლის დართვამ სიტყვა საკუთარ სახელთა თანრიგში გადაიტანა:

რომელსა ეწოდა *კუპრა* [12, 298];

და სახელი მისი *წერტა* [12, 317];

რომელსა ეწოდა *ხულა* [12, 317];

#### § 4. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი პირის სახელად

როგორც ცნობილია, ფუძის გაორკეცება ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიტების შესადგენად როგორც სახელებში, ისე ზმნებში.

აგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება ფუძის გამეორებით მიღებული პირის სახელი:

... რომელსა ეწოდა... ლაკლაკი [13, 339].

#### § 5. ტომისა და ცხოველის სახელი პირის სახელად

ა) ტომის სახელი ადამიანის სახელად:

რომელსა ეწოდა კახა სახელად მამულისა მის ქუეყანისა [4, 165].

ბ) ცხოველის სახელი ადამიანის სახელად:

... რომლისა არს სახელი კრავი [12, 270].

#### § 6. ბერძნული წარმოშობის პირის სახელები

აგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება პირის სახელთა ერთი ჯგუფი, რომელიც „გადმოცემულია იმ სახით, რომ სიტყვის ფუძედ მიღებულია ბერძნულის ნომინატივის ფორმა“ (204, 145). ქართულში ასეთი ფორმები წმინდა ლიტერატურული გზით არის დამკვიდრებული:

მარკელაოზ [13, 321];

კლემენტოზ [9, 229];

ჯუედიოს [12, 253];

დიმიტრიოს [12, 286];

ანტონიოს [12, 285];

ანასტოს [12, 285].

#### § 7. ერობისა და ბერობის აღმნიშვნელი პირის სახელები

ცნობილი ფაქტია, რომ ძველადაც ბერად (მონაზვნად) აღკვეცის შემთხვევაში სახელდების რიტუალი სწორედ ისეთივე პირობებით სრულდებოდა, როგორითაც ახლა. ღვთის სამსახურში მუდმივად ყოფნის მსურველ პირს უსათუოდ შეუცვლიდნენ სახელს, კალენდარულსაც კი.

აგიოგრაფიულ ძეგლებს შემოუნახავთ პერსონაჟთა როგორც ბერად (მონაზვნად) აღკვეცის შემთხვევაში დარქმეული, ისე მათი ერისკაცობის სახელებიც:

... ეწოდა პირველ *მიქაელ* და მერმე *გობრონ* [5, 177];  
 რომელსა სახელი ეწოდა *ბევრეულის* და მერმე *ანასტასია* [12, 298];  
*ანატოლე*, რომელსა უწოდეს *ანტონიოს* [12, 285];  
 ... ნუგეშინის-სცა დასა მისსა *ლატავრის*, რომელსა უკუანადსენელ *თეკლა*  
 ეწოდა [13, 339];  
*საბა*, რომელსა ეწოდა *საბან* [12, 252];  
*გურობანდაკ*, რომელსა უწოდეს სახელი *ევსტათი* [2, 30].  
 აგიოგრაფიულ თხზულებებში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც,  
 როდესაც პერსონაჟებს მხოლოდ ბერობის სახელებით ვეცნობით:  
 ... და ჩუენ სახელი *არსენი* უწოდეთ [12, 270];  
 რომელსა სახელი ეწოდა *დიმიტრიოს*, რამეთუ ნეტარსა დედასა ფებრო-  
 ნიას განეზარდა და მამისა გრიგოლისდა დაემოწაფა [12, 286].

### § 8. პირის სახელთა ვარიანტული ფორმები

ერთსა და იმავე ან სხვადასხვა აგიოგრაფიულ თხზულებებში პირის სახე-  
 ლები წარმოდგენილია ორ ან მეტ ვარიანტად. ვარიანტებს ქმნის ფონეტიკური  
 ცვლილებები: ბგერის დაკარგვა ან ჩართვა, ხმოვნის ან თანხმოვნის შენაცვლება:  
 აბრაჰამ [4, 168] // აბრაამ [4, 194];  
 აბუსალასად [12, 292] // აბულასათ [12, 292];  
 ადრნესე [3, 55] // ადარნასე [5, 180] // ადარნესე [12, 263] // ადარნერსე [12, 315];  
 ანა [8, 193] // ანნა [12, 278];  
 არონი [8, 201] // აპრონი [13, 338];  
 ბურზო [2, 32] // ბორზო [2, 32];  
 დემეტრე [12, 267] // დიმიტრი [12, 268] // დიმიტრიოს [12, 268];  
 ეტუფანე [12, 263] // ეპიფანე [12, 263];  
 მიქაელ [4, 165; 8, 192; 13, 322] // მიქელ [5, 177; 12, 280];  
 ნოე [5, 173] // ნოვე [12, 259];  
 სოფრონ [12, 294] //საფრონ [12, 294];  
 სუმონ [11,243] // სუმეონ [11, 243].  
 უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი ავტორის ნაწარმოებში პარალელური ფორ-  
 მები მეტყველებს იმაზე, რომ პირის სახელის დაწერილობა იმდროინდელ  
 სამწერლობო ენაში საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული.

**§ 9. აგიოგრაფიულ ძეგლებში დადასტურებული პირის სახელები  
თანამედროვე საქართველოში**

აგიოგრაფიულ თხზულებებში დადასტურებული პირის სახელები ძირითადად ძველი ებრაული, ბერძნული (//ძველი ბერძნული), ლათინური, არაბული, სპარსული, არაბულ-სპარსული, არამეული და ქართული წარმოშობისაა. უფრო პროდუქტიულია ბერძნული და ძველი ებრაული წარმოშობის ადამიანთა სახელები. ბევრი პირის სახელის წარმომავლობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ძველ საქართველოში გავრცელებული პირის სახელები იმავე ფორმით დავადასტურეთ თანამედროვე საქართველოში ორმოცდაჩვიდმეც, ხოლო სახეცვლილი ფორმით ოცდასამ შემთხვევამდე.

დღევანდელ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სახელებად ითვლება პირის სახელები, რომლებიც ორმოცდაათ ადამიანს მაინც ჰქვია.

ქვემოთ წარმოვადგენთ ძველ ქართულ ძეგლებში დადასტურებული პირის სახელების ნუსხას, ხოლო პარალელურად ვუჩვენებთ თანამედროვე საქართველოში გავრცელებულ იმავე ან სახეცვლილ ფორმებს მათი გავრცელების მიხედვით (აგიოგრაფიულ ძეგლებში წარმოდგენილი პირის სახელების შესადარებლად გამოვიყენეთ: ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, 1977).

**ძველ საქართველოში**

**თანამედროვე საქართველოში**

ა

აბდილა (?)

აბდულა (382)

აბელი (ებრ.)

აბელი (770)

აბიბოს (ძვ. ბერძ.)

აბიბო (54)

აბო//ჰაბო (არაბ.)

აბო (116)

აბრაჰამი//აბრაამი (ძვ.ებრ.)

აბრაამი (926)

ანა//ანნა (ძვ. ებრ.)

ანა (37180)

ანატოლე (ბერძ.)

ანატოლი(3117)

ანატოლია (52)

ანდრია (ბერძ.)

ანდრია (406)

ანტონი (ბერძ.)

ანტონი (1924)



არსენი (ბერძ.)	არსენი (3708)
არშაკი (ირან.)	არშაკი (688)
აშოტი (?)	აშოტი (2047)

## ბ

ბაგრატი (სპ.)	ბაგრატი (2093)
ბასილი (ბერძ.)	ვასილი (14890)
ბესარიონი (ბერძ.)	ბესარიონი (2768)

## გ

გაბრიელი (ძვ. ებრ.)	გაბრიელი (1419)
გედეონი (ძვ. ებრ.)	გედეონი (105)
გერასიმე (ძვ. ებრ.)	გერასიმე (489)
გიორგი (ბერძ.)	გიორგი (147454)
გრიგოლი (ბერძ.)	გრიგოლი (11554)
გურამი (არაბ.-სპ.)	გურამი (28550)
გურგენი (ირან.)	გურგენი (2009)

## დ

დავითი (ძვ. ებრ.)	დავითი (76051)
დამიანე (ბერძ.)	დამიანე (102)
დანიელი (ძვ. ებრ.)	დანიელი (699)
დაჩი (ქართ.)	დაჩი (289)
დემეტრე (ბერძ.)//დიმიტრი (ბერძ.)	დემეტრე (128) დიმიტრი (12833)
დოდო (აქ ვაჟის სახელი) (ქართ.)	დოდო (6693)

## ე

ევა (ძვ. ებრ.)	ევა (1896)
ელია (ძვ. ებრ.)	ელია (76)

ელისე (ძვ.ებრ.)	ელისე (55)
ენუქი (?)	ენუქი (126)
ეკსტათი (ბერძ.)	ეკსტატე (506)
ეფრემი (ბერძ.)	ეფრემი (271)
ეფთვიმი (ბერძ.)	ექვთიმე (91)
ეფროსინე (ბერძ.)	ეფროსინე (364)

### ვ

ვაზგენი (?)	ვაზგენი (496)
ვარდანი (ირან.)	ვარდენი (582)

### ზ

ზაქარია (ძვ. ებრ.)	ზაქარია (4506)
ზენონი (ბერძ.)	ზენო (57)

### თ

თეკლა (ბერძ.)	თეკლე (946)
თევლორე (ბერძ.)//თეოდორე	თეოდორე (87)
თეოდორა (ძვ. ბერძ.)	თეოდორა (57)

### ი

ია (აქ კაცის სახელი)(?)	ია (13363)
იაკობი (ძვ. ებრ.)	იაკობი (2413)
ილარიონი (ბერძ.)	ილარიონი (612)
იოანე (ძვ. ებრ.)	იოანე (51)//ივანე (18374)
იოსები (ძვ. ებრ.)	იოსები (14807)
ისააკი (ძვ. ებრ.)	ისაკი (1047)
ისმაილი (ძვ. ებრ.)	ისმაილი (891)

### ქ

კახა (ქართ.)	კახა (10540)
კონსტანტინე //კონსტანტინე (ლათ.)	კონსტანტინე (9010)

## ღ

ლუკიანე (ლათ.)	ლუკა (1075)
----------------	-------------

## მ

მაკარი (ბერძ.)	მაკარი (362)
მარიამი (ძვ. ებრ.)	მარიამი (43698)
მირიანი (სპ.)	მირიანი (3540)
მიქაელი (ძვ. ებრ.)	მიქაელი (265)
მოსე (ძვ. ებრ.)	მოსე (628)

## ნ

ნერსე (?)	ნერსე (221)
ნინო (?)	ნინო (92937)
ნოე//ნოვე (ძვ. ებრ.)	ნოე (1900)
	ნოვე (129)

## პ

პავლე (ლათ.)	პავლე (6145)
პეტრე (ბერძ.)	პეტრე (4039)

## ს

საბა (არამ.)	საბა (950)
სამოელი (ძვ. ებრ.)	სამუელი (79)
სერაპიონი (ბერძ.)	სერაპიონი (254)
სვიმეონი (ძვ. ებრ.)	სიმონი (6669)
სოლომონი (ძვ. ებრ.)	სოლომონი (2819)
სოფრონი (ბერძ.)	სოფრომი (95)

სტეფანე (ბერძ.)	სტეფანე (2516)
<b>ტ</b>	
ტიმოთე (ბერძ.)	ტიმოთე (62)
<b>ფ</b>	
ფებრონია (?)	ფებრონე (404)
<b>შ</b>	
შიო (ირან.)	შიო (600)
შუშანიკი (ებრ.)	შუშანიკი (1710)
<b>ხ</b>	
ხარალამპისი (ბერძ.)	ხარლამპი (234)
<b>ჰ</b>	
ჰერაკლე (ბერძ.)	ერეკლე (234)

ზემოთ ჩამოთვლილ პირის სახელებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველ საქართველოში გავრცელებულ სახელთაგან დღევანდელ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული სახელები ყოფილა *გიორგი* – 147454, *ნინო* – 92937, *დავითი* – 76051, *მარიამი* – 43698, *ანა* – 37180, *იოსები* – 14807, *დიმიტრი* – 12833, *გრიგოლი* – 11554, *კახა* – 10540 შემთხვევა და ნაკლებად გავრცელებული – *იოანე* – 51, *ელისე* – 55, *თეოდორა* – 57, *ტიმოთე* – 62, *ელია* - 76 შემთხვევა.

## § 10. აგიოგრაფიული ძეგლების ზოგიერთი პირის სახელის გენეტიკური ანალიზი

ონომასტიკაში გენეტიკური ანალიზი გამოავლენს საერთო ამოსავალი ფუძის მქონე სახელებსა და მათს ვარიანტებს. „ეს კი ხდება კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა და შესაძლებელ ფონეტიკურ პროცესთა გათვალისწინებითა და ზოგჯერ სხვადასხვა ენის საკუთარ სახელთა შეპირისპირებითი ანალიზით“ (241, 209).

გენეტიკური ანალიზის გამოყენებით საკუთარ სახელთა ჰომოგენურობის დადგენა თავისთავად გულისხმობს დიფერენცირებულ ანალიზსაც, ანუ ჰეტეროგენური საკუთარი სახელების გამიჯვნასაც.

აგიოგრაფიული ძეგლების პირის სახელთა გენეტიკური ანალიზისათვის გამოვიყენეთ თანამედროვე მკვლევრის, ზ. ჭუმბურიძის სხვადასხვა დროს გამოცემული ნაშრომები „რა გქვია შენ?“ და „დედაენა ქართული“ (პირის სახელებთან ციფრებით ვუთითებთ წყაროს ნომერს).

**აბელი** (3, 5) (ძვ. ებრ.) საეჭვო ეტიმოლოგიებით ნიშნავს „ნელი ქარის ქროლა“, „წუხილი“, „ფუსფუსი“, „მოჩვენება“, „არარაობა“ (258, 65).

**აბო** (3) გაქრისტიანებული არაბის *აბო თფილელის* სახელია. ქრისტიანობისათვის წამებული *აბო* ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და შეიტანა კალენდარულ სახელებში, მაგრამ იგი სულ სხვა წარმოშობის სახელს *გაბოს* (*გაბრიელ*) დაუკავშირა. სინამდვილეში *აბო* (*ჰაბო*) მიღებული ჩანს არაბული სახელისაგან: *ჰაბიბ* („საყვარელი“) ან *აბუ* („მამა“) (261, 120).

**აბრაჰამი** (*აბრაამი* // *აბრამი*) (2, 3, 4, 5, 8, 9, 13, 14) ებრაული სახელია, რომლის მნიშვნელობას ასე ხსნიან „მამა მრავალთა“ (258, 93).

**ადამი** (5, 8, 12) (ძვ. ებრ.) ნიშნავს „თიხა“ (წითელი მიწა), „ადამიანი“ (255, 132).

**ანა** (*ანნა*) (8, 12) წარმოშობით ძვ. ებრაულია და ნიშნავს „საამო“, „მადლიანი“, „სანდომიანი“, „სასურველი“ (261, 223).

**ანასტასია** (13) (ბერძ.) „მკვდრეთით აღმდგარი“, „სიცოცხლეს დაბრუნებული“ (261, 223).

**ბასილი** (12, 13) (ბერძ.) „მეფური“, „სამეფო“. ამჟამად უფრო გავრცელებული ფორმა ამ სახელისა არის *ვასილი*. **ბ** და **ვ** ბგერათა მონაცვლეობას თვით ბერძნულშივე ვხვდებით. ზოგმა ენამ (მათ შორის ქართულმა) ისესხა უფრო ადრინდელი ფორმა, სადაც **ბ** არის დაცული, ზოგ ენაში კი (რუსულში) გადაიღეს **ვ**-ინიანი ფორმა. ამიტომ გვაქვს ქართულში *ბასილი*, რუსულში *ვასილი*. შემდგომში ზოგიერ-

თი გინიანი ფორმა ქართულშიც შემოვიდა და ამჟამად გვაქვს პარალელური ფორმები: *ბასილ/ვასილ...* იგივე სახელი *ბასილი* ესპანეთში გავრცელებულია *ბაზილიო*-ს ფორმით. ამავე ძირს უკავშირდება სიტყვა ბაზილიკა, რაც „სამეფო აკლდამას“ ნიშნავს. *ბასილის* შეკვეცილი ფორმაა ქართულში *ბასა* (260, 99).

**ბესარიონი** (13) (ბერძ.) „ტყიანი ადგილი“, „ტყისა“, „ტყესშირი“ (255, 138).

**გიორგი** (4, 5, 12, 13) (ბერძ.) „მიწის მუშა“, „მხვნელ-მთესველი“, „მიწათმოქმედი“. შედგება ორი სიტყვისაგან: *გე* – „მიწა“, *ერგონ* – „მუშაობა“. გარდა ქართულისა, ეს სახელი ბერძნულიდან შესულა აგრეთვე სომხურში, სადაც გამოითქმის *გეორქ/გეურქ* რუსულში – *გეორ*, *იური*, ფრანგულში – *ჟორჟ*, ინგლისურში – *ჯორჯ*, ჩეხურში – *ირჟი*, პოლონურში – *ეჟი* და სხვ. (259, 270).

**დამიანე** (1) (ბერძ.) „დამშვიდებული“, „დამოშმინებული“, „დამორჩილებული“ (258, 78).

**დანიელი** (5, 8, 9, 10, 12) (ძვ. ებრ.) „ღვთის სამსჯავრო“, „ღმერთი – მსაჯულის ჩემი“ (255, 243).

**დემეტრე** (12) (ბერძ.) „მიწა-ღედა“; სხვაგვარი განმარტებით „დემეტრასი“. ანტიკური მითოლოგიის მიხედვით, *დემეტრა* მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთია (იგივე ცერერა). *დემეტრეს* გვიანდელი ფორმაა *დიმიტრი*, სადაც ე ხმოვანს ენაცვლება ი (ეს ცვლილება ბერძნულშივე მომხდარა) (258, 79).

**დოდო** (10) (აქ: ვაჟის სახელი, ქართ.) „ღვთის მეგობარი“ (259, 384).

**ეესტათი** (2) (ბერძ.) „კარგად (მტკიცედ) მდგომი“, „მედგარი“. ანთროპონიმს დროთა განმავლობაში ბევრნაირი ცვლილება განუცვლია. *ეესტათი* (ძვ. ქართულში)→*ესტათი* (ვ-ს დაკარგვით)→*ესტათე* (ე ბოლოკიდურიან სახელთა ანალოგიით)→*ესტატე* (ასიმილაციით)→*ესტატე* (დისიმილაციით). იგივე სახელი უკრაინულში გვხვდება *ოსტაპი*, რუსულში *ეესტაფი* (ეს უკანასკნელი დასტურდება ქართულშიც: *ეესტაფი*, *ესტაფი*) (259, 337).

**ესაია** (5, 12) (ძვ. ებრ.) „ხსნა უფლისაგან“, „ღვთისაგან მოვლენილი დახმარება“ (258, 82).

**ეფრემი** (12) საეკლესიო კალენდრის მიხედვით ხსნიან როგორც „ნაყოფიერი“. ს.-ს. ორბელიანი განმარტავს როგორც „აღორძინება“, ან „ნუგეშისმცემელი“; სხვაგვარი ეტიმოლოგიით მომდინარეობს ძველ ებრაელთა ერთ-ერთი სახელწოდებისაგან (260, 111).

**ზაქარია** (3, 11, 12) (ძვ. ებრ.) „ღვთის მიერ დაუვიწყარი“, „ღმერთს ახსოვს“; მეორენაირად „მსახური ღვთისა“ (261, 158).

**ზენონი** (12) (ბერძ.) „ღვთისა“. ნაწარმოებია ბერძენთა უზენაესი ღვთაების – *ზეუსის* სახელისაგან (258, 85).

**თეოდორე** (5) (ბერძ.) „ღვთის მონიჭებული“, „ღვთის ნაჩუქარი“. *თეოს* ბერძნულად ნიშნავს „ღმერთს“, *დორონ* – „საჩუქარს“, სწორედ აქედანაა მიღებული *თეოდორე* (ძვ. ქართულში) → *თევდორე* (რედუქციით) → *თედორე* (ვ-ს დაკარგვით). *თევდორესაგან* ნაწარმოებია ქალის სახელი *თეოდორა* (259, 342).

**თეკლა//თეკლე** (13) ქალის სახელი წარმოშობით ბერძნულია, შედგება ორი ნაწილისაგან *თეოს* – „ღმერთი“, *კლეოს* – „დიდება“ („ღვთის დიდება“) (259, 388).

**ია** (13) „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (IX ს.) გვხვდება კაცის სახელიად. *ია* ამჟამად *იაკობის* შემოკლებულ ფორმად ითვლება, მაგრამ შესაძლოა იგი არაბული *იაჰია*-სგან მომდინარეობდეს (260, 117).

**იოვანე//იოანე** (1, 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12) (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა“, „ვისაც ღმერთი სწყალობს...“ ამ სახელის ფორმაა *იოხანან* (*იეჰოხანან*). სხვადასხვა სახეცვლილებებით იგი შესულა მსოფლიოს მრავალ ენაში: ქართულში – *იოვანე//იოანე* → *ივანე* → *ვანო*, ბერძნულში – *იუხან*, ესპანურში – *ხუან*, პორტუგალიურში – *ჟოან*, ფრანგულში – *ჟან*, იტალიურში – *ჯოვანი*, ინგლისურში – *ჯონ*, პოლონურსა და ჩეხურში – *იან*, რუსულში – *ივან*, ბულგარულში – *ონ*, სომხურში – *ჰოვანეს//ოჰანეს* (259, 271).

**იოსები//იოსეფი** (2, 5, 7) (ძვ. ებრ.). სხვადასხვა ენის საკუთარ სახელთა შეპირისპირებითი ანალიზით დადგინდა, რომ ბერძ. *იოსეფ//იოსიფ*, სომხური – *ჰოვსეფ*, თურქული – *იუსეფ*, რუსული – *იოსიფ*, ინგლისური – *ჯოზეფ*, პორტუგალიური – *ჟუზე*, ყაზახური – *ჟუსეპ*, იტალიური – *ჯუზეპე*, ესპანური – *ხოზე*, ქართული *იოსები* (ძვ. ქართულში: *იოსეფ*) მომდინარეობს ძველი ებრაული სიტყვისაგან *იოსებ* („გამარჯვება, მატება“). *იოსების* კნინობითი ფორმებია ქართულში: *სოსო*, *სოსია*, *სოსიკო*, *ოსიკო* (259, 346).

**კახა** (//კახაჲ) (4) წარმოშობით ქართულია. საფუძვლად უძველეს ქართველთა ერთ-ერთი სატომო სახელი (ეთნონიმი) *კახი* (261, 173).

**კოზმანი** (1) (ბერძ.) „გალამაზებული“ (255, 154).

**კრავი** (12) ქალის სახელი წარმოშობით ქართულია. თამარ მეფის (XII-XIII სს.) დროსაც კი ცნობილი იყო ეს სახელი შეცვლილი ფორმით (*კრავაი*) (259, 391).

**ლაზარე** (2, 13) (ძვ. ებრ.) „ღვთის წყალობა“. მიღებულია *ელაზარ*-ისაგან (260, 126).

**ლატავრი** (13) (სპ.) ქალის სახელია, გვხვდება ძველ ქართულში, ახლა მისი სახეცვლილი ფორმაა *ლატავრა* (259, 392).

**მიქაელი** (//მიქელ) (4, 5, 8, 12, 13) „ღვთის სწორი“, „ღვთაებრივი“. ეს სახელი ძველი ებრაულიდან შესულა ბერძნულში და ბერძნულის გზით ფართოდ გავრცელებულა მსოფლიოს მრავალ ენაში, ოღონდ გზადაგზა საგრძნობი ცვლილებები განუცდია. პირვანდელი ფორმაა *მიქაელ* → *მიხაილ* (ქ→ხ, ე→ი). ეს ფორმა შესულა რუსულში, *მიხაი* გვხვდება რუმინულში, *მიკოლა* – უკრაინულში... ქართულში გვაქვს როგორც *მიქაელ*, ისე *მიქელ*//*მიქელა*, *მიხაელ*, *მიხეილ*, *მიხა* (261, 187).

**მოსე** (2, 3, 4, 5, 8, 12, 13) (ძვ. ებრ.) „წელიდან ამოყვანილი (გადარჩენილი)“; სხვაგვარი ახსნით, ეს სახელი ძველევგვიპტურია და ნიშნავს „ბავშვს“ (260, 132).

**ნინო** (9) სახელის ეტიმოლოგია დაუდგენელია. ზოგიერთის აზრით, შესაძლოა უკავშირდებოდეს ასირიული ნაყოფიერების ღვთაების სახელს *ნინ-ს*. ნინო ამ ფორმით მხოლოდ ქართულში გვხვდება და მას არავითარი კავშირი არა აქვს ევროპულ ენათა *ნინა*-სთან (*ანინა*, *კატერინა*, *ჯოვანინა* და სხვ.) (258, 139).

**პაულე** (1, 3, 4, 5, 7, 8, 9, 12, 13) წარმოშობით ლათინურია, ნიშნავს „პატარა“, „მცირე“. საფუძვლად უძევს ლათინური სიტყვა *პაულუს*, რომელიც ევროპის ხალხებში სახელებადაც გვხვდება და გვარადაც. მისი ფორმებია სხვადასხვა ხალხში: *პაულიუს*, *პაულიოს*, *პაულუს*, *პაულო*, *პოლიოს*, *პოლ*, *პაოლო* და სხვ. (261, 193).

**საგლე** (5) ძვ. ებრაულიდან მომდინარეობს, ნიშნავს „ნათხოვარი“, „ნავედრები“, „სასურველი“. ამავე სახელის ვარიანტია *საული*//*საულია* (260, 140).

**სამოელი** (1, 2, 3, 5, 12) (ძვ. ებრ.), ნიშნავს „ღვთის მიერ შესმენილი“. ფონეტიკური ვარიანტია *სამუელ* (258, 110).

**სერაპიონი** (13) (ბერძ.) „სერაპისა“ (სერაპისი ერქვა ძვ. ეგვიპტელთა სიკვდილ-სიცოცხლისა და განკურნების ღვთაებას) (259, 367).

**სტეფანე** (2, 3, 7, 12) (ბერძ.) ნიშნავს „გვირგვინს“. ძველ ქართულში გავრცელებული ფორმა იყო *სტეფანოს*//*სპეფანოზ*. ევროპულ ენაში შესულია სხვადასხვანაირი ფორმით: გერმანულში – *შტეფან*, ფრანგულში – *ეტიენ*, უნგრულში – *იშტვან* და სხვ. (255, 165).

**ქრისტეფორე** (12) (ბერძ.) „ქრისტეს მტვირთველი“, „ქრისტეს მალიარებელი“ (258, 115).



შიო (9, 11) უნდა მომდინარეობდეს *სიოშის*გან, რომელიც წარმოშობით ირანული სახელია და ნიშნავს „შავგვრემანს“, „შავ მამაკაცს“. ძველ ქართულში შემოსულია *სიოშის* ფორმით, ამ უკანასკნელისაგან კი მიღებულია საბოლოო ფორმა *შიო* (260, 149).

შუშანიკი (1) სომხური ფორმაა *სუსანა*-სი, რომელიც წარმოშობით ებრაულია და „წყლის შროშანს“ ნიშნავს (261, 258).

## **§ 11. საკუთარ სახელთა ბრუნება აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით**

საკუთარ სახელად მიჩნეულია ადამიანთა სახელები და გვარები, აგრეთვე გეოგრაფიული ობიექტების სახელები: ქვეყნების, ქალაქების, მთების, ზღვების, ტბებისა და მისთანათა სახელები. „ამ ტიპის სახელების ბრუნება ძველ ქართულში საგრძნობლად განსხვავდება საზოგადო სახელთა ბრუნებისაგან. საკუთარი სახელების ბრუნება ძველ ქართულში ასახავს სახელთა ბრუნების განვითარების უძველეს ეტაპებს, იმ საფეხურებს, რომლებიც წინ უსწრებდა საზოგადო სახელთა ბრუნების კარგად ჩამოქნილ და მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას“ (75, 363).

## **§ 12. პირის სახელების ბრუნება**

სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. შანიძე, ზ. სარჯველაძე) ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნების რამდენიმე თავისებურებას ასახელებენ:

1. სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, როგორც წესი, არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს;
2. არ მოუღიოთ სავრცობი ხმოვანი;
3. როგორც წესი, არ ეწარმოებათ მოქმედებითი და ვითარებითი;
4. მათი ფუძე არც იკუმშება და არც იკვეცება;
5. არ გააჩნიათ მრავლობითი რიცხვის ფორმები.

ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებებით გარკვეულია ის ვითარება, რომელიც ჩვენ გვაქვს საკუთარ (ამ შემთხვევაში – პირის) სახელებში (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ძველი ქართული ლიტერატურის I პერიოდში (V-XI სს.) და, რასაც ადასტურებს ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, რომელთა შესახებაც წარმოდგენილი ნაშრომის შესავალში გვქონდა საუბარი.

## 12. 1. წრფელობითი ბრუნვა

წრფელობითი განსხვავებული ბრუნვაა ძველ ქართულში, რადგან სახელს ოდენ ფუძის სახით წარმოგვიდგენს. ბრუნვის სახელწოდებას საფუძვლად სიტყვა „წრფელი“ დაედო, რომელიც „სწორს“, „მართალს“ ნიშნავს (3, 550).

წრფელობითი ბრუნვა პირველად ზ. შანშოვანის გრამატიკაშია დასახელებული „საწრფელოს“ სახელით (222, 16). ტერმინი „წრფელობითი“ დაამკვიდრა ანტონ კათალიკოსმა („დასაბამ ბრუნუათა არს წრფელობითი, რომელიცა უფრორე სამართალ-არს, რამეთუ ეწოდებოდეს სახელობითი“ (8, 134)) და გაგრძელდა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, მაგრამ ყველგან წრფელობითი უდრის სახელობითს. წრფელობითი ბრუნვა შემდგომში სახელობითით შეცვალა პლ. იოსელიანმა (79, 14). ნ. მარმა პირველმა გამოყო წრფელობითი დამოუკიდებელ ბრუნვად და ბრუნვის ნიშნის დაურთველობის გამო მას გაუფორმებელი ბრუნვა უწოდა (116, 29). სახელის ფუძით წარმოდგენილ ფორმას წრფელობითი საბოლოოდ ა. შანიძემ შეარქვა და ბრუნვათა რიგშიც პირველ ადგილას მანვე მოაქცია (209, 013).

ძველ ქართულში წრფელობითის დამოუკიდებელ ბრუნვად არსებობა-არარსებობის პრობლემით არა ერთი და ორი მეცნიერი დაინტერესებულა დღემდე. კერძოდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ორგვარი თვალსაზრისი;

1. წრფელობითი ძველ ქართულში ბრუნვაა: ნ. მარი (116, 29); ა. შანიძე (209,103); ი. იმნაიშვილი (74, 21); კ. დანელია (49, 34) და სხვ.
2. წრფელობითი სახელობითის ერთგვარი ვარიანტია: „წრფელობითი სახელობითის სინონიმი“ და „გაუფორმებელი (უდერმინაციო) ფუძე“, „წრფელობითის ფორმა... წმინდა ფუძე“: ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა (68, 504; 227, 13);

„წრფელობითის ფორმა ძველი ქართულის დონეზე სახელობითია. კაც უნიშნო სახელობითი არის, კაც-ი – ნიშნიანი“: ზ. სარჯველაძე (159, 359). ან – „არამარკირებული სახელდებითი ფორმა“, „წრფელობითი ცალკე ბრუნვას არასოდეს წარმოადგენდა ქართულ ენაში: იგი ან იყო სახელობითი ბრუნვის განუსაზღვრელი ფორმა უძველეს ქართულში – სახელობითი ან მოთხრობითი ბრუნვების ჩამოყალიბებამდე, ან სახელობითი ბრუნვის თავისუფალი ვარიანტი სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ჩამოყალიბების შემდეგ“: თ. უთურგაიძე (185, 17-20, 23) და სხვ.

ი. იმნაიშივილი მონოგრაფიულად შეისწავლა წრფელობითი ბრუნვა ძველ ქართულში და ჩამოაყალიბა მისი ფუნქციები: 1) წრფელობითი ძველ ქართულში გამოხატავდა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს; 2) ზოგიერთ შემთხვევაში ქვემდებარესაც გამოხატავდა, რაც უძველესი ვითარების გადმონაშთი უნდა იყოს (დასახელებულია რამდენიმე ზმნა, რომლებთანაც ქვემდებარე უფრო ხშირად გვხვდება წრფელობით ბრუნვაში. ასეთებია: *ყოლა-ქონების* (პირის სახელებთან) და გარდაუვალი მნიშვნელობით გამოყენებული *რქუმა* ზმნები) (49, 34-42); 3) გადმოსცემდა პირდაპირ დამატებას გარკვეულ ზმნებთან, დროის გარემოებასა და ვითარების გარემოებას (74, 59-61).

წრფელობითში, როგორც წესი, დგას ერთპირიან ზმნათა III სერიის აღწერით ფორმათა სახელადი ნაწილი. როგორც ახალ ქართულში, ისე ძველშიც ერთპირიანი ზმნები III სერიის ფორმებს იკეთებენ მიმდევობისა და მეშველი ზმნის საშუალებით. მიმდევობა ძველ ქართულში ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

როგორც მეცნიერთა ერთი ჯგუფი ვარაუდობს, წრფელობითი ძველ ქართულში გამოიყენება დამოუკიდებელ ბრუნვად საკუთარი ფორმითა და დანიშნულებით. ასეთ შემთხვევაში მისი მოქმედების არე ზუსტადაა განსაზღვრული და სხვა ბრუნვაში არეკას შეუძლებლად თვლიან. წრფელობითი ძალიან ხშირად გამოყენებულია საკუთარი სახელების სხვადასხვა ბრუნვის ფუნქციის გადმოსაცემად, კერძოდ: ა) სახელობითის; ბ) მოთხრობითის; გ) წოდებითის; დ) ჩვეულებრივ, საკუთრივ წრფელობითის ფუნქციით.

ი. იმნაიშივილი აღნიშნავს, რომ „საკუთარ სახელებსაც მოეპოვებათ წრფელობითი ბრუნვა, საკუთარ სახელთა (ადამიანის სახელთა) ბრუნების მთელი თავისებურება სწორედ ადამიანთა სახელებშია ჩამარხული“ (75, 70). ა. შანიძეს კი საკუთარ სახელთა ბრუნების პარადიგმაში წრფელობითი ბრუნვა არა აქვს შეტანილი: „საკუთარ სახელებს, ჩვეულებრივ მოეპოვებათ სამი ფორმა, რომელთაგან: ერთი საზოგადო სახელთა სახელობით-წოდებით-მოთხრობითის ბადალია, მეორე მიცემითისა და მესამე ნათესაობითისა“ (210, 288). ბუნებრივია, საკუთარი სახელების ბრუნებაზე მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადო სახელების გათვალისწინებითაა დასაშვები, რადგან ბრუნების ყველა შესაძლებელი სახეობა სწორედ საზოგადო სახელებში დასტურდება.

ამჯერად ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ „საკუთრივ წრფელობითის“ ფორმებად წოდებულ ერთეულებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია: *პრქუა-ერქუა* და *უწოდა-ეწოდა* ტიპის ზმნებთან საზოგადო სახელები წრფელო-

ბით ბრუნვაში დგას. კერძოდ, სამპირიანობის შემთხვევაში ესაა პირდაპირი დამატება, ხოლო ორ და ერთპირიანობის დროს – ქვემდებარე. პირველ შემთხვევაში ზმნა ყოველთვის II სერიის მწკრივთა ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე შემთხვევაში – I სერიის მწკრივებითაც (74, 67). ანალოგიური ვარაუდი გამოითქვა სახელებთან მიმართებითაც (იქვე, 74).

ჩვენი დაკვირვების ობიექტიც *პრქუა-ერქუა* და *უწოდა-ეწოდა* ტიპის ზმნებთან შეწყობილი საკუთარი სახელებია, რომლებიც საკმაო სიხშირით გვხვდება ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში. ქვემდებარედ და პირდაპირ დამატებად შეწყობილი საკუთარი (ადამიანთა) სახელები აღნიშნული ტიპის ზმნებთან ფუძის სახითაა წარმოდგენილი, რასაც ჩვენი კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებიც მოწმობენ.

ა) *ქვემდებარის ფუნქციით პრქუა-ერქუა ზმნასთან:*

რომელსა ერქუა აგოც [1, 13]; ერქუა სახელი მას აბრაჰამ [2, 36]; სახელი ერქუა მას გურობანდაკ [2, 30]; და მათ უთხრეს სახელები მათი და პრქუეს: ერთსა გუშნაკ პრქუან და ერთსა ბახდიად, ერთსა ბურხო, ერთსა პანაგუშნასკ, ერთსა პეროზაკ, ერთსა ზარმილ, ერთსა სტეფანე [2, 32]; რომელსა სახელი ერქუა ბულა [4, 167]; და სახელი ერქუა ვარდან [7, 186]; რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი [4, 165]; რომელსა სახელი ერქუა ჯაფარ [4, 168]; რომელსა ერქუა კუპრა [12, 298].

*უწოდა-ეწოდა* ზმნასთან:

ამას ეწოდა პირველად მიქაელ და მერმე გობრონ [5, 177]; რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი [12, 267]; რომელსა ეწოდა საბან [12, 252]; რომელსა ეწოდა... ანასტასია [12, 298]; რომელსა ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი [13, 321]; ხოლო მამისა ამის ნეტარისას ეწოდებოდა კუპრიანე [13, 321]; ხოლო რომელსა ეწოდა ვარბანელ [13, 330]

ბ) *პირდაპირი დამატების ფუნქციით უწოდა-ეწოდა ზმნასთან:*

ხოლო ნათლის-ცემასა მისსა უწოდეს სახელი ევსტათი [2, 30]; და უწოდეს პირმშოსა მას სახელი დაკით [7, 186]; და ჩუენ სახელი არსენი უწოდეთ [12, 270].

უნდა აღინიშნოს, რომ ძეგლებში ანალოგიური მაგალითები *პრქუა-ერქუა* ზმნასთან ვერ დავადასტურეთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთარი (ადამიანის) სახელი წრფელობითში უნდა იყოს *ყოლა-ქონების* ზმნებთანაც. აღნიშნულ ფორმებთან საზოგადო

სახელებში შეინიშნება ფორმათა პარალელები: სახელი ხან წრფელობითშია, ხან სახელობითში.

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში პირის სახელები წრფელობით ბრუნვაში არს და იყო ზმნებთანაც დასტურდება.

მოძღვარი ჩუენი გრიგოლ არს [12, 267]; მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: იაკობ მანდა არსა? [1, 18] (არს ზმნას დართული აქვს -ა კითხვის გრამატიკული მორფემა (183, 93-112)); რამეთუ მიქაელ იყო აღმაშენებელი [13, 322]; ყრმა-ლა იყო ძმ მისი იგი მიქაელ [12, 165]; რამეთუ მას ჟამსა იყო მთავარი, სახელით, ევაგრე [9, 219]; და მარხვასა მის თანავე იყო არსენი [12, 290]..

ცნობილი ფაქტია ის, რომ ადამიანთა სახელები: გრიგოლ, მიქაელ, იაკობ ძველ ქართულში ხმოვანფუძიანთა ჯგუფს განეკუთვნება, ხოლო ახალში – თანხმოვანფუძიანებს. როგორც ჩანს, ძველ ქართულშივე დაწყებული მათი თანხმოვანფუძიან პირის სახელებთან გათანაბრების პროცესი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, წრფელობითის ადგილს ნელ-ნელა სახელობითის ბრუნვა იჭერს. მარკირებულმა სახელობითმა ბრუნვამ, რომელიც არსებითად გამოხატავდა გრამატიკულ სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს, ადვილად შეძლო სახელდებითობის, ნომინაციის ფუნქციაც შეეთავსებინა და, ფაქტობრივად, წრფელობითი ბრუნვა უკვე ზედმეტი გახდა.

## 12. 1. 1. ადამიანის სახელის საზოგადო სახელთან გათანაბრება

ადამიანის სახელის საზოგადო სახელთან გათანაბრების ერთადერთი შემთხვევაა, როცა პირის სახელს სახელობითის -ე ერთვის:

რომელსა ეწოდა კახაჲ [4, 165].

გამონაკლისი ფორმა გვაგარაუდებინებს, რომ იგი უფრო კალმის შეცდომა უნდა იყოს, ვიდრე ენობრივი ნორმიდან გადახვევა, ან იქნებ იმის შედეგია, რომ პირის სახელი კახა ეთნონიმისგანაა წარმოქმნილი.

## 12. 2. სახელობითი ბრუნვა

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „სახელობით ბრუნვაში მოცემული სახელი, ჩვეულებრივ, ან სუბიექტია, ან პირდაპირი ობიექტი“ (236, 76).

### 12. 2. 1. ბოლოთანხმოვანი სახელები

ა) სუბიექტად გამოყენებული:

და აგინებდა *გარსქენ* თესლ-ტომსა მისსა [1, 17]; ხოლო *ჯოჯოი* მსწრაფლ აღდგა ზე [1, 26]; გამოვიდა *აბრაჰამ* ქუეყანისა მისგან [1, 36]; შემდგომად *დავით* მეფობდა [2, 38]; ...*სოლომონ* მეფობდა [2, 38]; *ბახდიად* ეშმაკეულ იქმნა [2, 34]; ხოლო *ნეტარი გუშნაკ...* *პეროზაკ* და *ზარმილ...* მტკიცედ დგეს... [2, 33]; ვითარცა იტყვს *იობ* [5, 173]; *აღამ* არა სცდა [5, 173]; ხოლო მეფე იგი *სუმბატ* უკუნვიდა [5, 178]; აღძრა მეფე *სარკინოზი*, სახელით *აბულ-კასიმ* [5, 175]; *დანიელ...* შთააგდეს მღვიმესა [9, 227]; განმხიარულდა *გუარამ* ღვინითა [12, 289]... იყვნეს... დიდი *სოფრონ*, სანატრელი მამად [12, 294]... *სამოელ...* გარდაცვალებულ იყვნეს [12, 253]; მსწრაფლ... მოვიდა *მირეან* [12, 270]; მიეგება წინა *გაბრიელ* [12, 259]; ხოლო *ბავრატ* უმთავრეს... იყო სიბრძნითა [12, 272]; ხოლო *გურგენ...* ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა-ერისთავად [12, 277]; ხოლო *ზენონ* შვილი იყო საჩინოესა [12, 263]; წმიდად *ეფრემ* იყო დღითა უხუცეს [12, 270]...

**ბ) პირდაპირ ობიექტად გამოყენებული:**

მაშინ აკურთხა *ჯოჯოი* [1, 27];... დაესწავა სიტყუად *გობრონ* [5, 177];... წარავლინა იგინი... ვითარცა იაკობ *იოსებ...* [7, 188]; ... *იოსებ* წარვჰყავ ეგვიპტედ კრული [12, 243]; და წარმოუდგინა... *პატრიკ*, *გუარამ...* *აბულასათ* [12, 259]; ...*ეფრემ* მოვიჰსენნეთ [12, 286]; ...სახელ-სდვეს *ტირიჭან* [7, 186]; წარმოავლინა... *სტეფანოზ* [3, 61]...

**12. 2. 2. ბოლოხმოვნისანი სახელები**

**ა) სუბიექტად გამოყენებული:**

**ა ბოლოხმოვნისანები:**

... *ანდრია* გარდაცვალებულ იყვნეს [12, 253]; ... *ზაქარია* სთულისა ჟამთა ჯდა ტბას თუსთა [12, 304]; ნებითა ღმრთისადთა იქმნა *საბა* ეპისკოპოს იშხანსა ზედა [12, 274]; და სახელი მისი *წერტა* [12, 317]; რომლისა-იგი იყვნეს პირველ ამაშენებელნი... *ქურდია* [13, 339]; და *ია* ეტყოდა [13, 330]; რომლისათვის *ელია* იტყვს [5, 173]; ვითარცა *იერემია* იტყვს [5, 176]; და *ესაია* იტყვს [5, 178]...

**ე ბოლოხმოვნისანები:**

წარემართნეს ტფილისს იგი და *სტეფანე* [2, 35]; და მოციქული *პავლე* მისწერს [3, 49]; ხოლო *ნერსე...* შევიდა ქუეყანასა მას... [3, 58]; და სახელი ცოლისა მისისა *თავინე* [7, 186]; ... და *ევანგრე* დგა მარტოდ [9, 219]; ხოლო მსწრაფლ... განიკურნა *ადარნესე* [12, 299]; ხოლო *ადარნესე...* ფრიად შეშინდა [12, 298]; ... *თევდორე* და *ქრისტეფორე* წარმოვიდეს ხანცთად [12, 279]; და *ეპიფანე* ძმათა მათ ეშორა [12, 293]; და ეტყვანე შეიმოსა ჟამის წირვად [12, 293]; ვითარცა *მოსე* იტყვს [12, 251]...

ე ხმოვანზე დაბოლოებულ ადამიანის სახელებთან ერთად, აგიოგრაფიულ ძეგლებში, გვხვდება პირის სახელი *ქრისტე*, რომელიც თავისებურად იბრუნვის ძველ ქართულში. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „იგი ზოგ ბრუნვაში საზოგადო სახელებს მისდევს, ზოგში კი ისე იბრუნვის, როგორც ადამიანის სახელი. საზოგადო სახელსავე იბრუნვის ის მიცემითში, მოთხრობითსა და ვითარებითში; ადამიანთა სახელსავე – ნათესაობითში, მოქმედებითსა და წოდებითში. წრფელობითი და სახელობითი ე-სა და ზ-ს გარჩევაზეა დამოკიდებული“ (75, 381); (159,37):

... რომელთათვის *ქრისტე* ცუდად მოკუდა [95, 175]; ... ვითარცა მოიყვანეს *ქრისტე* წუერამდე მის მთისა [13, 324]; ხოლო ესევეითართა სასწაულთა იქმოდა *ქრისტე* [12, 301]...

#### ჟ ბოლოსართიანები:

ე-ზე ფუძედაბოლოებულ სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ე ერწყმის წინამავალ ფუძისეულ ე-ს და ვლბებულობთ ზ დიფთონგს.

საკელეე ძეგლებში ზ დიფთონგის ხმარება პირის სახელ „ქრისტესთან“ უფრო ხშირია, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანის სახელთან:

...მოვიწიენით... თეველორე და *ქრისტეფორზ* [12, 279]; იყავნ *ქრისტზ* ღმერთი ჩუენ შორის [12, 252]; *ქრისტზ* ამაღლდა ზეცად [2, 42]; აღვიდა *ქრისტზ* იერუსალშმად [2, 40]...

#### ი ბოლოსმოვნიანები:

და ვითარცა წარემართებოდეს *ეესტათი*... ტვილისს [2, 34]; და დაჯდა მის წინ ძმ მისი *მაჰდი* [3, 56]; ხოლო *თეველოსი*... შეიჭუროდა ზაკულებითა მრავალფერთა [7, 187]; რამეთუ თუთ დასწერეს *ბასილი* [13, 345]; და *გიორგი* შევილთაგან ოჯერ და უქმ იყო [13, 339]; ... ამიერთგან *არსენი* იყავნ კათალიკოს ქართლისა [12, 289]; რამეთუ ეტკვანე და *მატო* პირველვე მეგობარ იყვნეს [12, 263]; ... მოიწია *ცქირი* ქორთას [12, 307]...

#### ო ბოლოსმოვნიანები:

ხოლო ნეტარი... *ბორზო* მტკიცედ დგეს... [2, 33]; ნეტარი *ჰაბო* შეეყო მარ ხვასა და ლოცვასა დაუბრკოლებლად [3, 58]; რომლისა-იგი იყვნეს პირველნი აღმაშენებლნი *ამასპო* და ქურდია [13, 339].

#### უ ბოლოსმოვნიანები:

და შევიდა *იესუ* საქორწინესა მას [2, 39].

### ბ) პირდაპირ ობიექტად გამოყენებული

#### ა ბოლოსმოვნიანები:

რომელმან გამოზარდა *ელია* [9, 218]; იხილვნეს ვითარცა ძუელსა შინა *ელია*.. და შემდგომად საბა [13, 320]; და თანა წარიყვანნა *საბა* [12, 264]; *საბა* განუტევა იშხანს [12, 265]; არამედ აკუროთხენ ქრისტემან *ამონა* [12, 277]; და წარმოუდგინნა... *არშუშა* [12, 259].

**ე ბოლოხმოენიანები:**

წარუდგინნეს... *სტეფანე* [2, 35]; რადთა მოვიცხენოთ... სახელით *ისე* [9, 221]; ხოლო... ავლინა *პეტრე* ზღუასა ზედა [9, 223]; და პოვა *ლუკიანე* შეშინებული [10, 232]; იხილვნეს... ვითარცა ძუელსა შინა *იოვანე* და შემდგომად... *გერასიმე* [13, 320]; ... პოვნა *ქრისტეფორე* [12, 252]; და ჰრწმენა *ქრისტე* [2, 30]; რომელთა აღუარებიეს *ქრისტე* [8, 202]...

**ჭ ბოლოსართიანები:** შეიწყნარა *ნერსე* ყოვლით ერთ მისითურთ [3, 59]; და განუტევა *ნერსე* მრავლითა ნიჭითა [3, 59]; და ჯუარს აცუეს *ქრისტე* [2, 42]; და შეიყვარა *ქრისტე* ყოვლითა გულითა [3, 57]...

**ი ბოლოხმოენიანები:**

და გამოაქუნდა მკუდარი *იამაური* [2, 39]; წარუდგინეს *ეესტათი*... [2, 35]; ... აღიდე *არსენი* [7, 186]; და *არსენი* თვთ იჩინა [12, 280]; იხილვნეს... ვითარცა ძუელსა შინა .. და შემდგომად *მაკარი, ეფთუმი* [13, 320].

**12. 2. 3. -ცა ნაწილაკიანი სახელობითი**

ნაწილაკი ყველა ბრუნვის ფორმას დაერთვის წოდებითის გარდა. უფრო ხშირია -ცა ნაწილაკის ხმარება, რომელიც „მნიშვნელობით დაახლოებით უდრის *აგრეთვე*-ს“ (217, 147).

**ა) პირდაპირ ობიექტად გამოყენებული:**

გამოსატეს თვთ *მიქაელცა* ორთა მათ თანა გალატოხთა ზედა სარკუმელსა აღმოსავალისა [13, 345].

**ბ) სუბიექტად გამოყენებული:**

და *თევდოსიცა* ტიროდავე მათ თანა [7, 189].

**12. 2. 4. საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები**

ბრუნებისას, როგორც ზემოთ ვნახეთ, ადამიანის საკუთარი სახელები ინარჩუნებენ უძველეს სახეს, სახელობითში არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს, მაგრამ ენის განვითარების კანონზომიერების შედეგად ბოლოთანხმოენიანი საკუთარი სახელი თანდათან გაუთანაბრდა ბოლოთანხმოენიან საზოგადო სახელებს,



რის გამოც, გვაქვს პარალელური კონსტრუქციები. „ერთ შემთხვევაში საკუთარ სახელს არ გააჩნია სახელობითი ბრუნვის ნიშანი და ეს ძველ საქართველოში ნორმაა, მეორე შემთხვევაში, თუმცა იშვიათად, საკუთარი სახელები საზოგადო სახელების მსგავსად ირთავენ ბრუნვის ნიშანს“ (90, 365). შენიშნულია, რომ სახელობითში *-ი* და *-ე* საკუთარ სახელებთან თავს იჩენს VII ს-იდან.

**ა) სუბიექტად გამოყენებული:**

ესუა აბრაამს *ისაკი* და ისაკს *იაკობი* [2, 37].

**ბ) პირდაპირ ობიექტად გამოყენებული:**

... ღმერთმან, რომელმან აკურთხა *იაკობი* [10, 236]. ჩვენ ვიცით მამად მისი *იოსები* [2, 40] // წარავლინა იგინი... ვითარცა იაკობ *იოსებ* [4, 188]; იოსებ წარუჰყავ ეგვიპტედ კრული [7, 243]; ერთისაგან ნათესავისა გამოიყვანა *აბრაამი* [8, 198] // გამოვიდა *აბრაამი* ქუეყანასა მისგან [6, 219]; იხილა ძმ თვისი საყუარელი *დავითი* [4, 189] // წარავლინა ნეტარი *დავით* გარესჯისა უდაბნოსა [8, 207]; ხოლო წმიდად *დავით* ევედრა უფალსა [10, 238].

მაშასადამე, სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილ ადამიანთა სახელების კვლევა დაგვანახება, რომ აგიოგრაფიულ ძეგლებში პირდაპირ ობიექტად გამოყენებული პირის სახელების ხმარება უფრო პროდუქტიულია, ვიდრე სუბიექტად გამოყენებული სახელებისა. აღნიშნულ ბრუნვაში საზოგადო სახელებთან გათანაბრების მსოლოდ ხუთი შემთხვევა დავადასტურებთ. ორ შემთხვევაში პირის სახელი ნაწილაკდართულია.

### 12. 3. მოთხრობითი ბრუნვა

მოთხრობითი ბრუნვა, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, ადამიანის სახელებთან ფუძის სახითაა მოცემული. „მისი გარჩევა სახელობითისაგან მსოლოდ სინტაქსურად შეიძლება: 1) სიტყვათა რიგით: პირველი ქვემდებარეა, მეორე – პირდაპირი დამატება; 2) მოთხრობითობას განსაზღვრავს გარდამავალი ზმნა (შემასმენელი) II სერიაში, რომელსაც სუბიექტი მოთხრობითში შეეწყობა; 3) მოთხრობითობა განისაზღვრება როგორც II სერიაში დაყენებული გარდამავალი ზმნით (შემასმენლით), ისე საზღვრულთან მოთხრობით ბრუნვაში შეწყობილი განსაზღვრებით; 4) მოთხრობითი ბრუნვა, საზოგადო სახელების მსგავსად, გაფორმებულია *-მან* ბოლოსართით – გათანაბრებულია საზოგადო სახელებთან, რაც ძლიერ იშვიათი მოვლენაა“ (236, 87-88).

### 12. 3. 1. სიტყვათა რიგით განსაზღვრული სახელები

და წარავლინნა იგინი ჳევთა მათ ვაჟგანისათა, ვითარცა *იაკობ* იოსებ დე-  
ლეთა მათ ქებრონისათა [7, 188].

### 12. 3. 2. ბოლოთანხმოვნიანი პირის სახელები II სერიის გარდამავალ ზმნასთან

დღეს მე და *ჯოჯიკ* და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ [1, 16]; *ვარს-  
ქენ* უვარ-ყო ჳეშმარიტი ღმერთი [1, 12]; ეპისკოპოსთა მათ ორთა *იოანე* და *აფოც*...  
აღვიხუენით პატიოსანნი ძუალნი [1, 28]; *დავით* აღასრულა საკუერთხნი...[2, 38];  
*სოლომონ* ორმეოცსა წელსა აღაშენა...[2, 40]; *აბრაჰამ* ყო ეგრეთ [2, 37]; ხოლო  
*ტირიჭან* ვითარცა იხილა სიკუდილი... იწრაფა სიველტოლად [7, 188]; ...*დანიელ*  
ლომნი დაამშუდნა [10, 293]; ღმერთშემოსილმან *ილარიონ* განავრცელა [10, 236];  
უბრძანა *ბუბაქრ* მონათა თუსთა [10, 236]; მიუგო *აბიბოს* და ჰრქუა [11, 244];..  
რომელთად კუდი კუდსა შეუკუეცა *საფრონ* [12, 312]; ხოლო *ეფრემ* ...მიპრონისა  
კურთხევად ქართლს განაწესა [12, 290]; მაშინ *გაბრიელ* ჰრქუა წმიდასა მას... [12,  
259]; *ბაგრატ* და *გუარამ* შეწირეს თითოეულად... ყოველი უხუებით [12, 263];  
ხოლო ეტყუანე და *ზენონ* ჰრქუეს ძმათა... [12, 308]; *აღამ* ჳამა ხილი იგი [12, 288];  
და *აბულასად* ესევე ამცნო ცოლსა თუსსა [12, 292]; *გედეონ* საწუმისი დადგა  
გამოცდად საქმედ [13, 334]; მოუწოდა *მიქაელ* ქუეყანისაგან ბერძენთასა [13, 334];  
ხოლო *მაკედონ* იკადრა სულისა წმიდისა დაბადებულთა შორის შერთვა [8, 195]...

### 12. 3. 3. ბოლოხმოვნიანი პირის სახელები II სერიის გარდამავალ ზმნასთან

#### ა ბოლოხმოვნიანები:

... ვითარცა ყო ოდესმე *საბა* [8, 202]; ხოლო *ფეპრონია* ჰრქუა მკუეთრ [12, 297];  
*ზაქარია*...ჰრქუა მათ [12, 304]; გვითხრა ჩუენ *ია* [13, 329]; ვითარცა *ევა* სიკუდილი  
სოფლად შემოიღო [5,1 73]; ხოლო *წერტა* დიადი შესაწირავი მიუძღვნა [12, 318]...

#### ე ბოლოხმოვნიანები:

ჰრქუა *იოანე* მოწაფეთა [9, 223]; და *მოსე* მოიხუნა ფიცარნი იგი [2, 37];  
*სტეფანე* აუწყა სამოელ კათალიკოსსა [2, 45]; აგრძნა ესე *თავინე* [7, 187], ხოლო  
*ევაგრე* ჰრქუა [9, 219]; მიუგო *ლუკიანე* და ჰრქუა [10, 237]; ... *ადარნესე*... შესწი-  
რეს თითოეულად... ყოველი უხუებით [12, 263]; ვითარცა თქუა *პავლე*... [12, 283]; ...

თვედორე და ქრისტეფორე... წარიყვანეს... იგინი ყრმანი [12, 272]; ხოლო ეტჳფანე და ზენონ ჰრქუეს ძმათა მათ... [12, 308]; ვითარცა იხილა ნერსჳ დედოფალი... აკურთხევდეს ღმერთსა [5, 59]...

**ი ბოლოსმოვნიანები:**

ბასილი მიითუალა წინამძღურობად [13, 346]; ვერ გულისხმა ყო თვედოსი სიბრძნჳ იგი [7, 190] და თვედოსი წარავო საფასჳ [7, 194].

**უ ბოლოსმოვნიანი:**

მაშინ უბრძანა იესუ მოწაფეთა მათ [2, 39].

### 12. 3. 4. საზოგადო სახელებთან გათანაბრება

სოლომონმან ორმოცსა წელსა აღაშენა ტაძარი [2, 40] (//სოლომონ ორმოცსა წელსა აღაშენა... [2, 40]); ცქირმან... წარავლინა ერი იგი ხანცთას [3, 307]; რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თვისი [13, 340]; ხოლო გარბანელმან აღგავსენინ თქუენ [13, 27]; ყოვლად სავსემან ქრისტემან აღგავსენინ თქუენ [1, 27]; აკურთხა წყალი იგი ქრისტემან [2, 39]; რამეთუ ქრისტემან შეამკვნა სასწაულითა [12, 292]...

### 12 3. 5. -ვე ნაწილაკიანი მოთხრობითი

„ვე ნაწილაკს ძველს ქართულში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ახალში“ (217, 148); „აღნიშნავს თვით იმავეს“ (219, 614).

...რომელსა გიორგივე ამცნო [13, 344].

ამდენად, როგორც კვლევამ გვიჩვენა, აგიოგრაფიულ თხზულებებში მოთხრობით ბრუნვაში სიტყვათა რიგით განსაზღვრული ადამიანთა სახელის ხმარების მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა შეგვხვდა. II სერიის გარდამავალ ზმნასთან შეწყობილი თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი პირის სახელები თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ხმოვანფუძიანთაგან ყველაზე ხშირია -ე ბოლოსმოვნიანი პირის სახელების ხმარება. საზოგადო სახელებთან გათანაბრების სამოცი შემთხვევა დავადასტურეთ, როდესაც ადამიანის სახელი ოთხ, ხოლო პირის სახელი ქრისტე ორმოცდათექვსმეტ შემთხვევაში გაფორმებულია მოთხრობითი ბრუნვის -მან ბოლოსართით. ერთ შემთხვევაში ხმოვანფუძიანი პირის სახელი -ვე ნაწილაკიანია.

”

## 12. 4. წოდებითი ბრუნვა

წოდებითი ბრუნვა უფრო გვიანდელი წარმოშობისაა. პირველად იგი ზ. შანშოვანის მოკლე გრამატიკაშია (1737) დასახელებული *საწოდებოს* სახელით. ტერმინი შემდეგ ანტონ კათალიკოსმა (1885) *წოდებითით* შეცვალა.

წოდებით ბრუნვასთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში მრავალი ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა ერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ წოდებითი დამოუკიდებელი ბრუნვაა: ა. შანიძე (213, 48-56); თ. უთურგაიძე (185, 67) და სხვ. მეორე ჯგუფისათვის წოდებითი არაა დამოუკიდებელი ბრუნვა: ანრ. ჩიქობავა (168, 61); ვ. თოფურია (67, 36-47) და სხვ.

ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება წოდებით ბრუნვაში დასმული როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი პირის სახელები (ნაშრომში, პირველ რიგში, განვიხილავთ ოდენ ფუძის სახით წარმოდგენილ პირის სახელებს).

### 12. 4. 1. ბოლოთანხმოვანი წოდებითი:

... და ჰრქუა: „დავით, დავით!“ [12, 232]; და შენ, *ჯოჯიკ*, არღარა ჩემი მაზლი ხარ [1, 15]; უკუეთუ ამას იქმ, *ეფრემ*, მე უვარ მყავ [12, 287].

### 12. 4. 2. ბოლოსმოვანი წოდებითი

*თევდოსი*, მხეცო, უწყალო...[7, 189]; *ლაზარე*, გამოგუაღე! [1, 40]; *ლუკიანე*, ძმაო, მიიღე პინაკი...[10, 231]; ძმანო, *თევდორე* და *ქრისტეფორე*... ექმენით ამათ მზარდულ კეთილ...[12, 271]; რამეთუ შენდა მოვილტვი, *ქრისტე*, ძეო ღმრთისაო [4, 169]; ეჰა დიდებულებათა შენთა, *ქრისტე*! [10, 235].

### 12. 4. 3. საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები

ძველ ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მკვეთრად შეინიშნება საკუთარ სახელთა საზოგადო სახელების ბრუნვასთან გათანაბრების ტენდენცია. ამ მხრივ არც წოდებითი ბრუნვა წარმოადგენს გამონაკლისს. საკვლევ ძეგლებში დასტურდება უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც ადამიანის სახელი აღნიშნულ ბრუნვაში -ო ბოლოსართითაა გაფორმებული.

*ბახილო*, მოკლედ შენ მცხეთას მამასახლისად დასდგები [12, 318]; საყუარელო და ქრისტეს მიერ ძმაო *გარბანელო*... [13, 331]

გარბანელი, ვფიქრობთ, ფსევდო პირის სახელია (შდრ.: გარბანელი, „მოქცევა ქართლისაჲ“, ძეგლები, 1, თბ., 1963, გვ. 97).

აქვე შევნიშნავთ, რომ ადამიანის სახელებზე წოდებითი ბრუნვის ნიშნის დართვა ცოცხალ მეტყველებას ასახავს, მაგრამ სალიტერატურო ენამ ეს მოვლენა არ მიიღო.

## 12. 5. მიცემითი ბრუნვა

მიცემითი ბრუნვა უძველესი წარმოშობისაა. საკვლევ ძეგლებში აღნიშნულ ბრუნვაში წარმოდგენილი ადამიანთა სახელები უმთავრესად -ს სუფიქსითაა გაფორმებული.

თუ ადამიანის საკუთარ სახელთა ფორმით ერთგვარი სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის სინტაქსური ვითარების (სუბიექტისა და ობიექტის) გასარკვევად ზოგჯერ საჭიროა მათი გათანაბრება საზოგადო სახელთა ფორმით გათვალისწინებულ სახელობითსა და მოთხრობითთან, ასეთი საჭიროება მიცემითთან არაა აუცილებელი. იგი, ჩვეულებრივ, ირიბ დამატებას გამოხატავს.

### 12. 5. 1. ბოლოთანხმოვნისანი სახელები

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა *ჯოჯოკს* [1, 26]; ღმერთი *დავითს* უყუარს [2, 38]; მწოდებელმან მან ჰრქუა *უსტამს* [2, 31]; წინა დასცვითე *ისაკს* და *იაკობს* [2, 37]; და ესუა *აბრაჰამს* ისაკი [2, 37]; მღევარნი... ეწინეს *ტირიჭანს* [7, 188]; ჰხადოდა იგი დედასა თვისსა *რაქელს* [11, 243]; მაშინ ეპისკოპოსთა ჰრქუეს *ეგრემს*... [12, 288]; მონაგები მათი დაუტევეს *ზენონს* [12, 263]; მარჯუნაჲ მისცეს ფიცისაჲ *მირვანს* [12, 267]; აქუნდეს... *მიქაელს* ბასილი [12, 322]; მიუწერა ებისტოლე *სერაპიონს* [13, 335]...

### 12. 5. 2. ბოლოხმოვნისანი სახელები

... რომელი მოედღუნა... *იოანეს* [1, 18]; ხოლო ვეჟან ბუზმირ ჰრქუა *ევსტათის* და *სტეფანეს* [2, 35]; და მოსცა *მოსეს* [2, 37]; რომლითა *ელთას* ეპატიუა შურითა... ცათა შეკრვად [5, 173]; და ჰრქუა დასა თვისსა *თაგინეს* [7, 190]; ვითარცა აუწყა... *ნერსეს* [7, 190]; რამეთუ ამით სახითა ემსგავსა *პავლეს* [7, 189]; მოუწოდა... *თათას* [9, 227]; ... რომელი მოართუმიდა საზრდელსა *შიოს* [9, 219]; ხოლო *ევაგრეს* შეჰმოსა სახე მონაზონებისაჲ [9, 220]; და მერმე მიხედნა წმიდამან იოვანე *ისეს* [9, 223]; მოუწოდა მამამან დავით *ლუკიანეს* [10, 237]; და ჰრქუა მამამან დავით *ბუბაქრს* [10, 236]; და *საბას* მუნთქუესვე გულს-ედვა დადგომაჲ [12, 265]; და შეუვრდა *ეტეფანეს* [12, 292]; და მსწრაფლ

ხოლო აცნობეს ეპიფანეს [12, 232]; და პრქუა *ბასილის* [12, 302]; მას ჟამსა ახარეს *არსენის* [12, 296]; შეემთხვა *ადარნესეს* სენი [12, 298]; და ...მისცა *ქრისტეფორეს* [12, 280]; ხოლო ეგრემ მიანიჭა *თევდორეს* [12, 280]; და შეჰვედრა სამწყსოდ იგი თვისი *გიორგის* [13, 342]; და *ქრისტეს* პრქუეს მღდელთ მოძღუართა მათ და მოხუცებულთა [2, 40]...

### 12. 5. 3. თანდებულებიანი მიცემითი

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ახალი ქართულისა და ძველი ქართული ენის თანდებულები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. ახალი ქართული ენის თანდებულები სახელს მხოლოდ ბოლოში ერთვის, ბოლოსდებულებია, ხოლო ძველ ქართულში „თანდებული შეიძლება იყოს წინდებულიცა და უკუდებულიც“ (217, 141).

ძველ ქართულში მოიპოვება რიგი თანდებულებისა, რომლებიც ორ ბრუნვას ითხოვს. საკვლევ ძეგლებში ასეთებია: *წინაშე, თანა, ზედა*. ისინი გვხვდება როგორც ნათესაობით, ისე მიცემით ბრუნვაშიც. აგიოგრაფიულ ძეგლებში ზემოთ დასახელებული თანდებულები პირის სახელებთანაც დასტურდება.

ა) წინ დასმული თანდებული (წინდებული) *წინაშე*.

თანდებული *წინაშე* ძველ ქართულში განარჩევდა ვინ და რა ჯგუფის სახელებს. ჩვენ იგი, ამჯერად, ვინ ჯგუფის სახელებთან გვანტერესებს:

რადთა დიდად ბრალეული იგი უბრალოთა მათ განამართლონ *წინაშე ქრისტესა* [12, 299].

*წინაშე* თანდებულთან წარმოდგენილი პირის სახელი გავრცობილია.

ბ) უკუდებული თანდებულები: *თანა, ზედა*.

თანდებული *თანა* უმთავრესად რა ჯგუფის სახელებთან იხმარება, მაგრამ იგი სულიერი საგნის აღმნიშვნელ სახელებთანაც დასტურდება:

... ხანძით წარყოლილ იყო *თევდორეს* და *ქრისტეფორეს თანა* [12, 268].

*ზედა* თანდებულიც რა ჯგუფის სახელებთან იხმარება, მაგრამ გამონაკლისი შემთხვევები აქაც შეინიშნება:

ამისთვისცა მრავალგზის მხილებაჲ მიაწია ნეტარმან გრიგოლ *ადარნერსეს ზედა* [12, 298].

### 12. 5. 4. -ცა ნაწილაკიანი მიცემითი

და *ნოეცა* მოასწავა სარწმუნოებაჲ ეკლესიისაჲ კიდობანსა მას შინა [5, 179].

მოცემულ პირის სახელთან მიცემითის ნიშანი დაიკარგა.

## 12. 5. 5. საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები

სოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა *ცქირსა* [12, 305]; მიჰვედრიდეს *ქრისტესა* [1, 27]; და ქადაგებდეს *ქრისტესა* [8, 212]; თაყუანის-სცეს *ქრისტესა* [3, 71]; ... ვესავ *ქრისტესა* [8, 283]; მადლი მისცა *ქრისტესა* [12, 300]; ადიდებდეს *ქრისტესა* [12, 299]...

როგორც ვნახეთ, მიცემითი ბრუნვის ნიშანზე დართული -ა სავრცობი, გარდა ერთი შემთხვევისა, ძირითადად.....  
..... პირის სახელ *ქრისტესთან* გვხვდება. აღნიშნული ხმოვნის დართვა ადამიანის საკუთარ სახელებზე IX საუკუნიდან დასტურდება. ცხადია, ეს მოვლენა ცოცხალი მეტყველების ამსახველი ფაქტია.

## 12. 6. ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითი ბრუნვა წარმოშობით უძველესია. ისევე როგორც მიცემითში, ნათესაობით ბრუნვაშიც ადამიანის საკუთარი სახელი ბრუნვის ძირითადი -ის ნიშნით არის წარმოდგენილი ემფატიკური ა-ს გარეშე. ნათესაობითი ბრუნვა თანდებულიანია. გვხვდება როგორც ცალკე მდგომი, ისე პირის სახელთან შერწყმული თანდებულები.

### 12. 6. 1. ცალკე მდგომი თანდებულები

**წინაშე:** რომელი თანა სულითა მარადის იხარებ *წინაშე ქრისტესა* [12, 258]; რომელთა წარიყვანეს იგი სიხარულით *წინაშე ქრისტესა* [12, 258].

**თანა:** *მოსეს* და *ელთას* თანა ზრახვიდა [13, 334]; *გრიგოლის* თანა მე ვარ აწ შეილი შენი [12, 278]; და გამოვიდა იგი *ნერსს* თანა [12, 62]; ინება წარმოსვლად *ნერსს* თანა [3, 56]; რამეთუ გონებად ჩემი *ქრისტეს* თანა არს ზეცას [3, 70]; და *ქრისტეს* თანა მოსწრაფებით მამაკაც იქმნენით [4, 171]...

**ზედა:** და ვითარცა-იგი იყო *იობის* ზედა [4, 167]; და აღაშენა ეკლესიად *დავითის* ზედა [7, 191]; რამეთუ ვიხილეთ დღეს *გრიგოლის* ზედა მიუწვდომელი დიდებად [12, 289].

**ზე:** „-ზე თანდებულიანი ფორმით დრო გამოიხატებოდა ძველ ქართულშიც“ (-ზე თანდებული დროის გამოხატვის ფუნქციით იხმარებოდა დიალექტებშიც: „ჭამაზე (=ჭამის დროს) მოვიდა...“): „ელისეს ზე (ელი-

სეს დროს“ (291, 56);

...ვითარცა დაბადებისასა *ნოეს ზე* წარწყმედასა ამპარტავანსა კაცთასა [12, 173]; და ამის *მიქაელის ზე* იწყეს ეკლესიად იგი [13, 344]; მოკსენებად... *ლოთის ზე* [5, 173]; ძალისა ღმრთისაითა... *ეზრაძს ზე*... [12, 307].

**მიმართ:** „თანდებული მიმართ ძველ ქართულში გამოიყენებოდა და III (ან II) პირის ფორმებთან იხმარებოდა (ამჟამად გამოიყენება I პირთანაც: „ჩემ მიმართ“ (ზეპირ მეტყველებაში „ჩემს მიმართ“), აღნიშნავდა მიმართებას, განკუთვნებას“ (291, 299). ჩვენ III პირის ფორმებთან დავადასტურეთ:

თავს-მდე გექმნე *ქრისტეს მიმართ* [12, 296]; აწ გლოცავთ თქვენ *ქრისტეს მიმართ*. [12, 310]...

**იერ:** „თანდებული მიერ გამოხატავს მოქმედ პირს, შემსრულებელს (აგენსს)“ (291, 297):

... *თევდორეს და ქრისტეფორეს მიერ* [12, 279]; ვითარცა-იგი *სამოელის მიერ* სათნო იყო [5, 180]; ხოლო ნეტარსა *ნოეს მიერ* დაუშთა თესლი მკუდრობისად [5, 173]; შეიმკო... *ქრისტეს მიერ* [12, 315]; სრულ იქმნა წამება მათი *ქრისტეს მიერ* [5, 180-181]...

## 12. 6. 2. პირის სახელთან შერწყმული თანდებულები

**-თვს:** სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „-თვს მხოლოდ უკუდებულია და მარტოოდენ ნათესაობითის გავრცობილ ფორმას დაერთვის“ (217, 142).

და ვითარცა *იობისთვს* წერილ არს [13, 324]; და *მიქელისთვს* დიდსა საოცრებასა ცხადად... ჰყოფნიდა [5, 280-281]; *მირეანისათვს* გულ-ძვრად იყო [12, 287]; იყო მხილება ესე *არსენისათვს* [12, 289]; *აბრაჰამისთვს* უფალი იტყუს...[12, 262]; და სამარადისოდსა ჩუენისა *დავითისთვს* ვიტყდით [10, 237]; *იოვანესთვს* ვიტყოდით [9, 227]; სანატრელსა მოწამისა... *ჰაბოძისთვს* [3, 56]; ისმინა მათი *ეგსტათისთვს* [2, 31]; და აღდგეს ასურნი მთავარნი კაცნი *სტეფანწსთვს* [2, 35]; დაითმინე სიკუდილი *ქრისტესთვს* [3, 77]...

**-გან:** „-გან თანდებულიც მხოლოდ უკუდებულია. დაერთვის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმებს. ნათესაობით ბრუნვასთან აღნიშნავს შინაგანს, თვისებრივს“ (291, 74). აგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება გაუვრცობელ პირის სახელებთან:



ისწავე ესაიადსგან... [12, 312]; რომელი-იგი არა აქუნდა კელთა  
*შუშანიკისგან* [1, 12]; ითხოეთ *ქრისტესგან*... შენდობად [12, 301]...

ამრიგად, ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი ადამიანის საკუთარი  
სახელი ყველა თანდებულიანია. *წინაშე* თანდებულთან მდგომი პირის სახელები  
გაგრცობილია; ხოლო *-ოჯს* თანდებული, რომელიც მხოლოდ გაგრცობილ ფორ-  
მებს დაერთვის, გაუგრცობელ პირის სახელებთანაც დავადასტურეთ.

## 12. 7. მოქმედებითი ბრუნვა

მოქმედებითი ბრუნვა ქრონოლოგიურად ძველია. პირის სახელებთან, რო-  
გორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ იხმარება. საკვლევ ძეგლებში მხოლოდ ერთადერ-  
თი ფორმა შეგვხვდა, როდესაც პირის სახელი *ქრისტე* მოქმედებითი ბრუნვის  
*ურთ* თანდებულს დაირთავს:

... დაფარულ არს *ქრისტეთურთ* ღმრთისა თანა [12, 300].

## § 13. მსაზღვრელიანი პირის სახელები

### 13. 1. ნაწევრიანი პირის სახელი

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის თანახმად, ცნობი-  
ლია, რომ პირის სახელი ისედაც განსაზღვრული და გამორჩეულია, ამიტომ მას-  
თან ნაწევარი არ იხმარება. თუმცა ზოგჯერ ნაწევარი აღნიშნული ტიპის სახე-  
ლებთანაც გვხვდება.

ძველ ქართულში ნაწევარი ორგვარია: განსაზღვრული და განუსაზღვ-  
რელი. საკვლევ ძეგლებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ აგიოგრაფიულ ძეგლებში,  
პირის სახელებთან, ორივე ტიპის ნაწევარი გვხვდება.

#### 13. 1. 1. სახელობითი ბრუნვა

**იგი:** განსაზღვრული ნაწევარი *იგი* სახელს ბოლოში ერთვის. საკვლევ  
ძეგლებში კი პირის სახელებს წინ უძღვის:

მივიდა *იგი შუშანიკ* [1, 19]; იტყოდა ნეტარი *იგი თავინე* [7, 189]; და  
შეეწივის... უჯორცოდ *იგი ფარაოდ* [8, 206]; და იხილა წმიდად *იგი შიო*  
[9, 219]; კაცი *იგი ია* შეუვრდა წმიდასა... [13, 330]; კაცი *იგი გარბანელი*...  
მოიწინეს სწრფით ჩუნდა [13, 334-335]; მოვიდა მუნ ღმრთისმსახური  
*იგი გიორგი* [13, 335]; ღმერთსა მიმღებელი *იგი მოსე* [8, 194]...

ზოგიერთ შემთხვევაში ნაწევარი და პირის სახელი გათიშულია სხვა სახელით:

პოვეს ერისთავი *იგი* მათი *თევდოსი* [7, 188]; ხოლო ნეტარი *იგი* ეპისკოპოსი *აბიბოს* მეგობარი იყო... [11, 242]; დიდი *იგი* მამად *მიქაელ* [13, 334]; ნეტარი *იგი* ეპისკოპოსი *ზაქარია* [12, 304]; ნეტარი *იგი* ბერი *ჯუედიოს* [12, 257]; ნეტარი *იგი* მამად *გრიგოლ* [12, 313]; ღირსნი *იგი* ღმრთისანი *არსენი* და *ეფრემ* [12, 279]; და შეეწყალა ბერსა მოწაფე *იგი* თუხი *ელია* [8, 212].

**ესე:** განსაზღვრული ნაწევარი *ესე* წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელია. აღნიშნავს სიახლოვეს პირველ პირთან. პირის სახელს წინ ერთვის; ზოგჯერ სხვა სახელითაა გათიშული:

*ესე ზენონ* მიწვეულ იყო სათნოებათა მოძღურისა თუხისათა [12, 313]; სანატრელი *ესე არსენი* კათალიკოზი და ეფრემ ეპისკოპოსი მოვიდიან ხილვად... [12, 290]; *ესე ეფრემ*, ღირსი ღმრთისად [12, 267]; *ესე ბაგრატ*... [12, 307]; ნეტარი *ესე პაბო*... [3, 60]. ...წმიდად *ესე* ეპისკოპოსი *ისე* [9, 222]; გამორჩეულ იქმნა ღირსი *ესე* წმიდად *ისე* [9, 222]; *ესე* ნეტარი *ზენონ* მოიწია მოხუცებულებასა [12, 263]; მათ თანავე იყო სანატრელიცა *ესე* მონად ქრისტეში *პაბო* [3, 58]; და სამნივე *ესე* ნეტარნი: *გრიგოლ* და *თევდორე* და *ქრისტეფორე* წარმოვიდეს ხანცთად [12, 279].

**ვინმე:** *ვინმე* განუსაზღვრელი ნაცვალსახელია, მაგრამ, ზოგჯერ, ნაწევრის როლსაც ასრულებს. განუსაზღვრელი ნაცვალსახელი და განუსაზღვრელი ნაწევარი შინაარსით ახლოს დგანან ერთმანეთთან და კონკრეტულ შემთხვევაში მათი გამოჯვანაც კი ჭირს. აგიოგრაფიულ ძეგლებში პირის სახელებთან ნაწევარი *ვინმეს* ხმარების სამი შემთხვევა დავადასტურეთ: ორგან პირის სახელს მოსდევს, ხოლო ერთ შემთხვევაში წინ უძღვის და გათიშულია სხვა სახელით:

*ილარიონ ვინმე*... დაადგინა მამასახლისად [12, 268]; დაადგინა მონაცვლედ მისა *პავლე ვინმე* ხუცესი [13, 345].

მას ჟამსა იყო *ვინმე*... *ჯუედიოს* [12, 235].

### 13. 1. 2. მოთხრობითი ბრუნვა

მოთხრობით ბრუნვაში დასმულ პირის სახელებთან გვხვდება **-მან, -ამან, -მათ** ნაწევრები (განსაზღვრული მნიშვნელობით) და განუსაზღვრელი ნაწევარი

**ერთი.** წარმოშობით ყველა ნაცვალსახელია (*ერთი* წარმოშობით რიცხვითი სახელია და ძირითადად ამ ფუნქციით იხმარება, მაგრამ, ამასთან ერთად, ის განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მნიშვნელობითაც გვხვდება):

**მან:** ა) **უშუალოდ ერთვის პირის სახელს:**

... რამეთუ *მან მოსე* პირველად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუეყანისა [4, 164]; ხოლო წმიდამან *მან ჰაბო* ჰრქუა მათ [3, 69]; ხოლო ნეტარმან *მან აბიბოს* ჰრქუა... [11, 245]; მოითხოვა ანჩისა საყდარი... უკუეთურმან *მან ცქირმან* [12, 305].

ბ) **გათიშული ნაწევარი და პირის სახელი:**

მსწრაფლ მოიღო სანატრელმან *მან* ეპისკოპოსმან *იოვანე* შესაგრაგნად სუდარი [1, 28]; ღმრთისმოყუარემან *მან* დედაკაცმან *თემესტია*... თქუა [12, 284].

**მან:** **გათიშულ ნაწევართან და პირის სახელთან:**

ხოლო ნეტარმან *ამან*... *შიო*... პოვა ზეცისა იგი მარგალიტი [9, 229]; *ამან* ნეტარმან *ამბა გიორგი* გულისხმაყო [12, 253].

**მათ:** ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს სანატრელთა *მათ თევდორე* და *ქრისტეფორე* [12, 270].

**ერთი:** *ერთმან* მოწაფემან, სახელით *თათა*... აღაშენა მონასტერი [8, 217].

### 13. 1. 3. მიცემითი ბრუნვა

მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილ პირის სახელებთან გვხვდება ნაწევრები **მას** და **ამას**, რომლებიც წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელებია:

**მას:** და ეტყოდა ეპისკოპოსსა *მას აფუცახ* [1, 19]; უფალმან ჰრქუა ნეტარსა *მას აბრაჰამს*... [3, 56].

**მას:** ... ვინაითგან ახალსა *ამას მოსეს* ებრძანა ახლისა ისრაჴლისა წინამძღურობად [13, 334].

საკვლევ ძეგლებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ძველ ქართულში ნაწევრის ერთ-ერთი თავისებურება მათი ადამიანის საკუთარ სახელებთან აღნიშვნაა. ნაწევარი, საზოგადოდ, მოსდევს სახელს, მაგრამ ასეთი რიგი დარღვეულია თუ სახელს წინ განსაზღვრება ახლავს. აღნიშნული წესი შეიძლება გატარებული იყოს პირის სახელებთანაც. საკვლევ ძეგლებში დავადასტურეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ნაწევარი მოსდევს პირის სახელს. უფრო პროდუქტიულია განსაზღვრული ნაწევრების (**იგი** და **ესე**) ხმარება.

**§ 14. ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრი  
პირის სახელებთან**

ახალ სალიტერატურო ქართულში, როგორც ცნობილია, ადამიანის საკუთარი სახელი უბრუნველია (წარმოდგენილია ფუძის სახით), როდესაც მას ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრი მოსდევს. სხვა მდგომარეობაა ძველ ქართულში. ა.შანიძე, ითვალისწინებს რა ძველი ქართულის ვითარებას, წერს: „თუ საკუთარ სახელს მსაზღვრელად მოსდევს რაიმე სიტყვა თანამდებობის, ხარისხის ან ხელობის გამომხატველი, თავდაპირველად იბრუნვოდა ორივე, მაგრამ შემდგომში მხოლოდ მსაზღვრელი. საკუთარი სახელი კი უცვლელი რჩებოდა“ (210, 290).

აღნიშნული ტიპის მსაზღვრელები, ძველ ქართულში, როგორც წესი, საკუთარ სახელებს უსწრებენ, მაგრამ გვხვდება შემთხვევები, როდესაც მსაზღვრელი მოსდევს პირის სახელს. საკვლევ ძეგლებში ორივენაირი შემთხვევა დასტურდება.

**14. 1. სახელობითი ბრუნვა**

**ა) პრეპოზიციური წყობა:**

ხოლო წმიდაა შეშანიკ აფუცებდა [1, 12]; საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ [1, 12]; და ცხონდებოდა წმიდაა ევსტათი [2, 30]; განმხიარულდა ნეტარი ევსტათი [2, 45]; და იყო... სახელი ამბა გიორგი [12, 253];... წინამძღუარი გიორგი [13, 344]; და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო [3, 64]; ნეტარი გობრონ წარადგინეს წინაშე ამირისა მის [5, 181]; და წარავლინა ნეტარი დავით გარესჯისა უდაბნოსა [8, 207]; ხოლო წმიდაა დავით... ევედრა უფალსა [10, 238]; ნეტარი თავინე წარვიდა ჳევთა მამორვანისათა [7, 191]; ნეტარი ელია დიაკონი მივიდა წყაროსა მას [8, 214]; ნეტარი იოვანე მადლობდა ღმერთსა [8, 211]; და აღყუაგებული დედაა ჩუენი ნინო დაადგრა ლოცვასა ცრემლითა [8, 199]; ხოლო წმიდაა ევაგრე მშვიდ იყო [9, 226]; მადლითა სავსე ბერი შიო [11, 247]; ხოლო წმიდაა ისე წილკანს ებისკოპოს იქმნა [9, 229]; თანა წარაყოლა წმიდაა ლუკიანე [10, 236]; და ერხდა ბრძანებასა მისსა წმიდაა დოდო [10, 234]; და წარიყვანეს წმიდაა აბიბოს [11, 242]; იყო... მოძღუარი მიქაელ მდგომარე ლოცვასა ღამისასა [13, 322]; წარვიდა მიერ წმიდაა სერაპიონ [13, 339]; წარემართა ყოლად ბრძენი სერაპიონ [13, 322]; სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმიდითა [13, 326]; ბრძენი ძე სოლომონ იტყვს [13, 319]; იხილვნეს... დიდი ანტონი [13, 320]; განმხიარულდა ნეტარი

გრიგოლ [12, 306]; და წარმოვიდა *სანატრელი გრიგოლ* [12, 281]; წარმოგზავნა წმიდად გრიგოლ [12, 260];... წარმოიყვანნეს... *სანატრელი არსენი* [12, 270]; იყვნეს ხანცთას მამად თეოდორე [12, 317]; მივიდა იშხანს მამად საბა [12, 274]; ხოლო ნეტარი საბა დაემორჩილა... [12, 274]; მოვიდეს მღვდელი მატოი ქართლით [12, 263]; და სასწაულთა მიერ შემკული დედად ფებრონია მოიწია სამცხით [12, 261]; ხოლო სანატრელი დედად ფებრონია ზრუნვასა შინა იყო [12, 261]; მოვიდეს მამად ეტეფანე [12, 263]; მამად ეპიფანე ძმათა მათ დაუბრკოლდა [12, 292]; გზა-ჰყვეს... მამად ქრისტეფორე [12, 280]; და წარვიდა მამად მაკარი ოპიზად [12, 313]; და იყო ანხს ეპისკოპოსი მაკარი [12, 317]; მოიწია მამად ზაქარია [12, 275]; გველია ეფროსინე... იკითხეთ [12, 303]; ნეტარი ეფრემ მი-ვე ერჩდა მათ [12, 287]; უამსა მას იყო მამფალი გუარამ [12, 287]; ბრწინავდა... დიდი იაკობ [12, 293].

**ბ) პოსტპოზიციური წყობა:**

ვითარცა-იგი... *სტეფანე პირველ-დიაკონი* [7, 190]; მოკლა *სტეფანე პირველ-მოწამე* [7, 189]; მოკულა ვარდან მთავარი [7, 186]; ვითარცა იტყვს *ესაია წინასწარმეტყველი* [5, 174]; ... *მირიან მეფე* ... მოიწივნეს [8, 200]; ვითარცა იტყვს *იაკობ მოციქული* [8, 193]; *პავლე მოციქული* ავსენებს ... [8,200]; აღდგეს ... *არშუშა* ქართლისა *პიტიახში* [2, 26]; შემოვიდა *ვეჟან ბუზმირ* [2, 34] განვისაჯნეთ მე და *ვარსკენ პიტიახში* [1, 34]; *სამოელ არქედიაკონი* [2, 36]; მოკულა *აბდილა ამირა მუმნი* [3, 56]; მოვიდა *ნერსე ერისთავი* [3, 58]; წარემართა *ვარსკენ პიტიახში* [1, 11]; ღირს გუყვენიხ ჩუენ *მაკარი უძღური* [12, 302]; მოვიდა *ზაქარია* ანხელი *ეპისკოპოსი* [12, 275] ... მოიწია *იოანე ეპისკოპოსი* [1, 27]... *გიორგი ღმრთის-მსახური* [13, 326]; იპოვა *ბაგრატ ერისთავთა-ერისთავი* [12, 307]; *ადარნესე უხუცესი* და *გუარამ მრწემი*... მორჩილ ექმნეს [12, 272]; მოიწია სახით თვსა *გაბრიელ მთავარი* [12, 259]; შეწირულ იყო ღმრთისა... ვითარცა *სამოელ წინასწარმეტყველი* [12, 249]; პოვა *ეფრემ ერმად* [12, 267]; *არსენი კათალიკოზი* ნებითა ღმრთისათა კათალიკოზი არს [12, 288].

**14. 1. 1. საზოგადო სახელებთან გათანაბრება**

საკვლევ ძეგლებში გვხვდება საზოგადო სახელთან გათანაბრების ისეთი შემთხვევა, როდესაც წინ წამდგარებული ეპითეტდართული ადამიანის საკუთარი სახელი სახელობით ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

იხილა ძმ თვსი *საყუარელი დავითი* [7, 189].

#### 14. 1. 2. ნაწილაკდართული ადამიანის სახელი მსაზღვრელთან

რაფთამცა მოიყვანეს წმიდაა შუშანიკცა [1, 16].

როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ვნახეთ, სახელობით ბრუნვაში დასმულ ადამიანის საკუთარ სახელს მსაზღვრელი ეპითეტი შეიძლება წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს; წინ წამძვარებულ ეპითეტთან პირის სახელის საზოგადო სახელთან გათანაბრების მსოლოდ ერთი შემთხვევა დაგადასტურეთ, როდესაც ადამიანის სახელი სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნითაა გაფორმებული; ასევე, ერთ შემთხვევაში საზღვრულად გამოყენებული პირის სახელი ნაწილაკდართულია. სახელობით ბრუნვაში ადამიანის სახელებთან ძირითადად თანამდებობისა და თვისების გამომხატველი ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრი გვხვდება. უფრო ხშირია პირის სახელებზე წმიდა, ნეტარი, მამა, სანატრელი ეპითეტების დართვა.

#### 14. 2 მოთხრობითი ბრუნვა

##### ა) პრეპოზიციური წყობა:

ხოლო სანატრელმან შუშანიკ ... პრქუა [1, 12]; ... და დაჰბეჭდა ურჯულომან ვარსქენ, ბეჭდითა თვისითა [1, 21]; უბადრუკმან პანაგუშნას გლახაკობითა აგნა დღენი [2, 34]; ხოლო ნეტარმან ეესტათი განიცინნა [2, 30]; ბრძენმან სოლომონ მასწავა მე [3, 69]; ნეტარმან აბრაჰამ თვისთა ნაშობთაგანი შევიწყნარა [3, 77]; პრქუა მას წმიდამან კაბო [3, 76]; მიუგო მას სანატრელმან კოსტანტი [4, 167]; უსახურმან იეზაბელ გარდაამატა უსჯულოება [5, 173]; ნეტარმან გობრონ დაითმინა [5, 180]; ნეტარმან თავინე ... იხილა ძმ თვისი [7, 191]; ხოლო წმიდამან ნერსე თ სითა კვლითა წარგზავნა გუამი [7, 191]; იწყო წმიდამან ისე ლოცვად [9, 224]; ხოლო წმიდამან იოვანე არა თავს-იდვა [9, 228]; ვინაითგან მოციქულმან პეტრე ... გამოაჩინა ... [8, 203]; წმიდამან შიო წარმოუთხრა ყოველივე [2, 225]; ნეტარმან მიქელ პოვა სრულიად განსუენება [12, 281]; ხოლო წმიდამან დოდო ყო ბრძანებისაებრ ბერისა [10, 236]; ღმრთის-მსახურმან გიორგი მისცა ყოველნი საგმარნი [13, 335]; და უბრძანა წმიდამან სერაპიონ ძმასა ... [13, 338]; ხოლო მამამან მაკარი ... იკითხა ... [12, 321]; ღირსმან მღვდელთ-მთავარმან ზაქარია ესე სასწაული ქმნა [12, 304]; გამოჰკითხა მეფემან დიმიტრი [12, 268]; უამი შეწირა ღირსმან ეპიფანე [12, 293]; ხოლო მამამან ბასილი მაკურთხა [12, 319]; დედამან ფებრონია შეაწყნა-

რა ...[12, 263]; მაშინ თქუა *ნეტარმან მატოდ* [12, 285]; და ყოს ლოცვაჲ *მამამან გრიგოლ* [12, 253]; ესე ყოველი გულისხმა-ყო... *კურაპატლამან აშოტ* [12, 261]...

**ბ) პოსტპოზიციური წყობა:**

...იხილეს ...*თემესტია დეკანოზმან* და ანატოლე [12, 285]; *კლემენტოზ კათალიკოზმან* ... ეკლესიაჲ აღაშენა [9, 229]; *სამოელ არქედიაკონმან* მრქუა ... [2, 36]; და უბრძანა *ვეჟან ბუზშირ* [2, 34]; *უსტამ ციხისთავმან* პრქუა მას [2, 32]; ვითარცა თქუა *ნეტარმან იოვანე მახარებელმან* [3, 54]; რომელი მომცა ჩუენ *მაჰმედ მოციქულმან* [3, 64]; და *თევდოსი უღმრთომან* მძლავრ მოიტაცა საკელმწიფოდ იგი [7, 186]; ვითარცა თქუა *იერემია წინასწარმეტყუელმან* [5, 174]; მაშინ წამა *ადარნასე მეფემან* [5, 182]; ხოლო აღწერა *არსენი ქართლისა კათალიკოზმან* [8, 191]; მთართუა მას *ელია დიაკონმან*... [9, 223]; იხილა *გიორგი მორწმუნემან* [13, 325]; აუწყა *გაბრიელ ერისმთავარმან* [12, 261]; *გრიგოლ მამამან* დაამტკიცა კათალიკოზობაჲ შენი [12, 290]; თქუა *იაკობ მოციქულმან* [12, 290]; ხოლო *ეფრემ ეპისკოპოსმან*... განაახლა [12, 290]; *დავით წინასწარმეტყუელმან*... მისცა... ნაწილი [12, 276]; და *გუარამ ხელმწიფემან*... თქუეს [12, 89]; უბრძანა *ბაგრატ კურაპატლამან*... [12, 273]; *აშოტ ერისთავთ-ერისთავმან* ხანცთას ახალი ეკლესიაჲ დაიწყო [12, 277]; გულისხმა ყავთ, ვითარცა-იგი *აბრაჰამ მამათ-მთავარმან* [12, 276]...

მოთხრობით ბრუნვაში მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის თვალსაზრისით ისეთივე მდგომარეობა გვაქვს, როგორც სახელობითში. მსაზღვრელი ეპითეტი უსწრებს პირის სახელს, ან მოსდევს; პირის სახელი ყველა შემთხვევაში ფუძის სახითაა მოცემული. მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს მხოლოდ მსაზღვრელი წევრი ატარებს. უფრო ხშირია პირის სახელებზე თანამდებობის გამომხატველი ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრის დართვა მაშინ, როცა მსაზღვრელი წევრი მოსდევს ადამიანის სახელს.

### 14. 3. მიცემითი ბრუნვა

**ა) პრეპოზიციური წყობა:**

და ვარქუ *ნეტარსა შუშანიკს* [1, 13]; პრქუა ... *ურჩულოსა ვარსქენს* [1, 20]; მოუწოდა *ეპისკოპოსსა* ... *აფოცს* [1, 28]; *ნეტარსა ჰაბოს* მოუწოდა [3, 61]; მიემსგავსე ... *მოციქულსა პავლეს* [3, 77]; ხოლო *ნეტარსა გობრონს* შეემსჭუალნეს კორცნი თჳსნი [5, 177]; კუალად *სჯულის-მდებელსა მოსეს* მო-რად აქუნდეს ფიცარნი იგი *სჯულისანი* [8, 193]; და *უთხრა დიდსა იოვანეს* [8, 214]; შეეშინა ფრიად *ნეტარსა ელიას* [8, 214]; ევედრნეს *წმიდასა სერაპიონს* [13, 345]; მრავალნი

აქუნდეს მოწაფენი ... ვითარცა დიდსა ანტონის [13, 322]; დიდსა მიქაელს შპევედრა თავი თვისი [13, 322]; ევედრნეს წინამძღუარსა გიორგის [13, 344]; განელვძა მამასა მაკარის [12, 313]; აუწყეს ყოველი ნეტარსა ეგებრონიას [12, 300]; ჰრქუა წმიდასა მატოის [12, 283]; ხედვიდეს მამასა გრიგოლს და ეპისკოპოსსა ევრემს [12, 288]; უბრძანა დიდსა ზენონს [12, 311]; ფარულად მოუწოდა ნეტარსა ევრემს [12, 287]; გამოეცხადა ... ნეტარსა გრიგოლს და ღირსსა საბას [12, 265] ...

**ბ) პოსტპოზიციური წყობა:**

გამოიყოფა ოთხი შემთხვევა:

1. საზღვრულად გამოყენებული ადამიანის საკუთარი სახელი დაირთავს მიცემითი ბრუნვის ნიშანს, რაც უბეღელესი ვითარების გამომხატველია და იმ დროზე მიუთითებს, როდესაც მსაზღვრელიცა და საზღვრულიც ერთნაირად დაირთავდა ბრუნვის ნიშანს; მსაზღვრელი წვერი გავრცობილია:

და უჩუენა ორთა მოწაფეთა და მარიამს მაგდანელსა [2, 41]; და აუწყა სამოელს კათალიკოზსა [2, 45]; იოვანეს საბანის ძესა ... მოგიკითხავ [3, 46]; ვიტყვოთ უკუე გიორგის ეპისკოპოსსა – მაწყუერელსა [13, 335].

2. საზღვრულად გამოყენებული პირის სახელი ქრისტე დაირთავს სავრცობს; მსაზღვრელიც გავრცობილია:

და ჰმადლობდა ქრისტესა საკრველთ-მოქმედსა [12, 318]; და აღიდებდა ქრისტესა ღმერთსა [12, 296]; მიემსგავსე ქრისტესა მეუფესა [13, 346].

3. ადამიანის სახელთან გამოყენებული მსაზღვრელი სავრცობს არ დაირთავს; უბრძანა ... წარცემაღ ტფილისს არვანდ გუშნასპს [2, 32]; წარუმძღუანო ეგე ტფილისს არვანდ გუშნასპს [2, 32].

4. ადამიანის სახელთან გამოყენებული მსაზღვრელი სავრცობს დაირთავს: ...რომელი მოედღუანა სამოელ ეპისკოპოსსა [1, 18]; ადარნერსე კელმწიფესა უფროდისი ვნებაღ შეამთხვა მტერმან [12, 298]; ესმა გუარამ კელმწიფესა მოსლვაღ ნეტართაღ [12, 288]; გხედავ ... ვითარცა ანნა წინასწარმეტყუელსა [12, 278]; უბრძანა პეტრე მოციქულსა [12, 257]; მოუწოდა ... მიქელ კელარსა [13, 336]...

**14. 3. 1 თანდებულიანი მსაზღვრელ-საზღვრული მიცემით ბრუნვაში**



**წინაშე:** ზემოთ განვიხილეთ შემთხვევები, როდესაც *წინაშე* თანდებული წინ უსწრებდა პირის სახელს. მსაზღვრელ-საზღვრულთან ხმარებისას იგი უკუდებულ თანდებულად დასტურდება:

...და მოციქულად მავალი *აშოტ კურაპალატსა წინაშე* [12, 305].

**ზედა:** ... და განმტკიცნა *ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა* [9, 222].

**შინა:** *შინა* მიცემითი ბრუნვის თანდებულია. „გამოხატავდა იმავე ფუნქციას, რასაც -*ში*: 1. რისამე შიგნით მყოფობას; 2. მიმართულებას გარედან შიგნითკენ“ (291, 440):

და *ქრისტეს მსახურებასა შინა* ვარ [2, 31].

**მიერ:** ...*მიერ* თანდებული უშუალოდ ერთვის პირის სახელს:

შეუდგე ძე ჭემმარიტსა *ქრისტეს მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა* [2, 65].

მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილ მსაზღვრელ-საზღვრულზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვეულებრივი ვითარება გვაქვს, როდესაც საკუთარ (პირის) სახელს მსაზღვრელი უსწრებს, რომელიც ყოველთვის გავრცობილია; განსხვავებული მდგომარეობაა აღნიშნულ ბრუნვაში, როდესაც ადამიანის სახელს მსაზღვრელი მოსდევს (ოთხი შემთხვევა ზემოთ განვიხილეთ); მსაზღვრელ-საზღვრულთან, როგორც ვნახეთ, ცალკე მდგომი თანდებულები დადასტურდა; ერთ შემთხვევაში თანდებული *მიერ* უშუალოდ ერთვის პირის სახელს.

#### 14. 4. ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელ-საზღვრული თანდებულიანია. თანდებულები დასტურდება როგორც მსაზღვრელ, ისე საზღვრულ წევრებთან.

ა) **თანდებულიან პირის სახელს უსწრებს სავრცობდართული მსაზღვრელი:**

**-გან:** ...რომელი-იგი მიიხუანა *ქალწულისა მარიამისგან* [4, 164]; და განკაცნა *წმიდისა მარიამისგან* [2, 38]; აღმოცენდა ...*წმიდისა ქალწულისა მარიამისგან* [2, 38] მოწოდებულ იქმნა ... *ამირა მუჰნისა აბდილაძისგან* [3, 56]; რადთა უხუაიშნოს *მამისა გრიგოლისგან* [12, 303]; იკითხა *ნეტარისა გრიგოლისგან* [12, 312]; ემხილა ...*უფროდს ხოლო მამისა გრიგოლისგან* [12, 305].

**-თვს:** ...*ეუწყა ...ნეტარისა ჰაბოძისთვის* [3, 59]; და მანცა წარმოუთხრა ...*ჭაბუკისა ეფრემისთვის* ყოველი [3, 270]; ...*მამისა გრიგოლისთვის* ზრახვა-ყვეს [12, 276]; ესმა *წმიდისა დავითისთვის* [13, 239]; დასთხვედეს ცრემლთა მათთა *წმიდისა შუშანიკისთვის* [1, 20].

*მიერ*: ...ბრძენთ მთავრისა ...სოლომონის მიერ თქმული [3, 47]; გამოხი-  
ნებითა ქრისტე იესუმს მიერ [3, 55]; ამაღლდების ქრისტეს იესუმს მიერ [12, 183];  
იწამა ...მეფისა ჯაფარის მიერ [4, 164]; სასწაულთა აღსრულებანი წმიდისა სერა-  
პიონის მიერ [13, 338]; დასცხრეს ...შფოთნი ...წმიდისა მღვდელთ-მოძღუარისა  
გიორგის მიერ [13, 340].

*მიმართ*: ნეტარისა მიქაელის მიმართ წარემართა ...[13, 322].

*ზედა*: ესე ორი სასწაული იქმნა წმიდისა დავითის ზედა [7, 190]; შურ იგო  
მამისა გრიგოლის ზედა [12, 306]; საქმე ესე იქმნა წმიდისა შუშანიკის ზედა [1,  
22]; მოიწია წმიდისა და სამეზხის სანატრელისა შუშანიკის ზედა [1, 25].

*ზე*: ...ნეტარისა მამისა გრიგოლის ზე ...ზაქარია ესე სასწაულ ქმნა [12, 304].

*თანა*: ...ღვა წმიდისა შუშანიკის თანა [1, 20].

*წინაშე*: ...რამეთუ სანატრელისა დედისა ფებრონიას წინაშე მიგიყვანებ შენ  
[12, 297]; მოწერილ იყო ...ეპისტოლე მამისა გრიგოლის წინაშე [12, 302]; სწრაფით  
წარავლინნა მამისა გრიგოლის წინაშე [12, 261].

## **ბ) პირის სახელს უსწრებს სავრცობდართული**

### **თანდებულებიანი მსაზღვრელი:**

აგიოგრაფიულ ძეგლებში დასტურდება იშვიათი შემთხვევა, როდესაც პირის  
სახელს უსწრებს მსაზღვრელი წევრი, რომელიც გავრცობილია და დაერთვის -  
*გან* თანდებული:

და ყოვლითა ვედრებითა ითხოვდა ძლიერისაგან ქრისტეს ...შეწვენასა [8,  
199-200].

### **გ) პირის სახელს მოსდევს სავრცობდართული მსაზღვრელი:**

აღნიშნულ შემთხვევაში ადამიანის სახელს მოსდევს თანდებულებიანი მსაზ-  
ღვრელი, რომელიც ყოველთვის გავრცობილია:

*-გან*: ...და ვცან ყოველი სამოელ არქედიაკონისაგან [2, 42]; მოითხოვა ანჩის  
საყდარი აშოტ კურაპალატისაგან [12, 305]; ვითხოვდეთ ქრისტეს ღმრთისაგან [11,  
247]; ითხოვენ წყალობასა ქრისტეს ღმრთისაგან [3, 81]; რამეთუ მასმიეს მე  
პაველს მოციქულისაგან [1, 14].

*-თვს*: იოვანე ზედაძნელისათვის ვიტყოდი [8, 196]; ...ანჯმნობდეს ...არსენი კათა-  
ლიკოზისათვის [12, 287]; თქუა: გრიგოლ არქიმანდრიტისათვის [12, 287].

*მიერ*: ...მოგვდებიეს ...იესუ ქრისტეს მიერ [8, 210]; და მივსნა მე იესუ ქრისტეს  
მიერ [3, 65].

*თანა*: ...და მისვლად ...იესუ ქრისტეს თანა [3, 67].

#### 14. 4. 1. ნაწილაკიანი ნათესაობითი

საკვლევ ძეგლებში გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანის საკუთარი სახელი (-ვე ნაწილაკიანი) მოსდევს მსაზღვრელ წევრს:

*ნეტარისა მამისა გრიგოლისვე აქუმული იყო* [12, 276].

ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება როგორც სახელთან შერწყმული, ისე ცალკე მდგომი თანდებულები. უფრო პროდუქტიულია პირის სახელებზე *-გან, -თვს, მიერ* თანდებულების დართვა. ადამიანის სახელებთან გვხვდება უკუდებულები თანდებულებიც. აღნიშნულ ბრუნვაში წარმოდგენილი თანდებულები უსავერცობაა. სავერცობი მხოლოდ ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრს დაერთვის. ერთ შემთხვევაში პირის სახელი -ვე ნაწილაკიანია.

#### 14. 5. წოდებითი ბრუნვა

აგიოგრაფიულ თხზულებებში წოდებით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის შემდეგი ფორმები დასტურდება:

ა) ადამიანის საკუთარი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მისი მსაზღვრელი, რომელიც წინ უძღვის საზღვრულს, დაირთავს წოდებითი ბრუნვის ნიშანს:

*...საყუარელო ია* [13, 329]; *ძმალ მიქაელ* [8, 192]; *შვილო ევაგრე* [9, 220]; *დედაო ფებრონია* [12, 286]; *...ღმრთისმშობელო მარია* [9, 222]; *ღმრთის-მსახურო გუარამ* [12, 889]; *შვილო გარბანელ* [12, 318]...

ბ) ადამიანის საკუთარი სახელი მოსდევს მსაზღვრელს და დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

*ქრისტეს მიერ ძმალ გარბანელო* [13, 331].

გ) პირის სახელი წინ უძღვის მსაზღვრელს და სწორედ ეს უკანასკნელი დაირთავს ბრუნვის ნიშანს:

*ეფრემ სანატრელო* [12, 287]; *ქრისტე ღმერთო* [12, 292]; *იესუ სახიერო* [9, 218]...

#### § 15. პირის სახელი მართულ მსაზღვრელად

აგიოგრაფიულ ძეგლებში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ადამიანის საკუთარი სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგას და წინ დასმულ მართულ მსაზღვრელს

წარმოადგენს. პირის სახელი გვხვდება როგორც საეროციხიანი, ისე უსაეროციხო ფორმიოც.

### 15. 1. სახელობითი ბრუნვა

ა) ადამიანის სახელი უსაეროციხო მართულ მსაზღვრელად:

განიოტნეს აგარის ნათესავნი [12, 272]; გულისხმა-ყო... გრიგოლის ღირსება [12, 295]; დაიწერა გრიგოლის ცხორება [12, 317]; გაბრიელის მსახურთავანი სწრაფით წარმოავლინნა [12, 261]; და უთხრეს მატოდს გარდაცვალება [12, 286]; იყო იგი ქრისტეს მონად [12, 292]; ახლისა ... მოწამისა ჰაბოდს კსენება [3, 48]...

ბ) ადამიანის სახელი საეროციხდართულ მართულ მსაზღვრელად:

წარმოუთხრეს ცქირისა სამართალი [12, 306]; მამად არსენი და ჯიბრილისა ძმად... ხანცთას... აღესრულნეს [12, 277].

### 15. 2. ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მართულ მსაზღვრელთან შეწყობილი საეროციხდართული საზღვრული წევრი თანდებულიანია:

-თუს: არსენის მამისათუს... გულწყებულ იყვნეს [12, 287]; გამზადებულ ვარ ქრისტეს სიყუარულისათუს [2, 32]; ქრისტეს აღსარებისათუს შეაყენეს იგი საპყრობილესა [3, 63].

-გან: ფარაოდს ასულისავან განიპოსა [8, 193]; აღზრდილი... ისმავლის ძისავან [12, 305].

### 15. 3. მოქმედებითი ბრუნვა

მართულ მსაზღვრელთან შეწყობილი საზღვრული წევრი საეროციხიანია. ...დამარხა ხანცთას არსენის გზითა [12, 277]; ...დავითის ქნართა ... ვადიდებლით [1, 28]; ... იტყუს დანიელის ჩვენებითა [5, 179]; ქრისტეს ბეჭდითა აღბეჭდულ ვარ [3, 30]; თევდორეს და ქრისტეფორეს განზრახვითა გამოირჩინა მათ შორის [12, 280]; წარგზავნნა გუამნი ... თავინეს თანადგომითა [7, 191]...

### 15. 4. ვითარებითი ბრუნვა

ა) მართული მსაზღვრელი უსაეროციხო საზღვრულთან:

წადიერ ჰყვნენ ქრისტეს მონებად [3, 80]; წარმოგაჩინეს საცნაურად ქრისტეს აღმსარებლად [3, 79]; განიზრახა წარსვლად ქრისტეს საჭურჭლედ [12, 264]; რომელ ნოეს მსგავსად ... იქცეოდა [8, 193]...

ბ) მართულ მსაზღვრელად მოცემულ ადამიანის სახელს ახლავს თავისი გაგრძობილი მსაზღვრელი; საზღვრული აქაც უსაზღვრობოა:

რომელიცა უძლოდა მას *მამათ-მთავრისა აბრაჰამის* სახედ [12, 252].

### 15. 5. წოდებითი ბრუნვა

ადამიანის საკუთარი სახელი წარმოადგენს მართულ მსაზღვრელს და მასთან შეწყობილი საზღვრული წოდებით ბრუნვაშია:

*ქრისტეს მოყუარენო* [12, 300]; *ქრისტეს მორწმუნენო* [3, 75]. *ქრისტეს მსახურნო* [12, 314]...

### § 16. პირის სახელი ნანათესაობითარ მსაზღვრელად

ძველ ქართულში გვხვდება ნანათესაობითარ მსაზღვრელად გამოყენებული ადამიანის საკუთარი სახელები.

პირის სახელებს, როგორც ვიცით, არა აქვთ მრავლობითი რიცხვი და ამიტომ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ორი შემთხვევა გამოიყოფა: „1. მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მხოლოდობით რიცხვშია; 2. საზღვრული მრავლობითშია და მსაზღვრელი – მხოლოდობითში“ (75, 586).

ადამიანის სახელებს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად, როგორც ცნობილია, აქვთ სუფიქსი **-ის** (მარტივი, გაუგრძობელი) და არა **-ის-ა**. ამგვარი მსაზღვრელი იბრუნვის როგორც თანხმომვანფუძიანი სახელი. ამიტომ ნანათესაობითარ სახელობითში გვექნება არა **-ი**, როგორც საზოგადო სახელები (სახლ-ი ძელ-ისა-ი), არამედ **-ი** (სახლ-ი დავით-ის-ი). ამის შესახებ ა. შანიძე წერს: „თუ მსაზღვრელად საკუთარი სახელია გამოყენებული, იგი ანს არ მიიღებს“ (210, 290).

### 16. 1. ნანათესაობითარი სახელობითი მხოლოდობით რიცხვში

*ხუცესი* დედოფლისა *შუშანიკისი* [1, 13]; *აღსახრული* წმიდისა და სანატრელისა *შუშანიკისი* [1, 11]; *ცოლი* ჯოჯიკისი [1, 15]; *ძმ არშუშადისი* [1, 11]; *მოკსენებად* დიდისა *მოსესი* [8, 193]; *სიტყუად* იგი *პავლესი* [8, 216]; *ურჩებად* იგი *ადამისი* [8, 203]; *სიტყუად* ელისესი [8, 198]; *ღმერთი* *ისაკისი* [8, 194]; *მოწოდებად* წმიდისა *ევსტათისი* [2, 34]; *წარყვანებად* ნეტარისა *ევსტათისი* [2, 32]; *საკურთხეველი* იგი *აბელისი*, *ენუქისი*, *აბრაჰამისი* და *ელაძისი* [3, 80]; *გამოთქმული* იოვანე ძისა *საბანისი* [3, 46]; *დისწული* *ნერსსისი* [3, 61]; *ქებად* სანატრელისა წმიდისა *ჰაბოძისი* [3, 48]; *მცნებად* იგი *პავლესი*

[4, 166]; *მარტვლობა* წმიდისა *კოსტანტისი* [4, 170]; *წამება* წმიდისა მოწამისა *კობრონისი* [4, 172]; *საკელმწიფო* იგი *ვარდანისი* [7, 186]; *კიბე* იგი *იაკობისი* [9, 227]; *ანდერძი* დიდისა მის მთავრისა *გიორგისი* [13, 339]; *სამარხო* წმიდისა *ლუკიანესი* [5, 237]; *კანდელი* იგი *სერაპიონისი* [13, 334]; *ცოლი* დიდისა მთავრისა *მირიანისი* [13, 339]; *კანდელი* *იოვანესი* [13, 334]; *სიტყუა* იგი *ნეტარისა დავითისი* [3, 76]; *ბრძანება* *ფებრონიადისი* [12, 301]; *ძწ ლიპარიტისი* [12, 317]; *სიმდაბლე* *ეპიფანესი* [12, 292]; *საფლავი* ... დიდებულისა მამისა *ბასილისი* [12, 281]; *კათალიკოზობა* *არსენისი* [12, 288]; *ძმის-წული* *აშოტისი* [12, 277]; *მოციქული* იგი *ადრნერსესი* [13, 298]; *წარსვლა* *თევდორესი* და *ქრისტეფორესი* [12, 267]; *სათნობა* *ნეტარისა მამისა გრიგოლისი* [12, 295]; *წიგნი* იგი *გრიგოლისი* [12, 301]; *ცხოვარი* იგი *ქრისტესი* [3, 78]; *ნათელი* *ქრისტესი* [3, 57]...

აგიოგრაფიულ ძეგლებში ორი შემთხვევა დავადასტურეთ, როცა ადამიანის საკუთარი სახელი პოსტპოზიციურ ნანათესაობითარ მსაზღვრელს წარმოადგენს (აღნიშნულ შემთხვევას ერთი მაგალითით წარმოვაჩინო):

...*დავითისი* და *ტირიჭანისი საკითხავი* [7, 186].

### 16. 1. 1. საზოგადო სახელებთან გათანაბრება

ნანათესაობითარ სახელობითში ორგან გვხვდება ადამიანის სახელის საზოგადო სახელთან გათანაბრების შემთხვევა, როდესაც ნანათესაობითარ ფუძეს -ა სავრცობი დაერთვის და იბრუნვის ისე, როგორც ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელი:

*ღის-წული მცხუედაძსა* [12, 317]; *სიკუდილი ცქირისა* [12, 307].

ზემოთ აღნიშნულ ბრუნვაში ცალკე გამოყოფთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნანათესაობითარ მსაზღვრელს ორწევრიანი ანთროპონიმული ფორმულა წარმოადგენს. პირის სახელებს ახლავს წოდების, თანამდებობისა და სხვათა გამომხატველი სიტყვები, ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრი გავრცობილია და დაირთავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს:

*თავი იოანე ნათლისმცემლისა* [4, 176]; *ძწ გურგენ ერისთავისა* [3, 61]; *ძწ აშოტ კურაპალატისა* [12, 298]; *ცხორება* ... *იოვანე ზედაძნელისა* [8, 191]; *მოციქული* ... *სუმეონ მესუეტისა* [11, 243]; *კსენება* *საბან იშხნელისა* [12, 273]; *სახლი ნოვე მართლისა* [12, 259]; *სიყუარული არსენი კათალიკოზისა* [13, 290]; *შრომა* და *მოღუაწება* ... *გრიგოლ არქიმანდრიტისა* [12, 248]; *პირი მოსე წინასწარმეტყუელისა* [12, 268]...

## 16. 2. ნანათესაობითარი მოთხრობითი მსოფლობით რიცხვში

აღნიშნული ბრუნვა იშვიათია საკვლევ ძეგლებში. ნანათესაობითარი ფუძე ყოველთვის უსაერთობოა:

*ცოლმან ჯოჯიკისმან* მიართუა ღვნოდ [1, 17]; მიუგო მას *წმიდამან მოწამემან ქრისტესმან* [4, 168]; *მშვიდობამან ქრისტესმან* ... დაგიცვენინ ყოვლისაგან [12, 310]; *ბრძანებამან ქრისტესმან* შეგუკრიბა [12, 309].

აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ ბრუნვაში ერთ შემთხვევაში ნანათესაობითარ ფუძესა და ბრუნვის ნიშან *-მან*-ს შორის ჩართულია თანდებული *მიერ*. სამეცნიერო ლიტერატურაში მინიშნებულია, რომ „*მიერ* თანდებული შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სიტყვაწარმოებითი დანიშნულებით“ (291, 298). ამ ფუნქციით გვხვდება იგი აგიოგრაფიულ ძეგლებში:

...და *მთამან* სიდიდისა ჩუენისამან *ქრისტესმიერმან* აღადგინოს დაბრკოლება თქუენი [4, 172].

## 16. 3. ნანათესაობითარი მიცემითი მსოფლობით რიცხვში

საკვლევ ძეგლებში აღნიშნულ ბრუნვაში მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის ოთხი შემთხვევა გვხვდება. ოთხივე შემთხვევაში მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მსოფლობით რიცხვშია.

ა) მიცემითი ბრუნვისათვის ფუძედ ნანათესაობითარი ფორმაა გამოყენებული, *წეობა პოსტპოზიციურია* (როგორც ვიცით, პირის სახელს საერთობი არ დაერთვის, მაგრამ მეორე ბრუნვის ნიშანი ორმაგი ბრუნების დროს ყოველთვის გავრცობილია საზღვრულთან შეთანხმების გამო):

მოუწოდეს ცოლსა *ჯოჯიკისსა* [1, 16]; ...*მონასტერსა თათაღსსა* [9, 228]; *კალთასა კონონისსა* [9, 221]; *ერისმთავრობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა* [3, 63]; *ძისა ლეონისსა* [3, 63]; *კათალიკოზობასა სამოელისსა* [3, 63]; *ძისა მაჰდისსა* [3, 63]; ...*გულსა ბახდიადისსა და პანაგუშნასპისსა* [2, 33]; ...*კათალიკოზობასა მიქელისსა* [12, 316]; *ერისთავთა-ერისთვობასა სუმბატისსა* [12, 316]; *პატრიარქობასა ავათონისსა* [12, 316]; *მაგისტროსობასა ადარნერსესსა* [12, 316]; *მსახურებასა ქრისტესსა* [1, 30]; *ბრძანებასა ქრისტესსა* [12, 351]; *სარწმუნოებასა ქრისტესსა* [1, 13]...

ბ) *პრეპოზიციური წეობა*:

და მოიწია *დედისა ფებრონიადსსა* [12, 277]; *სეხნა მამისა იოანესსა* [11, 246]; *წარვიდა მამისა დავითისსა* [11, 236]; *უდაბნოსა მას წმიდისა დავითისსა* [11, 239]; *მცნებისაებრ მამისა გრიგოლისსა* [12, 290]...

გ) ადამიანის საკუთარ სახელს (მსაზღვრელს) ახლავს ორი წევრისაგან შემდგარი თანამდებობის სახელი, რომლის ნანათესაობითარი ფუძეც და მიცემითი ბრუნვის ნიშანიც საგრცობიანია. წყობა *პოსტპოზიციურია*:

...მეფობასა მოსე ამირა მუძნისასა [3, 63].

დ) მსაზღვრელის როლში გვხვდება ადამიანის სახელზე დართული თანამდებობისა და წოდების გამომხატველი სახელები, რომელთა ფუძეც ბოლოსმოვნიანია და დაირთავს საგრცობიან მიცემითი ბრუნვის ნიშანს. წყობა *პოსტპოზიციურია*:

წელსა ...*ხუასრო მეფისასა* [2, 30]; უამთა ... *არშაკ მეფისასა* [7, 186]; ძისა *ადარნერსე მეფისასა* [12, 316]; ძისა *კოსტანტი მეფისასა* [12, 316]; მეფისასა *აშოტ კურაპალატისასა* [12, 316]; ძისა *ბაგრატ მავისტროსისასა* [12, 316]; სახლსა *გაბრიელ დაფანჩულისასა* [12, 258]; სახლსა ... *ნერსე ერისთვისასა* [12, 249]; ძისა *დავით მამფლისასა* [12, 316].

### 16. 3. 1. თანდებულები ნანათესაობითარ მსაზღვრელთან

**წინაშე, ზედა** თანდებულების როლი, როგორც ვიცით, თავიდანვე იყო განაწილებული. მიცემით ბრუნვაში ისინი უსულო საგანთა აღმნიშვნელ სახელებთან იხმარებოდა, სულიერთან – ნათესაობითში. ნანათესაობითარ მსაზღვრელს ზემოთ ჩამოთვლილი თანდებულები ნანათესაობითარი ფუძის გამო უკავშირდება:

**წინაშე:** მოვიდა *წინაშე* წმიდისა *დავითისსა* [11, 236]; მორბიოდეს *წინაშე* წმიდისა *დავითისსა* [11, 233]; მოვიდა იგიცა *წინაშე* მამისა *დავითისსა* [11, 234]; შეწირა *წინაშე* წმიდისა მთავარ-მოწამისა *გიორგისსა* [12, 318]; მოვიდა *წინაშე* დედისა *ფებრონიასსა* [13, 299].

**ზედა:** აღეშენა უდაბნოდ ... სახელსა *ზედა* წმიდისა *იოანე ნათლის-მცემლისსა* [11, 239]; რადთა სცეს *ზედა* წმიდისა *დავითისსა* [11, 235]; იხილა დედაკაცი ესე დამტკიცებული შჯულსა *ზედა ქრისტესსა* [7, 187]; მტკიცედ დგეს სარწმუნოებასა *ზედა ქრისტესსა* [2, 33].

**შინა:** ნანათესაობითარ მსაზღვრელთან **შინა** თანდებულს დავადასტურეთ: და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა მამობასა *შინა პავლესსა* [13, 345].

### 16. 4. ნანათესაობითარი ნათესაობითი მსოფლობით რიცხვში

მცნებისაებრ *ნეტარისა მამისა გრიგოლისისა* [12, 272]; შემდგომად გარდაცვალებისა *დიდისა მთავრისა გიორგისისა* [13, 340]; *ნებისა ქრისტესისა* [12, 308]; იწამებოდეს *სახელისათვის ქრისტესისა* [12, 257]; განგდრიკონ ...*სარწმუნოებისაგან ქრისტესისა* [3, 61]; არა დაბრკოლდეს *სარწმუნოებისაგან ქრისტესისა* [3, 67]; რამეთუ *ძირისაგან იესუსისა* ყუავილად აღმოსცენდა [3, 53]...



## 16. 5. ნანათესაობითარი მოქმედებითი მხოლოობით რიცხვში

ნანათესაობითარი მოქმედებითი ბრუნვის ფუძე (ჭურვილობითის მნიშვნელობით) ყოველთვის თანხმოდანფუძიანია, რომელსაც დაერთვის ემფატიკური ხმოვნით გავრცობილი მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი (-ითა). „ასეთი წარმოება ერთადერთია ნანათესაობითარი მსაზღვრელის მოქმედებითი (ჭურვილობითის) ბრუნვისთვის ადამიანთა საკუთარ სახელებში. ამასთანავე საზღვრულიც, რომელიც წინ უსწრებს მსაზღვრელს და საზოგადო სახელს წარმოადგენს, ყოველთვის -ითა სუფიქსითაა მოცემული“ (236, 89).

*კელითა იოვანწსითა* [2, 38]; *შჯულითა მით მაჰმედისითა* [3, 65]; *თანადგომითა ... თევდოსისითა* [7, 191]; *სისხლითა მით დავითისითა* [3, 190]; *ქალწულითა მარიაძისითა* [9, 218]; *ბრძანებითა მიქაელისითა* [13, 322]; *ვედრებითა გაბრიელისითა* [9, 218]; *განზრახვითა მირეანისითა* [12, 267]; *ზრახვითა ... ვარსკენისითა* [1, 14]; *სახელისდება იესუდისითა* [8, 211]; *ჯუართა ქრისტესითა* [8, 209]; *კმითა ქრისტესითა* [2, 40]; *სახოებითა ქრისტესითა* [4, 171]; *კელითა მოსწსითა* [8, 212]...

ზემოთ წარმოდგენილ ბრუნვაში გვხვდება ეპითეტდართული პირის სახელებიც: *ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა* [1, 22]; *კელითა ნეტარისა გრიგოლისითა* [12, 301]; *ლოცვითა ნეტარისა მამისა ეტეფანესითა* [12, 318]; *ოჯითა წმიდისა გიორგისითა* [12, 275]; *მადლითა ...სასწაულთა მიერ ...მამისა სერაპიონისითა* [13, 340]; *მეოხებითა ნეტარისა პაბოდისითა* [3, 48]; *მადლითა წმიდისა იოვანწსითა* [9, 228]; *მიყრდნობითა დიდისა მოწამისა ხარაღამისითა* [13, 338]; *მადლითა ...იესუ ქრისტესითა* [2, 45]...

პირის სახელებს ზოგჯერ თანამდებობის გამომხატველი სიტყვებიც უკავშირდება: *მოღუაწებითა ...გაბრიელ მთავრისადათა* [12, 261]; *ბრძანებითა სამოელ კათალიკონისადათა* [3, 46]; *ბრძანებითა ...ხსართან მღდელისადათა* [3, 47].

## 16. 6. ნანათესაობითარი ვითარებითი მხოლოობით რიცხვში

ორმაგი ბრუნების მსაზღვრელად გამოყენებული ადამიანის საკუთარი სახელი ნანათესაობითარ ვითარებითში დაირთავს -ისა სუფიქსს. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ნანათესაობითარ ფუძეზე დართულ -ა სუფიქსის შესახებ. ა. შანიძე მას სავრცობად მიიჩნევს და მიუთითებს, რომ გავრცობილი ნათესაობითის ფორმები მიმართულების აღსანიშნავად იხმარებოდა. ამის გამო მკვლევარი ცალკე ბრუნვას გამოყოფს და მას მიმართულებითს უწოდებს. ზოგის აზრით, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, -ა სუფიქსი ვითარებითი ბრუნვის ნიშნის -ად სუფიქსის ნაწილია, სადაც დ-ონი ფონეტიკურ ნიადაგზეა დაკარგული. „რაც შეეხება მიმართუ-

ლების აღნიშვნას, ასეთი ფუნქცია ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვასაც ჰქონდა“ (66, 32; 75, 379-380).

საკვლევ ძეგლებში უკანასკნელი თვალსაზრისის დამადასტურებლად მაგალითები უხვად გვხვდება:

**ა) ადამიანის საკუთარი სახელი ეპითეტდართულია:**

მოწოდებად *ნეტარისა ვესტათისა* [2, 31]; სიტყვსაებრ *ნეტარისა გრიგოლისა* [12, 299]; ხილვად ...*მამისა გრიგოლისა* [12, 311]; საყოფელსა დიდისა *მოწამისა გიორგისა* [12, 275]; ბრძანებისაებრ *მამისა სერაპიონისა* [13, 344]; ალვედ დიდისა *მამისა მიქაელისა* [13, 335]; მარტვლობისა *წმიდისა გობრონისა* [5, 178]; მივიდეს იგი *ნეტარისა შიოძსა* [11, 243]; წარვედ *მამისა დოდოძსა* [11, 236]; მივიდეს *ამბა გიორგისა* [12, 255]...

**ბ) ადამიანის საკუთარ სახელს თანამდებობის და სხვათა აღმნიშვნელი სიტყვები ახლავს:**

მივიდა ...*ხილვად სანატრელისა შუშანიკ მარტვლისა* [1, 26]; ჰველითა *გრიგოლ მღდელისა* [12, 253]; აღზრდილი *საპაკ ამირისა* [12, 305]; სიტყვისაებრ *იოვანე მახარებელისა* [12, 283]; შემდგომად *გურგენ კურაპალატისა* [12, 276]; ნაცვლად *აშოტ კურაპალატისა* [12, 272]; *ნეტარისა ბაგრატ მოციქულისა* [13, 272]; უფროდს ... *გუარამ ჰელმწიფისა* [12, 290]; ... *აღმწერელისა გიორგი მერხულისა* [12, 317]; კუერთხი წმიდისა *სვმიონ მესეუტისა* [11, 243]; სიძე ...*ფარაოზ უკორცოძისა* [8, 193]; რომელი იყო *გურგენ ერისთავთა ერისთავისა* [5, 176]; მსახურისა *თეოდორა დედოფლისა* [4, 165]; ძმ *ადრნერსე კურაპალატისა* [3, 55]; ნათელი ... *სამოელ კათალიკოზისა* [2, 43]; ასული *ბაგრატ შაროელისა* [12, 298]...

დ) ძველ ვითარებას შეგვახსენებს ადამიანის საკუთარი სახელი, როდესაც იგი ანთროპონიმული ფორმულის ნაწილია:

მსგავსად მოციქულისა *პავლეს მართლისა* [12, 314].

**16. 6. 1. თანდებულიანი ფორმები ნანათესაობითარ ვითარებითში**

ზემოთ აღნიშნულ ბრუნვაში ყველაზე ხშირია *წინაშე* თანდებულის ხმარება:

მივიდა *წინაშე დიდისა აბულასათისა* [2, 292]; წარმოდგა *წინაშე უსტამ ციხისთავისა* [2, 31]; *წინაშე ...იესუ ქრისტესა* [6, 185]; *წინაშე ...ბაგრატ კურაპალატისა* [12, 272]; *წინაშე აშოტ კურაპალატისა* [12, 258]; *წინაშე მამისა გრიგოლისა* [12, 271]; *წინაშე წმიდისა შუშანიკისა* [1, 16]...

**ზედა:** *ნერსე ერისთავისა ზედა* [3, 58].

**თანა:** *ნერსე ერისთავისა თანა* [3, 57].

**კერძო:** „თანდებული *კერძო* ძირითადი დანიშნულებით ზმნისართულია, მნიშვნელობით უდრის მხარეს. იგი ძველ ქართულში იმავე აზრს გამოხატავს, რასაც *-კენ* თანდებული“ (291, 259).

და მოვიდა იდუმალ *ზურგიით კერძო იესუძსა* [2, 39].

#### 16. 7. ნანათესაობითარი წოდებითი მხოლოდობით რიცხვში

აღნიშნულ ბრუნვაში მხოლოდ ორი შემთხვევა დაგადასტურეთ, რომელსაც ერთი მაგალითით ვუჩვენებთ: *მიმსვავსებულო ელიაძსო* და *იოვანესო* [12, 255].

#### 16. 8. ნანათესაობითარი სახელობითი მრავლობით რიცხვში

ისე როგორც მხოლოდობითში, მრავლობით რიცხვშიც ნანათესაობითარი მსაზღვრელი ფუძედ იყენებს საკუთარი სახელის ნათესაობითის ძირითად ფორმას (-ის სუფიქსიანს). ამ შემთხვევაშიც ფუძე ყოველთვის ბოლოთანხმოვნიანია, ხოლო მრავლობითი რიცხვის წარმოება ნარ-თანინი. „ნ და თ-ა სუფიქსების საშუალებით მსაზღვრელის ბრუნვიანი ფორმა ეთანხმება საზღვრულს. ეს სუფიქსები აქ მხოლოდ შეთანხმებისთვის არის ნახმარი“ (75, 59).

ა) მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი უსაფრცობოა:

*ნაწილნი* წმიდისა *შუშანიკისნი* [1, 288]; *კუბასტნი* *შუშანიკისნი* [1, 20]; *შემასმენელნი* ნეტარისა *ევსტათისნი* [2, 34]; *მოწაფენი* *მიქაელისნი* [13, 326]; *ნათესავნი* *აბრაჰამისნი* [3, 51]; *თუაღნი* მამისა *დავითისნი* [10, 232]; *ნათესავნი* *მატოძისნი* [12, 285]; *მკვლელნი* იგი *ტირიჭანისნი* [7, 188]; *ლოცვანი* *გრიგოლისნი* [12, 295]; *სამწყსონი* *ქრისტესნი* [4, 179]...

ბ) მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელი საფრცობიანია:

*მოწაფენი* ... *მიქაელ პარეხელისანი* [13, 225; 226];

*მოწაფენი* ... *იოანე ზედაზადნელისანი* [11, 247].

#### 16. 9. ნანათესაობითარი ნათესაობითი მრავლობით რიცხვში

ჭეშმარიტად *ნაშობთავან აბრაჰამისთა* [8, 198]; ...ვეზიარე *საქმეთა* და *ცოდებათა* *ვარსკენისთა* [1, 14]; *საკსენებელსა წმიდათა* მათ და *სანატრელთა მოწამეთა* კოზმან და *დამიანწსთა* [1, 29]... და ინაჰიდგმიდნენ *წიაღთა* *აბრაჰამისთა*, *ისაკისთა* და *იაკობისთა* [3, 55]; *სწავლულ* იყო *მწიგნობრებითა* *სარკინოზთა* და *ძეთა* *ისმაელისთა*, *ძეთა* *აბრაჰამისთა*, *ნაშობთა* *ავარისთა* [3, 56]...

## § 17. სამმაგი ბრუნება პირის სახელებთან

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „პირის სახელებში მართული მსაზღვრელი შეიძლება სამი ბრუნვის მქონე იყოს. ამათგან ერთი იქნება საზღვრული ამა თუ იმ ბრუნვაში, მეორე ამ საზღვრულის მსაზღვრელი, უეჭველად ნათესაობითში დასმული, და მესამე ამ უკანასკნელის მსაზღვრელი (მსაზღვრელის მსაზღვრელი), ესეც ნათესაობით ბრუნვაში დასმული“ (75, 623-624).

საკვლევ ძეგლებში ადამიანის საკუთარ სახელებთან სამმაგი ბრუნების ნიმუშები იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება. პირის სახელებს სამმაგი ბრუნების დროს იგივე თავისებურებანი ახასიათებს, რაც ორმაგი ბრუნებისას: ა) მისი ფუძე არ შეიძლება მრავლობითის ფორმით შეგვხვდეს; ბ) ფუძეზე დართული ბრუნვის ნიშანი (მხოლოდობით რიცხვში) მუდამ მარტივია (-ის/ღს). ამ უკანასკნელი თვისებით განსხვავდება პირის სახელები საზოგადო თუ გეოგრაფიული სახელებისაგან.

სახელის სამმაგი ბრუნებისას, თეორიულად, სულ რვა კომბინაციაა შესაძლებელი (75, 526-628). აგეოგრაფიულ ძეგლებში, ნათესაობით-ნათესაობით-სახელობითში, სამმაგი ბრუნების მესამე და მეშვიდე შემთხვევა დავადასტურეთ; ნათესაობით-ნათესაობით-მოქმედებითში მხოლოდ მესამე შემთხვევა.

### 17. 1. ნათესაობით-ნათესაობით-სახელობითი

საზღვრული და მსაზღვრელის მსაზღვრელი მხოლოდობითია, მსაზღვრელი-მრავლობითში (სამმაგი ბრუნების მესამე შემთხვევა):

*დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისთა [1, 28]; სადგური და საბანაკს ძეთა მაგოგისთა [3, 58]; მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუელთა საცხოვართა ქრისტესთა [12, 254].*

ძეგლებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვხვდება აგრეთვე სამმაგი ბრუნების მეშვიდე შემთხვევაც, როდესაც საზღვრულიც, მსაზღვრელიც და მსაზღვრელის მსაზღვრელიც მრავლობითშია:

*ნაწილნი წმიდათა ძუალთა ტირიჭანისთანი [7, 191].*

### 17. 2. ნათესაობით-ნათესაობით-მოქმედებითი

აღნიშნულ ბრუნვაში საზღვრული და მსაზღვრელის მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვშია, ხოლო მსაზღვრელი მრავლობითში (სამმაგი ბრუნების მესამე შემთხვევა):

*მიღებითა მადლითა მის ქრისტესისაჲთა [3, 77].*

## თავი II

### გვარების საკითხი აბიობრაჟიულ კებლებში

ანთროპონიმია, თავის მხრივ, სხვადასხვა კატეგორიის სახელებს აერთიანებს: ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს, შტო-გვარსახელებს, მეტსახელებს... მათი შესწავლა ერთმანეთთან მიმართებით, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე ხდება, რის გამოც, პატრონიმიკა ანთროპონიმიკის ცალკე ქვედარგად გვევლინება.

თავდაპირველად პიროვნული სახელი საკმარისი იყო პიროვნების სახელდების, სხვათაგან გამორჩევისა და იდენტიფიკაციისათვის. ასეთი ვითარება დღემდეა შემორჩენილი ზოგ მცირერიცხოვან ტომებში.

გვარი იგივე საკუთარი სახელია, ოღონდ მეორეული სახელი, რომელიც აზუსტებს პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლევა მასზე და თანაც აადვილებს ერთი სახელის მქონე პირების – სეხნიების გარჩევას. ამ დამატებითი სახელისაგან წარმოიშვა გვარი. „სახელი და გვარი განუყოფელი ერთეულია, რომელთა მეშვეობითაც გამოიყოფა კონკრეტული პიროვნება საზოგადოებაში და გვეძლევა გარკვეული ცნობები მის შესახებ“ (260, 87).

პირის ვინაობის დაკონკრეტების მიზნით მეორე სახელის (ანთროპონიმიული ფორმულის მეორე წევრის) გამოყენების ტრადიციას თანდათანობით ჩაეყარა საფუძველი. პირსახელს ემატებოდა მამიშვილობის ან პაპიშვილობის აღნიშვნა, საერო, სასულიერო თუ სამხედრო თანამდებობის, ან მოხელეობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინი, ზედწოდება, მეტსახელი და ა.შ. მაგრამ „ეს მეორე სახელი არ იყო მემკვიდრეობითი, არ გადადიოდა მომდევნო თაობებზე. დროთა განმავლობაში მრავალ ხალხში წარმოიქმნა საოჯახო სახელებიც, რომლებსაც გარდამავალ ფორმებად თვლიან: გვარსახელები სწორედ მათგან წარმოიშვა“ (241, 128).

ევროპულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ გვართა წარმოქმნა იტალიაში დაიწყო XI ს-ში და ერთი ათწლეულის მანძილზე ფართოდ მოიცვა ევროპის განვითარებული ქვეყნები: საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი.

ქართველებს გვარსახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, უკვე ჰქონდათ 12-13 საუკუნის წინათ. ზ. ჭუმბურიძის დასკვნით, „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთ ეპიზოდში მოხსენიებული **გაბრიელ დაფანჩულის** მეორე სახელი „**დაფანჩული**“ საუკუნე-ნახევრის შემდეგ ჩანს როგორც მემკვიდრეობითი სახელი: „ერქუა მას სახელი *გაბრიელ დაფანჩული* და აწ ნათესავთა მისთან ჰრქჳან დაფანჩულნი“ [12, 258]. აქ „ნათესავთა მისთა“ ნიშნავს „მის მოდგმა-შთამომავლობას“.

„დაფანჩული“ გვარსახელად მიაჩნია ასევე რ. თოფჩიშვილს (70, 276); თვისების აღმნიშვნელი მიმღეობის ფორმისგან მიღებულ ზედწოდებად, მეტსახელად ალ. ღლონტს (198, 131) და გ. ხორნაულს (269, 240). ჩვენი აზრითაც, „დაფანჩული“ გვარსახელია.

ალ. ღლონტის აზრით, „გვაროვნული სახელი ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და მისი ჩამოყალიბების პროცესი VII-VIII სს-ში თითქმის დასრულებული ჩანს“ (201, 48). არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საისტორიო საბუთების ჩვენებაზე დაყრდნობით რ. თოფჩიშვილი ასკვნის, რომ „ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII-IX სს-დან, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ამ დროს არ წარმოქმნილა. გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმოშობილი“ (70, 45). მკვლევარი, კერძოდ, მიიჩნევს, რომ „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (X ს. II ნახევარი, ნაკლებად დასაბუთებული ვერსიით – VII ს. (195, 49)), დასახელებული ანთროპონიმი **ბაჰლაუნდი**, რომელიც შემოსულია სპარსულიდან, არის გვარსახელი (70, 45). „ხოლო აწ კუალად დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისა, ძისა *ბეშქენ ბაჰლაუნდისა*ჲ ძისა იოანესი“ [13, 339]. **ბაჰლაუნდი** გვარსახელად მიაჩნია მ. ანდრონიკაშვილსაც (6, 193). ჩვენი აზრით, ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრად გამოყენებული სპარსული **ბაჰლაუნდი**, რაც ქართულად ფალავანს ნიშნავს, ნართაული (შერქმეული) სახელი უნდა იყოს.

ქართული გვარსახელების თავმოყრა-სისტემატიზაციის, სალექსიკონო დამუშავებისა და სინქრონიულად შესწავლისათვის დიდი მუშაობაა გაწეული: დადგენილია ბევრი გვარის ეტიმოლოგია, გარკვეულია მათი წარმომავლობა და სტრუქტურული მოდელი, მაგრამ ამ მიმართულებით კვლავ უამრავი პრობლემა გვხვდება, რომელთა გადაჭრისათვის ფართო მასშტაბის პრაქტიკულ-შემკვრებლობითი და თეორიული სამუშაოებია ჩასატარებელი. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიგრძე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული“ (215, 195).

გვარები შეიძლება დაჯგუფდეს როგორც საწარმოქმნო აფიქსების, ისე იმ ძირითადი სიტყვების მიხედვითაც, რომელთაგანაც ამა თუ იმ სიტყვის ან აფიქსის დართვით იწარმოებიან ისინი. ქართული გვარები, ისევე როგორც სხვადასხვა ხალხთა გვარების უდიდესი ნაწილი, წარმოქმნილია წინაპართა სახელებისა და მეტსახელებისაგან. ისტორიულ წყაროებსა თუ ლიტერატურულ ძეგლებში გვხვდება ისეთი გვარებიც, რომლებიც ინდივიდის სადაურობა-წარმომავლობაზე, ხელობასა თუ თანამდებობაზე მიგვითითებენ. ზოგჯერ გვარი შეიცავს პიროვნების შეფასება-დახასიათებებს რაიმე ნიშნის მიხედვით. გვარები შეიძლება წარმოშობილი იყოს აგრეთვე მცენარეულობის, ცხოველების, ფრინველებისა და სხვა საგნის სახელებისაგან, რომლებიც ადამიანის საკუთარ სახელად ან მეტსახელად უნდა ყოფილიყვნენ გამოყენებულნი და ამ გზით იქცნენ გვარის შემადგენელ ნაწილად.

ჩვენ მიერ საკვლევ აგიოგრაფიულ ძეგლებში გვარები (დღევანდელი მნიშვნელობით) გარდა იმ ორი შემთხვევისა (**დაფანჩული, ბაჰლაუნდი**), რომელზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი, არ დასტურდება. გვხვდება მხოლოდ: წარმომავლობა-სადაურობის, ხელობა-პროფესიის, დახასიათების, ტიტულისა და სასულიერო წოდების აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებიც მემკვიდრეობით არ გადადის, მაგრამ პიროვნების დაკონკრეტების საქმეს ემსახურება. ეს სიტყვები ძირითადად ორწევრიანი ანთროპონიმული ფორმულითაა გაფორმებული.

## § 1. წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელი

### სიტყვები გვარსახელებად

ქართული გვარების ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ჯგუფი წარმოქმნილია წარმომავლობისა და სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვებისაგან. ამდაგვარ ანთროპონიმულ ფორმულას ქართულში ქმნის ტოპონიმისათვის **-ელ** სუფიქსის დართვა.

აგიოგრაფიულ თხზულებებში გვხვდება ორწევრიანი ანთროპონიმული ფორმულით გადმოცემული სახელები, როდესაც პირსახელს ემატება მეორე სახელიც, რაც პიროვნების წარმომავლობასა და სადაურობას გამოხატავს:

მას ჟამსა ნეტარსა გრიგოლს გულმან უთქუა ჴსენებად *საბან იშხნელისად* [12, 273];

მაშინ მოვიდა *ზაქარია ანხელი* ეპისკოპოსი [12, 275];

...ღირსნი *გიორგი მაწყურელი* ეპისკოპოსი ... [12, 294];

...რომელიცა იყო ასული *ბაგრატ შაროელისა* ... [12, 298];

...მოწაფენი ვართ ...*მიქაელ პარეხელისანი* [13, 326];

...*გიორგი*, მეორედ – *ჩორჩანელი* [13, 324];

...აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი [11, 242].

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გვხვდება -არ სუფიქსით (მნიშვნელობით უდრის -ელ სუფიქსს) წარმოქმნილი ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრი:

...და სტეფანე მტბეგარი ეპისკოპოსი პირველი ... [12, 294].

აგიოგრაფიულ ძეგლებში ზოგჯერ პიროვნების დასაკონკრეტებლად წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვები პირსახელების გარეშეც იხმარება:

ერუშელმან ეპისკოპოსმან... პრქუა... [12, 287];

ხოლო ოპიზელი მამად შეწუნა ... [12, 282].

## § 2. ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი ეპითეტი პირსახელთან

აგიოგრაფიულ ძეგლებში დასტურდება ხელობისა და თანამდებობის აღმნიშვნელი ეპითეტი, რომელიც მე-ე პრეფიქს-სუფიქსის დართვით მიიღება და პირსახელთან ერთად ქმნის ორწევრიან ანთროპონიმულ ფორმულას:

სუმეონ მესუეტე [11, 242].

## § 3. დახასიათების შემცველი ეპითეტები პირსახელებთან

საკვლევ ძეგლებში დავადასტურეთ პირსახელებთან შეწყობილი ეპითეტები, რომლებიც გამჭვირვალედ ახასიათებენ პერსონაჟს რაიმე ნიშნის მიხედვით. ფიქსირდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები:

...უკმარი არსენი [12, 302];

...მაკარი უძღური [12, 302];

...თქმული არსენი დიდისა [11, 240];

დიდი სოფრონი ... [12, 294].

## § 4. ტიტულის გამომხატველი სიტყვები პირსახელებთან

ძველ საქართველოში ცნობილი იყო ისეთი უმაღლესი დანიშნულების შემცველი საგვარეულო ან ბოძებული საპატიო წოდება, რომელიც პიროვნების მაღალი საზოგადოების წარმომადგენლობაზე მიუთითებდა, აგიოგრაფიულ ძეგლებში ასეთი შინაარსის შემცველი სიტყვები პირსახელებთან ერთად ორწევრიან ანთროპონიმულ ფორმულას წარმოადგენენ:

...ვარსკენ პიტიახში [1, 11];

...აშოტ კურაპალატი [12, 258];



*გუარამ მამფალი* [12, 287];  
*...ბავრატ მავისტროსისასა* [12, 316];  
*უსტამ ციხისთავი* [2, 31];  
*ბუზმირ მარზაპანმან* [2, 44];  
*ადრნესე ერისთავი* [3, 55]  
*ნერსე ერისთავი* [3, 56];  
*აშოტ ერისთავთა-ერისთავი* [3, 78];  
*ადარნასე მეფე* [5, 180];  
*ვარდან მთავარი* [7, 18];  
*ადარნერსე ხელმწიფე* [12,298].

აგიოგრაფიულ ძეგლებში ხშირია შემთხვევები, როდესაც საერო-სამოქალაქო და სამხედრო წოდების ამსახველი სიტყვები პირსახელებისაგან დამოუკიდებლად იხმარებიან. მაგ.: *სპადპეტი* [1, 11]; *სენაკაპანი* [1, 20]; *ციხისთავი* [2, 31]; *ამირა* [3, 56]; *მამასახლისი* [12, 318]; *დედოფალი* [1, 15] და სხვ.

## § 5. სასულიერო წოდების ამსახველი სიტყვები პირსახელებთან

საკვლევ თხზულებებში ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრად ხშირად სასულიერო წოდების აღმნიშვნელი სიტყვებიც დასტურდება:

*არსენ კათალიკოსი* [8, 191];  
*ელია პატრიარქი* [10, 238];  
*სამოელ ეპისკოპოსი* [1, 18];  
*ხსართან მღვდელი* [3, 46];  
*გრიგოლ არქიმანდრიტი* [12, 287];  
*თემესტია დეკანოზი* [12, 285];  
*ამბა გიორგი* [12, 253];  
*ბერი კუედიოს* [12, 257]...

აღსანიშნავია ისიც, რომ სასულიერო წოდების ამსახველი სიტყვები ძეგლებში ხშირად პირსახელების გარეშეც გვხვდება: *ხუცეხი* [1, 14]; *ღიაკონი* [1, 13]; *ბერი* [12, 157] და სხვ.

### თავი III

#### პირის სახელები საისტორიო წყაროებში

##### § 1. ისტორიული წარსული და დღევანდელი პირის სახელთა გავრცელების თვალსაზრისით

საისტორიო წყაროების პირის სახელები, როგორც კვლევამ გვიჩვენა ძირითადად ძველი ებრაული (//ებრაული), ძვ. ირანული (//ირანული), ძვ. ბერძნული (//ბერძნული), ძვ. სპარსული (//სპარსული), არაბულ-სპარსული, ლათინური და არამეული წარმოშობისაა. როგორც აგიოგრაფიულ ძეგლებზე დაკვირვებისას აღვნიშნეთ, ბევრი პირის სახელის წარმომავლობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. უფრო პროდუქტიულია ბერძნული და ირანული წარმოშობის ადამიანის სახელები.

ქვემოთ წარმოვადგენთ საისტორიო წყაროებში დადასტურებულ ადამიანის სახელებს და პარალელურად ვუჩვენებთ თანამედროვე საქართველოში გავრცელებულ იმავე ან სახეცვლილ პირის სახელებს მათი გავრცელების მიხედვით (შესადარებლად გამოვიყენეთ: ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, 1997).

##### *გაუის სახელები*

ა

აბღალი (?)	აბღულა (382)
აბელი (ებრ.)	აბელი (770)
აბიბოსი (ძვ. ბერძ.)	აბიბო (54)
აბრაამი (ძვ. ებრ.)	აბრაამი (926)
აღამი (ძვ. ებ.)	აღამი (355)
ალი (?)	ალი (1242)
ანასტასი (ბერძ.)	ანასტასი (273)
ანატოლი (ბერძ.)	ანატოლი (3117)
ანდრია (ბერძ.)	ანდრია (406)
ანტონი (ბერძ.)	ანტონი (1924)
აპოლინარი (ბერ.)	აპალონი (705) // აპოლონი (768)
არევი (?)	არევი (113)
არსენი (ბერძ.)	არსენი (3708)
არტავაზი (ძვ. სპ.)	არტავაზი (97)
არჩილი (ირან.)	არჩილი (1331)

ასიმი (?)

ასიმი (65)

ალათონი (?)

ალათი (125)

აშოტი (?)

აშოტი (2047)

## ბ

ბაბილა (?)

ბაბილა (147)

ბაგრატი (სპ.)

ბაგრატი (2093)

ბაკური (სპ.)

ბაკური (1481)

ბართლომე (ძვ. ებრ.)

ბართლომე (137)

ბასილი (ბერძ.)

ვასილი (14890)

ბაქარი (ქართ.)

ბაქარი (859)

ბუბაქრი (?)

ბუბა (119)

## გ

გაბრიელი (ძვ. ებრ.)

გაბრიელი (1419)

გაგიკი (?)

გაგიკი (777)

გიორგი (ბერძ.)

გიორგი (147454)

გოდერძი (ირან.)

გოდერძი (5235)

გრიგოლი (ბერძ.)

გრიგოლი (11554)

გუარამი (არაბ.-სპ.)

გუარამი (28550)//გუარი (90)

გურგენი (ირან.)

გურგენი (2009)

## დ

დავითი (ძვ. ებრ.)

დავითი (76051)

დამიანოსი (ბერძ.)

დამიანე (102)

დარჩილი (სპ.)

დარჩო (200)

დემეტრე (ბერძ.)

დემეტრე (128)

დოდო (ქართ.)

დოდო (6693)

დომნოსი (ბერძ.)

დომნა (663)

## ე

ევტიქიოსი (ბერძ.)

ევტიხი (275)

ელია (ძვ. ებრ.)

ელია (76)

ერაკლე (ბერძნ.)

ერეკლე (1324)

ეფთვიბე (ბერძ.)

ექვთიბე (91)

## მ

ვარაზი (ირან.)

ვარაზი (72)

ვარდანი (ირან.)

ვარდანი (582)

ვახტანგი (სპ.)

ვახტანგი (24578)

## ზ

ზაქარია (ძვ. ებრ.)

ზაქარია (4506)

ზენონი (ბერძ.)

ზენო (57)

## თ

თადეოსი (ასურ.)

თადეოზი (101)

თევდოსი(//თეოდოსი) (ბერძ.)

თედო (802)

თეოდორე (ბერძ.)

თედორე (858)//თევდორე (496)

თეოფანე (ბერძ.)

თეოფანე (66)

თეოფილაკტე (ბერძ.)

თეოფილე (98)

თორნიკე (?)

თორნიკე (7377)

## ი

ივანე (ძვ. ებრ.)

ივანე (18374)

ივლიანე (ლათ.)

ივლიანე (339)

იოანე (//იოვანე)

იოანე (51)

იონა (ძვ. ებრ.)

იონა (678)

იოსები (ძვ. ებრ.)

იოსები (14807)

ისე (?)

ისა (195)

ისიდორე (ბერძ.)

ისიდორე (366)

ისმაელი (ძვ. ებრ.)

ისმაილი (891)

იუსტინიანე//იუსტინიანოს (ლათ.)

იუსტინე (147)

## კ

კვირიკე (ბერძ.)

კვირია (58)

კოსტანტინე//კოსტანტი (ლათ.)

კონსტანტინე (9010)

## ლ

ლეონი (ლათ.)

ლეონი (291)

ლიპარიტი (ქართ.)

ლიპარიტი (85)

ლუკიანე (ლათ.)

ლუკა (1075)

## მ

მავრიკი (?)

მავრა (731)

მაკარი (ბერძ.)

მაკარი (362)

მელქისედეკი (ძვ. ებრ.)

მელქისედეკი (118)

მირი(//მიჰრი)

მირა (136)//მირო (255)

მირიანი (სპ.)

მირიანი (3540)

მიქაელი//მიქელი (ძვ. ებრ.)

მიქაელი (265)

მომადი (?)

მემელი (494)

მურვანი (?)

მურმანი (8988)

## ნ

ნერსე (ირან.)

ნერსესი (221)

ნოე (ძვ. ებრ.)

ნოე (1900)

## ო

ომარი (არაბ.)

ომარი (12365)

## პ

პალეკარპოსი (?)

პალიკო (310)

პეტრე (ბერძ.)

პეტრე (4039)

## რ

რაჟდენი (?)

რაჟდენი (1689)

რატი (ირან.)

რატი (1629)

რევი (ირან.)

რევაზი (17030)

## ს

სააკი (?)

სააკი (184)

საბა (არამ//ძვ. ებრ.)

საბა (950)

სამოელი (ძვ. ებრ.)

სამოელი (79)

სვიმონი (ძვ. ებრ.)

სვიმონი (71)

სოლომონი (ძვ. ებრ.)

სოლომონი (2819)

სტეფანე/სტეფანოზი/სტეფანოსი (ბერძ.)

სტეფანე (2516)

სუმბატი (?)	სუმბათი (124)
<b>ფ</b>	
ფილიპე (ბერძ.)	ფილიპე (266)
<b>შ</b>	
შიო (ირან.)	შიო (600)
<b>ხ</b>	
ხალილი (?)	ხალილი (151)
<b>ჯ</b>	
ჯაფარი (?)	ჯაფარი (66)
ჯიბლა//ჯიბლუ (?)	ჯიბო (189)
ჯუნშერი (სპ.)	ჯუნშერი (283)

### *ქალის სახელები*

<b>ბ</b>	
გურანდუხტი//გურანდუხტი (სპ.)	გურანდა (1317)
<b>ღ</b>	
დინარი (?)	დინა (694)//დინარა (1326)
<b>ე</b>	
ელენე (ბერძ.)	ელენე (21920)
<b>ლ</b>	
ლატავრი (სპ.)	ლატავრა (287)
<b>მ</b>	
მარიამი (ძვ.ებრ.)	მარიამი (43698)
მირანდუხტი (ირან.)	მირანდა (3456)
<b>ნ</b>	
ნინო (?)	ნინო (92937)
<b>ს</b>	
სარა (ძვ. ბრ.)	სარა (1209)
<b>შ</b>	
შუმანი (ებრ.)	შუმანი (126)
შუმანიკი (ებრ.)	შუმანიკი (1710)

აქვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოკლეული წყაროების მიხედვით ისტორიულ საქართველოში გავრცელებული ას თხუთმეტი პირის სახელთაგან იმავე ფორმით დავადასტურეთ თანამედროვე საქართველოში სამოცდაცხრა, ხოლო სახეცვლილი ფორმით ორმოცდაექვსი შემთხვევა.

საისტორიო წყაროებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ისტორიულ საქართველოში გავრცელებულ პირის სახელთაგან დღევანდელ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული სახელებია: გიორგი – 147454, ნინო – 92937, დავითი – 76051, მარიამი – 43698, გუარამი – 28550, ვახტანგი – 24578, ელენე – 21920, ივანე – 18374, იოსები – 14807, ომარი – 12365, გრიგოლი – 11554 შემთხვევა; ნაკლებად გავრცელებული: იოანე – 51, ასიმი – 65, თეოფანე – 66, ჯაფარი – 66, სემონი – 71, ვარაზი – 72, ელია – 76, ლიპარიტი – 85, არტავაზი – 97 შემთხვევა.

## **§ 2. ვარიანტული პირის სახელები საისტორიო წყაროების მიხედვით**

საისტორიო წყაროებში, აგიოგრაფიული ძეგლების მსგავსად, ერთსა და იმავე ან სხვა საუკუნის თხზულებებში პირის სახელები წარმოდგენილია ორ ან მეტ ვარიანტად, რაც გამოწვეულია ძირითადად ბგერის დაკარგვით ან ჩართვით, ხმოვანთა და თანხმოვანთა მონაცვლეობით:

გუარანდუხტ [14, 242...] // გურანდუხტ [16, 274];

იუსტინიანე [14, 207] // იუსტინიანოს [14, 214];

ივანე [16, 258] // იოანე [14, 227; 16, 273...] // იოვანე [16, 254];

მიქაელ [14, 145...] // მიქელ [14, 197...];

მირი [14, 233] // მიჰრი [14, 232];

ნასარ [14, 185] // ნასრა [14, 180] // ნასრე [14, 176] // ნასრი [16, 260];

სააკ [16, 256] // საჰაკ [16, 255];

სტეფანე [16, 256] // სტეფანოზ [14, 221...] // სტეფანოს [14, 115];

ჯიბლა [14, 225] // ჯიბლუ [14, 225].

## **§ 3. ბერძნული ნომინატივის კვალი პირის სახელებში**

საისტორიო წყაროებში აღნუსხულმა პირის სახელების კვლევამ დაგვანახვა, რომ არსებობს პირის სახელთა ერთი ჯგუფი, რომლებიც მიღებულია ბერძნული ნომინატივის ფორმით. ისინი ძირითადად V-VII სს. ძეგლებში გვხვდება. როგორც

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, მსგავსი ტიპის პირის სახელები ქართულში წმინდა ლიტერატურული გზით ყოფილა გავრცელებული:

დომნოს [14, 115];  
დამიანოს (14, 115);  
ევლავიოზ [14, 115];  
ევტიქიოს [14, 115];  
ივბიმიანოს [14, 140...];  
იუსტინიანოს [14, 214];  
პალეკარპოს [14, 166...];  
პიროს [14, 208];  
სტეფანოს [14, 111];  
სტეფანოზ [14, 221...].

#### § 4. აპოზიციური პირის სახელები საისტორიო წყაროებში

ჩვენ მიერ განსახილველ ძეგლებში გვხვდება ტოლადშერწყმული ონიმის ერთი ჯგუფი, რომლის კომპონენტები ასიდენტურად არის შეერთებული:

აბდალ – მელიქი [14, 233];  
აბულ – კასიმ [16, 262];  
ვარაზ – ბაკურ [14, 145];  
ვარაზ – ბაქარ [14, 146];  
ვარაზ – მიჰრ [14, 172];  
ფარსმან – ფარუხ [14, 152].

#### § 5. ერობისა და ბერობის აღმნიშვნელი პირის სახელები

საისტორიო წყაროებში ერთადერთი შემთხვევა დაგადასტურეთ, როდესაც პირის აღსანიშნავად ავტორი ერობისა და ბერობის სახელებს ერთდროულად აღნიშნავს:

გარდაიცვალა *ადარნასე – ყოფილი და მონაზონ – ქმნილი ბასილი* [16, 260].  
...ძმა *ადარნასე – ყოფილი ბასილისა* [16, 260].

#### § 6. საისტორიო წყაროების პირის სახელები გენეტიკური თვალსაზრისით

ადამიანის სახელთა წარმომავლობისა და მნიშვნელობის კვლევა მეტად საყურადღებო საქმეა, რადგან საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიის დადგენა ბევრ სირთულეს უკავშირდება.



ჯერ ერთი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, ადამიანის სახელში მნიშვნელობა დაჩრდილულია და უძრავლეს შემთხვევაში სულაც გამჭრალი; მეორე – საკუთარი სახელი იოლად გადადის ერთი ხალხიდან მეორეში და გზადაგზა განიცდის ცვლილებებს. მიუხედავად ზემოთქმულისა, ბევრი პირის სახელის წარმომავლობა და მნიშვნელობა შესწავლილია სხვადასხვა მკვლევრის მიერ და ნაწილი შესასწავლია.

**აბრაამი** (14) ძველი ებრაული სახელია და ნიშნავს: „მამა სიმაღლისა“ ან „ამაღლებული“. საისტორიო წყაროებში გვხვდება მეორენაირი ფორმითაც: **აბრაჰამი** (16), რომლის მნიშვნელობაა „მამა მრავალთა“ (*აბრაჰამ* → *აბრაამ* → *აბრამ*) (259, 320).

**ანდრია** (14) ბერძნული წარმოშობის სახელია. ნიშნავს: „მამაცი“, „ვაჟკაცი“, „მხნე“. წარმომდგარია იმავე სიტყვისაგან, რომელიც მეორე ნაწილად შედის ალექსანდრე-ში (255, 134).

**ანტონი** (14) ბერძნული სახელია. ზუსტი თარგმანი არ არსებობს. თარგმნიან როგორც „მეომარს“, „ომში ჩაბმულს“, „წინამძღოლს“, „მეთაურს“ (258, 68).

**არსენი** (14) ბერძნულია. ნიშნავს: „მამაცი“, „ვაჟკაცი“ (260, 96).

**არჩილი** (14, 15) ერთ-ერთი უძველესი ქართული სახელია, რომელიც ამ ფორმით სხვაგან არსად გვხვდება. ვარაუდობენ, რომ წარმოშობით ირანულია და „არიელს“ („არიული მოღვმისას“) ნიშნავს (259, 323).

**ბაგრატ** (16), როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ქართველ მეფეთა საგვარეულო სახელია. წარმოშობით – ძველი სპარსული: ბაგადატა – „ღვთის ბოძებული“, „ღვთის წყალობა“; სხვა მოსაზრების მიხედვით, ბაგრატ ქართული წარმოშობის სახელია, მიღებულია ბაქარ-ისაგან ტ სუფიქსის დართვით (261, 131).

**ბაკური** (14) ქართულში უძველესი დროიდან გავრცელებული ირანული წარმოშობის სახელია. ნიშნავს: „ღვთის შვილი“, „ძე ღვთისა“ (258, 70).

**ბარამი** (14) მრავალსაფეხურიანი გარდაქმნის გზით არის მიღებული ავესტური *ვერეთრაგნა*–საგან (გამარჯვების ღვთაება, რომელმაც დაამარცხა ბოროტი დემონი *ვერეთრა*). ვერეთრა-გნა ნიშნავს „ვერეთრას გამგდებს“ (259, 325).

**ბართლომე** (14) ძველი ებრაული სახელია. თარგმნიან როგორც „თოლომეს შვილი“, ან „მოხნული მიწის შვილი“ (255, 136).

**ბაქარი** (14) წარმოშობით ქართული სახელია. ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ბაკურ სახელის ქართული ფორმა იყოს, რომელიც წარმოშობით ირანულია და „ღვთის შვილს“ ნიშნავს (260, 99).

**გაბრიელი** (16) ძველი ებრაული სახელია, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ჩემი ძალა ღმერთია“ (258, 75)

**გოდერძი** (16) ირანული სახელია. ნიშნავს: „ძლიერი ხარი“ (259, 331).

**გურანდუხტი** (16) სპარსული წარმოშობის სახელია. ნიშნავს: „გურამის (გვარამის) ასული“ (258, 125).

**გურგენი** (16) წარმოშობით ირანული სახელია. ნიშნავს: „მგლისა“ (260, 106).

**დავითი** (14,16) ძველი ებრაული სახელია. არსებობს სახელის მრავალნაირი გააზრება: „საყვარელი“, „წინამძღოლი“, „სასურველი“, „მეგობარი...“ (261, 146).

**დაჩი** (16) ქართული ფორმაა სპარსული სახელისა „დარჩილ“, რომელიც „გვარის უფროსს“ ან „დარიოსის მოდგმისას“ ნიშნავს. არსებობს მეორენაირი ახსნა: დაჩი ← დარჩი (ქართ). ეს სახელი ქართულში უძველესი დროიდან არსებობს (259, 333).

**ელენე** (14) წინარე ბერძნული წარმოშობისაა. განმარტავენ როგორც „მანათობელი“, „ნათელი“, „ჩირადღანი“, „რჩეული“ (255, 177).

**ელია** (14) გვხვდება როგორც თეონიმის მნიშვნელობით, ისე პირის სახელადაც. წარმოშობით ძველი ებრაულია და ნიშნავს: „ღმერთი – სიმაგრე ჩემი“, „ღმერთი ჩემი – იელოვა“ (258, 81).

**ერაკლე** (14) სახეცვლილი ვარიანტია ერეკლე ფორმისა. სახელი წარმოქმნილია ბერძენთა საყვარელი მითოლოგიური გმირის ჰერკულესის ანუ ჰერაკლეს სახელისაგან. ჰერაკლე – „ჰერას (ზევსის მეუღლე) დიდებას“ ნიშნავს (260, 110).

**ეფთვიმე** (16) ბერძნული წარმოშობისაა. ნიშნავს: „კეთილის მზრახველი“, „გულ-კეთილი“, „უზაკველი“ (259, 337).

**ვარაზი** (14) ირანული წარმოშობის სახელია. ნიშნავს „გარეული ტახი“ (261, 154).

**ვარდანი** (14) წარმოშობით ირანულია. თარგმნიან როგორც „გმირი“, ან: „მოქალაქე“. ფიქრობენ, რომ ქართულში შემოსულია სომხურიდან (258, 83).

**ვახტანგი** (16) ქართულში ძველთაგან მოყოლებული და ამჟამადაც გაგრძელებული სახელია. წარმოშობით ირანულ ენებს უკავშირდება. ქართულად ნიშნავს „მგლისტანიანს“ (260, 112).

**ზაქარია** (14) ძველი ებრაულია და ნიშნავს „ღვთის მიერ დაუვიწყარი“; სიტყვასიტყვით: „ღმერთს ახსოვს“. სხვაგვარი გააზრებით „მსახური ღვთისა“ (261, 158).

**თადეოსი** (14) ასურული წარმოშობისაა და ნიშნავს: „ბრძენი“ (259, 341).

**თარხანი** (14) წარმოშობით თურქულ-მონღოლურია. ნიშნავს „თავისუფალი“ (155, 149).

**იობი** (14) ძველი ებრაული სახელია. საეკლესიო კალენდრის მიხედვით ხსნიან როგორც „დეენილი“ (28, 90).

**ისიდორე** (14) წარმოშობით ბერძნული სახელია. ნიშნავს „ისიდას საჩუქარი“. *ისიდა* ანუ *იზიდა* ძველ ეგვიპტელთა მიწათმოქმედების ქალღმერთია (260, 121).

**ისმაელი** (14) ძველი ებრაული სახელია. თარგმნიან როგორც „ღმერთმა ისმინა“ (269, 171).

**კვირიკე** (16) ქართულში ძველთაგანვე გვხვდება არაერთი ისტორიული პირის სახელად. წარმოშობით ბერძნულია და ნიშნავს „უფლისა“ (255, 153).

**კოსტანტინე** (16) ლათინური წარმოშობის სახელია. ნიშნავს: „უმტკიცესი“, „ურყევისა“, „მედგრისა“ (258, 95).

**ლიპარიტი** (16) გაურკვეველი მნიშვნელობის ქართული სახელია. ქართულიდან შესულა სომხურში (260, 127).

**მაკარი** (14) წარმოშობით ბერძნულია. ნიშნავს: „ნეტარი“, „ბედნიერი“ (261, 182).

**მარიამი** (14) წყაროებში გვხვდება როგორც აგიონიმის მნიშვნელობით, ისე პირის სახელადაც. წარმოშობით ძველი ებრაულია. მოეპოვება რამდენიმე განმარტება: 1. „შეუპოვარი“, „დაუმორჩილებელი“, „უარყოფელი“; 2. „მწარე“; 3. „ქალბატონი“; 4. „საყვარელი უფლისა“. სპეციალურ ლიტერატურაში უფრო დამაჯერებლად პირველ მნიშვნელობას თვლიან (259, 394).

**მელქისედეკი** (16) ძველი ებრაული წარმოშობის სახელია. ნიშნავს „მეფე სიმართლისა“ (255, 157).

**მირიანი** (14) წარმოშობით სპარსული სახელია. ნიშნავს „მითრასი“ ანუ „მზისა“ (*მითრა* მზის ღვთაების სახელია) (258, 102).

**ნოე** (14) ძველი ებრაული სახელია. ნიშნავს „ნუგეში“ (260, 134).

**ომარი** (14) წარმოშობით არაბული სახელია. ნიშნავს „სიცოცხლე“ (261, 191).

**პეტრე** (14) ბერძნული წარმოშობის სახელია. ნიშნავს: „კლდე“, „ლოდი“ (255, 161).

**რატი** (16) წარმოშობით ირანული სახელია. ნიშნავს „ბატონი“, ან: „დიდსულოვანი“, „სულგრძელი“ (259, 364).

**საბა** (14) ფიქრობენ, რომ არამეული წარმოშობისაა. ნიშნავს: „მოხუცი“, „პაპა“. ან: ძველი ებრაული და ნიშნავს „თავისუფლებას მოკლებული“, „ტყვე“ (258, 109).

**საურმაგი** (14) წარმოშობით ირანულია. ნიშნავს: „შავხელა“, „შავი ხელის მქონე“ (260, 140).

**სვიმონი** (14) ძველი ებრაული წარმოშობისაა და ნიშნავს „შესმენილი“, „გამგონე“ (სიტყვასიტყვით: „ღმერთმა გაიგონა“) (261, 200).

**სოლომონი** (14) წარმოშობით ძველი ებრაული სახელია. ნიშნავს: „წყნარი“, „მშვიდი“, „მშვიდობიანი“ (258, 111).

**ფილიპე** (14) ბერძნული წარმოშობისაა. ნიშნავს: „ცხენთა მოყვარული“ (259, 371).

## თავი IV

### ბვარების საკითხი საისტორიო წყაროებში

გვარები (საგვარეულო სახელები, გვარსახელები) უძველესი დროიდან დღევანდელობამდე უდიდეს როლს ასრულებენ პიროვნების ვინაობის დასაკონკრეტებლად. დიდძალი პატრონიმიკული მასალაა ფიქსირებული V-X სს. საისტორიო წყაროებში. დასტურდება: წარმომავლობა-სადაურობის, საგვარეულო შტოს (გენეტიკური ერთიანობის), ეთნონიმური, მამისახელობითი, ეპითეტიანი და საპატიო წოდების გამომხატველი სიტყვები, რომლებიც პირსახელებთან ერთად ორწევრიან, ან უფრო იშვიათად სამწევრიან, ანთროპონიმულ ფორმულას ქმნიან და, როგორც დღეს გვარსახელს, პიროვნების დაკონკრეტების ფუნქცია აქვს. აგრეთვე, გვაქვს ორგვარი და ცალმხრივი ანთროპონიმური ფორმულის კომპონენტების ნიმუშებიც.

#### § 1. წარმომავლობა-სადაურობის აღნიშნული სიტყვები საისტორიო წყაროების ანთროპონიმულ ფორმულაში

საისტორიო წყაროებში გვხვდება ანთროპონიმული ფორმულის მეორე კომპონენტები, რომელთა ფუძეებში გეოგრაფიული სახელებია ჩაქსოვილი და, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, „მათი დანიშნულებაა სათანადო სუფიქსაციის (ჩვენს შემთხვევაში **-ელ**, **-არ**) საშუალებით მიუთითონ საგვარეულო შტოს წარმომავლობის პირვანდელი გეოგრაფიული პუნქტი“ (109, 25).

საკვლევ ძეგლებში ზემოთ აღნიშნული ანთროპონიმული ფორმულის ორი სახეობა გამოიკვეთა: პირველი, როდესაც ანთროპონიმული ფორმულის მეორე კომპონენტი პირის სახელის შემდეგ აღინიშნება და მეორე, როდესაც ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრი უსწრებს პირის სახელს:

ა) გვარსახელი მოსდევს პირის სახელს:

**-ელ**: აბიბოს ნეკრესელი [14, 208];

ანტონ მარტყოფელი [14, 208];

აპოლინარი ალექსანდრიელი [14,115];

ბორზო მოვაკენელი [14,174];

გიორგი კოსტანტინეპოლელი [14, 232];

გრიგოლ ფხუენელი [16, 269];

დავით გარესჯელი [14, 208];

დაჩი კორინთელი [16, 269];

დაჩი სხვლოსელი [16, 269];  
 დომნოს ანტიოქიელი [14, 115];  
 ევტიქიოს კოსტანტინეპოლელი [14, 115];  
 ზენონ იყალთოელი [14, 208];  
 თათე სტეფანწმიდელი [14, 206];  
 თეოფანე ანტიოქიელი [14, 232];  
 იოვანე ზედაზნელი [14, 208];  
 იოსებ ალავერდელი [14, 208];  
 ისე წილკნელი [14, 208];  
 ივანე სხვლოსელი [16, 269];  
 ისიდორე სამთავნელი [14, 208];  
 კურიკე ბანელი [16, 261];  
 მიქელ ულუმბელი [14, 208];  
 პალეკარპოს ლოლოთელი [14, 173];  
 პიროს ბრეთელი [14, 208];  
 სარა ფხუნელი [16,269];  
 სტეფანე ხირსელი [14, 208];  
 ფადლა არემანელი [16, 259];  
 შიო მღვიმელი [14, 208].  
 მამა ყანჩაელი [16, 269].

საისტორიო წყაროებზე დაკვირვებისას ცალკე გამოვეყავით ისეთი შემთხვევა, როდესაც ანთროპონიმური ფორმულის მეორე წევრის ეტიმოლოგიას ავტორი თხზულებაშივე ხსნის:

და დაჯდა მეფედ *გიორგი*, რომელსა საუფლისწულოდ ჰქონდა აღწევი. ამის-თვს ეწოდა მას *გიორგი აღწეველი* [16, 158].

ბ) ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრი უსწრებს პირის სახელს:

**-ელ:** სივნელი არევ [14, 159];

ტაროვნელი ამაზასპ [14, 159];

ასფურაგნელი ჯუანშერ [14, 159].

საისტორიო წყაროებში მხოლოდ ერთი შემთხვევა დაგვაფიქსირეთ, როდესაც ანთროპონიმული ფორმულის მეორე კომპონენტი **-არ** სუფიქსით არის წარმოქმნილი:

სტეფანე მტბევარი [16, 264].

ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საისტორიო წყაროებში აღნუსხული წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელ სიტყვათაგან ყველაზე ხშირად გვხვდება **-ელ** სუფიქსით წარმოქმნილი ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრები. როგორც ზემოთ ვნახეთ, **-არ** სუფიქსით მიღებული მეორე კომპონენტის აღნიშვნის მხოლოდ ერთი შემთხვევა დავადასტურეთ.

საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურული ძეგლების შედარებითმა ანალიზმა ის შედეგი მოგვცა, რომ ამ უკანასკნელში, ყველა შემთხვევაში, წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვები (**-ელ** და **-არ** სუფიქსიანიები) პირის სახელის შემდეგ აღინიშნება.

## § 2. საგვარეულო შტოს (გენეტიკური ერთიანობის) გამომხატველი ეპონიმური გვარსახელები

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ეპონიმურ გვარსახელებს „საფუძვლად უდევთ საგვარეულო შტოს დამწყებ უფროს მამაკაცთა ან დედაკაცთა (ეთნარქთა) საკუთარი სახელები (ეპონიმები)“ (109,25). ამდგომარ გვარსახელთა ჯგუფში, სხვა მაწარმოებელ ელემენტებთან ერთად, განხილულია **-ურ** და **-იან** სუფიქსიანი სახელებიც.

ჩვენ მიერ განსახილველ წყაროებში აღნუსხეთ **-ურ** სუფიქსით წარმოქმნილი ეპონიმური გვარსახელების აღნიშვნის სამი შემთხვევა:

დასუეს ქორეპისკოპოსად *სამოელ დონაური* [16, 254];

და იყო ქორეპისკოპოსად *გაბრიელ დონაური* [16, 257];

მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: *გოდერძი მგდუური...* [16, 269].

რ. თოფჩიშვილის აზრით, *დონაური* გვარია. „ეს გვარი კახეთში ყოფილა, სადაც გვარები დიდი ხანია გვაქვს“ (70, 37, 95). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მთავართა ძველ გვარებს შორის დონაურის გვარსაც მოიხსენიებდა. დონაური გვარად არის ფიქსირებული „წმიდათა ცხოვრებანშიც“ (248, ტ. 2, გვ. 446).

საისტორიო წყაროებზე დაკვირვებისას ოთხი შემთხვევა დავადასტურეთ, როდესაც გენეტიკური ერთიანობის სიტყვების გვარსახელებს **-იან** სუფიქსი აწარმოებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სუფიქსი „**-იან**“ გამოიყენებოდა ერთი გვარის მქონე ადამიანთა კრებულის, მთელი საგვარეულო შტოს აღმნიშვნელად“ (109, 65).

განსახილველ ძეგლებში გენეტიკურ ერთიანობას გამოხატავენ შემდეგი სიტყვები: *ადარნასიანი, ბაგრატონიანი, ნურსიანი, ჯუნშერიანი*.

ადარნასე ადარნასიანი [14, 242];  
ადარნასე ბაგრატიონიანი [16, 251];  
ნერსე ნერსიანი [14, 241];  
ჯუანშერ ჯუანშერიანი [15, 248].

### § 3. ეთნონიმური წარმოშობის კომპონენტები ანთროპონიმულ ფორმულაში

პატრონიმთა ერთ ჯგუფს ქმნის ეროვნებათა, ხალხთა და ტომთა აღმნიშვნელი ტერმინისაგან (ეთნონიმისაგან) შედგენილი კომპონენტები. გვაქვს შემთხვევები, „როდესაც ეთნონიმი უშუალოდ არის გადაქცეული გვარსახელად ტრადიციული საგვარეულო სუფიქსაციის გარეშე“ (109, 28). სწორედ ასეთი შემთხვევები დავადასტურეთ ჩვენ მიერ განსახილველ წყაროებში, როდესაც ეთნონიმური წარმოშობის კომპონენტები თავისებურად არის ადაპტირებული პირის სახელთან:

მაშინ მოვიდა *ბულა თურქი*, მონა, ბაღდადით [16, 256...];

და მკნედ მბრძოლად გამოჩნდეს ოთხნი იგი წარჩინებულნი ვახტანგისნი და *ლელონ ბერძენი* [14, 188...];

კუალად მეორედ მოვიდა იგივე *ხალილ არაბი* [16, 254];

გამოვიდა ესე *თარკან ხაზარი* [14, 152].

### § 4. მამისახელობა ორწევრიან ანთროპონიმულ ფორმულაში

პრივილეგირებულ წოდებას, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, საქართველოში ძველთაგანვე ჰქონდა გვარსახელი, მაგრამ პირის დამატებითი სახელდება მამის სახელის მიხედვითაც აღინიშნებოდა. როგორც ცნობილია, მოგვიანებით მამისახელობის აღმნიშვნელი კომპონენტები გვარსახელად იქცა (თავდაპირველად პრივილეგირებულ წოდებაში). მამისახელობა ქართულ სინამდვილეში, ჩვეულებრივ, მოსდევდა პირის სახელს და მასთან ერთად იხმარებოდა, თუმცა ჩვენ მიერ განსახილველ საისტორიო წყაროებში გამონაკლისი შემთხვევებიც დავადასტურეთ, როდესაც მამისახელობა უსწრებს პირის სახელს:

ა) მამის სახელი მოსდევს პირის სახელს:

და მოვიდა *აბუ-საჯის ძე* ტფილისს [16, 263];

არავინ დარჩა სარკინოზი თვნიერ *ალი შუბის ძისა* [16, 252];

ლოწობანნი ჰქონდეს *ივანე არშის ძესა* [16, 268];

ერისთავი ქართლისა *ივანე მარუშის ძე* [16, 272];

დაჩი, ძე *იოვანე ქუაბულის ძისა* [16, 254];

და დაადგინა *ისე შიხის ძე* [16, 257];

დაჯდა ამირად ტფილისს *საპაკ ისმაელის ძე* [16, 255];

შემდგომად ამისა მოვიდა *ხალილ იზიდის ძე* [16, 253];

და ციხე მარანისა ჰქონდა მაშინ *ხახუასა, არშის ძესავე* [16, 268];

და ამირობდა *ჰუმედ, ხალილის ძე* [16, 257].

ბ) მამის სახელი უსწრებს პირის სახელს:

დაუტევა ერისთავად *ჩიხას ძე დემეტრესი* [16, 258];

და მოვიდა კუალად ამირად *ხალილის ძე ჰუმედ* [16, 257].

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მამისახელობითი ფორმები, როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდანაც ჩანს, მხოლოდ ერთ საისტორიო წყაროში (“მატიანე ქართლისა”, VIII-X სს.) შეგვხვდა. აგიოგრაფიულ ძეგლებში მსგავსი შემთხვევები არ დასტურდება.

## § 5. ეპითეტი ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრად

საისტორიო წყაროებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრად საზოგადო სახელი იჩენს თავს. ამათგან ზოგიერთი გამჭვირვალეა, ზოგი კი ხალხის ფანტაზიის ნაყოფი (სხვადასხვა ნიშნის მიხედვით შერქმეული):

...ძმისწული *ადარნასე ბრმისა* [14, 243];

მაშინ ვახტანგ მეფე... თანა ჰყვებოდეს... *არტავაზ ძუძუმტე* [14, 156];

გარდაიცვალა *აშოტ კეკელა* [16, 259];

დაუტევა ძენი ორნი: *ბაგრატ რეგუენი...* [16, 266];

მაშინ გამოჩნდა სპარსეთს კაცი ერთი, რომელსა ერქუა *ბარამ ჩუბინი* [16, 220];

და მეფობდა აფხაზეთს *თეოდოსი მწუხარე* [16, 275];

...რომელსა ერქუა *მურვან ერუ* [14, 219];

...მეფე *სუმბატ ტიეზერაკალი* [16, 262];

რომელსა ერქუა *ქასრე ამბარევი* [14, 217];

...გარდაიცვალა *აშოტ კუხი* [16, 260].

საისტორიო წყაროებში დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც ეპითეტის სახელდების მიზეზი თხზულებაშივე არის ახსნილი:

„ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკან ლომი; და რომელსა კერძოსა იძლეოდიან ქართველნი, მუნიოცა მიმართის და მოს-



რის სპისა მისგან სპარსთასა, ვითარცა ლომმან კანჯარნი. მიერთგან ვერღარა შეუძლებდეს სპარსნი წყობად მისა, რამეთუ დაისწავლეს იგი, რომელსა ეწერა მგელი და ლომი, და ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქვან: „ღურ აზ გორგასად“, რომელ არს ესე „მირიდეთ თავსა მგლისასა“. და მის მიერ სახელ-ედვა ვახტანგ მეფესა *გორგასად*“ [14, 180].

## § 6. ტიტულისა და სასულიერო წოდების გამომხატველი ტერმინები ანთროპონიმულ ფორმულაში

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია: „ტიტული ანთროპონიმის თანმხლებ ტერმინთაგანია. იგი შედის ანთროპონიმულ ფორმულაში. მიმართვისას დამოუკიდებლადაც იხმარებოდა“ (238, 108-109).

საისტორიო წყაროებში უხვად გვხვდება მემკვიდრეობითი, საგვარეულო ან ბოძებული ოფიციალური საპატიო წოდებისა და სასულიერო ხასიათის გამომხატველი სიტყვები ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრად.

### I. საერო წოდების გამომხატველი სიტყვები ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრად:

#### მეფე

ა) *პოსტპოზიციური წყობა*:

ერეკლე მეფე [14, 227];

ივბიმიანოს მეფე [14, 149];

კოსტანტი მეფე [16, 264];

მირიან მეფე [14, 159];

ფარსმან მეფე [14, 207].

ბ) *პრეპოზიციური წყობა*

მეფე ვახტანგ [14, 147];

მეფე მირდატ [14, 139...].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საისტორიო წყაროებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მეფის განსაკუთრებული თვისების აღსანიშნავად ავტორი ხმარობს ეპითეტს „ღმრთივ-განბრძობილი“:

მირიან ღმრთივ – განბრძობილი [14, 236];

ვახტანგ ღმრთივ – განბრძობილი [14, 236].

#### დედოფალი

დინარ დედოფალი [16, 266...];

საგდუხტ დედოფალი [14, 144].

### **შაჰანი**

გაგიკ შაჰანი [16, 279].

### **ხაკანი**

ბლუჩან ხაკანი [16, 250].

### **კეისარი**

მავრიკ კეისარი [14, 221].

### **კურაპალატი**

ადარნასე კურაპალატი [16, 266];

აშოტ კურაპალატი [16, 252...];

ბაგრატ კურაპალატი [16, 255];

გუარამ კურაპალატი [16, 241];

გურგენ კურაპალატი [16, 259];

დავით კურაპალატი [16, 259].

### **ამირა**

ამირა სააკ [16, 256].

### **ერისთავი**

გურგენ ერისთავი [16, 260];

დავით ერისთავი [16, 266];

ლეონ ერისთავი [16, 251];

რატი ერისთავი [14, 276].

### **ერისთავთ-ერისთავი**

გურგენ ერისთავთ-ერისთავი [16, 260];

დავით ერისთავთ-ერისთავი [16, 260];

სუმბატ ერისთავთ-ერისთავი [16, 259].

### **მამფალი**

გუარამ მამფალი [16, 258];

დავით მამფალი [16, 259].

### **სპასპეტი**

ჯუანშერ სპასპეტი [14, 147...];

საურმაგ სპასპეტი [14, 143...].

### **პატრიკი**

ადერკი პატრიკი [16, 264].

### **ანთიპატი**

ლეონ ანთიპატი [14, 183].

### **დიდი**

ა) *პოსტპოზიციური წყობა:*

აშოტ დიდი [16, 259];

ლეონ დიდი [14, 157].

ბ) *პრეპოზიციური წყობა:*

დიდი თრდატ [14, 159].

### **დიდებული**

ბუბაქრ დიდებული [14, 209].

### **ორმაგი ტიტული**

ბაგრატ მაგისტროსი კურაპალატი [16, 266];

დავით დიდი კურაპალატი [16, 266];

სუმბატ მეფე კურაპალატი [16, 266].

### **ტიტული + დინასტია**

ივანე მთავარი შავლიანი [16, 258].

## **II. სასულიერო წოდებისა და რელიგიის წინაშე დიდი დამსახურების გამომსატველი სიტყვები ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრად:**

ა) *პოსტპოზიციური წყობა:*

### **კათალიკოს-პატრიარქი**

მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქი [16, 282].

### **კათალიკოსი**

ბართლომე კათალიკოსი [14, 196];

სუმონ კათალიკოსი [14, 217].

### **ეპისკოპოსი**

დამიანოს ეპისკოპოსი [14, 215];

მიქაელ ეპისკოპოსი [14, 145];

მობიდან ეპისკოპოსი [14, 145];

სამოელ ეპისკოპოსი [14, 196];

### **ქორეპისკოპოსი**

კვრიკე ქორეპისკოპოსი [16, 262];

ფადლა ქორეპისკოპოსი [16, 262].

**ღმრთისმეტყველი**

გრიგოლ ღმრთისმეტყველი [14, 163].

**ხუცესი**

გრიგოლ ხუცესი [14, 232].

**მღვდელი**

პეტრე მღვდელი [14, 162].

**დიაკონი**

ელია დიაკონი [14, 208];

იოანე დიაკონი [14, 232].

**მღვდელმოწამე**

ანასტასი მღვდელმოწამე [14, 226].

**წმიდა**

რაუდენ წმიდა [14, 201].

**მონაზონი**

სამოელ მონაზონი [14, 197].

ბ) *პრეპოზიციური წყობა:*

**კათალიკოსი**

კათალიკოსი მაკარი [14, 215];

კათალიკოსი სუმონ [16, 282].

**ეპისკოპოსი**

ეპისკოპოსი მიქაელ [14, 142].

**პირველმოწამე**

პირველმოწამე ანდრია [14, 224];

პირველმოწამე სტეფანე [14, 229].

**დიდი**

დიდი ბასილი [14, 209].

**მოძღვარი**

მოძღვარი გრიგოლ [14, 160].

ზოგიერთ შემთხვევაში ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრის ადგილი განსაზღვრულია და, ბუნებრივად, პირის სახელს წინ ერთვის:

**მამა**

მამა ანტონი [14, 212].

## წმიდა

წმიდა გობრონ [16, 264]

## ღირსი

ღირსი დოდო [14, 210];

ღირსი შიო [14, 210].

გვხვდება შემთხვევები, როდესაც სასულიერო წოდების პერსონაჟების ღვაწლის გამოსახატავად ორმაგი წოდება იხმარება:

მაგ.: დიდი მოძღვარი გრიგოლ [14, 160].

## § 7. წარმომავლობისა და ტიტულის გამომხატველი სიტყვები სამწვერიან ანთროპონიმულ ფორმულაში

საქართველოში დღევანდელი გაგებით სამწვერიანი ანთროპონიმული ფორმულა გულისხმობს პირსახელს, მამის სახელსა და გვარს, მაგრამ რას წარმოადგენს საისტორიო წყაროებში დაფიქსირებული ორი სიტყვა, რომელიც პირსახელის შემდეგ აღინიშნება? ერთ კომპონენტს წარმოადგენს იგი თუ ორს? ჩვენი აზრით, შესაძლებელია ამდგომარ ვითარებაში ითქვას, რომ საქმე გვაქვს სამწვერიან ანთროპონიმულ ფორმულასთან.

საისტორიო წყაროებში აღვნიშნეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც სამწვერიანი ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრში მითითებულია წარმომავლობა და შემდეგ საერო ან სასულიერო წოდება. გვაქვს პირიქითაც: მეორე წევრად ჯერ წოდების აღმნიშვნელი ტერმინია წარმოდგენილი, - შემდეგ წარმომავლობა. მაგ.:

სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსი [14, 264];

ივანე გუთელ ეპისკოპოსი [14, 227];

სუმბატ მამფალ არტანუჯელი [16, 259];

ბაგრატ მამფალ არტანუჯელი [16, 260].

## § 8. ორგვარი და ცალმხრივი ანთროპონიმული ფორმულის კომპონენტები საისტორიო წყაროებში

ა) ორგვარი კომპონენტების ნიმუშები:

ხოლო ვითარცა აღესრულნეს წმიდა მოწამე, მოვიდეს ღამესა მას *გოდერძიანნი ტბელნი* [15, 248].

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია: „უეჭველია, რომ გვარი „ტბელი“ მიღებულია ადრინდელი გვარიდან – „გოდერძიანნი“ და, როგორც ჩანს, დროის გარ-

კვეულ მონაკვეთში ისინი ორი გვარსახელით (**„გოდერძიანი – ტბელი“**) მოიხსენიებიან (70, 39).

და თანა ჰყვებოდეს მას ორნი მხედარნი: ...*ბივრიტიანი სეფეწული* [14, 156].

რ. თოფჩიშვილი თავის ნაშრომში „ბივრიტიანს“ გვარსახელად მიიხნევს (70, 30-31).

სამცხის ერისთავის, ბაგრატიონთა გვარის „ბივრიტიანის“ შესახებ, რომელსაც „ბივრიტიანი სეფეწული“ ეწოდება, პ. ინგოროყვა ამბობს: „ძველ საქართველოში „სეფეწული“ ეწოდებოდა სამეფო გვარეულობის შთამომავალს; „ბივრიტიანი სეფეწული“ აქ ფარნავაზიანთა სამეფო გვარის შთამომავლად არის წარმოდგენილი“ (76, 79).

ბ) ცალმხრივი კომპონენტი:

... მოვიდეს ღამესა მას... სსუანიცა აზნაურნი *მამეანნი* [15, 248].

სპეციალურ ლიტერატურაში „**მამეანნი**“ გვარსახელად არის მიხნეული (70, 39).

## ნაწილი II გეოგრაფიული სახელები

### თავი I

#### აგიოგრაფიული ძეგლების ტოპონიმის ძირითადი საკითხები

##### § 1. ტოპონიმები და მათი მნიშვნელობა

ტოპონიმი დიდი თუ მცირე გეოგრაფიული (ბუნებრივი და ანთროპოგენური) ობიექტის სახელწოდებაა, ხოლო ტოპონიმია მათს ერთობლიობას გულისხმობს.

გარესამყაროს ობიექტებისათვის სახელის დარქმევა ადამიანს აზროვნებისა და მეტყველების განვითარების კვალდაკვალ დასჭირდა. თავდაპირველად საგნის აღმნიშვნელი საზოგადო სახელი საკუთარი სახელის ფუნქციასაც ასრულებდა. განვითარების შემდგომ საფეხურზე დაიწყო საზოგადო და საკუთარი სახელების გამოჯვნა. ამ დროიდან დაწყებული „საკუთარი და საზოგადო სახელები ენის ევოლუციასთან ერთად ამუღავენებს სხვადასხვა კანონზომიერებას, რომელთა გამოვლენა მხოლოდ დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე ხდება შესაძლებელი“ (305, 31).

ტოპონიმები, ისევე როგორც ანთროპონიმები, ენის ლექსიკური ფონდის უპირფასესი ნაწილია. გეოგრაფიული სახელწოდებები ბევრი რამით მოგვაგონებენ ადამიანთა საკუთარ სახელებს. ალბათ, არ არსებობს ისეთი ობიექტი, რომლის სახელწოდებაშიც ჩაქსოვილი არ იყოს მისი ფიზიკური ნიშან-თვისების გამომხატველი თავისებურება. „აქაც, ადამიანთა სახელ-გვარების მსგავსად, დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც საკუთარი ენობრივი საშუალებით „ნასაზრდოები“ და წარმოქმნილი მასალა, ისე უცხოენობრივი დანაშრეგები“ (22, 5-6).

შორეულ წარსულში გეოგრაფიული ობიექტების უდიდეს ნაწილს საკუთარი სახელები არ ჰქონდათ. ადამიანები სახელს სდებდნენ მხოლოდ იმ ბუნებრივ წარმონაქმნებს, რომლებიც მათ ყოველდღიურ საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ (ობიექტები თავდაპირველად აღინიშნებოდა საზოგადო სახელებით). როგორც მეცნიერები ფიქრობენ, სახელი ამა თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს სტიქიურად, პირველად მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით შერქმევიან. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა და მდიდრდებოდა ენა, ამასთანავე იცვლებოდა ტოპონიმებიც.

ტოპონიმების შემსწავლელ მეცნიერებას – ტოპონიმიკას – გამოჩენილმა რუსმა მკვლევარმა აკად. ნ. ნადეჟდინმა კაცობრიობის ისტორიის შემსწავლელი წყარო უწოდა. „ტოპონიმია, – წერდა ნადეჟდინი, – დედამიწის ენაა, დედამიწა კი არის წიგნი, რომელშიც კაცობრიობის ისტორია იწერება გეოგრაფიული ნომენკლატურის სახით“ (299, 22).

ჩვენში ძნელად იპოვება მცირე ადგილიც კი, რომელსაც თავისი სახელი არ ჰქონდეს. მრავალნაირ სახელს ატარებენ დაბა-ქალაქები, სოფლები, ჭალები, ბაღ-გენახები, საყანავები, მთა-გორაკები, წყლები, სათიბ-სადოვრები, ნამოსახლარები და ზოგჯერ ცალკეული ხეები, კლდეები და ლოდებიც კი. ტოპონიმები, როგორც „მიწის პასპორტები“, ბევრ საჭირო და საინტერესო ცნობას გვაწვდიან ისტორიულ, გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, კულტურულ და სხვ. მდგომარეობაზე. სწორედ ამიტომ ონომასტიკური მონაცემები ფასეული წყაროა ქვეყნისა და ენის ისტორიისათვის, დიალექტოლოგიის, გეოგრაფია-გეოლოგიისა თუ ეთნოგრაფია-არქეოლოგიისათვის. ტოპონიმების შესწავლას თეორიულთან ერთად ღრმა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ტოპონიმი ლექსიკურად ენის ერთეულია, გრამატიკულად საკუთარი სახელი. ქართულ ტოპონიმიაში სტრუქტურულ-ენობრივი თვალსაზრისით გამოიყოფა სამი ჯგუფი: მარტივი, წარმოქმნილი, ანუ აფიქსებით ნაწარმოები (პრეფიქსული, სუფიქსური, პრეფიქს-სუფიქსური) და თხზული.

### მარტივფუძიანი ტოპონიმები

ტოპონიმი, ისე როგორც ნებისმიერი საზოგადო თუ საკუთარი სახელი, შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი ან ხმოვანფუძიანი.

#### ა) თანხმოვანფუძიანები:

*ანჩი*: მძლავრებით დაიპყრა *ანჩი* [12, 305];

*არაგვი*: წიად-ველო მდინარე *არაგვი* [8, 201];

*ბაბგენი*: რომელსა *ბაბგენ* უწოდიან [13, 330];

*დივრი*: ...რომელსა ჰრქვან *დივრი* [7, 188];

*მტკვარი*: ...ესე არს სახელით *მტკვარი* [3, 73];

*ნეძვი*: ...*ნეძვისა* მაშენებელი და მამაჲ [12, 252];

*რევი*: ...რომელსა ჰრქვან *რევი* [11, 244];

*ურდი*: ...რომელი *ურდს* დამარხულ არს [1, 24];

*ქართლი*: *ქართლად* ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების [12, 290];

*შატბერდი*: ხოლო *შატბერდი*... მცირედ შორავს [12, 313];



*ჩორი*: პიტიახში ჩორდ წარემართა [1, 22];  
*ჯმერკი*: და მოიწინეს ჯმერკს [12, 275].  
**ბ) ხმოვანფუძიანები**:  
*-ა*: *ანჭკორა*: იყო ვინმე კაცი მდიდარი *ანჭკორას* [12, 317];  
*აფსარეა*: საყოფელი იგი *აფსარეადსად* [3, 59];  
*აჭარა*: *აჭარას* ...შემწყუდეულ იყვნეს [5, 177];  
*ბობლა/ბობხა*: დაბისაგან *ბობლა* წოდებულისა [13, 346];  
...ადგილსა მას *ბობხა* წოდებულსა [13, 346];  
*კოლა*: ჳევსა, რომელსა ჰრქვან *კოლაჲ* [6, 183];  
*ნაფსა*: *ნაფსადს* ნავთსადგური [3, 59];  
*ოპიზა*: იყვნეს *ოპიზას* ძმანი მცირედნი [12, 252];  
*უმწა*: ხოლო არს სახელი ადგილისა მის *უმწად* [13, 335];  
*-ე*: *გუნათლე*: ...ადგილი... *გუნათლეს* მახლობლად [12, 260];  
*მერე*: ...დაემკვდრა *მერეს* შინა [12, 261];  
*უბეჭ*: და უწოდა სახელი მისი *უბეჭ* [12, 268];  
*ძინძე*: მივიდეს *ძინძედ* სახელ-დებულსა [13, 323];  
*-ო*: *იალდო*: ...რომელსა ჰრქვან *იალდო* [11, 243];  
*მიძნადორო*: ...მოილოცნეს *მიძნადოროჲ* [12, 276];  
*ტაო*: ...მოიწინეს *ტაოს* [12, 264];  
*ღადო*: ...*ღადოთა* მათა შინა... [12, 260].

## 1. 2. აფიქსური წარმოების ტოპონიმები

აგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება ტოპონიმთა სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. სუფიქსთაგან გამოყენებულია: **-ეთ**, **-ით**, **-ათ**, **-თა**, **-ის**; ჩვენი ვარაუდით, შეიძლება გამოიყოს აგრეთვე: **-აფ**, **-ურ**, **-ან**, **-იან**; აგრეთვე **-მა** და **-ნ** სუფიქსები; პრეფიქს-სუფიქსთაგან კი: **სა-ე**, **სა-ო** და **სა-ელ**.

**-ეთ** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმების ამოსავალი ფუძეები ძირითადად ეთ-ნონიმებია.

*ა) სუფიქსური წარმოების ტოპონიმები*:  
*-ეთ*: *აფხაზ-ეთ-ი*: მიიწინეს... ქუეყანად *აფხაზეთისა* [3, 59];  
*ერუშ-ეთ-ი*: *ერუშელმან* ეპისკოპოსმან...ჰრქუა [18, 287];  
*კახ-ეთ-ი*: და წარავლინა რომელნიმე *კახეთად*... [8, 207];  
*კლარჯ-ეთ-ი*: *კლარჯეთისა* დიდებულთა უდაბნოთა [18, 249];

- კუხ-ეთ-ი*: და წარავლინა ...*კუხეთად* [8, 207];  
*ოვს-ეთ-ი*: განვლო ...*კარი ოვსეთისაჲ* [3, 58];  
*შავშ-ეთ-ი*: ...*იქმნა შავშეთი* ბაკ მკვეც-შეუვალ [5, 177];  
*ჯავახ-ეთ-ი*: ყოველნი შემოკრბეს *ჯავახეთს* [12, 287];  
*ჭერ-ეთ-ი*: მიეწია საზღვარსა *ჭერეთისათა* [1, 22].  
*-ით: სომხ-ით-ი*: რომელნი..... მიეყვანეს *სომხითით* [4, 169].  
*-ათ: ფერს-ათ-ი*: მიიწია მოციქული... *ფერსათს* [12, 298].

ტოპონიმთა მაწარმოებლად აგიოგრაფიულ ძეგლებში დასტურდება მრავლობითი რიცხვის ამჟამად გაგრძელებული ერთ-ერთი ფორმანტი **-თა**.

- თა: ბაკ-თა*: ...*ბაკთა* ეწოდების [13, 329];  
*ბერ-თა*: იყვნეს ვინმე *ბერთას* [12, 285];  
*პარეხ-თა*: ...*დაემკვდრა პარეხთა* [12, 280];  
*ქორ-თა*: ...*წარვიდა ქორთას* [12, 307];  
*ხანც-თა*: *ხანცთად* იქმნა სახელოვან ... [12, 280];  
*ხორახუნ-თა*: ზაფხულისა ჟამსა ...*ხორახუნთა* გარდამოვიდოდა [12,291].

**-ის**: გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად იხმარება **-ის** სუფიქსი, რომელიც წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს წარმოადგენს:

- გოდერძ-ის-ა*: რომელსა *გოდერძისა* ეწოდების [13, 329];  
*იულთ-ის-ა*: ქუაბი *იულთისაჲ* [9, 229];  
*უტყვ-ის-ა*: რომელ არს *უტყვსა* [13, 323];  
*სამთავ-ის-ი*: ხოლო ეზდერიოს ჭაღლაკსა *სამთავისისა* [8, 107];  
*ტფილ-ის-ი*: ...*წარუძღუანო ეგე ტფილისს* [2, 32];  
*-ავ: ცურტ-ავ-ი*: ...*ჰრქვან ცურტავ* [1, 12];  
*-ურ: აწყურ-ი*: ...*აწყურისა* ეპისკოპოსი [12, 267];  
*-ან: ქს-ან-ი*: მიჰმართა... *მდინარე ქსნად* [9, 224];  
*ჩორჩ-ან-ი*: რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს *სანახებსა ჩორჩანისასა...* [13, 324].  
*-იან: არს-იან-ი*: ...*მთად არსიან* წოდებული [13, 338].  
*-მა: ზარზ-მა*: რამეთუ ეწოდა *ზარზმა...* [13, 333].

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვეყრდნობით (ივ. ჯავახიშვილი, 1950); არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც (გ. ბედოშვილი, 2002).

ქართულში მოიპოვება გეოგრაფიული ობიექტების სახელები, რომელთაც საფუძვლად უძეკეთ ამა თუ იმ საგნის სახელი და ისინი ხშირად მრავლობითის ფორმით არიან წარმოდგენილი. აღნიშნული ტიპის სახელებს განეკუთვნება:

-ნ: *ტადარ-ნი*: სოფელსა, რომელსა ჰრქჳან *ტადარნი* [7, 191].

ბ) *პრეფიქს-სუფიქსური წარმოების ტოპონიმები*:

სა-ე: *სა-თაჯუ-ე*: ...რომელსა ეწოდების *სათაჯუე* [13, 329].

სა-ო: *სა-ძმ-ო*: რომელსა *საძმო* ეწოდებოდა [13, 328];

*სა-დილეგ-ო*: ...რომელსა ჰრქჳან *სადილეგო* [3, 73].

სა-ელ:*სა-გოდებ-ელ-ი*: ...რომელსა *საგოდებელ* ეწოდების [3, 73].

### 1. 3. თხზული ტოპონიმები

ტოპონიმების ერთ ნაწილს ახასიათებს თხზული (კომპოზიციური) წარმოება. თხზვა გულისხმობს ახალი სახელის წარმოშობას ფუძის გაორკეცვით ან ორი და მეტი სიტყვის შეერთებით. თხზულ სახელებს სხვანაირად რთულსაც უწოდებენ.

აგიოგრაფიული ძეგლებისათვის ძირითადად ორწევრიანი ტოპონიმებია დამახასიათებელი. პირველ კომპონენტს, მსაზღვრელს, წარმოადგენს არსებითი სახელი და ზმნიზედა, მეორე კომპონენტად, საზღვრულად, დასტურდება ყოველგვარი გეოგრაფიული ტერმინი, ანუ ინდიკატორი. ასეთ ინდიკატორებად გვხვდება არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, სახელზმნა, ზოგჯერ ეპითეტებიც. თხზულ ტოპონიმთა პირველი ნაწილი, მსაზღვრელი, სახელობით ან ნათესაობით ბრუნვაშია; მეორე ნაწილი, საზღვრული, ან სახელობით ბრუნვაშია, ან ფუძის სახითაა მოცემული. საკვლევე ძეგლებში წარმოდგენილი თხზული ტოპონიმები ადგილისა და რაობის მიხედვით შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

ა) არსებითი + არსებითი:

*ბერას ჯუარ*: რომელსა *ბერას ჯუარ* ეწოდების [13, 323];

*გუნათლის ვანი*: რომელსა აწ ჰრქჳნ *გუნათლის ვანი* [12, 260];

*დოლის ყანა*: ...*დოლის ყანად* მონასტრად... იქმნა [12, 275];

*თევდორწს ვანი*: და უწოდეს *თევდორწს ვანსა*... [12, 279];

*ყველის ციხე*: ...გამოიყვანნეს *ყველის ციხით* [5, 180];

*ძარღუას სოფელ*: ...რომელსა *ძარღუას სოფელ* ეწოდების [13, 343];

*წყაროს თავი*: მოილოცნეს *წყაროს თავი* [12, 276];

*წყაროსთავი*: მაშენებელი *წყაროსთავისა* [12, 275];

*შეშის თავი*: ამისთვის *შეშის-თავ* ეწოდების [13, 330];

*თავი შეშათა*: ...რომელსა ჰრქჳან *თავი შეშათა* [13, 330];

*რუისთავი*: ...ადგილთაგან *რუისთავისათა* [10, 234].

ამათგან *თავი* მეტაფორული ინდიკატორია (გადატანით აღნიშნავს ზემო ნაწილს).

ბ) არსებითი + ზედსართავი სახელი:

*იოვანე-წმიდა*: ...*იოვანე-წმიდა* ეწოდების ადგილსა მას [13, 339];

*კურიკე-წმიდა*: ...*აღაშენებდა ...კურიკე-წმიდისასა* [12, 279].

გ) ზმნიზედა + საკუთარი არსებითი სახელი:

*ზედაზადენი*: რომელსა ჰრქვან *ზედაზადენ* [8, 201].

დ) ზმნიზედა + სახელზმნა:

*გარესჯა*: ამისთვის ეწოდების უდაბნოსა მას *გარესჯად* [10, 229].

როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან ვნახეთ, აგიოგრაფიული ძეგლების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთსა და იმავე გეოგრაფიული ობიექტების სახელებს ვარიანტული ფორმებით აღნიშნავენ (ბობხა//ბობლა, კურიკეთი//კურიკე წმიდა, შეშისთავი//თავი შეშათაჲ, წყაროს თავი//წყაროსთავი), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტოპონიმების დაწერილობა ძველ საქართველოში ნორმად არ იყო მიღებული.

## § 2. აგიოგრაფიული ძეგლების ტოპონიმთა სტრუქტურის, სემანტიკისა და ლექსიკის საკითხები

ტოპონიმი მრავალპლანიანია. მას შეისწავლის (სხვადასხვა კუთხით) ენათმეცნიერებაც, ისტორიაც, ეთნოგრაფიაც, გეოგრაფიაც... დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ტოპონიმთა ენათმეცნიერული კვლევის ორი ასპექტი: ა) სისტემური და სტრუქტურული დახასიათება; ბ) წარმომავლობის ამოხსნა და, სადაც ეს საჭიროა და შესაძლებელი, შემდგომი ფორმობრივი თუ ფუნქციური ცვლილებების დადგენა. დიდი ხნის მანძილზე ტოპონიმთა კვლევის ძირითადი მიზანი იყო სწორედ და მხოლოდ და მხოლოდ ეტიმონის ძიება. მაგრამ მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ცხადი გახდა, რომ მეთოდოლოგიურად უფრო მიზანშეწონილია საკუთრივ ტოპონიმიურ წარმოებაზე ყურადღების გადატანა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ტოპონიმის მკვლევარმა „უპირველესად ამა თუ იმ ადგილის მდებარეობისა და თვისების დამახასიათებელი გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს და ჩაუკვირდეს სხვა იქაურ მსგავსივე გეოგრაფიული სახელების აგებულებასა და მნიშვნელობას“ (272, 109).

ქართველური ტოპონიმიკური სისტემა ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, უძველეს ფენას ქმნის **-თ(თა)**, **-ის** (მეგრულში **-იში**), **-ევ** ბოლოკიდურიანი ტოპონიმები (240, 10). როგორც სამეცნიერო ლიტერა-

ტურაში შენიშნავენ, ეს **-ევ** რომელიდაც კილოში გამოხატავდა მრავლობით რიცხვს (ფუნქციურად უდრიდა ამაჟამინდელ **-ებ-ს**) და შემოგვრჩა მხოლოდ გეოგრაფიულ სახელებში. **-თ** თანხმონის შემცველი სუფიქსების (**-ათ, -ეთ, -ით, -ოთ, -უთ**) ფუნქცია მრავლობითობის, კრებითობის გამოხატვა უნდა ყოფილიყო. **-თა** და **-ის** დაბოლოებიანი ტოპონიმების ძირითადი ნაწილი ნანათესაობითარი (საზღვრულდაკარგული) სახელებია.

მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ჩანს, მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაქსური კონსტრუქციის გამარტივება ერთ-ერთი კომპონენტის მოკვეცის (ელიპტირების) გზით და დარჩენილი კომპონენტის ტოპონიმიზაცია, როგორც ერთსიტყვიან ტოპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი გზა, ათასწლეულების მანძილზე მოქმედებდა. ამ პროცესისათვის თვალის გადაეგნება შესაძლებელია ძველი ქართული მწერლობის ძეგლებზე დაკვირვებით. „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ (X ს.) ავტორი ერთგან წერს: „ჟამსა ხანცთას ეტვფანეს მამობისასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას და სახელი მისი **წერტა**. და აწ რომელ **წერტაძსნი** ჰრქჳან, თხათა მისთა სადგური ყოფილ არს“ [12, 317]. აქ სადგური სადგომს ნიშნავს. აშკარაა **წერტაძსნი** წარმოქმნილია საზღვრული სიტყვის ელიპტირების გზით: **ადგილნი წერტაძსნი → წერტაძსნი**.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ (X ს.) ერთ მონაკვეთში აღწერილია სერაპიონისა და ძმათა მისთა მიერ სამცხეში მონასტრის ასაშენებელი ადგილის ძიების ამბავი. ავტორი, ბასილი ზარზმელი, ასახელებს იმ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელებს, რომელთაც გზადაგზა ხედებოდნენ ხოლმე. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ეპიზოდები, რომლებშიც ახსნილია ტოპონიმთა წარმომავლობა. მწერლისეული ეტიმოლოგიების ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური საბუთიანობა ყველა შემთხვევაში მეცნიერულია, მოტივაცია დამაჯერებელია. ეპიზოდი პირველი: სერაპიონი იკითხავს: „რად ეწოდების ადგილსა ამას?“ მასპინძელი (სახელად ია) უპასუხებ: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათად და **ბაკთა** ეწოდების“ [13, 329]. ტოპონიმი წარმოქმნილია საზღვრული კომპონენტის დაკარგვით: **ბაკთა ← ადგილი ბაკთა** (ბაკი საჩეხია, 194, ტ. 2, გვ. 873). ეპიზოდი მეორე: სამონასტრე ადგილის მაძიებელნი მიეახლნენ ტბას. ია განმარტავს: „ესე არს ტბად მღვრიე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების **სათაჯუე**. და არს ამას შინა სიმრავლე თაჯვთა“ [13, 329]. აქ ტოპონიმი (ჰიდრონიმი) მოტივირებულია ფუძისეული ლექსებითა და დანიშნულების აფიქსებით. **სათაჯუე** წარმოქმნილი სახელწოდებაა. ეპიზოდი მესამე: სერაპიონი დაინტერესდება მითთ, რომელიც მის წინ აღიმართა. მასპინძელი განმარტავს: „მთად ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთად, რომელსა ჰრქჳან **თავი შეშათად**: რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მაღნართად, ამისთვის **შეშის-თავ**

ეწოდების“ [13, 330]. შეშისთავი ტყის თავს ნიშნავს. სახელდებისათვის გამოყენებულია სიტყვათშეერთების მეთოდი. ასევე საყურადღებოა ტოპონიმი *ზარზმის* მწერლისეული ეტიმოლოგია: „...რამეთუ ეწოდა *ზარზმა* ერთა მათგან, რომელნი ზარითა და შიშითა მიუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“ [13, 336]. *ზარზმა* მიღებულია: *ზარის ჟამს//ზარ-ჟამს* → *ზარზმა* (22, 159). მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ტოპონიმი ორფუძიანია: *ზარ-ზმა*. ამ უკანასკნელ სიტყვა *ზმას* „*ჟამას*“ ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმად თვლის. თუმცა არსებობს სხვაგვარი ახსნაც. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულ ტოპონიმს *-მა* სართიანი ტოპონიმების რიგში განიხილავს (272, 134).

ასევე „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ (X ს. I ნახ.) ვკითხულობთ: „ხოლო ესე წმიდა მამად ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა... ამისთვისცა აღირჩია აქა სჯად გარედან უდაბნოთა შინა. ამისთვის ეწოდების უდაბნოსა მას *გარესჯად*“ [10, 229]. თუ მწერლის ინტერპრეტაციას გავითვალისწინებთ, ტოპონიმი *გარეჯა* მიღებულია ორი კომპონენტისაგან, ადგილის ზმნიზედისა და სახელზმნისაგან: *გარეთ სჯა* → *გარეჯა*, პირველი წევრის ბოლოკიდური და მეორე წევრის თავკიდური თანხმოვნების მოკვეცის გზით.

ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე ცხადად ჩანს, რომ ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობის უძველეს ძეგლებშივე არის მსჯელობა ტოპონიმთა წარმოშობის გზებსა და საშუალებებზე. გაანალიზებულ ეპიზოდებში გამოკვეთილია ტოპონიმიკური სიტყვაწარმოების ძირითადი პრინციპი – სახელწოდების შინაარსი შეესაბამება სახელდებულ ობიექტს. ეს მიიღწევა რამდენიმე საშუალებით:

1. ელიპტირებით (მოკვეცილია საზღვრული ან მსაზღვრელი კომპონენტი: *წერტადსნი* ← *ადგილნი წერტადსნი, ბაკთა* ← *ადგილი ბაკთა*);
2. წარმოქმნით (*სათახვე* – სტრუქტურული თვალსაზრისით დერივაციული ფორმა);
3. სიტყვათშეერთებით (*შეშისთავი, ზარზმა, გარეჯა* შედგენილობით რთული ორკომპონენტიანი ერთეულებია).

ტოპონიმის მკვლევარნი აღიარებენ ტოპონიმთა წარმოქმნის ორ ძირითად გზას: ა) აპელატივის (საზოგადო სახელის) ტოპონიმიზაცია დერივაციის გარეშე (რასაც სემანტიკური სიტყვათწარმოება ეწოდება: იცვლება ლექსემის სტატუსი, ხოლო ფორმა უცვლელი რჩება) ან დერივაციის საშუალებით; ბ) საკუთარი სახელის ტრანსონიმიზაცია, რაც გულისხმობს როგორც საკუთარი სახელის გადასვლას ერთი ონიმური კლასიდან მეორეში (მაგალითად: ანთროპონიმი → ტოპონიმი), ისე ტრანსტოპონიმიზაციას, ტრანსჰიდრონიმიზაციას, ტრანსოიკონიმიზაციას და ა.შ. პირველი (ტოპონიმიზაციის) მეთოდით წარმოქმნილ ტოპონიმებს უწოდებენ პირველად ტოპონიმებს, ხოლო მეორე (ტრანსონიმიზაციის) მეთოდით წარმოქმნილებს – მეორეულ ტოპონიმებს.

### § 3. გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობის საკითხები აგიოგრაფი მწერლების შემოქმედებაში

აღამიანებს გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობის საკითხები უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ. ამ თვალსაზრისით საკმარისია გავიხსენოთ ძველი ბერძენი და რომაელი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების (ჰეროდოტე, სტრაბონი, ტაციტე...) ნაშრომები, რომლებშიც მათ მიერ არაერთი ტოპონიმი არის საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე განმარტებული. ამ მხრივ მათ არც ქართველი აგიოგრაფი მწერლები ჩამორჩებოდნენ. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ იოვანე საბანისძის „წმ. აბო ტფილელის მარტვილობაზე“. ძეგლში ნათლად ჩანს ავტორის მაღალი ლინგვისტური აზროვნება. იოვანე საბანისძე აქ ჩვენ გვაწვდის არა მარტო ისტორიულ თვალსაზრისს *ოვსეთის კარისა* და *დარიალანის* იგივეობაზე (ნერსე ერისთავმა „განვლო... კარი იგი *ოვსეთისა*, რომელსა *დარიალან* ერქუმის“ [3, 58], არამედ გვთავაზობს ზოგიერთი მიკროტოპონიმის ახსნა-განმარტების საინტერესო ცდებსაც: „ადგილსა ...*საგოდებელ* ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათად“ [3, 73].

გეოგრაფიული სახელწოდების განმარტების ძალზე საინტერესო შემთხვევას ვხვდებით ანონიმი მწერლის ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებაში „მარტვლობა დავითისი და ტირიჭანისი“: „ხოლო ტირიჭან ვითარცა იხილა სიკუდილი უწყალოდ ძმისა თვისისა, შეეშინა და იწრაფა სივლტოლად... სოფელსა მას, რომელსა ჰრქვან *დივრი*, რომელსა უკმობენ კაცნი *დევობით*“ [7, 188]. ქართული *დევ*- ფუძე ძველი ინდური ენობრივი სამყაროდან არის შემოსული. “თავდაპირველად ეს სიტყვა ღმერთის (ქალღმერთის), ღვთაების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. თანდათანობით ძველინდური *devi*: (ქალღმერთი) იქცა ავი სულის, ეშმაკის, დემონის აღმნიშვნელ სიტყვად” (22, 9).

ქართული აგიოგრაფიული მწერლობა გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელწოდებათა შერქმევის პრინციპების თაობაზე ერთობ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის. წინა პარაგრაფში ჩვენ შევეხეთ აგიოგრაფიულ ძეგლებში წარმოდგენილი ტოპონიმების (*წერტადხნი*, *ბაკთა*, *სათახვე*, *შეშისთავი*, *ზარზმა*, *გარეჯა*) მწერლისეულ ეტიმოლოგიებს.

### § 4. აგიოგრაფიული ძეგლების ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია-ეტიმოლოგიისათვის ვახუშტის „აღწერის“ მიხედვით

ქართულ სინამდვილეში პირველი მეცნიერი, რომელმაც საქართველოს ყველა რეგიონის გეოგრაფიული სახელები აღწესა, იყო თავისი დროის ისტორიკოს-

გეოგრაფი და კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.). მისი თხზულება “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” ტოპონიმიკური ცნობების შემცველი პირველი საფუძვლიანი გეოგრაფიული ნაშრომია, რომელშიც შექმნილია დაგვირგობილია გეოგრაფიული სახელების ლოკალიზაცია-ეტიმოლოგია (როგორც ცნობილია, ვახუშტი ბაგრატიონი მის მიერ აღწერილ ზოგ რეგიონში საერთოდ არც ყოფილა). ეტიმოლოგიები, უმრავლეს შემთხვევაში, უფრო ხალხურია.

**ალავერდი** (9, 11) (ტოპონიმებთან ციფრებით აღვნიშნავთ წყაროს ნომერს) „მოიგო სახელი ალონის გამო, რომელ არს ალონგუერდს, და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი“ (53, 548).

**ანჩა, ანჩი** (12) „...ისპირის მთის კალთას არს ეკლესია ღუთაებისა ანჩა, გუმბათიანი, დიდ-შუენიერად ნაგები, კარგ ადგილს... აწ ცალიერი არს“ (53, 677-678).

**არაგვი** (8) „ეწოდება ამ მდინარეს თვისთავე, ვინაფთვან დის ჩქარად, მოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ ჳევთა!“ (53, 350).

**არტანუჯი** (12) ეწოდება „შუენიერებისათვის: არა ტანი, არამედ უნჯი“. ვითამ ჯავახეთის არა ტანი, არამედ პირი (53, 658).

**ზედაზენი** (8) „მეფემან ფარნაჯომ... აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზენი (53, 535).

**კახეთი** (და კუხეთი) (8, 9, 10, 11) არიან წილნი ქართლოსისა „რამეთუ, შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, განუყო დედამან მათმან ძეთა თვისთა ქართლოსის წილი ქუეყანა და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჯრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო – შტორის ჳევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვ; და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამათ-შორისი ქუეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ჳევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს-ჳევს, პანკისის ჳეობას, საყდრონს და ალონს“ (53, 523). ამავე ავტორის აზრით კახეთი მიღებულია *კახეთი-საგან*.

**კუხეთი** (8, 11) „ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამხრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულადმდე; დასავლით მტკუარი და არაგვ; ჩრდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ – შორის ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჳევს“ (53, 523).



**მცხეთა** (8, 9, 11, 12) „აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებენ დედა-ქალაქსა“ (53, 348).

**ოპიზა** (12) „შავშეთის წყლისა და ანაკერტს შორის, ჭოროხის აღმოსავლეთით, აჭარის მთის კალთაზე“ (53, 678).

**სამცხე** (12, 13) „ოდრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირველვე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათვის“ (53, 657).

**ტბეთი** (12) „...სათლეს („ქალაქი მცირე“) ზევით არს ტბეთი, სამკრით ამ მდინარისა კიდესა, რომელმან მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“ (53, 679).

**სამცხე-საათაბაგოს** აღწერაში ვკითხულობთ: „ხოლო ქუეყანასა ამის სახელი არს საკუთარი ქართლი ამისათვის, რამეთუ არს წილივე ქართლოსისა, და მისგანვე ეწოდა ქართლი და შემდგომად სიკუდილისა მისისა, საქართლო ანუ საქართველო, და იწოდების დღემდეცა ეგრეთვე“ (53, 656).

**შავშეთი** (5, 12) ეწოდება „მთა-კლდოვან მთის გამო“, „ვითამ შავში და არა სპეტაკში“ (53, 658).

**ჯავახეთი** (12) „ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თვისსა ჯავახოსს და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი“... (53, 657).

**ჰერეთი** (1) „მტკვრისა და ალაზნის შესართავს ზევით, ჩრდილოეთით, მოერთვის ალაზანს მცირე-ალაზანი ანუ იორი „და ამათ შესართავს შორის არს ჰერეთი, რომელი აღაშენა ჰეროს, ქალაქი თვისისა სახელითა და ამის გამო ისახელა ქუეყანაცა ესე, და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხორანთას“ (53, 526). „ჰერეთი ეწოდა თარგამოზის ძის ჰეროსის გამო, რომელსა ძმათა თვსთა შორისი წილად ხუდა ქუეყანა ესე და დაიპყრა საზღვარი თვისი“ (53, 523).

## **§ 5. აგიოგრაფიული ძეგლების ტოპონიმთა ლოკალიზაცია-ეტიმოლოგია სხვადასხვა მკვლევრის ნაშრომებში**

ტოპონიმებით აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტების ლოკალიზაცია-ეტიმოლოგიის შესწავლის საქმეს დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ადამიანებს კარგა ხანია აინტერესებთ ტოპონიმების სახელდების გამომწვევი მიზეზები, მაგრამ ბევრ მათგანს დროთა განმავლობაში ისეთი ცვლილება განუცდია, რომ მათი მნიშვნელობა დღეი-

სათვის გაუგებარი გამხდარა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ „სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევა პირვანდელი მნიშვნელობის გათვალისწინებაა, იმ წარმოდგენის ამოფესვაა, რომელიც სიტყვაშია ჩამარსული და რომელიც ცხადყოფს, რატომ დაერქვა ეს სიტყვა ამ ობიექტურ მონაცემს. პირვანდელი მნიშვნელობა, ისევე როგორც მნიშვნელობა, სიტყვის ფუძეშია: ეტიმოლოგიაც, მაშასადამე, სიტყვის ფუძეში უნდა ვეძებოთ“ (241, 231).

მნიშვნელობით გაუგებარ ტოპონიმებს ხალხი, როგორც წესი, თავისებურ ახსნას უძებნის, სხვადასხვა ლეგენდას იგონებს. ამგვარ ახსნას, რომელიც მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, ხალხური ეტიმოლოგია ეწოდება.

აგიოგრაფიულ ძეგლებში დასახასიათებელი (საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე) ტოპონიმების ლოკალიზაცია-ეტიმოლოგიის დადგენის მიზნით ჩვენ გავეცანით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ სხვადასხვა მკვლევრის ნააზრევს, რომელსაც ნაშრომის ზემოთ აღნიშნულ პარაგრაფში წარმოვადგენთ:

**ალავერდი** (9, 11). სოფელი ახმეტის რაიონში, ალაზნის ველზე. ზოგიერთის აზრით, ალავერდი მიღებულია არაბულ-თურქული გამოთქმისაგან: ალლაჰ-ვერდი – „ღმერთმა მოგვცა“. არსებობს სხვაგვარი ახსნაც: ალავერდი მდებარეობს სოფელ ალვანის ახლოს და მისი სახელი სწორედ აქედან წარმოდგა: *ალვან-გვერდი* ან *ალვათ-გვერდი* (259, 426).

**ანჩი//ანჩა** (12). ისტორიული პუნქტი და ეკლესია კლარჯეთში, ისპირის მთის კალთაზე. ტოპონიმის წარმომავლობა უცნობია (277, 132).

**ანჭკორა** (12). ისტორიული პუნქტი კლარჯეთში, მდინარე ანაკერტის ხეობაში. ტოპონიმის წარმომავლობა უცნობია (277, 133).

**არაგვი** (8). მდინარე (მდინარეთა სისტემა) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დუშეთის, ყაზბეგისა და მცხეთის რაიონებში. არაგვის ჰიდროსისტემას ქმნის ორი მდინარე, ორი არაგვი: მთიულეთის (ანუ თეთრი) არაგვი, გუდამაყრის (ანუ შავი) არაგვით, ფშავის არაგვი ხევსურეთის არაგვით.

ჰიდრონიმ არაგვის წარმომავლობაზე რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს: კ. ჰანი ფიქრობს, რომ საყურადღებო უნდა ყოფილიყო ზენდური არვატ-სიტყვა, რაც სწრაფად მრბოლს («Бегущий») ნიშნავს (294, 37); კ. ჰანის სხვაგვარი ახსნით, სახელწოდება არაგვი უნდა გავიგოთ, როგორც „მთის მდინარე“, რადგან ალანთა ენაზე მას *ხოხ-დონ* (ხოხ „მთა“, დონ „წყალი“, „მდინარე“) ეწოდება. ერთი მოსაზრების მიხედვით, არაგვი არამეული არ („მთა“) და ლათინური *აკვა//აკვა* („მდინარე“) სიტყვათა შეერთების გზით მიიღება (111,1 85; 45, 30). ივანე

ჯავახიშივილიმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ჰიდრონიმ არაგვის ფუძისეული *-რაგ-//რგ-* ელემენტი საერთოს ავლენდა სახელწოდება თერვის ძირისეულ *-რგ-* ელემენტთან. ამ ფაქტმა მეცნიერს გამოათქმევინა ვარაუდი, რომლის მიხედვითაც არაგვი წყლის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა ყოფილიყო (272, 105). აღნიშნული თვალსაზრისი გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. უკანასკნელ ხანს ჰიდრონიმ არაგვს ინდო-ევროპული წარმოშობის სიტყვად თვლიან (12, 96-98), რაც მეტად საეჭვო არგუმენტად მიაჩნიათ (73, 13-17). თუმცა საბოლოოდ გარკვეულად ვერ ჩაითვლება არაგვის ენობრივი კუთვნილების საკითხი. სწორედ ამიტომ არ ხერხდება აღნიშნული ჰიდრონიმის ენათმეცნიერული ანალიზი რა წარმოადგენს ძირს და რა სუფიქსს: *არა-გვ-, ა-რაგ-ვ-, არ-აგვ, ა-რა-გვ, ა-რაგვ?* ნ. მარი *არაგვ* სახელში გვ ელემენტს მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის ფუნქციას აკისრებდა (22, 41). ამიტომ, აუცილებელია, პირველ რიგში არაგვის სტრუქტურული სახის დადგენა, რათა მეცნიერული შეფასება მიეცეს სახელწოდების თითოეულ შემადგენელ ნაწილს.

**არსიანი** (13). ქედი საქართველოსა და თურქეთში. მდინარეების ჭოროხისა და მტკვრის აუზების, ე.ი. შავი და კასპიის ზღვების წყალგამყოფი. არსიანი უმაღლესი მწვერვალია, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. ქედის ჩრდილოეთი ნაწილი მოქცეულია საქართველოს (შუახევის, ხულოს, ადიგენის რაიონებში), ხოლო სამხრეთი ნაწილი – თურქეთის ფარგლებში. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ქედის ნაწილი უფრო დაბალია (196, ტ. 1, გვ. 586).

**არტანუჯი** (12). ციხე-ქალაქი და ეკლესია კლარჯეთში (VI ს. II ნახ.), მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირას, „კლარჯეთის ტყეთა შინა კლდეზე“ (ამჟამად სოფელია). ქართული ტოპონიმი რუსულით (Артану) და თურქულით (ადა-კალე) შეიცვალა (277, 143).

სახელწოდება **არტანუჯი** კოლხურ (ლახურ) მოსახლეობაზე მიგვითითებს. იგი ორი სიტყვისაგან შედგება: *არტანიშ ყუჯი*. **არტანი** სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონს ერქვა, *ყუჯი* კი „ყურ“ სიტყვის კოლხური ფორმაა. ე.ი. **არტანუჯი** ნიშნავს „*არტანის ყურეს*“ (256, 116).

**არტაონი** (5). მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში, ამჟამად თურქეთშია. ლეონტი მროველის მიხედვით, მცხეთოსის ძეს, ჯავახოსს, ციხე-ქალაქი აუშენებია (მაშინდელი ქაჯეთის ქალაქი). ამჟამად ეს ქალაქი არდაგანის სახელითაა ცნობილი (76, 391).

**აფსარი//აფსარეა** (3). ციხე-ქალაქი დასავლეთ საქართველოში, მდინარე ჭოროხის სამხრეთით (ძველი ციხე-ქალაქი აფსარი გაშენებული იყო თანამედროვე სარფის ზონაში). პ. ინგოროყვას მიხედვით, თანამედროვე სახელწოდება **სარფი** (*← ფსარეფი*, მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით) არის სახენაცვალი ფორმა ძველი სახელწოდებისა **აფსარი** (მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით **აფსარეფი=აფსარები**). VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორების ცნობით, აფსარი (ჭოროხის სამხრეთით) ბიზანტიის ზონაში ითვლებოდა. **აფსარეა** ზემოთ აღნიშნულ ძველში დასახელებულია როგორც ნავსადგური (76, 205).

**აფხაზეთი** (5, 12). ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია, ავტონომიური რესპუბლიკა დასავლეთ საქართველოში, კავკასიის მთავარ ქედსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის. შუა საუკუნეებში იყო სამთავრო, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი ხან მდ. კოდორის, ხან მდ. ლალიძგის, ხან მდ. ენგურის ქვემო წელის ხეობის გასწვრივ გადიოდა. თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებში მოქცეულია გაგრის, ახალი ათონის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონები. სახელწოდება მომდინარეობს ერთ-ერთი ტომის „აბაზგების“ სახელიდან, რომლებიც განსახლებულნი იყვნენ თანამედროვე აფხაზეთისა და კრასნოდარის მხარის (რუსეთის) შავი ზღვისპირა ტერიტორიაზე (277, 154).

**აწყური** (*//აწყვერი//აწყურე*) (12, 13). სოფელი ახალციხის რაიონში, ვაკე ტერაზაზე, მტკვრის ორივე ნაპირას, მდ. აბანოსღელის შესართავთან. აწყური ადრე საქართველოს უძველესი ქალაქი იყო, ძველად **სოსანგეთი** ჰრქმევია. ქართულ წყაროებში **აწყურის** სახელითაც გვხვდება. წმ. გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს (VIII-IX სს.) უკვე არსებობდა აწყურის საეპისკოპოსო ტაძარი (277, 160).

**აჭარა** (5). ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია და ავტონომიური რესპუბლიკა დასავლეთ საქართველოში. მოქცეულია არსიანის ქედისა და შავი ზღვის სანაპიროს, მესხეთისა და შავშეთის ქედებს შორის. უმთავრესად მოიცავს შავი ზღვის აუზს (ჭოროხი აჭარისწყლით, ნატანები), თუმცა მცირე ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (ქვაბლიანი) კასპიის ზღვის აუზს მიეკუთვნება (277, 160).

საისტორიო წყაროებში ტოპონიმი **აჭარა** VII საუკუნიდან გვხვდება. ასე ეწოდებოდა მდინარე აჭარისწყალს და მის ხეობას. შემდეგ **აჭარა** მთელი მხარის სახელად იქცა, ხოლო მდინარეს აღნიშნული ტოპონიმის მიხედვით **აჭარისწყალი** დაერქვა. ხალხური ეტიმოლოგიით, **აჭარა** „ვაჭარს“, „ჭას“, თურქულ სიტყვას „აჯას“ ნიშნავს. სახელწოდება **აჭარა** სპეციალური კვლევის საგნად XIX ს. 90-იანი წლებიდან იქცა. მისი მეცნიერული კვლევის ისტორია მ. ჯანაშვილის სახელთან არის დაკავ

შირებული. მეცნიერის დაკვირვებით, აჭარა მომდინარეობდა „ჭა“ სიტყვისაგან: (ჭარი – აჭარი – აჭარა) (278, 2-3); ს. ჯანაშიამ ტოპონიმი აჭარა გურიის ერთ-ერთ სოფელს, აჭს, დაუკავშირა (281, 120); აჭარას ეთნიკურ (სატომო) სახელს ჭანს უკავშირებდა პ. ინგოროყვა, მკვლევრის ვარაუდით, აჭარა წარმომდგარი უნდა იყოს ა-ჭან-რა ფორმისაგან. მისი აზრით, თავიკიდური ა-ხმოვანი სა- პრეფიქსის ნაშთია, ხოლო რა მარცვალ მრავლობითი რიცხვის ფორმანტი: სა-ჭან-რა (76, 138). უკანასკნელ ხანს აჭარის ეტიმოლოგიური ახსნა სცადა ი. სიხარულიძემ და აღნიშნა, რომ ტოპონიმი აჭარა დაიყვანება ჭ ძირამდე, რომელიც სემანტიკურად წყალ- სიტყვას უკავშირდება. სახელწოდება აჭარას მკვლევარი ა-ა პრეფიქს-სუფიქსური წარმოშობის სახელად თვლის, თუმცა გაურკვეველი რჩება –რა- სემანტის რაობა. ი. სიხარულიძე ჭ („წყალი“) ძირს ხედავს ეთნონიმ ჭანში, აგრეთვე ჭალა, ჭალანგარ... სიტყვებში (175, 144).

**ბარეთელთა** (12). მონასტერი (IX ს. I ნახ.) ისტორიული საქართველოს კლარჯეთის პროვინციაში, მდ. ბერთის მარცხენა ნაპირას, არსიანის ქედის დასავლეთ კალთაზე. ტოპონიმის წარმომავლობა ქართულია (196, ტ. 2, გვ. 207).

**ბასიანი** (7). ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარე, მდ. არაქსის სათავეების რაიონში. სახელწოდება უკავშირდება ძველი ბერძენი ისტორიკოსის ქსენოფონტეს (ძვ.წ. V-IV სს.) თხზულებაში მოხსენიებული კოლხური ტომის – ფასიანების სახელს (196, ტ. 2, გვ. 219).

**ბეთანია** (2). ტაძარი თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით 16 კმ-ზე, მდინარე ვერის მარჯვენა მხარეს (196, ტ. 2, გვ. 268). სახელწოდება ებრაულია, ბეთ („სახლი“) და ითარგმნება როგორც „სახლი მწუხარებისა“ (ან: „მარცხისა“, „სიღარიბისა“); „სახლი სათნოებისა“, „სახლი მორჩილებისა“ (45, 53);

**ბერთა** (12). მონასტერი, კულტურული ცენტრი (IX ს. I მესამედი) სამხრეთ საქართველოში, კლარჯეთში, მდ. კარჩხალისწყლის ნაპირზე, მაღალ მთაზე. სახელწოდება დაკავშირებულია სიტყვასთან „ბერი“, რაც დამახასიათებელია ქართული ტოპონიმებისათვის“ (196, ტ. 2, გვ. 317).

**გარეჯა(//დავით გარეჯა)** (8, 9, 10, 11). ფეოდალური ხანის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი ივრის ზეგანზე, თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ზე, ისტორიულ კახეთში, გარეჯის კლდოვან მთებში (277, 216). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელის ეტიმოლოგიას ძეგლშივე ვეცნობით: „ხოლო ესე წმიდად მამად ჩუენი დავით წარვიდა ადგილთა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა, რადთა წუთ ერთითა ჭირითა მოიპოოს საუკუნოდ იგი და წარუალი შეუებად და განსუენებად.

ამისთვისცა აღირჩია აქა სჯად გარედან უდაბნოთა შინა. ამისთვის ეწოდების უდაბნო-სა მას გარესჯად“ [10, 229].

**გოდერძისა** (13). უღელტეხილი არსიანის ქედზე, ხულოს რაიონში. აკავშირებს მდ. ძინძესა (ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადი, მტკვრის აუზი) და აჭარისწყლის ხეობებს. მასზე გადის ბათუმ-ახალციხის საავტომობილო გზა.

არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდება „გოდერძი“ მომდინარეობს შუა საუკუნეების ლეგენდარული პოეტის სახელისაგან. თავდაპირველად სახელწოდება „გოდერძი“ არსიანის ქედს შერქმევია, მოგვიანებით კი ეს სახელი მხოლოდ უღელტეხილს შემორჩენია (196, ტ. 3, გვ. 201).

**გუნათლე/გუნათლის ვანი** (12). სავანე, დედათა მონასტერი, ისტორიული ძეგლი სამხრეთ საქართველოში (შავშეთში, ტაო-კლარჯეთში). პ. ინგოროყვას ცნობით, სავანე დღემდეა შემორჩენილი *გურნათელის* (რომელიც *გუნათლის* სახეცვლილი ფორმაა) სახელწოდებით (76, 381). მკვლევარი, გ. ბედოშვილი, თვლის, რომ **გუნათლე** უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული აღმატებითი ხარისხის *უნათლე* ფორმისაგან, რაც ნიშნავს: „ძალზე ნათელი, მზისგული, მზიანი ადგილი“. რაც შეეხება თავკიდურ გ-თანხმოვანს, ის ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული (22, 117-118).

**დაბა** (12). ეკლესია კლარჯეთში, მდ. ბერთის მარჯვენა ნაპირას. ტოპონიმი ქართული წარმომავლობისაა (76, 344).

**დარიალი//დარიალანი** (3). იყო საქართველოსა და, საერთოდ, მთელი ამიერკავკასიის ჩრდილოკავკასიასთან დამაკავშირებელი კარი. საჭიროების შემთხვევაში ამ კარის ჩაკეტვა ადვილად შეიძლებოდა. იქ, სადაც შიშველი კლდეებით მოზღუდული ხეობა ყველაზე უფრო ვიწროვდებოდა, იდგა ციხე და აქ იყო საქართველოსა და ოსეთის საზღვარი. სწორედ ამ ადგილს ეწოდა **დარი ალან** ანუ **დარიალა**, რაც სპარსულად „ალანთა (ოსთა) კარს“ ნიშნავს. ძველად ასეც უწოდებდნენ: „ალანთა კარი“ ანუ „ოვსთა კარი“ (მასვე რქმევია „არაგვის კარი“, „იბერიის კარი“, „კავკასიის კარი“ და სხვ. (279, 160). სამეცნიერო ლიტერატურაში იგი გვხვდება შემდეგი სახელებითაც: „სარმატიის კარი“, „კუმანია“, „ხევის კარი“, „კასპიის კარი“ (277, 265).

**დოლის ყანა** (12). მონასტერი, ისტორიული ძეგლი (IX-X სს. მიჯნაზე) სამხრეთ საქართველოში, კლარჯეთში, მდინარე ბერთის მარჯვენა ნაპირას. სახელის წარმომავლობა ქართულია (76, 358).

**ერუშეთი//ერუშანი** (12). სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მესხეთის ერთ-ერთი მხარე, ამჟამად უმეტესწილად მოქცეულია თურქეთში. მცირე ტერიტორია თანამედროვე საქართველოს ფარგლებში მდებარეობს. მოიცავდა ტერიტორიას არსიანის

ქედსა და ნიალის შორის. სახელწოდება მომდინარეობს მხარის ცენტრალური პუნქტის მიხედვით (76, 358).

**ზანავი** (13). სოფელი მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ადიგენის რაიონში. ერთ-ერთი უძველესი საისტორიო თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, **ზანავს** ასახელებს იბერიის დედაქალაქის – მცხეთის უბნად.

ტოპონიმ **ზანავს** ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ეთნონიმ **ზანს** უკავშირებს. ამ ვარაუდით, ზანავის წარმოქმნა იმ შორეული ამბების გამოძახილად არის მიჩნეული, როცა იბერიის ძველი დედაქალაქის ახლოს დასავლურ ქართული ტომები, კერძოდ, **მესხები** და მეგრები მოსულან და თავიანთი სახლობის მაუწყებელი ტოპონიმები – **მცხეთა**, აგრეთვე, **ზანავი** შეურქმევიათ (280, 195). აღნიშნულ მოსაზრებას დღესაც ბევრი მკვლევარი იზიარებს. მაგრამ არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, კერძოდ, გ. ბედომვილის აზრით, როგორც ადრე აღვნიშნეთ, **ზანავის** ამოსავალი ფუძის მნიშვნელობაა წყარო, წყალი, მდინარე. შესადარებლად მოხმობილია *ალა-ზან, ნარ-ზან...* (22, 156-157). ბოლო დროს გაჩნდა სრულიად განსხვავებული და მეტად საინტერესო მოსაზრება, რომელიც ზ. ჭუმბურიძეს ეკუთვნის. მკვლევრის დაკვირვებით, **ზანავ** (zanab) ებრაულად ნიშნავს „კუდს“, „ბოლოს“, რაც კარგად მიესადაგება წყლის მცირე ნაკადს და ადვილი შესაძლებელია ქცეულიყოს წყაროს ან ნაკადულის სახელად, აქედან კი – დასახლებული პუნქტის სახელადაც (262, ხელნაწერი).

**ზარზმა** (13). სოფელი, მხარე სამხრეთ საქართველოში, სამცხეში, ადიგენის რაიონში, მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს. ტოპონიმი დღესაც გვხვდება ამ სახელით (196, ტ. 4, გვ. 485). გეოგრაფიული ობიექტის ეტიმოლოგია ავტორს, ბასილი ზარზმელს, ძველშივე აქვს ახსნილი, რომლის მიხედვითაც მონასტრისათვის სახელი შეურქმევია იმ ხალხს, რომელნიც მოწმენი გამხდარან უჩვეულო მიწისძვრისა, რასაც ტბა ნაპირებიდან გადმოუყვანია და რომლის შემყურე ხალხსაც შიშისაგან ანუ ზარისაგან გრძნობა წართმევია. სპეციალურ ლიტერატურაში ზარზმა ისეთივე **-მა** სართიანი ტოპონიმების რიგში არის განხილული, როგორცაა: *ბოჭორ-მა, უჯარ-მა* და სხვ. (272, 134). გ. ბედომვილი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ვარაუდობს, რომ **ზარზმა** ორფუძიანია: *ზარ-ზმა*. მკვლევარს ეს უკანასკნელი სიტყვა – **ზმა -ჟამ** -ის ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმად მიაჩნია: *ზარის ჟამა//ზარ-ჟმა* (22, 159).

**ზედაზადენი//ზედაზენი//ზედაძენი** (8). მთა მცხეთის რაიონში, საგურამოს ქედზე. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი ტოპონიმ **ზედაზენის** ღვთაება **ზადენიდან** მომდინარეობის შესახებ. ივ. ჯავახიშვილმა პირველმა შეიტანა ეჭვი „ქართლის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობაზე *ზადენის* კერპის აღმართვის თაობაზე, რის გა-

მოც, მთასაც ზადენის სახელი შერქმევია. მეცნიერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში **ზადენი** არა ჩანს და დასძენს, რომ „გამოსარკვევია, თვით „ზედა ზენი“-ც ზადენისაგან არის წარმომდგარი თუ არა? მისი აგებულება „ზედა-ზენი“ უფრო „ქვედა-ზენი“-ს და ძირეულად „ზე“-სა და „ზენი“-ს არსებობას გვაგვარაუდებინებს, ვიდრე ზადენისას“ (273, 110). მკვლევრი ამ საკითხს ამოწურულად არ თვლის.

**ზენა სოფელი** (4, 8, 9, 11). აღმოსავლეთ საქართველოს მხარე, ქართლის ერთი ნაწილი. ამჟამად შიდა ქართლი (277, 324).

**იშხანი** (8, 12). სამონასტრო ცენტრი. მდებარეობს ტაოში, მდინარე ოლთისის-წყლის მარჯვენა ნაპირზე, თორთომის ტბის ჩრდილოეთით. ტოპონიმი სომხური სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს. იგი შემონახულია იმ დროიდან, როდესაც ტაოში სომხები სახლობდნენ (277, 377).

**კაპოეტი**(//**კაპოეტის წყალი**) (5). კავკასიონის სამხრეთ ფერდობი, შავიზღვისპირა ვაკეზე. კაპოეტს ორნაირი მნიშვნელობა აქვს: 1. კაპოეტი ეწოდებოდა გარეულ ფრინველს (წელიწადზე მეტი ხნისას); 2. კაპოეტი ეწოდება თევზს (ეკუთვნის კალმახ-ორაგულის ჯიშს, გვხვდება მდ. კაპოეტის წყალში. სახელწოდება კაპოეტის წყალი სწორედ თევზის სახელს უკავშირდება (76, 181).

**კახეთი** (8, 9, 10, 11). მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. მოიცავს მდ. ივრის შუა და ქვემო დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს. გავრცელებულია ვარაუდი, რომ ტოპონიმი **კახეთი** უკავშირდება სატომო სახელს **კახი** (279, 172).

**კლარჯეთი** (12, 13). მხარე და დაბა ჭოროხის ქვემო დინების აუზში, კლარჯეთში, ამჟამად თურქეთშია, გადაჭიმული არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე. მისი უძველესი ცენტრი იყო ციხე თუხარისი, მოგვიანებით კი – არტანუჯი. სახელწოდება მომდინარეობს დაბა კლარჯეთიდან (277, 397).

**კოლა** (8). საქართველოს ისტორიული მხარე სამხრეთ-საქართველოში. მდ. მტკვრის სათავეებში (ამჟამად თურქეთშია). მოიცავს მტკვრის სათავეების ქვაბულს, ვარაუდობენ, რომ სახელწოდება წარმოდგება კოლხას ტომის სახელისაგან. **კოლა** თავდაპირველად **კორა**-ს სახელით ყოფილა ცნობილი (76, 281). ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მას **კუროსის** სახელით მოიხსენიებს. როგორც ფიქრობენ, აქედან გაჩნდა მდ. მტკვრის რუსული სახელწოდება – *Кыра* (277, 399).

**კოლბოფორი** (5). მხარე ისტორიულ საქართველოში, ქვემო ქართლში, გოგარენში. ამჟამად ჩრდილოეთ სომხეთის ფარგლებშია. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს სოფ. კოხბის სახელიდან, რომელიც კოლბოფორის მხარის ცენტრი იყო (196, ტ. 5, გვ. 578).



**კურიკეთი//კვირიკეწმიდა//ქრისტეფორის ვანი** (12). მონასტერი (IX ს. შუახანებში). მდებარეობს ბორჯომის რაიონში. ასეთი სახელწოდების პუნქტი დღეს ამ მიდამოებში ცნობილი არაა (196, ტ. 5, გვ. 499).

**კუხეთი** (8, 11). აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარე. მოიცავდა ტერიტორიებს: მდინარეების არაგვისა (ჟინვალთან) და მტკვრის ხეობებიდან გარეჯის უდაბნომდე. მისი ცენტრი იყო ქ. რუსთავი. ცნობილია კუხეთის სხვა ცენტრებიც: კაწარეთი, ბოდბე. კუხეთი წყაროებში უკანასკნელად XII საუკუნეში მოიხსენიება. XV საუკუნის ბოლოს კი ყოფილი კუხეთის ტერიტორია უკვე კახეთად იწოდება (277, 408).

**ლეეთი** (12). უძველესი სოფელი ცენტრალურ ქართლში (ქარელის რ-ნი). თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ლეთეთურის (ძამის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში. ლეთეთი -**ეთ** სუფიქსიანი სახელია. ძირია *ლეთი//ლეთა*, რომელიც სველი, ჭონჭყო, საფლობი ადგილის აღსანიშნავად დღეს გურულ დიალექტს შემოუნახავს. ე.ი. ლეთეთი ნიშნავდა „ლეთიანი ადგილები“, „საფლობი, ჭონჭყო, ჟალტამი ადგილები“ (22, 227).

**მერე** (12). მონასტერი (V ს.). მდებარეობს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში, მდ. კარჩხალისწყლის ხეობაში, ფორთა-ხანძთის მიდამოებში. სიტყვა „მერე“ ძველ ქართულში საზოგადო სახელს აღნიშნავდა: „მერე მეედანი, სწორი ვაკე“ (11, 39); „წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილი“ (273, 87). როგორც ჩანს, ძველად ეს ტერმინი საკმაოდ ფართოდ ყოფილა გაავრცელებული მთელ საქართველოში. ამჟამად კი „მერე“ მხოლოდ ადგილთა სახელებმა შემოინახეს. ამიტომ მერე და ამ სიტყვიდან წარმომდგარი ტოპონიმები დამახასიათებელია საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის (277, 449).

**მიძნაძორო//მინძაძორო** (12). ტაძარი, ძველი ქართული საგანე კლარჯეთში (IX ს. დასაწყისი), მდინარე კარჩხალის მარცხენა ნაპირზე. ვარაუდობენ, რომ სახელის წარმომავლობა სომხურია (115, 36).

**მტკვარი** (3, 6, 9). საქართველოს დედამდინარე. სათავეს იღებს თურქეთში ყიზილ-გიადუკის მთებში, კოლას ტაფობში. მიედინება მესხეთ-ჯავახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლის, გორის, კასპის, მცხეთის, გარდაბნის რაიონებში და ქ. თბილისის ტერიტორიაზე. მტკვარი სამხრეთ კავკასიის უდიდესი მდინარეა. საქართველოს ფარგლებში შემოდის ერუშეთის, მთიანეთსა და ჯავახეთის ზეგანს შორის, ვარძიასთან ახლოს. გაივლის ახალციხის ქვაბულს, მიედინება მესხეთისა და თრიალეთის ქედებს შორის, აქედან სოფ. ძეგვამდე (მცხეთის რ-ნი) მტკვარი მიედინება შიდა ქართლის ვაკეზე. აქ იგი თრიალეთისა და კვერნაქის ქედებს შორისაა მოქცეული. სოფ. ძეგვთან შედის მცხეთის ვიწრობაში, მიედინება

თბილისის ქვაბულში, ქვემო ქართლის ვაკეზე. საქართველოს ტერიტორიიდან გაედინება ხრამის შესართავის მახლობლად. გაივლის ივრის ზეგანს, მინგეჩაურის წყალსაცავს, მტკვარ-არაქსის დაბლობს და ერთვის კასპიის ზღვას.

სახელწოდება **მტკვრის** წარმომავლობის შესახებ უამრავ ქართველ თუ უცხოელ მეცნიერს გამოუთქვამს მოსაზრება. უმრავლესობა ძველ ბერძენ ისტორიკოსს, სტრაბონს, უჭერს მხარს. ამ ვარაუდის მიხედვით, *კუროს-ი* თუ *კოროს-ი* (იგივე მტკვარი) პროვინციის სახელისაგან (*კოლა*) წარმომდგარა. სტრაბონის მეორენაირი შეხედულებით **მტკვრის** სახელწოდება სპარსეთის ცნობილი მეფის **კიროსის** საკუთარ სახელს უკავშირდება. ზოგი იმდროინდელი ისტორიკოსი თვლიდა, რომ *კურ* ზევსის ქალიშვილის სახელია და მტკვარი (*კუროსი*) სწორედ ამ სახელისაგან მომდინარეობს (301, 221); სახელწოდება მტკვარს ძველალბანურ *კურ//ქურ* („წყალსატევი“, „წყალსაცავი“) სიტყვასთან აკავშირებს აზერბაიჯანელი მკვლევარი ა. ახუნდოვი; მეორე აზერბაიჯანელი ტოპონიმიკოსი ქ. ალიევი კი თვლის, რომ **მტკვარი** ზოგადად „წყალს“, „მდინარეს“ აღნიშნავს; არსებობს კიდევ ერთი აზერბაიჯანული ეტიმოლოგია, რომლის მიხედვით *ქურ//კურ-ა* „თავენება, დაუდგრომელ, ჭირვეულ“ მდინარეს ნიშნავს. რუსი ტოპონიმიტი ვ. ნიკონოვი **მტკვარს** ასე განმარტავს: «Хорошая вода». უნდა ვიფიქროთ, რომ იგი **მტკვარს** მტკნარ-სიტყვასთან აიგივებს. მეორე რუსი ტოპონიმიტი მ. მელხეევის აზრით, **მტკვარი** სპარსული სიტყვაა და წყალს, მდინარეს ნიშნავს. მკვლევარი ქურ ფუძეს აზერბაიჯანული ენის კუთვნილებად მიიჩნევს და დაბეჯითებით აცხადებს, ასეთი სახელი მდინარეს კაპრიზული, დაუდგრომელი ხასიათის გამო შერქმევია (297, 150). კ. ჰანი მხარს უჭერდა იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც *კურა* მდინარეს სპარსეთის მეფის კიროსის პატივსაცემად შეარქვეს. მისი თვალსაზრისით, **მტკვარი** მთის წყალს («горная река») ნიშნავს (294, 90). სახელწოდება **მტკვარი** კ. ჰანს ქართულ-ლათინური სიტყვების ნაერთად ჰქონდა წარმოდგენილი: *მტ-//მთ-* იგივე „მთა“ და ლათინური **akva arva** „მდინარე“. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ისიც, რომ **მტკვარი** ზოგადი სახელია ყოფილი მტკნარათ, თქორვით, მიმდინარე წყლის ამრაკისა. პ. ინგოროყვა თვლის, რომ გეოგრაფიული პუნქტი, *კოლა* (ე.ი. საიდანაც სათავეს იღებს მტკვარი), ძველად *კორა-ს* სახით ყოფილა ცნობილი და მტკვარიც ამ *კორ//კორა* სიტყვისაგან მიგვიღია. მეცნიერის მტკიცებით, მტკვრის პირვანდელი სახე *დ-კორი* ყოფილა, რომელმაც შემდგომ *მდ-კორ-ი* („კორის მდინარე“) მოუცია (76, 438). თანამედროვე ქართველი მკვლევარი ზ. ჭუმბურიძე სარწმუნოდ მიიჩნევს სახელწოდება **მტკვრის**

(რუს. კურა, თურქ. ქურ) კლას მთის მიხედვით წარმოქმნას, მაგრამ ფიქრობს, რომ შესაძლებელია მტკვარი მდინარის, წყლის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყოს, ისეთი, როგორიცაა „თქორი“ (259, 472). აღნიშნულ თვალსაზრისს მხარს უჭერს შ. გოგატიშვილიც. არნ. ჩიქობავა მტკვარ- სიტყვის ამოსავალ ფორმად მ-დ-კორ – ფუძეს მიიჩნევს, რომელშიც მ ფონეტიკურ დანართად, ხოლო დ კლასის ნიშნად გაიაზრება: მ-დ-კუარი → მ-ტ-კუარ-ი (რეგრესული ასიმილაციის გზით) (234, 130) (საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ძველი ქართული აგიოგრაფიული მწერლობა, აგრეთვე „ქართლის ცხოვრება“, მდინარე მტკვარს, მტკვარს, ან უბრალოდ „დიდ მდინარეს“ უწოდებს).

**მცხეთა** (2, 8, 9, 11, 12). ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესაყართან (აღმოცენდა I-II სს.). ძველი ქალაქი მცხეთა ძირითადად დღევანდელი არმაზის (არმაზციხის) შემოგარენში ყოფილა გაშენებული. ტოპონიმ მცხეთის შინაარსის გარკვევა ჯერ კიდევ შუასაუკუნეებისდროინდელ მემატინეებს, კერძოდ, ლეონტი მროველს უცდია. მისი ვარაუდით, მცხეთა დაუარსებია და თავისი საკუთარი სახელი მიუცია ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის მემკვიდრე მცხეთოსს (193, 9-13). ამ ვერსიას უცვლელად იმეორებდა ვახუშტი ბატონიშვილიც: „აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თუხითა“ (53, 32). XIX საუკუნის შუა წლებში პლ. იოსელიანმა წამოაყენა ახალი თვალსაზრისი. ამ ვერსიის მიხედვით მცხეთა წარმომდგარი უნდა ყოფილიყო სატომო სახელისაგან მესხი (მესხები), რომლებიც ქართლში საცხოვრებლად ადრეულ საუკუნეებში მოსულან (80, 53-55). ამავე აზრს იზიარებდნენ გამორჩენილი მკვლევრები: ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ს. კაკაბაძე, არნ. ჩიქობავა, გ. მელიქიშვილი, ა. ავაქიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, აღ. ღლონტი და სხვ. სახელწოდება მცხეთა ნ. მარის მიერ გაიაზრებოდა როგორც „მესხების საცხოვრებელი ადგილი“ (118, 192); ა. შანიძემ მცხეთის მესხ- სატომო სახელისაგან წარმომავლობის მტკიცებასთან ერთად ტოპონიმის მორფოლოგიური ანალიზიც მოგვცა: მცხ- ელემენტს დაერთვის -ეთ- ართული სუფიქსი, რომელშიც -ეთ გეოგრაფიულ სახელთა დერივატია, ბოლოკიდური -ა ხმოვანი კი – სიმცირე-კნინობითის აღმნიშვნელი სუფიქსი (218, 85); ზ. ჭუმბურიძე დაწვრილებით აღწერს იმ ენობრივ ცვლილებებს, რომლის შედეგადაც მსხეთა მიგვიღია, აქედან კი მცხეთა (258, 213); მესხურენოვანი მოსახლეობის დიდი ნაკადის შემოსვლას ქართლში და მათ აქ დაფუძნებას ქართველი ისტორიკოსების ერთი ნაწილი ძველთაღრიცხვის VIII-IV სს. მიაკუთვნებს (126, 3-4). სპეციალისტებისათვის ცნობილია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც მცხეთა წარმოშობით თურმე შეიძლება წარმომდგარი იყოს არმაზციხე-საგან (296, 239). მცხეთა ისეთივე -თა სუფიქსიანი ერთეულია ვ. თოფუ-

რიასათვის, როგორც უბეგლესი წარმოშობის სხვა ქართული სახელები: *მოგუ-თა ბერ-თა*, *მოწამე-თა* და სხვ. (64, 288).

**ნაფსა//ნაფსად** (3). იგივე ნიკოფსია. ისტორიული ციხე-ქალაქი დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე, ქ. ტუაფსეს (კრასნოდარის მხარე, რუსეთი) მახლობლად. ამჟამად მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი, ძველ წყაროებში ლაზიკის სახელწოდებითაა მოხსენიებული. XIV-XVI საუკუნეების იტალიურ რუკებზე კი იგი „სანიას“ სახელითაა აღნიშნული. ძველში გვხვდება ნავსადგურის მნიშვნელობით. სახელწოდება მიღებულია მდინარის მიხედვით (76, 121).

**ნეკრესი** (11). ისტორიული ქალაქი შიგნით კახეთში, ყვარლის რაიონში, სოფ. შილდის მიდამოებში (IX ს. შუახანებში) (128, 320).

**ნეპვი** (*//თევდორეს ვანი*) (12). მონასტერი ბორჯომის რაიონში, ნეპვისწყლის (მტკვრის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. სახელწოდებაც მდინარის მიხედვით უნდა მომდინარეობდეს (277, 497).

**ნორგიალი** (12) სოფელი ისტორიულ საქართველოში, შავშეთის საზღვრებში, კერძოდ, მდინარე ანაკერტის მარჯვენა მხარეს, არსიანის ქედის დასავლეთ კალთაზე. ამავე სახელწოდებით არსებობს იგი დღესაც (76, 318). ტოპონიმის მეცნიერული ეტიმოლოგია ჯერ საბოლოოდ არ არის ახსნილი, თუმცა ზოგიერთი ავტორი **ნორგიალს** არმენიზმს უკავშირებს: „ნორ-ახალი“ და „გიულ-სოფელი“ (177, 31).

**ოპიზა** (12, 13). მონასტერი, სოფელი კლარჯეთში, მდ. ბერთის მარჯვენა ნაპირას (196, ტ. 7, გვ. 544).

**პარეხი** (12). მონასტერი (VI ს. შუა წლებში, განახლებული IX ს. დასასრ.). მდებარეობს კლარჯეთში, მდ. კარჩხალის ხეობაში, კლდეზე. „**პარეხი**“ საზოგადო სახელისაგან წარმოქმნილი ტოპონიმია. იგი ადგილის სახელია „**პარეხნი-პარეხთას**“ სახით დადასტურებული. „**პარეხი**“ ნიშნავს ნაპრალს კლდეთა შორის (3, 337), ე.ი. გამოქვაბულს (ძველად, საქართველოში დამახასიათებელი იყო გამოქვაბულში ამოშენებული ტაძრის აგება). თხზულებაში ეს ტოპონიმი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა ნახმარი „**პარეხთა**“, რაც აქ არაერთი გამოქვაბულის არსებობაზე მიუთითებს (76, 345).

**პონტო** (3). ამ სახელწოდებით სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტი მოიხსენიებოდა: 1. **პონტოს ზღვა** – შავი ზღვის ძველი სახელწოდებაა. იგი ძველ ბერძენ ზღვაოსნებს შეურქმევიათ. თავდაპირველად მას „**პონტოს აქსინოს**“, ანუ „**არასტუმართ-მოყვარე ზღვას**“ უწოდებდნენ. როგორც ფიქრობენ, ეს სახელი ხშირი შტორმების გამო შეურქმევიათ. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ **პონტოს** სახელი მიუღია ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მცხოვრები სკვითების გამო. **ბერძნული**

„აქსეინოსი“ (ბიბლიურად „აქსეინაზი“) აღნიშნავს სკვიტებს. მოგვიანებით, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ზღვისთვის „პონტოს ევქსინოს“, ანუ „სტუმართმოყვარე ზღვა“ უწოდებიათ. ეს სახელი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბერძნებმა უკეთ გაიცნეს შავიზღვისპირეთი და მოახდინეს მისი კოლონიზაცია. კიდევ უფრო მოგვიანებით „პონტოს“ სიტყვა „ევქსინოს“ ჩამოსცილებია და მხოლოდ „პონტოს“ სახელით იხსენიებოდა (164, 314). 2. **პონტოს მთები**, ანუ ჩრდილო ანატოლიის მთები, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ. მისი უდიდესი ნაწილი თურქეთშია მოქცეული, მხოლოდ მცირე ნაწილი შემოდის საქართველოში. პონტოს მთები სამ ნაწილად იყოფა. აღმოსავლეთი ნაწილი ცნობილია აღმოსავლეთ პონტოს, ლაზეთის, ლაზისტანისა და ჭანეთის სახელწოდებით. სწორედ აღმოსავლეთ პონტოს მთების უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთის მცირე ნაწილი ექცევა თანამედროვე საქართველოს ფარგლებში, აჭარაში. 3. **პონტოს სამეფო** ძველი სახელმწიფო მცირე აზიის ტერიტორიაზე. სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქართველური ტომები: *ტიბარენები, მოსინიკები, სანები, ხალიბები* და სხვ.

**რეხი//რეხა** (11). გორის რაიონის სოფლების ზემო რეხისა და ქვემო რეხის ძველი სახელწოდება. მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მეჯუდის ნაპირას (196, ტ. 8, 615).

**სათახვე//სათაჯუე** (13). ტბა სამხრეთ საქართველოში, ახალციხის ქვაბულში. დღეს იგი **ყარაგელის** სახელითაა ცნობილი. არსებობს მოსაზრება, რომ სახელი „სათახვე“ მას ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველის – თახვის გამო შერქმევია, მაგრამ ამ მოსაზრებას ყველა არ ეთანხმება. მტაცებლური ნადირობის გამო ამჟამად თახვი – ეს ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი აქ აღარ გვხვდება. ძველში ვკითხულობთ: „ესე არს ტბად მღრვე ყოლადვე, რომელსაც ეწოდების სათაჯუე. და არს ამას შინა სიმრავლე თაჯუთა და სხუათა ნადირთა“ [3, 329]. „თაჯუ არს ნადირი კასპორიოს-თაჯვ კმელისაჲ (3, 179).

**სამთავისი** (8). სოფელი და ეკლესია კასპის რაიონში (შიდა ქართლში), მდინარე ლეხურას (რეხულას) მარცხენა სანაპიროზე. ტოპონიმის ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: ვახტანგ გორგასალს ორი გოლიათი ბაყათარი რომ მოუკლავს, ცოდვის მოსანანიებლად ოთხი ეკლესია აუგია: თბილისის სიონი, მეტეხის, წილკნისა და სამთავისის ტაძრები. ეს უკანასკნელი იმ სამზე კარგი ყოფილა, ამიტომ შეურქმევია ხალხს მისთვის „სამთავისი“, ე.ი. დანარჩენი სამი ეკლესიის თავი (149, 5). არსებობს სხვაგვარი ლეგენდაც: ერთ ხუროთმოძღვარს მცხეთისა და მეტეხის ეკლესიები აუგია, სამთავისის აგება კი თავისი შეგირდისთვის მიუხდვია. შეგირდს ოსტატისათვის

უჯობნია, იმ სამში მას ყველაზე უკეთესი (თავი) ეკლესია აუგია, რის გამოც შურიან ოსტატს შეგირდისათვის ხელი მოუჭრია, მაგრამ პატივი მაინც მიუგია და თავისი მოწაფე სამთავისის ახლადაგებულ ტაძარში დაუკრძალვინებია (22, 350).

**სამცხე/მესხეთი/ოდრხე** (12, 13). ისტორიული ოდრხის „ქვეყანა“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. დღეს **სამცხე** მოიცავს მესხეთის უდიდეს ნაწილს (ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონები). უდიდესი ტერიტორია კი თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. ტოპონიმ სამცხის ეტიმოლოგიურ კვლევას სულ ცოტა ორასწლოვანი ისტორია აქვს. ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ჰგავს ვახუშტი ბატონიშვილის განმარტება, რომლის მიხედვით სამცხეს „სამი ციხე“ დასდებია საფუძვლად (53, 121). ამ ვერსიას იზიარებს კ. ჰანი (294, 124). მისი მტკიცებით, სამცხე სამ ციხეს, სამ გამაგრებულ ნაგებობას ნიშნავს. ეს თქმულება თუ გადმოცემა ჩაუწერია ცნობილ ფრანგ მისიონერსა და მოგზაურს ჟან პოლ შარდენს. იგი წერს: „სამცხე არის ქართული სახელი და ნიშნავს „სამ ციხეს“. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით თითქოს ნოე კილობნიდან გადმოსვლის შემდეგ ამ მხარეში დასახლებულა და მის ვაჟებს აქ თითო ციხე აუშენებიათ (225, 296). ტოპონიმ **სამცხეს** სატომო *მესხ*- ტერმინიდან მომდინარედ თვლის პლ. იოსელიანი (80, 53). ამ თვალსაზრისის მიხედვით, სამცხე უნდა გაგებულყო როგორც *სა-მესხ-ე* („მესხებით დასახლებული ქვეყანა“). ამავე აზრს გამოთქვამდა ივ. ჯავახიშვილი (273, 437), ნ. მარი (115, 51), ა. შანიძე (218, 31), არნ. ჩიქობავა (232, 75); ზ. ჭუმბურიძე (259, 437).

**სომხითი** (4, 5). ქვემო ქართლის გარკვეული ნაწილი, რომელსაც ქართველმა მემატრიანემ სომხებით დასახლებულ ტერიტორიას უწოდა. მოიცავდა თანამედროვე მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონების ტერიტორიებს (196, ტ. 9, გვ. 471).

**ტაო** (8, 12). მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ჭოროხის შუა დინების აუზში. ამჟამად თურქეთშია. ასურულ წყაროებში იგი „დაიანის“, ხოლო ურარტულში „დიაუხის“ სახელით იხსენიება. ბერძნული წყაროები (ქსენოფონტე, ძვ.წ. 431-354) აქაურ მოსახლეობას „ტაოხებად“ მოიხსენიებს (277, 627).

**ტაშირი** (5). მხარე შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში ქვემო ქართლის განაპირა ოლქი (ამჟამად სომხეთის ფარგლებშია). მოიცავდა მდინარე დებედის მარცხენა შენაკადის – ტაშირისწყლის (ახლანდ. კამენკა) ხეობას. შემოსაზღვრული იყო ლოქის, ლელვარის, ყარაღაჯისა და ბამბაკის მთებით. XI საუკუნეში, ლორეს ციხის აღების შემდეგ, ტაშირის ცენტრი ლორეში გადავიდა და მხარეც ხშირად ლორედ იწოდებოდა (196, ტ. 9, გვ. 669).

**ტბეთი** (12). სამხრეთ საქართველო, მდ. ბერთის მარჯვენა მხარეს, არსიანის ქედის დასავლეთ კალთაზე, იმდროინდელი შავშეთის ცენტრი. ვახუშტის აღწერით:

„...მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“ (53, 679). ნ. მარი **ტბეთს** აკავშირებდა თუშალ-კაინაურ ფორმასთან (**ტბათი**) (118, 89). ა. შანიძის გამოკვლევით კი **ტბეთ** გვიანდელი ფორმაა. ამ სიტყვის ძველი ვარიანტი **ტბევი** უნდა ყოფილიყო, რაც ასევე ტბიან ადგილს ნიშნავს. **ევი** მრ. რიცხვის აღმნიშვნელია. ამ სიტყვის ძველი ფორმა შემონახულია *მ-ტბ-ეე-არ-*ში (218, 83); უკანასკნელი ფორმა ნაწარმოებია მეგრულ-ჭანური სუფიქსით, ხოლო თავსართი **მ-**ანი ძველ ქართულში ჩვეულებრივ იხმარებოდა წარმომავლობის მაჩვენებელ სახელებში (105, 56).

**ტფილისი//თბილისი** (2, 3, 4, 12). საქართველოს დედაქალაქი, მსოფლიოს უძველესი ქალაქი. მდებარეობს მდ. მტკვრის ორივე მხარეს, თბილისის ქვაბულში. ჩრდილოეთიდან ქალაქს ესაზღვრება საგურამო-იალნოს ქედის მთისწინეთი, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან – თრიალეთის ქედის განშტოებები, აღმოსავლეთ-ლეთიდან ყვენის, ძეძვის, მახათის მთები. თანამედროვე **თბილისის** (1936 წლამდე ტფილისი) ტერიტორია, როგორც ცნობილია, დასახლებული ყოფილა 5-6 ათასი წლის წინათ; მაშინდელი პატარა სოფელი გაშენებული უნდა ყოფილიყო დღევანდელ აბანოსუბანში, რადგან სახელწოდება **ტფილისი** სწორედ აქ გამომდინარე თბილი გოგირდოვანი მინერალური წყაროების გამო წარმოქმნილა.

ტოპონიმ თბილისის წარმოშობის საკითხს არაერთი ქართველი და უცხოელი მეცნიერი შეჰხეხია. ცნობილია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც თბილისი თურმე ქართველთა შორეული წინაპრების თუბალების, ანუ თობალების მთავარ ქალაქს *თუბალ-ის-ი//თობალისი//თობელისი* ანუ **თბილისი** უნდა რქმეოდა (129, 13-14). ეს თვალსაზრისი ქართველი ისტორიკოსების მიერ უარყოფილია, როგორც ხელოვნური და სარწმუნო ფაქტებს მოკლებული. მართლაც, უძველეს წყაროებში ჩვენი დედაქალაქი არსად არ არის მოხსენიებული *თობალისი//თუბალისად*. ტოპონიმის – **ტფილისი//თბილისის** სახელწოდება სწორედ იმ ლეგენდას უნდა უკავშირდებოდეს, რომელშიც მოთხრობილია ვახტანგ გორგასლის ნადირობისა და მის მიერ მოკლული ხოხობის შესახებ, რომელშიც ქალაქის სახელდების ოდინდელი ისტორიაა გაცხადებული (22, 169-170).

**უბე//უბჭ** (12). პ. ინგოროყვას მოსაზრებით, *უბე//უბჭ* ზემო იმერეთის უბისაა (76, 219). ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით უბის მონასტერი აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო (277, 625); ნ. მარი კი უბის ეკლესიას შავშეთში აფიქსირებს (118, 47).

**უტყუსა** (13). ადგილი სამხრეთ საქართველოში, მესხეთში, ადიგენის რაიონში, არსიანის ქედზე, ძინძეს ხეობაში (ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადი, მტკვრის აუზი). ამ ადგილისათვის მოსახლეობას „უტყვისუბანი“ შეურქმევია, ვინაიდან აქ მდებარეობს ძველი გეოლოგიური ეპოქების განამარხებული ფლორის ადგილსამყოფელი.

ჯერ კიდევ ადამიანის გაჩენამდე აქაურობა ვულკანურ ღვარსა და ფერფლს დაუფარავს. დროთა განმავლობაში კი განამარხებული ტყის ნაწილი გაშიშვლებულია (196, ტ. 10, გვ. 189).

**ფერსათი//ღადო** (12). მთა მესხეთის ქედზე, ბაღდადის სანახებში, მოქცეულია მდინარეების ქვაბლიანსა და მის მარცხენა შენაკადს ოცხეს შორის (მტკვრის აუზი). ფერსათი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს შავ ფერს, ფერ – ფერი და სათ – შავი. ეს სახელი მას ეწოდა აქაური შავი ღვინის გამო (44, 36).

**ქართლი** (1, 2, 3, 4, 8, 11, 12, 13). აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური მხარე. **ქართლი** ეწოდებოდა ვრცელ ქვეყანას, რომელიც საქართველოს სამხრეთსა და აღმოსავლეთის დიდ ნაწილს მოიცავდა. ბუნებრივ-გეოგრაფიული თვალსაზრისით კი მდ. მტკვრის წყალშემკრებ აუზს საქართველოს ტერიტორიაზე ძველიდანვე ქართლი სამ ნაწილად იყოფოდა: **ზემო, შიდა და ქვემო ქართლად**. სახელწოდება **ქართლის** შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. ლ. მროველი ტოპონიმ **ქართლის** წარმოშობას ლეგენდარულ თარგამოსის ძეს – *ქართლოსის* სახელს უკავშირებდა (193, 8). ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილისათვის დღესაც სარწმუნოა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ვერსია ქართველი ხალხის (ქართვების) ალექსანდრე მაკედონელის დროს არიან ქართლიდან გადმოსახლების თაობაზე (226, 15, 20, 262). მკვლევართა ერთ ნაწილს სარწმუნოდ მიაჩნია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც ტოპონიმი **ქართლ-ი** და *ქართუ-ელ-ი* შეიძლება წარმომდგარი იყოს სიტყვა **ქართა-საგან**, რომელიც ქართული ენის დასავლურ დიალექტებში (იმერეთი, გურია) **ქართას** („საქონელს რო ვამწყვდევთ თაზე შემოგრაგვამთ წკნელით და სარებით... საქონელს ამწყვრევენ, ქარტას უძახით...“ (245, 400) // **ქალტა-ს** სახით არის დასტურებული. ა. შანიძის აზრით, *ქართლ-* სატომო სახელია, სუფიქსი **-ლ** კი მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი **ნ** ფორმანტის ბგერინაცვალი: *ქართ-ნი* → *ქართ-ლ-ი* (217, 53). ამავე ავტორის ახალი ვერსიით ეთნონიმი *ქართუ-ელ-ი* თურმე სატომო სახელისაგან *პართ-ნი*, *პართ-ელ-ი* გვქონია მიღებული **პ-ქ** მონაცვლეობის გზით (ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი: თსუ, ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 23, თბ., 1980, გვ. 7-9). ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით **ქართუ** ქვეყნის სახელის აღმნიშვნელი სიტყვაა, **-ელ** კი (*ქართუ-ელ-ი*) – ადამიანის სადაურობის მიმანიშნებელი სუფიქსი (273, 411).

**ქორთა** (13). ისტორიული სამხრეთ საქართველო, ტაოს მიმდებარე ტერიტორია. ტოპონიმის წარმომავლობა ქართულია (76, 435).

**ყველისციხე** (5). შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, არსიანის ქედის სამხრეთ ნაწილში, ჯაყისწყლის (ფოცხოვისწყლის მარჯვენა შენაკადი, მტკვრის აუზი) სათავეში, ამჟამად თურქეთშია. **ყველისციხე** სტრატეგი-



ული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრე იყო, ვინაიდან მდებარეობდა სამცხე-შავშეთისა და აჭარა-არტაანის გზასაყარზე. აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელი პირველად „გობრონის წამებაში“ გვხვდება (277, 693).

**შავშეთი** (5, 12). მხარე და დაბა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (მესხეთში), არსიანის ქედსა და ჭოროხის ხეობას შორის. ამჟამად თურქეთშია, ქართულ საისტორიო მესხიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველადმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული **შეშთი** უნდა იყოს **შავშეთი**. სახელწოდება მომდინარეობს შავშეთის წყლის ხეობაში არსებულ სოფელ **შავშეთიდან**. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, **შავშეთს** სახელი ნაძვარების ფართოდ გავრცელების გამო შეერქმევა: „ვითამ შავში და არა სპეტაკში“ (53, 658). „მზის ამოსვლამდე მიდამოებს, რომლებიც ნაძვებითაა შემოსილი, „შავი“ ფერი გადაკრავს. როგორც ადგილობრივები ამბობენ, შავშეთს ოსმალურად **ნისლათს** (ნისლიანი ქვეყანა) უწოდებენ (133, 53).

**შარო** (12). დასავლეთ საქართველო, აფხაზეთი („**შარო**“ ან „**შაროეთი**“), ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია (273, 52).

**შატბერდი** (12). კულტურული ცენტრი, მონასტერი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში. ტოპონიმ **შატბერდის** წარმომავლობა ნ. მართ სომხურია, ხოლო პ. ინგოროყვა მას ქართულად მიიჩნევს. მკვლევრის აზრით, **შატბერდი** მიღებულია სიტყვა **შატბერთისაგან** („*შატბერთი*“ → „*შატბერდი*“). **შატბერი** საკუთარი სახელია და ტოპონიმი **შატბერდი** აქედანაა ნაწარმოები (76, 316). **შატბერდი** ნიშნავს შატბერისადმი კუთვნილს, შატბერისეულს (56, 203). ნ. მარისა და ლ. მენაბდის მიხედვით შეესაბამება ქვემო ფორთას, ხოლო პ. ინგოროყვას მიხედვით იგი მდ. ბერთის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა.

**ჩორჩანი** (13). სოფელი ქვაბლიანის (ადიგენის რაიონი, მტკვრის მარცხენა შენაკადი) ხეობაში. იგი შედიოდა ჩორჩანელების ფეოდალური საგვარეულოს შემადგენლობაში. ამ სახელით დღესაც გვხვდება ეს პუნქტი (87, 185).

**ცურტავი** (1). ისტორიული ქალაქი ქვემო ქართლში, ბოლნისსა და რუსთავს შორის, მდინარეების მაშავერასა და ხრამის შესართავთან. არსებობს მოსაზრება, რომ იგი გაგის ციხის (მარნეულის რაიონი) მიდამოებში მდებარეობდა. ზოგიერთ წყაროში აღნიშნული ტოპონიმი **გაჩიანის** სახელწოდებითაცაა მოხსენიებული (196, ტ. 11, გვ. 245).

**ცხროჭა** (13). ისტორიული სოფელი სამხრეთ საქართველოში, ახალციხის რაიონში, ქვაბლიანის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ხეობაში (196, ტ. 11, გვ. 259).

**ძინძე** (13). ძეგლის მიხედვით სამცხეში. მდინარე სამხრეთ საქართველოში, ადიგენის რაიონში, ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადი.

**წერტაძისნი** (12). ადგილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში, კერძოდ, ანჭკორაში (ანაკერტის ხეობაში). სახელწოდება მიღებულია ადამიანის სახელისაგან „წერტა“: ტოპონიმის წარმომავლობა ქართულია (76, 435).

**წილკანი** (9). სოფელი ქართლში (მცხეთის რაიონი). გაშენებულია მუხრანის ვრცელ ვაკეზე, მდ. ნარეკავის (არაგვის მარჯვენა შენაკადი) ნაპირას. ნ. მართლიდა, რომ წილკანი წარმომდგარი უნდა იყოს წილ (-ჭილ-) სატომო სახელისაგან (118, 310), თუმცა ასეთი ტომის არსებობა საქართველოში უცნობია. ქართველი მკვლევრების მოსაზრებით, წილკანი წარმომდგარი ყოფილა წინკარისაგან (34, 48), რასაც უარყოფს გ. ბედოშვილი და აღნიშნავს, რომ ტოპონიმის საბოლოო სახე ფონმატურ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო (*წირ-კარ-ი წილ-კარ-ი წილკანი*) (22, 500-501).

**წყაროძის თავი** (12). საეპისკოპოსო კათედრალი, სავანე (IX ს. I მესამედი) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში, მდ. კარჩხალისწყლის მარცხენა ნაპირას, ხანძთასთან ახლოს. ტოპონიმის სახელწოდება „წყაროს“ უნდა უკავშირდებოდეს (277, 743).

**ხანძთა** (12). ისტორიული პუნქტი და მონასტერი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში, კერძოდ, ქვემო ფორთაში (140, 90-91). სახელის წარმომავლობა ქართულია (277, 750).

**ხორასუნის მთა** (12). კლარჯეთში (196, ტ. 11, გვ. 498).

**ჯავახეთი** (12). მხარე სამხრეთ საქართველოში (ზემო ქართლი). ამჟამად ჯავახეთი ძირითადად ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების ტერიტორიებს მოიცავს. ლეონტი მროველის მიხედვით, სახელწოდება ჯავახეთი წარმომდგარი ყოფილა ლეგენდარული მცხეთოსის უმცროსი შვილის ჯავახოსის საკუთარი სახელის მიხედვით (196, ტ. 11, გვ. 524). სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ჯავახეთი წარმომდგარია სატომო სახელისაგან *ჯავახ-ი*. მას დართული აქვს გეოგრაფიული -**ეთ** სუფიქსი, რაც ტოპონიმს ჯავახთა ტომის ხალხთა ერთადმყოფობის, სიმრავლის, გავრცელების შინაარსს სძენს (22, 553). ჯავახეთი, მაშასადამე, იმგვარადგება წარმოქმნილი, როგორც სხვა ეთნიკური ტოპონიმები: *მესხ-ეთ-ი*, *სვან-ეთ-ი*, *კახ-ეთ-ი*, *აფხაზ-ეთ-ი*. ოღონდ სპეციალისტებისათვის დღემდე სარწმუნოდ არ არის გარკვეული თვით ტერმინ ჯავახის რაობა. გ. ბედოშვილის თვალსაზრისით, *ჯაოხ*//*ჯავახ* ეთნონიმი თეორიულადად შეიძლება *ტაოხ*//*დაოხ*- ფორმისაგან მომდინარე ერთეულად ვცნოთ, თუ კი **ტ** → **ღ** → **ჯ** პროცესს ფონეტიკური თვალსაზრისით დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდება (22, 554).

**ჯმერკი** (12). მონასტერი (IX ს. I მესამედი), სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, კლარჯეთი, მდინარე ბერთის მარჯვენა სანაპირო (76, 358).

**ჰერეთი** (1). აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარე. საისტორიო წყაროების მიხედვით საკუთრივ ჰერეთი ეთნიკურ-ისტორიული მნიშვნელობით მოიცავდა შიგნიკახეთს, გაღმამხარის (მდ. ალაზნის ველი) და ახლანდელი საინგილოს ტერიტორიას. XV საუკუნიდან ტოპონიმი **ჰერეთი კახეთით** შეიცვალა. ლევენდის მიხედვით „ჰერეთი ეწოდა თარგამოხის ძის ჰეროსის გამო, რომელსა ძმათა თუსთა შორის წილად ხუდა ქუეყანა ესე და დაიპყრა საზღვარი თუსი“ (53, 523).

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ აგიოგრაფიულ ძეგლებში, კერძოდ, “სერაპიონ ზარზმელის” ცხოვრებაში”, გვხვდება ისეთი ტოპონიმები, რომელთა შესახებ არაფერი თქმულა მკვლევართა მიერ. ესენია: *ბაბგენ, ბაკთა, ბერას ჯუარ, ბობლა//ბობხა, თავი შეშისა//შეშისთავ, უმწა, შუარტყლი, ძარღუას სოფელ*. თხზულების მიხედვით ვხვდებით, რომ დასახელებული ობიექტები სამცხეში უნდა მდებარეობდეს.

## § 6. აგიოგრაფიული ძეგლების ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგია თანამედროვე მკვლევრის ნაშრომში

ცნობილი რუსი გეოგრაფი და ისტორიკოსი ნ. ნადეჟდინი წერდა: „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებანი ბევრათა უბრალო ნაზავს, ნაერთს ან სიტყვების უაზრო, გაუცნობიერებელ შეკავშირებას როდი წარმოადგენს, ისინი ჩვენი წარსული ყოფა-ცხოვრების ზუსტი ანარეკლია და ამიტომ მათი სპეციალურად შესწავლა ქვეყნის ისტორიის შესწავლას ნიშნავს“ (299, 22).

ზემოთ აღნიშნულ პარაგრაფში ყურადღებას შევაჩერებთ თანამედროვე მკვლევრის გ. ბედოშვილის მეცნიერულ ნაშრომზე „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, რომელშიც ავტორი თითოეულ ტოპონიმზე თავისებურ დაკვირვებას გვთავაზობს:

**არაგვი** (8). მკვლევარი, გ. ბედოშვილი, ჰიდრონიმ არაგვის სახელის ახსნას ქართული წყაროების გამოყენებით ცდილობს და მიმართავს ძველისძველ ქართულ რაგვ სიტყვას: *ა-რაგვ* (სა-რაგვ?) „მდინარე, რომელშიც თევზს რაგვით ანუ ფიხსულებით იჭერენ“ (22, 141).

**აჭარა** (5). ტოპონიმი *აჭარა* შინაარსობრივად წყალთან, წყლიანობა – სისველესთან უნდა იყოს დაკავშირებული, ოღონდ ამ შინაარსის გადმოცემა გეოგრაფიულ სახელში აღნიშნული ჩანს არა ოდენ ჭ თანხმონით (175, 144), არამედ *ჭარ* – სიტყვით, რომელიც ქართული ენის მთელ რიგ დიალექტებში, ამდენად, ტოპონიმიაშიც, ხელ-

შესახებ ფაქტად შეგვიძლია ვცნოთ. მკვლევარი იქვე დასძენს, რომ აჭარა სიტყვის პრეფიქსული -ა ხმოვანი შეიძლება ქართული სა- წინსართის ზანური შესატყვისის ო ხმოვნის ასიმილირებულ სახეობად მივიჩნიოთ: *ოჭარა* → *აჭარა*. ამ დასკვნას ობიექტურად მიესადაგება აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (22, 60).

**გუნათლე/გუნათლის ვანი** (12) უნდა მომდინარეობდეს ძველი ქართული აღმტებითი ხარისხის *უნათლე*-ე ფორმისაგან, რაც ნიშნავს: „ძალზე ნათელი, მზისგული, მზიანი ადგილი“, „ადგილი, რომელსაც მზე ხშირად ანათებს“. მკვლევარი გ- თანხმოვანს ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებულად თვლის და შესადარებლად ძველი ქართული ენობრივი მონაცემები მოჰყავს: „ქართლის მოქცევის“ რედაქციებში დადასტურებულია ტოპონიმი *გუასაურაგანი*, *ვასაურაგანი* ამ ტოპონიმშიც თავიკიდური უ- ხმოვნის წინ გ ფონეტიკურად არის განვითარებული, რადგან „მოქცევის“ ერთ-ერთი რედაქცია *გუასაურაგანს* უგანოდ, *უასაურაგან* (*ვასაურაგან*) ფორმით წარმოგვიდგენს. გ- თანხმოვნის ხმარება ქართული ენის დასაფლური და აღმოსავლური (მთის) დიალექტებისათვის დღესაც ნიშანდობლივია. მეცნიერი დაასკვნის, რომ *გ-უნათლე* ნიშნავს: „უნათლესი“ ანუ „მზიანი“, „მზგარე ადგილი“ (22, 117-118).

**ზანავი** (13). გ. ბელოშვილი მართებულად არ მიიჩნევს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს ტოპონიმ *ზანავის* ეთნონიმ *ზანთან* კავშირის შესახებ. მკვლევრის აზრით, არ შეიძლება აგ- იყოს ეთნოტოპონიმის მაწარმოებელი. შესადარებლად მოჰყავს *ქართაგი*, *მესხაგი*, რაც ყოველად დაუშვებელია. მეცნიერი ფიქრობს, შეიძლება *ზანავი* ჰიდრონიმის აღმნიშვნელი სიტყვაც იყოს, რასაც იმით ხსნის, რომ ძველ ქართულ ონომასტიკაში წყლის ობიექტის, ჰიდრონიმის აღმნიშვნელ ტერმინად *ზან*- ფუძე გვხვდება (*ალა-ზან*, *ნარ-ზან...*) (22, 156-157).

**ზედაზენი** (8). მკვლევარს *ზედაზენი* ორფუძიან ტოპონიმად მიაჩნია. პირველი ფუძეა ზმნიზედური *ზედა*, მეორე კი – *ზენი*, რომელიც ხშირად „თავის“, „წვერის“, „შემადლებული ადგილის“ აღმნიშვნელ სახელად ჩნდება ტოპონიმიაში. *ზედაზენი* „ზემო ვაკე ადგილს“ ნიშნავს (22, 161-162).

**მტკვარი** (3, 6, 9). ჰიდრონიმი ზანური *მტკარი*//*მტკური* სიტყვისაგან წარმომდგარა და ნიშნავს „ტყის მდინარე“, „გარეული, ველური წყალი“. თავიკიდური მტ-სეგმენტის ჩამოცილების შემდეგ მიგვიღია *კურ*, *კორ*- სიტყვა, რომელიც საფუძვლად დასდებია მდინარის არაქართულ, მათ შორის რუსულ (*კურა*) სახელწოდებასაც (22, 266).

**მცხეთა** (2, 8, 9, 11, 12). ტოპონიმ მცხეთის მესხების სატომო სახელისაგან მომდინარეობას უარყოფს გ. ბელოშვილი და გამოთქვამს ვარაუდს, რომ შეიძლება *მცხე* ძირი წარმოშობით მიმდებარე ან საზოგადო არსებითი სახელი იყოს. ასეთად წარმოგვიდგება უძველესი ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებული სიტყვა *მცცხ* რომელიც

ძველ ქართულში ნიშნავდა: „ჭადარა, თმაგათეთრებელი, ასაკოვანი ადამიანი“; სიტყვა-სიტყვით – „უფროსი“, „ბრძენი“. მკვლევარი დაასკვნის, რომ *მცხეთა* უნდა მომდინარეობდეს *მკცე-ე/მხცე-ე* სიტყვისაგან *-თა* სუფიქსის დართვით. *მცხეთა* სიტყვისაგან ფონეტიკური ცვლილების შედეგად (მეტათეზისი) მოგვიანებით *მცხეთა* მიგვიღია (ისევე, როგორც მხცოვან-ისაგან მცხოვანი). სახელწოდება *მცხეთა* ნიშნავს: „მხცეთა“; „მკცეთა სამყოფი ქალაქი“, „საუფროსო, სამთავრო ქალაქი“, „მკცეთა საბრძანისი“, „მხცეთა ადგილი“. სახელწოდება *მცხეთა* იბერიის სამეფოს დედაქალაქს ქართლში ქრისტიანობის შემოსვლამდე ბევრად უფრო ადრე, დაახლოებით IV-III საუკუნეებში უნდა შერქმეოდა (22, 275-276).

**სამთავისი** (8). ხალხური დეკტიმოლოგიზაციის შედეგად ჩანს წარმოქმნილი. რიცხვითი სახელი „სამი“ აქ, ისევე როგორც ბევრ სხვა მსგავსი გაფორმების საფუძვლიან ტოპონიმიაში, გადააზრიანების გზით არის გაჩენილი. სახელწოდების თავდაპირველი ფორმა *სა-თავ-ის-ი* უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, სწორედ აქედან იღებდა სათავეს ლეხურიდან „წადებული“ ის ძველი რუ, ტირიფონისა და ქართლის ვაკის სხვა უნაყოფო ველ-მინდვრებს რომ რწყავდა. სათავისისაგან სამთავისის მიღება ალბათ დიდ დაბრკოლებას არ უქმნიდა ხალხს, მითუმეტეს, რომ ანალოგიური ფონეტიკური და აზრობრივი გადახრები არაერთ ტოპონიმიაში გვაქვს დადასტურებული (22, 351).

**სამცხე** (12, 13). მომდინარეობს ტერმინ *სამცხეთა*-საგან, რომელშიც შესანიშნავად არის ასახული იბერიის სამეფოს მცხეთის საეკლესიო ხელისუფალთა ენერგიული ბრძოლის ის უმძაფრესი პერიპეტეები, რომელთაც ისინი ეწეოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული ტერიტორიების („საყმობის“) შემოსავრთებლად. ტოპონიმი *სამცხეთა* სწორედ იმ მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო ბრძოლა-მოღვაწეობის პირდაპირი შედეგია.

*სამცხე* წარმომდგარია არა *სამესხე* სიტყვისაგან, არამედ *სა-მცხეთა*-საგან (22, 362).

**ქართლი** (12, 3, 4, 8, 11, 12, 13). წარმომდგარი ჩანს ეთნონიმ *ქართი*-საგან, რომელშიც დეტერმინანტ სუფიქსად *-ლ(←აღ)* გამოვლინდა: *ქართლ(←ქართ-აღ)*. *ქართლ* – ძირისაგან წარმომდგარ სადაურობის მანვენებელ სახელში *ქართლ-ელ-ი* ეს *ლ* თავის ადგილზეა, ხოლო მისგანვე წარმოქმნილ *ქართლ-ელ* ფორმაში სუფიქსი *-ლ-* აღარ ჩანს, მის ადგილს *ვ* იკავებს. *ვ* თანხმოვნის გაჩენა ამ ფორმაში კვალიფიცირებულია როგორც „კეთილხმოვნებისათვის ჩართული თანხმოვანი“, ისევე როგორც ეს *რაჭ-ელ* ფორმაში გვაქვს. *ქართლ-ელ* ფუძის ზუსტი შესატყვისია მეგრული *ქორთ-უ*, რაც გვარ ქორთუაშიც დასტურდება. საგანგებო ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ მეგრულად თბილისს *ქართი* (ქვეყნის სახელი) ეწოდება, ეთნონიმი ქართველი კი კანონზომიერი მეგრული

ხმოვანმონაცვლეობით (*ქორთუ*) არის წარმოდგენილი. ეს ფაქტი აღნიშნულ სიტყვათა მეგრულში ნასესხობის სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე უნდა მიგვანიშნებდეს.

*ქართ-* (*ქართ-უ-//ქართ-ვ-*) ძირის მნიშვნელობა, ისევე როგორც სხვა არაერთი ქართული ეთნოსისა (*კახ-ი, ფშავ-ი, თუშ-ი, კლარჯ-ი, შავში-*), დღესდღეობით გაურკვეველი შინაარსის ერთეულად უნდა მივიჩნიოთ. მკვლევარი დაასკვნის, რომ ტოპონიმი *ქართლი*-ი ქართული ენობრივი სამყაროს პირმშოა და მას აღმოსავლური (თურქული) წარმოშობის *karpa/karta* სიტყვებთან საერთო არაფერი აქვს (22, 425-426).

**წილკანი** (9). მკვლევრის აზრით, როგორც სხვა მეცნიერები ვარაუდობენ, წილკანი თუ მეორეული წარმონაქმნია, მაშინ სავარაუდო წირ-კარი-საგან უნდა მომდინარეობდეს და არა წინკარი-საგან. წირ-ი იგივე წერ-ი („ნავთობის ერთგვარი შავი მინერალური გამონადენი“) აქაურ ტოპონიმიაში წერ-ოვან-სა და წერ-ონის-ში არის დადასტურებული... დღევანდელი წილკანი, ანუ ძველი წირ-კარი („წირ-ოვანი ადგილი“), იმავე გეოგრაფიულ ზოლში მდებარეობს, რომელსაც წეროვანი, წერონისი შემოსაზღვრავენ. სამივე ეს სახელი ამ არეალის ნავთობის მცირე დებიტის გამონადენის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. მეცნიერი ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ენობრივი (ფონეტიკური) ცვლის კანონზომიერებით ამართლებს: წირ-კარი-ი → წილკარი-ი → წილკანი-ი (22, 500-501).

**ჯავახეთი** (12). გ. ბედოშვილის აზრით, თუ დავუშვებთ, რომ ტაო მართლა ის ქვეყანაა, რომელშიც ტაოხები სახლობდნენ და რომელსაც ტრადიციულად ჯავახეთი ეწოდებოდა, მაშინ შეიძლება გვეფიქრა ტაოხ-დაოხ...ჯაოხ-//ჯავახ- სატომო სახელთა ურთიერთკავშირის შესახებ, თუ კი ტ→დ→ჯ პროცესს ფონეტიკური თვალსაზრისით დიდი წინააღმდეგობა არ შეხვდებოდა. მკვლევარი დაასკვნის, რომ ჯაოხ-//ჯავახ-ეთონიმი თეორიულად შეიძლება ტაოხ-//დაოხ – ფორმათაგან მომდინარე ერთეულად ვცნოთ. ჯაოხ-ეთ-ი (//ჯავახეთი) ზუსტად ისე გვქონია მიღებული, როგორც სხვა ეთნოტოპონიმები: მესხ-ეთ-ი, კოლხ-ეთ-ი, კახ-ეთ-ი (←კახს-ეთ-ი) და სხვ. (22, 554).

## § 7. საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელები აგიოგრაფიულ ძეგლებში

აგიოგრაფიულ ძეგლებში, უხვად გვხვდება არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ მდებარე გეოგრაფიული სახელებიც, რომლებსაც ამ პარაგრაფში წარმოვაჩინოთ.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამავე პარაგრაფის ბოლოს ცხრილის სახით წარმოვადგენთ: ტოპონიმების რაოდენობას (ცხრ. 1), ტოპონიმების საერთო რაოდენობას (ცხრ. 2), ზოგად ცნობებს ტოპონიმთა და მიკროტოპონიმთა შესახებ (ცხრ. 3) აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით. ნახაზების მეშვეობით ვუჩვენებთ საქართველოს მხარეებსა და ტოპონიმებს აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით.

ანტიოქია (8, 11)

აპაჰუნისი (5)

არშაკეთი (2)

ასურეთი (8, 12)

აშორნია (5)

ბაბილონი (3, 4, 5, 8, 9, 11, 13)

ბაგრევანდი (5)

ბაღდადი (3, 5, 12)

გაბაონი (13)

გალილეა (2)

განძაკი (2)

გელაქუნია (5)

გოლგოთა (4)

დვინადაშტი (5)

დვინი (5)

დივრი (7)

ეგვიპტე (8, 11)

ეფფრატისი (2)

ვანანდი (5)

ვაიძორი (5)

ვაჟგანი (7)

თაბორი (13)

თალინი (5)

თემანი (4)

იერუსალიმი (4, 5, 8, 10, 12)

იორდანე (4, 5, 8, 13)

ისრაელი (4, 5, 8, 10, 12, 13)

კოგოვიტი (5)

კოსტანტინეპოლი (12)

ლიბანი (13)

მამორვანი (7)

ნაბულისი (10)

ოესეთი (3)

ონკომი (7)

რაფათი (5)

საბაწმიდა (12)

საბერძნეთი (4, 7, 12)

სამარა (4)

სივნიეთი (5)

სინა (2, 8)

სომხეთი (7)

სპარსეთი (2, 7)

ტაშირი (5), ტაშირის ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეა, ნაწილი სომხეთში.

ტრაპეზუნტი (3)

ურდი (1)

ქაღდია (3)

ქანაანი (4)

ქებრონი (2, 8)

შარუხი (5)

შუამდინარი (8)

ჩორი (1)

წალკოიგნი (5)

ჭაკატი (5)

ხაზარეთი (3)

ხუფა (13)

ჰემსა (12)

ჰრომი (8)



ცხრ. 1. ტოპონიმების რაოდენობა აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით

№	ტოპონიმები წყაროები	თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე	საქართველოსა და მეზობელი ქვეყნის ტერიტორიების საზღვარზე	საქართველოს ფარგლებს გარეთ	მათ შორის ისტორიულ საქართველოში	გაურკვეველი	სულ
1	“შუშანიკის წამება”	1	1	3		1	6
2	“ევსტათი მცხეთე- ლის წამება”	4		10		3	17
3	“აბო ტფილელის წამება”	8		9	2		17
4	“კოსტანტი კახის წამება”	4		8		1	13
5	“გობრონის წამება”	5		13	4	12	30
6	“კოლაელ ყრმათა წამება”	1		2	1		3
7	“დავით და ტირიჭა- ნის საკითხავი”			6	3	6	12
8	“იოვანე ზედაზნე- ლის ცხოვრება”	9		9			18
9	“შიოსა და ევაგრეს ცხოვრება”	7		2		1	10
10	“დავით გარეჯელის ცხოვრება”	2		2		2	6
11	“აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება”	8		3		2	13
12	“გრიგოლ ხანძთე- ლის ცხოვრება”	8	4	30	24	1	43
13	“სერაპიონ ზარზმე- ლის ცხოვრება”	12	2	7	3	11	32

ცხრ. 2 ტოპონიმების საერთო რაოდენობა  
აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით

თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე	39
საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების საზღვარზე	8
საქართველოს ფარგლებს გარეთ	66
მ.შ. ისტორიულ საქართველოში	34
გაურკვეველი	39
სულ	152

ცხრ. 3. ზოგადი ცნობები ტოპონიმთა და მიკროტოპონიმთა შესახებ აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით

№	ტოპონიმი	თანამედროვე სახელწოდება	ტოპონიმის ტიპი	ობიექტის ტიპი	ქვეყანა	რეგიონი	რაიონი	ზუსტი ადგილმდებარეობა	წყარო
1	ალავერდი	ალავერდი	ოიკონიმი, ეკლესიონიმი	სოფელი, ტაძარი	საქართველო	კახეთი	ახმეტის	ალაზნის ველზე	9.11
2	ანტიოქია		ოიკონიმი	ძველი ქალაქი	თურქეთი			მდ. ნაპრ-ელ-ასიზე	8, 11
3	ანზი, ანჩა		ქორონიმი, ეკლესიონიმი	ისტორიული პუნქტი, ეკლესია	თურქეთი	კლარჯეთი		ისპირის მთის კალთაზე	12
4	ანჭკორა		ქორონიმი	ისტორიული პუნქტი	თურქეთი	კლარჯეთი		ანაკერტის ხეობაში	12
5	აპაჰუნისი			ხევი				გაურკვეველია	5
6	არაგვი	არაგვი	ჰიდრონიმი	მდინარე	საქართველო	შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	დუშეთის, ვაზბეგის, მცხეთის	კავკასიონის სამხრეთი ფერდობზე, შიდა ქართლის ვაკეზე	8
7	არსიანი	არსიანი	ორონიმი	ქედი	საქართველო, თურქეთი	აჭარა, კლარჯეთი		სამხრეთ-დასავლეთი საქართველო	13
8	არტანუჯი	არდანუჩი	ოიკონიმი, ეკლესიონიმი	ციხე-ქალაქი	თურქეთი	კლარჯეთი		მდ. არტანუჯისწყლის ნაპირას	12
9	არტაონი, არტაანი		ქორონიმი	ისტორიული მხარე	თურქეთი	ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო		მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში	5
10	ასურეთი		ქორონიმი	ძველი სახელმწიფო	ერაყი			მდინარეების ტიგროსისა და ეფრატის აუზში	8, 12
11	აფსარი, აფსარეა		ოიკონიმი	ციხე-ქალაქი	საქართველო	აჭარა	ხელვაჩაურის	თანამედროვე სარფის მდებარეობაში	3
12	აფხაზეთი	აფხაზეთი	ქორონიმი	მხარე	საქართველო			ჩრდილო-დასავლეთი საქართველო	3, 5 12
13	არშაკეთი							გაურკვეველია	2
14	აშორნია		ქორონიმი	ისტორიული მხარე	სომხეთი			მდ. არაქსის მარცხენა მხარეს, ქ. კალზვენის ჩრდილოეთით	8, 12
15	აწყური	აწყური	ოიკონიმი, ეკლესიონიმი	სოფელი, ციხე	საქართველო	მესხეთი	ახალციხის	მდ. აბანოსღელის მტკვართან შესართავთან	12, 13
16	აჭარა	აჭარა	ქორონიმი	მხარე	საქართველო			სამხრეთ-დასავლეთი საქართველო	5
17	ბაბგენ					მესხეთი		გაურკვეველია	13
18	ბაბილონი, ბაბილონი		ოიკონიმი	ძველი ქალაქი	ერაყი			მდ. ეფრატის ნაპირზე	3, 4, 5, 8, 9, 11, 13
19	ბაგრევანდი			ხევი				გაურკვეველია	5
20	ბაკთა					მესხეთი		გაურკვეველია	13

№	ტოპონიმი	თანამედროვე სახელწოდება	ტოპონიმის ტიპი	ობიექტის ტიპი	ქვეყანა	რეგიონი	რაიონი	ზუსტი ადგილმდებარეობა	წყარო
21	ბარეთელთა	ბერათლი	ეკლესიონიმი	მონასტერი	თურქეთი	კლარჯეთი			12
22	ბასიანი		ქორონიმი	ისტორიული მხარე	თურქეთი	ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო		მდ. არაქსის სათავე	7
23	ბაღდადი	ბაღდადი	ოიკონიმი	ქალაქი	ერაყი			მდ. ტიგროსის ნაპირზე	2
24	ბეთანია	ბეთანია	ეკლესიონიმი	ტაძარი	საქართველო	შიდა ქართლი	მცხეთის	მდ. ვერის მარჯვენა მხარს	13
25	ბერას ჯვარი					მესხეთი		გაურკვეველია	13
26	ბერთა, იმერხევი	იმერხევი, შავშეთისწყალი	ეკლესიონიმი, ქორონიმი, პიდრონიმი	მონასტერი, ტერიტორიული ერთეული, მდინარე	თურქეთი	კლარჯეთი		მდ. კარხხალისწყლის ნაპირზე	12
27	ბოზლა, ბოზხა					მესხეთი		გაურკვეველია	13
28	გაბაონი							გაურკვეველია	13
29	გალილეა								2
30	განძაკი		ოიკონიმი	ძველი ქალაქი	ირანი	ისტორიულ აზერბაიჯანში		ურმის ტბის მიდამოებში	2
31	გარეჯა	დავითგარეჯა	ქორონიმი, ეკლესიონიმი	მხარე, სამონასტრო კომპლექსი	საქართველო	კახეთი	დედოფლისწყაროს	ივრის ზეგანზე	7, 9, 10, 11
32	გელაქუნია, გელაქუნი		ქორონიმი	ისტორიული ოლქი	სომხეთი			სვენიანის ტბის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში	5
33	გოდერძისა	გოდერძი	ორონიმი	უღელტეხილი	საქართველო	აჭარა	ხულოს	არსიანის ქედზე	13
34	გოლგოთა	გოლგოთა	ორონიმი	ბორცვი	პალესტინა			ქ. იერუსალიმის მახლობლად	4
35	გუნათლე, გუნათლის ვანი	გურნათელი	ეკლესიონიმი	ისტორიული ძეგლი	თურქეთი	ტაო-კლარჯეთი			12
36	დაბა		ეკლესიონიმი	ეკლესია	თურქეთი			მდ. ბერთის მარჯვენა ნაპირას	12
37	დარიალი, დარიალან	დარიალის ხეობა	ორონიმი, ქორონიმი	ხეობა	საქართველო, რუსეთი	მცხეთა-მთიანეთი (ხევი)	ვაზბეგი	თერგის მერიდიანული მონაკვეთი	3
38	დვინადაშტი							გაურკვეველია	5
39	დვინი		ოიკონიმი	ქალაქი	სომხეთი				5
40	დივრი							გაურკვეველია	7
41	დოლის ყანა	დოლისხანა	ეკლესიონიმი	მონასტერი	თურქეთი	კლარჯეთი		მდ. ბერთის მარჯვენა ნაპირას	12
42	ეგვიპტე	ეგვიპტე	ქორონიმი	სახელმწიფო		ახლო აღმოსავლეთი			8.11
43	ევფრატი	ევფრატი	პიდრონიმი	მდინარე	თურქეთი, სირია, ერაყი	სამხრეთ-დასავლეთი აზია		უერთდება ტიგროსს	2
44	ერუშეთი	ერუშეთი	ქორონიმი, ორონიმი	ისტორიული მხარე, მთიანეთი	საქართველო, თურქეთი				12
45	ვანანდი			ხევი				გაურკვეველია	5

№	ტოპონიმი	თანამედროვე სახელწოდება	ტოპონიმის ტიპი	ობიექტის ტიპი	ქვეყანა	რეგიონი	რაიონი	ზუსტი ადგილმდებარეობა	წყარო
46	ვაიძორი			ხევი				გაურკვეველია	5
47	ვასპურაგანი, ვასპურაკანი		ქორონიმი	ძველი სახელმწიფო	სომხეთი			ტერიტორია ვანის ტბასა და არაქსის ხეობას შორის	5
48	ვაჟგანი			ხევი, დაბა				გაურკვეველია	7
49	ზანავი		ოიკონიმი	სოფელი	საქართველო	მესხეთი	ადიგენის	მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე	13
50	ზარზმა	ზარზმა	ქორონიმი, ეკლესიონიმი	მხარე, ტაძარი	საქართველო	მესხეთი	ადიგენის	მდ. ქვაბლიანის მარჯვენა მხარეს	13
51	ზედაზადენი, ზედაზენი, ზედაძენი	ზედაზენი	ორონიმი	მთა	საქართველო	შიდა ქართლი	მცხეთის	საგურამოს ქედზე	8
52	ზენა სოფელი		ქორონიმი	ისტორიული მხარე	საქართველო	შიდა ქართლის ნაწილი			8, 9, 11
53	თაბორი		ორონიმი	მთა					13
54	თალინი							გაურკვეველია	5
55	თავი შეშისაი, შეშისთავი					მესხეთი		გაურკვეველია	13
56	თემანი							გაურკვეველია	4
57	იალდო							გაურკვეველია	11
58	იერუსალიმი	იერუსალიმი	ოიკონიმი	ქალაქი	პალესტინა, ისრაელი	წინა აზია		მკედარი ზღვის დასავლეთით	4, 5, 8, 10, 12
59	იოვანე-წმინდა		ქორონიმი	ადგილი		მესხეთი		გაურკვეველია	13
60	იორდანე	იორდანე	ჰიდრონიმი	მდინარე	იორდანია	დასავლეთი აზია		ერთვის მკედარ ზღვას	4, 5, 8, 13
61	ისრაელი	ისრაელი	ქორონიმი	სახელმწიფო		დასავლეთი აზია			4, 5, 8, 10, 12, 13
62	იულთისა		სპელეონიმი	გამოქვაბული				გაურკვეველია	9, 11
63	იშხანი	იშხანი	ეკლესიონიმი	სამონასტრო ცენტრი	თურქეთი	ტაო		მდ. ოლითისწყლის მარჯვენა ნაპირას, თორთომის ტბის ჩრდილოეთით	7, 12
64	კაპოეტი, კაპოეტისწყალი	ბზიფი	ჰიდრონიმი	მდინარე	საქართველო	აფხაზეთი	გაგრის, გუდაუთის, სოხუმის	კაკასიონის სამხრეთი ფერდობზე, შავი ზღვისპირა ვაკეზე	5
65	კახეთი	კახეთი	ქორონიმი	მხარე	საქართველო				8, 9, 10, 11
66	კვირიკეთი		ეკლესიონიმი	მონასტერი	საქართველო	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომის		12
67	კლარჯეთი		ოიკონიმი, ქორონიმი	ისტორიული მხარე	თურქეთი	ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო		მდ. კოროხის ქვემო წელის აუზში	12, 13
68	კოგოეტი			ხევი				გაურკვეველია	5

№	ტოპონიმი	თანამედროვე სახელწოდება	ტოპონიმის ტიპი	ობიექტის ტიპი	ქვეყანა	რეგიონი	რაიონი	ზუსტი ადგილმდებარეობა	წყარო
69	კოლა		ქორონიმი	ისტორიული მხარე	თურქეთი	ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო		მდ. მტკვრის სათავეში	6
70	კოლბოფორი		ქორონიმი	ისტორიული მხარე	სომხეთი	ისტორიული ქვემო ქართლი, გოგარენე			5
71	კოსტანტინეპოლი	სტამბოლი	ოიკონიმი	ქალაქი	თურქეთი			ბოსფორის სრუტეში	12
72	კუხეთი		ქორონიმი	ისტორიული მხარე	საქართველო	ქვემო ქართლი, კახეთი		მტკვრისა და არაგვის ხეობებიდან გარეჯის უდაბნომდე	8, 11
73	ლეეთი	ზემო ლეთეთი, ქვემო ლეთეთი	ოიკონიმი	სოფელი	საქართველო	შიდა ქართლი	ქარელის	თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე	12
74	ლიბანი		ქორონიმი	სახელმწიფო		დასავლეთი აზია		ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე	13
75	მამორვანი			ხევი				გაურკვეველია	7
76	მერე		ეკლესიონიმი	მონასტერი	თურქეთი	კლარჯეთი		კარნახლისწყლის ხეობაში	12
77	მიძნაძორი		ეკლესიონიმი	ტაძარი	თურქეთი	კლარჯეთი		მდ. კარნახლის მარცხენა ნაპირას	12
78	მტკვარი	მტკვარი	პიდრონიმი	მდინარე	თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი				3, 6
79	მცხეთა	მცხეთა	ოიკონიმი	ქალაქი	საქართველო	მცხეთა-მთიანეთი	მცხეთის	მტკვრისა და არაგვის შესაყართან	8, 11, 12
80	ნაბულისი							გაურკვეველია	10
81	ნაფსა, ნაფსაი, ნიკოფსია		ქორონიმი, ოიკონიმი	ისტორიული მხარე, ქალაქი	რუსეთი	ისტორიული ჩრდილო-დასავლეთი საქართველო		შავი ზღვის სანაპიროზე, ქ. ტუაფსესთან	3
82	ნეკრესი	ნეკრესი	ქორონიმი, ოიკონიმი	ისტორიული მხარე, ქალაქი	საქართველო	კახეთი	ყვარლის	ს. შილდასთან	11
83	ნეძვი, თევდორეს ვანი	ნეძვი	ეკლესიონიმი	მონასტერი	საქართველო	სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომის	ნეძვისწყლის ხეობაში	12
84	ნორგიალი		ოიკონიმი	სოფელი	თურქეთი	შავშეთი		მდ. ანაკერტის მარჯვენა მხარეს	12
85	ოესეთი	ოსეთი, ალანია	ქორონიმი	ძველი სახელმწიფო		.		ჩრდილოეთ კავკასიაში	3
86	ონკომი							გაურკვეველია	7
87	ოპიზა	ოპიზა	ოიკონიმი, ეკლესიონიმი	სოფელი, მონასტერი	თურქეთი	კლარჯეთი		მდ. ბერთის მარჯვენა მხარეს	12, 13
88	პარეხი, პარეხნი		ეკლესიონიმი	მონასტერი	თურქეთი	კლარჯეთი		კარნახლის ხეობაში	12
89	პონტო	პონტოს ქედი, შავი ზღვა	ორონიმი, ქორონიმი, პიდრონიმი	ქედი, სამეფო, ზღვა	თურქეთი, საქართველო				3
90	რაფათი							გაურკვეველია	5

№	ტოპონიმი	თანამედროვე სახელწოდება	ტოპონიმის ტიპი	ობიექტის ტიპი	ქვეყანა	რეგიონი	რაიონი	ზუსტი ადგილმდებარეობა	წყარო
91	რეხი	რეხა	ოიკონიმი	სოფელი	საქართველო	შიდა ქართლი	გორის	მდ. მეჯუღის ნაპირას	11
92	რუისთავი							გაურკვეველია	10
93	საბაწმიდა, საბას ლაგრა		ეკლესიონიმი	მონასტერი	პალესტინა			იერუსალიმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით	12
94	საბერძნეთი	საბერძნეთი	ქორონიმი	სახელმწიფო		სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა		ბალკანეთის ნახევარკუნძულზე	4, 7, 12
95	საგოდებელი		აგორონიმი	ადგილი	საქართველო	ქვემო ქართლი		ქ. თბილისის ფარგლებში	3
96	სადილეგო		აგორონიმი	ადგილი	საქართველო	ქვემო ქართლი		ქ. თბილისის ფარგლებში	3
97	სათახუე	სათახუე	ჰიდრონიმი	ტბა	საქართველო	მესხეთი	ახალციხის	ახალციხის ქვაბულში	13
98	სამარა		ოიკონიმი	ქალაქი	ერაყი			მდ. ტიგროსის მარცხენა ნაპირზე	4
99	სამარია, სებასტია		ოიკონიმი	სოფელი	იორდანია				
100	სამთავისი	სამთავისი	ეკლესიონიმი	სოფელი	საქართველო	შიდა ქართლი	კასპის	მდ. ლეხურას მარცხენა მხარეს	8
101	სამცხე, მესხეთი, ოძრხე	სამცხე, მესხეთი	ქორონიმი	მხარე	საქართველო, თურქეთი				12, 13
102	სარწყები		ქორონიმი	ადგილი	თურქეთი	ტაო		მდ. მტკვრის აუზში, არტანის მხარეში	12
103	საჩინო		ქორონიმი	ადგილი	თურქეთი	ტაო			12
104	საძმო		ქორონიმი	ადგილი		მესხეთი		გაურკვეველია	
105	სიენიეთი							გაურკვეველია	5
106	სინა	სინა		ნახევარკუნძული	ეგვიპტე			აფრიკასა და არაბეთის ნახევარკუნძულს შორის	2, 8
107	სომხეთი	სომხეთი	ქორონიმი	სახელმწიფო		სამხრეთი კავკასია		სომხეთის ვულკანურ მთიანეთზე	7
108	სომხითი		ქორონიმი	ისტორიული მხარე	საქართველო	ქვემო ქართლი	მარნეულის, ბოლნისის, დმანისის		4, 5
109	სპარსეთი	ირანი	ქორონიმი	სახელმწიფო		სამხრეთ-დასავლეთი აზია			2, 7
110	ტაო		ქორონიმი	ისტორიული მხარე	თურქეთი	ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო			7, 12
111	ტაშირი		ქორონიმი	ისტორიული მხარე	საქართველო, სომხეთი	ქვემო ქართლი		მდ. დეგედის მარცხენა შენაკადის ტაშირისწყლის ხეობაში	5
112	ტაძარნი							გაურკვეველია	7
113	ტბეთი		ქორონიმი	ისტორიული მხარე	თურქეთი	კლარჯეთი		არსიანის ქედის დასავლეთ ფერდობზე, მდ. ბურთის მარჯვენა მხარეს	12

№	ტოპონიმი	თანამედროვე სახელწოდება	ტოპონიმის ტიპი	ობიექტის ტიპი	ქვეყანა	რეგიონი	რაიონი	ზუსტი ადგილმდებარეობა	წყარო
114	ტრაპეზუნტი, ტრაპიზონი		ქორონიმი, ოიკონიმი	ძველი სახელმწიფო, ქალაქი	თურქეთი	მცირე აზია			3
115	ტფილისი	თბილისი	ოიკონიმი	ქალაქი	საქართველო	ქვემო ქართლი		თბილისის ქვაბულში	2, 3, 4, 12
116	უბე		ეკლესიონიმი	მონასტერი	საქართველო	1) უბისა - იმერეთი; 2) უბის მონასტერი - აფხაზეთი			12
117	უმწა					მესხეთი		გაურკვეველია	13
118	ურდი							გაურკვეველია	1
119	უტყვისა	უტყვისუბანი	ქორონიმი	ადგილი	საქართველო	მესხეთი	ადიგენის	არსიანის ქედზე, ძინძეს ხეობაში	13
120	ფერსათი, ღადო	ფერსათი	ქორონიმი	პუნქტი	საქართველო	იმერეთი	ბაღდადის	მდ. ხანისწყლის მარცხენა მხარეს, მესხეთის ქედზე	12
121	ქალდია, ქალდეა		ქორონიმი	ძველი სახელმწიფო	ერაყი			სპარსეთის ყურის სანაპიროზე	3
122	ქანაანი		ქორონიმი	ისტორიული ტერიტორია	ისრაელი, პალესტინა, სირია			ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე	4
123	ქართლი	ქართლი	ქორონიმი	მხარე	საქართველო				1, 2, 3, 4, 8, 11, 12, 13
124	ქებრონი							გაურკვეველია	2, 8
125	ქორთა		ქორონიმი	ადგილი	თურქეთი	ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო		ტაოს მიმდებარე ტერიტორია	12
126	ყველის ციხე			ციხესიმაგრე	თურქეთი	ისტორიული სამხრეთი საქართველო		არსიანის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ჯაყისწყლის (ფოცხოვისწყლის მარჯვენა შენაკადი) სათავეში	3, 5, 13
127	შავშეთი	შავშეთი	ქორონიმი	მხარე, დაბა	საქართველო, თურქეთი	ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო			5, 12
128	შარო				საქართველო	აფხაზეთი		გაურკვეველია	12
129	შარუხი			ხევი				გაურკვეველია	5
130	შატბერდი, "საქართველოს სინაი"		ეკლესიონიმი	მონასტერი	თურქეთი	კლარჯეთი		1) ს. ქვემო ფორთა; 2) მდ. ბერთის მარცხენა ნაპირას	12

№	ტოპონიმი	თანამედროვე სახელწოდება	ტოპონიმის ტიპი	ობიექტის ტიპი	ქვეყანა	რეგიონი	რაიონი	ზუსტი ადგილმდებარეობა	წყარო
131	შუამდინარეთი	მესოპოტამია	ქორონიმი	ტერიტორია	ერაყი, ირანი, თურქეთი, სირია, კუვეიტი			მდინარეების ტიგროსისა და ეფრატის აუზში	8, 13
132	შუარტყელი		ორონიმი	ხევი		მესხეთი		გაურკვეველია	
133	ჩორი	დერბენტი	ოიკონიმი	ქალაქი	რუსეთი	დაღესტანი		კასპიის ზღვის სანაპიროზე	1
134	ჩორჩანი		ოიკონიმი	სოფელი	საქართველო	მესხეთი	ადიგენის		13
135	ცურტაუი		ოიკონიმი	ისტორიული ქალაქი	საქართველო	ქვემო ქართლი		ქალაქებს – რუსთავსა და ბოლნისს შორის	1
136	ცხროჭა		ოიკონიმი	ისტორიული სოფელი	საქართველო	მესხეთი	ახალციხის	ქვაბლიანის ხეობაში	13
137	ძარღუას სოფელი					მესხეთი		გაურკვეველია	13
138	ძინძე	ძინძე	ჰიდრონიმი	მდინარე	საქართველო	აჭარა	ხულოს	ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადი	13
139	წალკოიტნი			ხევი				გაურკვეველია	5
140	წერტაისნი		ქორონიმი	ადგილი	თურქეთი	კლარჯეთი		ანჭკორაში (ანაკურტის ხეობაში)	12
141	წილკანი	წილკანი	ოიკონიმი	სოფელი	საქართველო	შიდა ქართლი	მცხეთის	მუხრანის ვაკეზე	9
142	წყაროისთავი		ეკლესიონიმი	საეპისკოპოსო კათედრალი	თურქეთი	კლარჯეთი		მდ. კარხხალისწყლის მარცხენა ნაპირას, ხანძახთან ახლოს	12
143	ჭაკატი			ხევი				გაურკვეველია	5
144	ხაზარეთი		ქორონიმი	ძველი სახელმწიფო	რუსეთი			ჩრდილოეთ კავკასიისა და ვოლგისპირეთი	3
145	ხანძთა		ქორონიმი	ისტორიული პუნქტი	თურქეთი	კლარჯეთი			12
146	ხორასუნის მთა		ორონიმი	მთა	თურქეთი	კლარჯეთი			12
147	ხუფა							გაურკვეველია	13
148	ჯავახეთი	ჯავახეთი	ქორონიმი	მხარე	საქართველო, თურქეთი		ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის		12
149	ჯმერეი		ეკლესიონიმი	მონასტერი	თურქეთი	კლარჯეთი		მდ. ბერთის მარჯვენა ნაპირას	12
150	ჰემსა							გაურკვეველია	12
151	ჰერეთი	საინგილო	ქორონიმი	ისტორიული მხარე	საქართველო, აზერბაიჯანი	კახეთი		ალაზნის ველსა და საინგილოში	1
152	პრომი	რომი	ოიკონიმი	ქალაქი	იტალია			აპენინის ნახევარკუნძულზე	







## § 8. გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება

გეოგრაფიული სახელების ბრუნება საგრძნობლად განსხვავდება ადამიანთა სახელების ბრუნებისაგან. თუ ადამიანთა საკუთარი სახელების ბრუნებისას იშვიათია საზოგადო სახელთა ბრუნებასთან გათანაბრების შემთხვევები, გეოგრაფიული სახელები, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის მთლიანად უთანაბრდება საზოგადო სახელების ბრუნებას. გეოგრაფიულ სახელებს მოეპოვება ყველა ბრუნვა, მათ შორის მოთხრობითიც. ამის ერთ-ერთი ნიმუშია ხანმეტი ლექციონარი (VII ს.): აქაიამან, ჰრომ., 15, 26 (75, 395); გეოგრაფიულ სახელებს აქვს ბრუნვის ისეთივე ნიშნები, როგორც საზოგადო სახელებს; მათი ფუძეებიც ისევე ექვემდებარება კუმშვისა და კვეცის კანონებს, როგორც საზოგადო სახელთა ფუძეები (გამონაკლისს წარმოადგენს უცხო წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები, რომელთა ფუძეების ფონეტიკურ ცვლილებებს უძველესი ძეგლები ზოგჯერ ერიდებიან); პირის სახელების მსგავსად, გეოგრაფიულ სახელებს არა აქვთ მრავლობითი რიცხვი და წოდებით ბრუნვაში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ჩვეულებრივ, არ დაირთავენ ბრუნვის ნიშანს.

### 8. 1. წრფელობითი ბრუნვა

წრფელობითი ბრუნვა გეოგრაფიულ სახელებთანაც ივარაუდება, ყველაზე ხშირად „რქუმა“ და „წოდება“ ზმნებთან. „გეოგრაფიულ სახელებს ამ შემთხვევაში კარგად აქვთ დაცული წრფელობითის „ფორმა“, ე.ი. სუფთა ფუძის სახით არის მოცემული“ (75, 392).

საკვლევ ძეგლებში „რქუმა“ და „წოდება“ ზმნებთან ოცდათხუთმეტი გეოგრაფიული ობიექტის სახელთაგან ოცდამეორე ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ცამეტგან გესვდება საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევა, როდესაც გეოგრაფიულ სახელებს წრფელობით ბრუნვაში აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი (თანხმოვანფუძიანებს -ი და ხმოვანფუძიანებს -ი).

წრფელობით ბრუნვაში მოცემული გეოგრაფიული სახელები, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის თანახმად, ქვემდებარესა (ორპირიანებთან) და პირდაპირ დამატებას (სამპირიანებთან) წარმოადგენენ:

#### ა) ქვემდებარის მნიშვნელობით რქუმა ზმნასთან:

რომელსა სახელი ჰრქვან ცურტავ [1, 12]; რომელსა სახელი ერქუა ბეთანია [2, 40]; რომელსა ჰრქვან სადილეგო [3, 72]; რომელსა დარიალან ერქუმის [3, 58]; რო-

მელსა ჰრქჳან *ონკომ* [7, 186]; რომელსა ჰრქჳან *იაღლო* [11, 243]; რომელსა ჰრქჳან *ხელაზადენ* [8, 201].

**წოდება ზმნასთან:**

რომელსა *საგოდებელ* ეწოდების [3, 73]; რომელსა *გოდერძისა* ეწოდების [13, 329]; რომელსა *ბერას ჯუარ* ეწოდების [13, 329]; რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათაჲ და *ბაკთა* ეწოდების [13, 329]; რომელსა ეწოდების *სათაკუე* [13, 329]; რომელსა *საძმო* ეწოდებოდა [13, 328]; რომელსა *ძარღუას სოფელ* ეწოდების [13, 343]; რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მადნართაჲ, ამისთვის *შეშისთავ* ეწოდების [13, 330]; *იოვანე-წმიდა* ეწოდებოდა ადგილსა მას [13, 339]; რამეთუ ეწოდა *ზარზმა* ერთა მათგან [13, 333]; შემსგავსებული სახელი ეწოდა *ზარზმა* ერთა მიერ [13, 336].

**ბ) პირდაპირი დამატების მნიშვნელობით წოდება ზმნასთან:**

რომელსა *პარებს* უწოდებდნენ [13, 322]; რომელსა *ბაბგენ* უწოდებდნენ [13, 330];

ხოლო აწ ქრისტიანეთა უწოდა ისრაჲლ [2, 37].

შეგნიშნავთ, რომ გეოგრაფიული სახელებიც, ადამიანთა სახელების მსგავსად, *პრქჳა-ერქჳა* ზმნასთან პირდაპირი დამატების ფუნქციით არ შეგვხვდა.

**8. 1. 1. გეოგრაფიული სახელების საზოგადო სახელებთან გათანაბრების**

**შემთხვევები:**

**ა) თანხმომავანეუბანი (დაირთავენ -ი ბოლოსართს):**

რომელსა ჰრქჳან *მტკუარი* [6, 183]; რომელსა ჰრქჳან *დიერი* [7, 183]; რომელსა *ერქჳა ვაგვანი* [7, 187]; რომელსა ჰრქჳან *ტადარნი* [7, 191]; რომელსა ჰრქჳან *რეკი* [11, 244]; რომელსა აწ ჰრქჳან *გუნათლის ვანი* [12, 260]; და აწ რომელ *წერტაღსნი* ჰრქჳან [12, 317].

ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა, როდესაც ბოლოკიდური -ი შეერწყა წინამავალ ბაგისმიერ თანხმომავანს და -ჲ დიფთონგი მივიღეთ: და უწოდა თევდორჲს ვანსა *ნეძჲ* [12, 279].

**ბ) ხმომავანეუბანი (დართულია -ჲ):**

ხევა, რომელსა ჰრქჳან *კოლაჲ* [6, 183]; ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან *სამარაჲ* [4, 168]; ამისათვის ეწოდების უდაბნოსა მას *გარესჲჲ* [10, 229]; და უწოდეს... ქრისტეფორჲსსა *კურიკე-წმიდაჲ* [12, 274].

ერთგან გეოგრაფიული სახელი წარმოდგენილია -ჲ დაბოლოებით:

და უწოდა სახელი *უბჲ* [12, 268].

როგორც ვნახეთ, წრფელობით ბრუნვაში დასმული გეოგრაფიული სახელები უმრავლეს შემთხვევაში სუფთა ფუძის სახით გვხვდება, მაგრამ შეინიშნება საზოგადო-

ლო სახელებთან გათანაბრების ტენდენციაც. დროთა განმავლობაში კი ამდაგვარი ფორმით მოცემული სახელების აღნიშვნა უკვე ნორმად იქცა.

## 8. 2. სახელობითი ბრუნვა

გეოგრაფიული სახელები, სახელობით ბრუნვაში, საზოგადო სახელთა მსგავსად, ყოველთვის შესაბამისი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული, თანხმოვანფუძიანებთან გვაქვს -ი ნიშანი, ხოლო ხმოვანფუძიანებთან – ე .

საკვლევ ძეგლებში წარმოდგენილი სახელობითში დასმული გეოგრაფიული სახელები ან ქვემდებარეა, ან პირდაპირი დამატება.

### 8. 2. 1. ბოლოთანხმოვანი სახელები

#### ა) ქვემდებარის ფუნქციით:

და სახელები ჰევთა მისთა: *ვანანდი, ...ბავრევანდი, აპაჰუნისი, წალკოდნი, ჭაკატი, კოკოვიტი... შარუხი, ვასპურაგანი... ვადძორი... დვინადაშტი... სივნიეთი... ტაშირი და კოლბოფორი* [5, 175]; ...რომელ არიან ...და წყაროდს-თავი თანამკვდრით მათითურთ [12, 313]; და ესრეთ წარემართა *იშხანი* კეთილად [12, 274]; ხოლო *შატბერდი* ...მცირედ შორავს [12, 313]; იქმნა *შავშეთი* ბაკ მჰეცთ შეუვალ [12, 177]; ესე არს სახელით *მტკუარი* [3, 73]; რამეთუ *ბაბილონი* მარადის კერპთ-მაწუველ არს [11, 244]; რამეთუ *ისრაელი* ითარგმანების [5, 42]; *იერუსალიმი*, ქალაქი ... სიწმიდისა [5, 179]...

#### ბ) პირდაპირი დამატების ფუნქციით:

მძლავრებით დაიპყრნა *ანხი* [12, 305]; მოილოცნეს... *წყაროდს-თავი* [12, 276]; რამეთუ დაეპყრა *ქართლი* [11, 241]; და განვლეს *მტკუარი* [9, 219]; წიად-ვლო მდინარე *არაგვ* [8, 201]; განწმიდა *საბერძნეთი* [4, 165]; *ისრაელი* მო-ვითარ-აქცია ღმრთისა ცხოველისა [2, 38]; აღაშენა *ალავერდი* [11, 247]...

### 8. 2. 2. ბოლოსმოვანი სახელები

#### ა) ქვემდებარის ფუნქციით გამოყენებული:

და სახელები ჰევთა მისთა: ...*აშორნია ...გელაქუნია...* [5, 175]; არს სახელი ადგილისა მის *უმწად* [13, 335]; ხოლო *დოლის ყანად* მონასტრად უკუანადს იქმნა [12, 275]; ...რომელ არიან *ოპიზად* და ფრთენი მისნი, *ბერთად* და მახლობელნი მისნი, *მიძნადოროდ...* [12, 313]; რამეთუ პირველი ნაყოფი ...*ხანცთად* არს [12, 309]...

## ბ) პირდაპირი დამატების ფუნქციით:

მოილოცეს *მიძნაძოროდ...* და *ბარეთელთად* [12, 276]; ...მიცვალებულთა მამათათჳს *ხანცთად* განმიწესებია [12, 260]; და სხუამან ქუაბი *იულთისად* და სხუათა აღაშენეს კახეთს მონასტერი [9, 229]; ...კაცსა, რომელსა *იორდანე* წარუვლიეს [8, 207].

### 8. 3. მოთხრობითი ბრუნვა

მოთხრობით ბრუნვაში დასმული გეოგრაფიული სახელები, საკვლევ ძეგლებში, იშვიათი შემთხვევაა და სადაც კი გვხვდება, ერთი გამონაკლისის გარდა, ყველგან - მან სუფიქსითაა გაფორმებული:

მეფე ითხოეს ყოველმან *ისრაელმან* [2, 37]; *ისრაელმან* არა ისმინა ჩემი [2, 41]; განიხარა ყოველმან *ისრაელმან* [2, 37].

გულისხმობთ, რომ ისრაელი აღნიშნავს ქვეყნის სახელს და არა ხალხს. შდრ. იერუსალემან ჯუარს აცუა ქრისტე უფალი... (64, 396).

ერთ შემთხვევაში გეოგრაფიული სახელი ფუძის სახით დავადასტურეთ. მიუთითებენ, რომ ფუძის სახით დადასტურებული ადამიანთა თუ გეოგრაფიულ სახელთა ხმარება დაუშვებელია (64, 396), რაც ერთგვარ თავისებურებას წარმოადგენს ზემოთ აღნიშნულ ბრუნვაში: ვითარცა *ისრაელ* იოსების ძენი აკურთხნა [12, 259].

### 8. 4. მიცემითი ბრუნვა

მიცემით ბრუნვაში გეოგრაფიულ სახელებს ორგვარი დაბოლოება აქვთ: **-სა** და **-ს**. აღნიშნულ ფორმებს შორის თითქმის ზუსტად არის განაწილებული მიცემითი ბრუნვის ორი ძირითადი სინტაქსური ფუნქცია: ემფატიკური **-ა**-თი გაგრცობილი სახელი წარმოადგენს ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვას და აღნიშნავს პირდაპირსა და ირიბ დამატებას, ხოლო **-ს** ბოლოსართით გაფორმებული იხმარება ადგილობითის (ლოკატივის) მნიშვნელობით (არის გამონაკლისიც, როდესაც ლოკატივის მნიშვნელობით წარმოდგენილ მიცემითს დართული აქვს ემფატიკური **-ა**. სწორედ ეს სინტაქსური სხვაობა უნდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ მიცემითი ბრუნვა ორგვარი ფორმითაა მოცემული. მაშინ, როდესაც გეოგრაფიული სახელი მიცემით ბრუნვაში, ისე როგორც სხვა ბრუნვაში, გაუთანაბრდა საზოგადო სახელს (დაართო ემფატიკური **-ა**) და პირდაპირი და ირიბი დამატების გამოხატვის ფუნქცია იტვირთა. მეორე ფორმა – პირველადი, მხოლოდ მიცემითის **-ს** ნიშნით წარმოდგენილი, დამკვიდრდა ადგილობითის აღსანიშნავად (ლოკატივის ფუნქცია მიიღო).

#### 8. 4. 1. ჩვეულებრივი მიცემითი

ა) პირდაპირი დამატების აღმნიშვნელი:

აღაშენებდა... *ნეძუსა* და *კვრიკე-წმიდასა* [12, 279].

ბ) ირიბი დამატების აღმნიშვნელი:

...რომელ აქამდე წესი აქუნდა *ხანცთასა* [12, 266]; არა განეშორა *ხანცთასა* [12, 263]; და ნაწილნი მისი წმიდანი მიეცნეს ნათლად *სამცხესა* [12, 267]; და მერმე *შატბერდსა* ჯუარი დასწერა [12, 310]; ზედა-მიუკდეს *ისრაჲლსა* [2, 37]; და აღმოუკითხნა ყოველსა *ისრაჲლსა* [2, 37]; შემთხვვნეს განსაცდელი *ისრაჲლსა* [12, 174].

#### 8. 4. 2. მიცემით-ლოკატივი

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „თუ გეოგრაფიული სახელი მიცემით ბრუნვაში გაუვრცობელია, აღნიშნავს ადგილმდებარეობას, ე.ი. ადგილის გარემოებადაა გამოყენებული, გვაქვს ორი შემთხვევა: ა) უჩვენებს მიმართულებას; ბ) აღნიშნავს ადგილმდებარეობას (სადაობითს)“ (64, 396; 162, 33).

ა) უჩვენებს მიმართულებას:

შემოვიდა ქალაქსა *ტვილისს* [3, 62]; წარემართნეს *ტვილისს* [2, 35]; მიიწიეს *მცხეთას* [2, 45]; მიიწინეს *ოპიზას* [12, 275]; მოიყვანეს იგინი ქართლით *ოპიზას* [12, 280]; მარტოღ შთამოვიდოდა *ხანცთას* [12, 305]; მოიწინეს *ხანცთას* [12, 271]; წარავლინა ერი იგი *ხანცთას* [12, 307]; მოიწინეს *ჯმურკს* [12, 275]; მოიწინეს *სამცხეს* [12, 267]; და თანა წარიყვანა *ანის* [12, 304]; და მი-რად-ვიდეს *იშხანს*... [12, 265]; სტუმრად მიიწიის *იშხანს* [12, 274]; მოიწინეს *ტაოს* [12, 264]; წარემართა *ავხაზეთს* [12, 267]; და პირველად მოიყვანნა *შატბერდს* [12, 280]; წარეგზავნნეს ... *შატბერდს* [12, 280]; და ღამე ყოველ წარვიდეს *შავშეთს* [12, 263]; წარავლინნა იგი *ფერსათს* [12, 299]; მაშინ თვთ წარვიდა *ქორთას* [12, 307]; მიიწია *პემსას* [12, 286]; მიიწინეს *გუნათლეს* [12, 292]; მსწრაფლ ხოლო მოვიდა *მერეს* [12, 297]; და ესრეთ მოიყვანა იგი *მერეს* [12, 297]; მოიწინეს ...*ბერთას* [12, 276]; მოიყვანა ...*წილკანს* [12, 224]; მიიწინეს *თაღინს* [5, 178]; წარვიდეს *გალიღვას* [2, 41]; ესე წარემართა *იერუსალჲმს* [12, 286].

ბ) აღნიშნავს სადაობითს:

დაემარხა *ხანცთას* [12, 277]; წინამძღუარობდა *ხანცთას* კეთილად [12, 278]; და დაემკვიდრა... *მცხეთას* [9, 217]; რომელი იწამა ... *ტვილისს* [3, 46]; ხოლო უმრავლესთა დღეთა *შატბერდს* იყოფინ [12, 308]; იქმნა ეპისკოპოს... *სამცხეს* [12, 286]; დაწნერგნეს *კუხეთს* მონასტერნი [11, 247]; რომელი იწამა... *ქართლს* [11, 240]; შემოკრბეს *ჯავახეთს* [12, 287]; აჭარას და *შავშეთს* შეწყუდეულ იყვნეს [12, 177]; თავს-იდევ ...*მერეს* მდღელობად [12, 283]; ისე *წილკანს* ეპისკოპოს იქმნა [9, 229]; *ასურეთს* იწყო მონაზონობად [8, 197]; *ზენა სოფელს* აღაშენა მონასტერი [9,

229]; აღიზარდა იგი... *ობიზას* [13, 335]; იყო *ანწს* ეპისკოპოსი მაკარი [12, 317]; აღაშენნეს *კახეთს* მონასტერნი [9, 229]; და *ჰემსას* დაეფლა [12, 286]; და იყენეს ვინმე *ბერთას* [12, 285]; იყო ვინმე კაცი მდიდარი *ანჯკორას* [12, 317]; და პოვა ადგილი კეთილი *გუნათლეს* მახლობლად [12, 260]; და *მიხნადორს* მონაზონ იქმნა [12, 281]; რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა *ბაღდადს* [3, 56]; რომელნი არიან *იერუსალჴმს* [12, 166]; რომელი *ურდს* დამარხულ არს [1, 24].

აქვე შევნიშნავთ, რომ საკვლევ ძეგლებში დავადასტურეთ ორი შემთხვევა, როდესაც მიცემით ბრუნვაში დასმული სადაობითის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელი მრავლობითი რიცხვის გაგებას შეიცავს:

რომელიცა დაემკვდრა *პარეხთა* [12, 280]; და პოვა თავისა თუხისა სამკვდრებელი *ბერთისა პარეხთა* [12, 280].

#### 8. 4. 3. გავრცობილი მიცემით-ლოკატივი

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ლოკატივის მნიშვნელობით ხმარებულ მიცემითს, გამონაკლისის სახით, შეიძლება დართული ჰქონდეს ემფატიკური -ა:

ხოლო იყო მატიოდ... მახლობელად *მერესა* [12, 284]; ხოლო ერთმან *ზენა-ხოველსა* აღაშენა მონასტერი [11, 247]; გული უთქუამდა ...თაყუანისცემად წმიდასა *გოლგოთასა* [4, 166]; განითქუა ყოველსა *ქართლსა* საქმჴ მისი [1, 22]; კურაპალატი შორს იყო *არტანუჯსა* [12, 296]; მოიწინეს მახლობელად *იშანსა* [12, 265]; კუერთხი ესე ჩაყავ *მტკუარსა* [9, 219]; შთახდა მდინარესა მას *იორდანესა* [3, 68]; ნათელ იღო *იორდანესა* [2, 38].

#### 8. 4. 4. მიცემითი ბრუნვა უცვლელ სიტყვასთან

უცვლელ სიტყვებთან (თანდებული, ზოგჯერ ზმნიზედა) მიცემითი ბრუნვა გვხვდება როგორც -ს, ისე -ს-ა დაბოლოებითაც. გეოგრაფიულ სახელებთან ხმარებული უცვლელი სიტყვები მიცემით ბრუნვაში შეიძლება წინდებულიც იყოს და უკუდებულიც. ჩვენ მიერ საკვლევ ძეგლებში უცვლელი სიტყვები ძირითადად თანდებულებადაა წარმოდგენილი.

**შინა:** მიცემით ბრუნვაში ყველაზე უფრო ხშირია *შინა* თანდებულის ხმარება, რომელიც უმთავრესად უკუდებულია:

რადთა არა დაეტეოს გუამი ჩემი *ტფილისს შინა* [2, 44]; წარადგინეს... *ტფილისს შინა* [4, 167]; იყო მოწამჴ ქრისტჴსი *ტფილისს შინა* [4, 167]; რომელი იწამა *ქართლს შინა* [3, 46]; ვიხილნეთ ძმანი ჩუენი *ხანცთას შინა* [12, 265]; დაიწერა *ხანცთას შინა* [12, 317]; ჩუენებად იხილეს *მერეს შინა* [12, 285]; გარდაიცვალა *მერეს შინა* [12, 278]; *ტაოთა შინა*... იპოვებოდეს დაშენებულ ... ადგილ-ადგილ [12, 257]; ხოლო *პარეხთა*



შინა... ცხოვნდა [12, 281]; და დაეშენა იგი ქებრონს შინა [2, 37]; და დაეშენა იგი ქანანს შინა [2, 36]; მკვდრ იყვნეს იერუსალჴმს შინა [4, 166]..

საკვლევ ძეგლებში შეგვხვდა თითო-ორიოლა მაგალითი, როდესაც შინა თანდებული წინ უსწრებს გეოგრაფიულ სახელს:

რომელნი არიან წმიდასა ქალაქსა შინა იერუსალჴმსა [12, 302]; იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა [3, 56].

**ზედა:** თანდებული ზედა აგიოგრაფიულ ძეგლებში ძირითადად უკუდებულია; ერთ შემთხვევაში – წინდებულიც:

საბა ეპისკოპოს-ყო იშხანსა ზედა [12, 279]; იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა [12, 274]; და არა განვაგებ ოპიზასა ზედა [13, 282]; და სიყმილი შემოართუა ისრაჴლსა ზედა [12, 173]; და ვითარცა მოიწიო მტკუარსა ზედა [9, 219-220]; სული წმიდად გარდამოჴდა ვითარცა ტრედი ზედა იორდანესა [4, 184].

**თანა:** განიხარეს ხანცთასა თანა მახლობელთა მათ უდაბნოთა [12, 311].

**შორის:** ისრაჴლსა შორის ქალაქნი განეწესნეს [12, 282].

ზემოთ განხილულ ბრუნვაში ჩვეულებრივი მიცემითი პირდაპირი და ირიბი დამატების გამოხატველია. მიცემით-ლოკატივი უჩვენებს მიმართულებას და აღნიშნავს სადაობითს. ორ შემთხვევაში ტოპონიმი მრავლობითი რიცხვის ფორმით დასტურდება. გვხვდება როგორც უსაზღვრობო, ისე საზღვრობიანი გეოგრაფიული სახელები. მიცემით ბრუნვაში გეოგრაფიულ სახელებთან პროდუქტიულია შინა თანდებულის ხმარება.

## 8. 5. ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითი ბრუნვა გეოგრაფიულ სახელებს თითქმის სრულებით ისე აქვთ ნაწარმოები, როგორც საზოგადო სახელებს, ბრუნვის ნიშნად გვხვდება **-ის-ა (-ის-ა)**. ეს იმითაა შეპირობებული, რომ ნათესაობითი ბრუნვა გეოგრაფიულ სახელებში გამოყენებულია ჩვეულებრივ განსაზღვრებად და ასეთ შემთხვევაში იგი თითქმის არაფრით განსხვავდება საზოგადო სახელთაგან.

გეოგრაფიული სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ჩვენ შეგვიძლია ორ შემთხვევაში განვიხილოთ: ა) როცა გეოგრაფიული სახელი განსაზღვრებას (მსაზღვრელს) წარმოადგენს და წინ უძღვის საზღვრულს და ბ) როცა ის განსაზღვრებადაა გამოყენებული და მოსდევს საზღვრულს.

**ა) პრეპოზიციური წყობა:**

ამცნებდა... ხანცთისა კრებულთა [12, 307]; ხანცთისა და შატბერდისა აღმაშენებლისა [12, 248]; და შატბერდისა ადგილი... [12, 268]; ნეძჴსა მაშენებელი [12, 252]; კვრიკუ

თისა მამენებელი [12, 252]; მოართუა საბაწმიდისა განგებად [12, 265]; და შეკრბეს ქართლისა მთავარნი [2, 33]; აწყურისა ეპისკოპოსი სასწაულთა მოქმედი [12, 267]; და წარავლინნა ...გარესჯისა უდაბნოსა [8, 207]; მოვიდა მახლობლად ანხისა საზღვარსა [12, 304]; გამოჩნდეს ანხისა ვენაჴსა [12, 304]; აღამენნეს კლარჯეთისა დიდებულნი უდაბნონი [12, 303]; იშხნისა პირველი დიდებულებად [12, 265]; იშხნისა მეორედ მამენებელი [12, 252]; იერუსალიმისა პატრიარქისა განწესებითა [12, 290].

#### ბ) პოსტპოზიციური წყობა

...და მამენებელი ხანძთისა [12, 249]; მოღუაწედ შატბერდისა გამოჩნდეს დიდებულნი აზნაურნი [12, 275]; რომელი იგი აღმოსცენდა ჴვეისაგან შუარტყელისა [12, 335]; წარავლინნეს ჴუეყანად სამცხისა [13, 322]; აღმოსცენდა ჴუეყანასა კლარჯეთისა [13, 321]; იქმნა ეპისკოპოს აწყურისა [12, 286]; რომლისა ტაძარნი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისა [13, 324]; პოვა... სამკვდრებელი ბერთისა პარეხთა [12, 280]; ...იყავნ კათალიკოს ქართლისა [12, 289]; იქმნეს მპურობელ ქართლისა [11, 246]...

საკვლევ ძეგლებში, ნათესაობით ბრუნვაში, დასტურდება აგრეთვე უსაზღვრობო გეოგრაფიული სახელები როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობის დროს:

#### ა) პრეპოზიციური წყობა

ოპიზის წინამძღუარისა [12, 255]; ნაფსადს ნავთსადგური [3, 59];

#### ბ) პოსტპოზიციური წყობა

მეფობასა კოსტანტინეპოვლის [3, 63].

ზემოთ აღნიშნულ ბრუნვაშივე გვხვდება პრეპოზიციურ მსახდვრელად გამოყენებული გეოგრაფიული სახელი, მრავლობითი რიცხვის ფორმით დადასტურებული:

შემდგომად მისსა პარეხთა მკვდრ იყო [12, 281].

### 8. 5. 1. ნათესაობითი ბრუნვა ფორმაუცვლელ სიტყვასთან

გეოგრაფიული სახელები, რომლებიც გვხვდება უცვლელ სიტყვებთან (ჩვენს შემთხვევაში თანდებულთან), ყოველთვის გაგრცობილია.

**-თვს:** ნათესაობით ბრუნვაში ყველაზე პროდუქტიულია *-თვს* თანდებული, რომელიც, ჩვეულებრივ, ერწყმის გეოგრაფიულ სახელს:

...არა მოსლვად შენი ჩვენდა ხანცთისათვს ფრიად სირცხულ არს [12, 309]; ...გამოირჩინა ...ძმანი ათცამეტნი ხანცთისათვს საუხუცესოდ [12, 280]; ...და სოფლისა ჩუენისა ქართლისათვს [3, 46].

**თვნიერ:** თანდებული *თვნიერ* უპირატესად წინდებულია. „იგი ძველ ქართულში გამოხატავდა ვისამე ან რისამე გამორიცხვას“ (291, 192):

სხუად მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა *თუნერ ოპიზისა* [12, 257]... და *თუნერ ოპიზისა* წინამძღუარისა ყოველთა მათ ასწავებდა კეთილთა... სიტყუათა... [12, 282].

### 8. 5. 2. -ცა ნაწილაკიანი ნათესაობითი

აგიოგრაფიულ ძეგლებში ნათესაობით ბრუნვაში ერთადერთი ფორმა გამოვლინდა, როდესაც გეოგრაფიულ სახელს ახლავს ნაწილაკი -ცა:

...*ქართლისაცა* მკვდრთა აქუს სარწმუნოებად [3, 55].

ნათესაობითი ბრუნვის ფორმით მოცემული გეოგრაფიული სახელები განსაზღვრებას (მსაზღვრელს) წარმოადგენს როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობის დროსაც. პროდუქტიულია სავრცობიანი ადგილის სახელები. თანდებულთაგან უფრო ხშირია –*თუს*, გვხვდება ნაწილაკდართული გეოგრაფიული სახელებიც.

### 8. 6. მოქმედებითი ბრუნვა

მოქმედებით ბრუნვაში გეოგრაფიული სახელები მხოლოდ ერთი ფუნქციით იხმარება: მათ აქ ლოკალური მნიშვნელობა აქვთ და ყოველთვის, ისევე როგორც საზოგადო სახელები, -ით ბრუნვის ნიშნით არიან გაფორმებულნი.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, გეოგრაფიულ სახელთა მიერ ადგილის ან მიმართულების აღნიშვნა ორგვარი ხასიათისაა:

ა) მოქმედებითში დასმული გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს მიმართულებას გარკვეული პუნქტიდან და ამ შემთხვევაში იგი გამოსვლითი (დაწყებითი) ბრუნვის შინაარსს იღებს;

ბ) მოქმედებითში დასმული გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს მიმართულებას გარკვეული პუნქტისაკენ (ან გარკვეულ პუნქტში) და ამ შემთხვევაში მას მიმართულებითი (მიწვევითი) ბრუნვის მნიშვნელობა ეძლევა.

ზემოთ აღნიშნული პუნქტებიდან, საკვლევ ძეგლებში, გეოგრაფიული სახელი უფრო პროდუქტიულია გამოსვლითის მნიშვნელობით.

#### ა) გამოსვლითის მნიშვნელობით:

წარმოვიდეს *შატბერდით* ჰელმწიფენი იგი [12, 275]; მაშინ ფარულად *ხანცთით* ღამე გამოვიდეს [12, 279]; რამეთუ ამის მიზეზისათვის იქმნა გამოსლვად ჩუენი *ხანცთით* [12, 279]; მოვიდეს... ზენონ *სამცხით* [12, 261]; და მოიყვანნა იგინი *ქართლით* ოპიზას [12, 252]; და წარვიდეს სპარსნი *მცხეთით* [2, 34]; მოსრულ იყვნეს *ნეძეთ* [12, 293]; მო-ხოლო ვინმე ვიდეს *ბერთით* [12, 286]; ...*ოპიზით* განძებულ ვიქმენ [12, 303]; *მიძნადოროდთ* ხანცთად მოვიდა დიდი მეუდაბნოე [12, 280]; მაშინ *იერუსალიმით* მოიწია კაცი [12, 265]; მიჰრონი *იერუსალმით* მოჰყვანდა [12, 290]; რაჟამს მოვიქცე *აფხაზეთით* [12, 267]; და

წარმოვიდეს *აფხაზეთით* [12, 270]; მოვივლინა ქუეყანით *შუამდინარით* [8, 191]; მოვიდა კაცი ერთი *სპარსეთით* [2, 30]; რომელ განიყვანეს *ყველის ციხით* [5, 172]..

### ბ) მიმართულებითის მნიშვნელობით

დღესა ერთსა *შატბერდით* წარვიდა [12, 296]; რამეთუ თვით ჰხედვიდა იგი *იშხნით* საკვრველებასა [7, 190]; რომელნი ტყუეობიდანვე მიეყვანნეს *სომხითით* [4, 169].

მოქმედებითი ბრუნვა გვხვდება უცვლელ სიტყვასთანაც, როდესაც თანდებული შუაზე ყოფს ორშემადგენლიან ტოპონიმს:

*კერძო*: და წარავლინა... *ზენა კერძო სოფლით* [8, 207].

## 8. 7. ვითარებითი ბრუნვა

თავისებურება გეოგრაფიულ სახელებს ვითარებით ბრუნვაში ახასიათებს. როგორც ცნობილია, ახალ ქართულში ვითარებით ბრუნვაში ორი აფიქსი გვაქვს: **-ად** და **-დ**, რომელთაც ფუძეები ასე აქვთ განაწილებული: ერთი იხმარება თანხმოვანფუძიან, მეორე – ხმოვანფუძიან სახელებთან. ასეთივე ვითარებაა ძველ ქართულშიც, მაგრამ გვაქვს წესიდან გადახვევის შემთხვევებიც. აქ არის სწორედ შემონახული უფრო აღრინდელი ვითარების გადმონაშთები სხვადასხვა თავისებურების სახით. ვითარებით ბრუნვაში შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი სუფიქსები: **-ა**, **-დ**, **-ად**. ამათგან “პირველი ორი უფრო ძველ ვითარებას ასახავს და იმ ეპოქაზე მიუთითებს, როცა **-ა** და **-დ** ცალ-ცალკე დამოუკიდებლად აწარმოებდა ამ ბრუნვას და, ალბათ, სხვადასხვა დიალექტური წარმოშობისა იყო, ხოლო მესამე შედარებით ახალი წარმონაქმნია და მას შემდეგ უნდა გაჩენილიყო, როცა **-ა**-ს ფუნქცია მოიშალა“ (75, 408). აქვე შევნიშნავთ, რომ ვითარებითი დასმული გეოგრაფიული სახელი მიმართულებას გამოხატავს.

### 8. 7. 1. -ა სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები

**-ა**-ს სამოქმედო ასპარეზი გეოგრაფიულ სახელებში ერთობ შეზღუდულია. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ის გვხვდება მხოლოდ ისეთ სახელებში, რომელთა ფუძის მაწარმოებელია სუფიქსები **-ეთ**, **-ით** (საბერძნ-ეთ-ა, სომხ-ით-ა...), სადაც **-ა**, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ვითარების გადმონაშთია. „**-ა**-ს **-ად** სუფიქსის ნაშთად ვერ მივიჩნევთ (საბერძნ-ეთ-ა(დ): **-ა** გავლენას ვერ ახდენს **-დ**-ზე), რადგან ვითარებითის ნიშნად **-ა** (უღონოდ) ჩვენ გვაქვს სხვა შემთხვევებშიც: სადიდებელა, საწამებელა... აგრეთვე ზმნიხედებში: ჩქარ-ა, დაბლ-ა და სხვ. სადაც დონი არც ოდესმე ყოფილა და არც დაკარგულა“ (75, 409). ძველ ქართულში **-ა** ნაშთის სახით შემოგვრჩა მხოლოდ და მხოლოდ ვიწროდ შემოფარგლულ შემთხვევებში, სახელდობრ, იქ, სადაც ძველებური

ფორმა ფონეტიკურად უფრო ადვილი ასატანი იყო, ვიდრე ახალი. სუფიქსი -ა განურჩევლად გვხვდება როგორც ქართულ ტოპონიმიაში, ისე უცხო წარმოშობის სახელებშიც. გარდა -ეთ, -ით სუფიქსიანი ფუძეებისა -ა სუფიქსის ხმარება ბრუნვის ნიშნად სხვა ტიპის სახელებთანაც შეინიშნება, რაც კიდევ უფრო ძველი მდგომარეობის შედეგია და, დასტურდება კიდევაც ჩვენ მიერ საკვლევ ძეგლებში:

და წარვიდეს სპარსნი მცხეთით... *ტფილისა* [2, 34]; ხოლო იყო კაცი იგი დაბისაგან *ბობლა* წოდებულისა [13, 346]; და ვიხილეთ მცირე ველი ადგილსა მას *ბობხა* წოდებულსა [13, 330]; ...ადგილთა მათ *ცხროჭა* წოდებულთა [13, 324].

### 8. 7. 2. -დ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიულ სახელებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად უფრო გაგრძელებულია -დ სუფიქსი. იგი მოუდის ყველა ხმოვანფუძიან სახელს და, აგრეთვე, თანხმოვანფუძიანებსაც. -დ-ს ხმარება გეოგრაფიულ სახელებთან უფრო პროდუქტიულია, ვიდრე საზოგადო სახელებთან, რომელთათვისაც იშვიათია -დ სუფიქსიანი ფორმები. მათთვის დამახასიათებელია რთული -ად სუფიქსის დართვა. -დ-ს ხმარების არე შეზღუდული არ არის რაიმე პირობით. ის იხმარება როგორც უცხო წარმოშობის სახელებში, ისე ქართულ ტოპონიმიაშიც. ყველგან, სადაც -ა არ იხმარება, -დ-ონია გაბატონებული.

### 8. 7. 3. -დ სუფიქსი ხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან:

მოვიდეს ადგილსა რასმე *ძინძედ* სახელდებულსა [13, 323]; რომელ პირველ იოტა *ძინძედ* წოდებულისა მისგან ადგილისა [13, 333]; და მოვიდა ქუეყანად შუვა *მდინარედ* [2, 36]; იოსებ წარუჰყავ *გვჰბტედ* [11, 243]; მოვიდა იგი *მცხეთად* [2, 30]; ...რომელნი *მცხეთად* იყვნეს [2, 30]; ადგილი იგი *ზარხმად* წოდებული [13, 34]; წარვიდა *ხანძთად* [12, 318]; და წარემართნეს *ხანცთად* [12, 275]...

### 8. 7. 4. -დ სუფიქსი თანხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან:

ხოლო პიტიახში *ხორდ* წარემართა [1, 22]; კარად ანუ *ხორდ* წარმცე [1, 24]; *ხორდ* წარცე შენ [1, 24]; *ქართლდ* ცხონდებოდა იგი [2, 57]; და გამოვიდა იგი ... ქუეყანად *ქართლდ* [2, 62]; და მოვიდა ... ქალაქად *ქანანდ* [2, 36]; წარვედით გალილეას, *თაბორდ* [2, 41]; მიიწიოს *იერუსალჴმდ* [12, 289]; და წარვიდა *იერუსალჴმდ* [10, 237]; ადვიდა ქრისტჴ *იერუსალჴმდ* [2, 40]...

### 8. 7. 5. -ად სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები

-ად სუფიქსის ხმარება როგორც საზოგადო ისე გეოგრაფიულ თანხმომავანუძიან სახელებთან ჩვეულებრივი მოვლენაა და რაიმე თავისებურება ამ შემთხვევაში არ აღინიშნება, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელიც საკვლევ ძეგლებში დადასტურდა:

გარდავლეს მთაჲ იგი *არსიან* წოდებული [13, 338].

ზემოთ აღნიშნულ მაგალითში მოსალოდნელი იყო გეოგრაფიულ სახელს დართვოდა ან -ად სუფიქსი, ან, ძველი ვითარებით, მხოლოდ -დ.

### 8. 7. 6. ჩვეულებრივი -ად სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები

და მიიწია *ქართლად* [12, 277]; და წარავლინა რომელნიმე მათგანი *კახეთად* [8, 207]; ...წარემართა *საბერძნეთად* [12, 264]; წარიქცივნეს იგინი ბაბილოვნად [8, 207]; წარიყვანეს ქალაქად *ტფილისად* [4, 167]; ...წარგზავნა *აფხაზეთად* [12, 298]...

### 8. 7. 7. თანდებულიანი ვითარებითი

*კერძო*: თანდებული *კერძო* ვითარებით ბრუნვაში დასტურდება მხოლოდ უკუღებულის ფუნქციით:

და ეგრეთ წარემართა *ხანცთად კერძო* [12, 310]; და წარავლინა... *კუხეთად კერძო* [8, 207].

ვითარებით ბრუნვაში, როგორც ვნახეთ, გვხვდება -ა, -დ, -ად სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მიმართულებითის მნიშვნელობით იხმარება. ერთ შემთხვევაში გეოგრაფიული სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. თანდებულთაგან მხოლოდ *კერძო* თანდებული გვხვდება.

### 8. 8. წოდებითი ბრუნვა

ავიოგრაფიულ ძეგლებში წოდებით ბრუნვაში დასტული გეოგრაფიული სახელი მხოლოდ ორ შემთხვევაში დაგადასტურეთ. ერთგან ზემოთ აღნიშნული სახელი წოდებითი ბრუნვის -თ ნიშანს დაირთავს, რაც იმის დასტურია, რომ ძველსავე ქართულში დაწყებულა პროცესი გეოგრაფიული სახელების მიერ წოდებითი ბრუნვის ფორმის შექმნისა:

კეთილად აღორძინდი, *შატბერდო* [13, 310].

მეორე შემთხვევაში გეოგრაფიული სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. აქ წოდებითი ბრუნვა ძველებურად იყენებს საჭიროებისათვის წრფელობითი ბრუნვის ფორმას. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ფუძეს (თანხმომავანუძიანია თუ ხმომავანუძიანი), სახელები თანაბრადაა წარმოდგენილი ოდენ ფუძის სახით. როგორც სამეცნი-

ერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ამ მხრივ გეოგრაფიული სახელები მკვეთრად სცილდება საზოგადო სახელებს და ადამიანთა სახელებს ემსგავსება:

რასა ითხოვს ღმერთი შენგან, *შ ისრაელ* [13, 251].

## § 9. გეოგრაფიული სახელი ნანათესაობითარ მსაზღვრელად

ნათესაობითი ბრუნვა წარმოადგენს ორმაგი ბრუნების საყრდენ ფუძეს. გეოგრაფიული სახელი ნანათესაობითარ მსაზღვრელად გამოყენების დროს ფორმის მიხედვით არ განსხვავდება ამავე დანიშნულებით გამოყენებულ საზოგადო სახელისაგან, რადგანაც გეოგრაფიული სახელი, ისე როგორც საზოგადო არსებითი სახელი, დაირთავს საზღვრულს და საბრუნებელი ფუძე გაგრძობილი ნათესაობითია, რომელიც ყოველთვის მხოლოდობითია და იბრუნვის ისე, როგორც ხმოვანფუძიანი უკვეცელი სახელი. გეოგრაფიულ სახელებში, ადამიანის სახელების მსგავსად, შეიძლება გამოიყოს მსაზღვრელ-საზღვრულის ორი შემთხვევა: ერთი, როცა მსაზღვრელიცა და საზღვრულიც მხოლოდობითია და მეორე, როცა საზღვრული მრავლობითია და მსაზღვრელი მხოლოდობითში (მიუხედავად იმისა, რომ მსაზღვრელში თავს იჩენს მრავლობითის ნ და თ, რომლებიც მსაზღვრელს მრავლობითობის გაგებას ვერ აძლევენ და მხოლოდ საზღვრულთან შეთანხმებისათვის გამოიყენებიან). აგიოგრაფიულ ძეგლებში ორივე შემთხვევა დასტურდება. სწორედ ამ ძეგლებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ გეოგრაფიული სახელების ნანათესაობითარ მსაზღვრელად გამოყენების დროს უფრო პროდუქტიულია ნანათესაობითარი სახელობითი და მიცემითი (თითქმის თანაბარი რაოდენობით), შემდეგ ნანათესაობითარი მოთხრობითი და, ბოლოს, ნანათესაობითარი ვითარებითი.

### 9. 1. ნანათესაობითარი სახელობითი მხოლოდობით რიცხვში

სახელობითის ფორმა ნანათესაობითარი მსაზღვრელისა ყოველთვის ბოლომდონიანია. გეოგრაფიული სახელის საზღვრულად უმეტესწილად არსებითი სახელია გამოყენებული; წყობა პოსტპოზიციურია:

*კლდს... ხანცთისად უფიცხლეს არს...* [12, 257]; *განასრულა კელესიად... ხანცთისად* [12, 277]; *მოახილვა ყოველი სანახები ხანცთისად* [12, 255]; *დიდება ხანცთისად* ამაღლდა [12, 311]; და *ხუცესი მერისად* ხანცთით არნ [12, 261]; *...იყო ნეტარი მიქელ ... სოფლისა ნორგიალისად* [12, 281]; *...მაშენებელი ... შატბერდისად* [12, 249]; *...აღაშენა ციხე არტანუჯისად* [11, 242]; *ერისთავი ... ქართლისად* [3, 56]; *...ყოველი ერი ქართლისად* [3, 56]; *უდაბნოდ გარეჯისად* [121, 247]; *...შეკრიბა ერი ანჩისად* [12, 306]; *...მაშენებელი ბარეთელთისად* [12, 275]; *მოიწია წინამძღუარი მიძნაძოროსად* [12, 275]; *...მამად და მაშენებელი*

წყროდსთავისად [12, 275]; დაიპყრნა საყდარი აწყურისად [13, 340]; ...იყო... ქუეყანისა შავ-  
შეთისად [12, 281]; და განვლო მან კარი იგი ოვსეთისად [3, 58]; ...ზღუად იგი პონტოხსად  
[3, 59]; ...განგებად სამცხისად [13, 340]; ...მთავარიცა იგი დივრისად [7, 288]; ...საყოფელი  
იგი აფსარედსად [3, 58]; ქალაქისა განძაკისად [2, 31; 35]; ჯვეისა არშაკეთისად [2, 31];  
სოფლისა არშაკეთისად [2, 30]; მიწად იგი სომხითისად [5, 175]; სახლი იგი სომხითისად  
[5, 176]; და უფალი სპარსეთისად [2, 35]; ერი იგი ისრაჴლისად [2, 38]; ...წარწემდად ისრა-  
ჴლისად [2, 38]; მადლი იერუსალიმისად [10, 238].

### 9. 1. 1. ნანათესაობითარი მიცემითი მხოლოდობით რიცხვში

პირველ რიგში ნანათესაობითარ მიცემითს წარმოვაჩინოთ, ვინაიდან პროდუქ-  
ტიულობის მხრივ ნათესაობით-სახელობითს უდგას გვერდით.

მიცემითის ფორმაც ნანათესაობითარი მსაზღვრელისა ყოველთვის ბოლოხმოვ-  
ნიანია. გარდა ერთი შემთხვევისა (...მოვალს იგი გზასა ქალაქისა ნაბულისსა [10,  
238]). წყობა პოსტპოზიციურია:

ქუეყანასა ქართლისასა [4, 165]; და მიიწიეს წინაშე ჯუარსა მცხეთისასა [2, 35]; დაჰ-  
მარსა... კკლესიასა მცხეთისასა [2, 45]; ვიყავ რად უდაბნოსა ოპიზისასა [13, 335]; ურიცხუნი  
უამნი ჰქნან საყდარსა მას ანხისასა [12, 303]; ...ტყესა მას ხანცთისასა [12, 294]; განაგებ-  
და...ცხორებასა ხანცთისასა [12, 265]; იყო ... აგარაკსა შატბერდისასა [12, 295]; ...მოიწინეს  
...უდაბნოსა კლარჯეთისასა [12, 321]; მოიწია იგი ქუეყანასა მას პერეთისასა [1, 12]; და მიე-  
წია მას საზღვარსა პერეთისასა [1, 22]; და მოვიდა თხემსა ზედა მთისა სინაძისასა [2, 37];  
სანახებსა ზენა სოფლისასა [4, 165]; ხოლო ეზდერიოს ჭაღაკსა სამთავისისასა [8, 207];  
...ადგილსა მას კასტელისასა [8, 202]; აკურთხა... საყდარსა ზედა წილქინისასა [9, 222];  
...იყვნეს ...ქალაქებსა მას რეჯისასა [11, 246]; ბრწყინვიდა ჯვესა მას მიძნაძოროდსასა [12, 293];  
აღაშენებდა მონასტერთა... კურიკუწმიდისასა [12, 279]; მივიდეს ... ადგილსა ...ზანავისასა [13,  
339]; ციხესა მას ყველისასა [5, 176]; მოვიდეს ჯვესა ყველისასა [13, 338]; ...ჯვესა ბასიანისასა  
[7, 186]; ...ეუწყა... კათალიკოზსა სომხეთისასა [7, 190]; მოასწავებდა ოჯრებასა სომხითისასა  
[5, 175]; ...ზღვარსა არტაონისასა [5, 177]; შვეიდა იგი ციხესა კაპოეტისასა [5, 178]; ეუწყა  
მთავარსა მას აფხაზეთისასა [3, 59]; მეფობასა... ბაბილოენისასა [5, 17].

### 9. 1. 2. თანდებული ნანათესაობითარ მსაზღვრელთან

**თანა:**

როგორც ცნობილია, თანდებული თანა მიცემით ბრუნვაშიც გვხვდება და ნათე-  
საობითშიც. ამ შემთხვევაში იგი საზიაროა ორივე ბრუნვისათვის, გამოიყენება წინ-  
დებულად:



ძმაო, შთავიდეთ ვენაცად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა [13, 311].

**შინა:**

თანდებული შინა მიცემით ბრუნვასთან იხმარება. ამჯერად იგი ორივე ბრუნვის კუთვნილებაა:

...და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა [3, 56].

### 9. 1. 3. ნანათესაობითარი მოთხრობითი მხოლოდობით რიცხვში

ნანათესაობითარ მსაზღვრელად გამოყენებული გეოგრაფიული სახელის ფუძე მოთხრობითთანაც გაერცობილია; წყობა აქაც პოსტპოზიციურია:

*მთავარმან მან დივრისამან აღაშშნა ეკლესიად [7, 191]; გამოითხოვა იგი... ერისთავმან ქართლისამან [3, 63]; უბრძანა ...ციხისთავმან მცხეთისამან [2, 32]; ესრეთ სცოდა ბოროტი დიდმან სახლმან სომხითისამან [5, 174]; მოუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან [3, 61].*

### 9. 1. 4. ნანათესაობითარი ვითარებითი მხოლოდობით რიცხვში

ნანათესაობითარ მსაზღვრელად გამოყენებული გეოგრაფიული სახელის ფუძე ვითარებით ბრუნვაში სავრცობიანია; წყობა პოსტპოზიციური:

...და მიიყვანა იგი ქუეყანად ქანანისად [2, 36]; მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად [8, 191].

### 9. 1. 5. ნანათესაობითარი სახელობითი მრავლობით რიცხვში

მრავლობით რიცხვში ნანათესაობითარი მსაზღვრელისათვის გამოყენებულია ნათესაობითის ისეთივე ფორმა, როგორც მხოლოდობითში. აგიოგრაფიულ ძეგლებში მრავლობით რიცხვში ბრუნვათაგან მხოლოდ სახელობითი და ნათესაობითი დასტურდება. ნანათესაობითარი მსაზღვრელის სახელობითის ფორმა გეოგრაფიულ სახელებთან ყოველთვის ბოლოხმოვნია; წყობა პოსტპოზიციურია:

მაშინ მწართა ცრემლითა ტიროდეს *მკვდრნი შატბერდისანი...* [12, 310]; *ცრემლნი ანისანი* [12, 306]; ირწყვოდეს ყოველნი *უდაბნონი კლარჯეთისანი* [12, 282]; *...მთავარნი სომხითისანი...* [5, 178]; *მკვდრნი იორდანისანი* [4, 166]; *...აღდგეს მთავარნი ქართლისანი* [2, 34]; *აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი* [1, 27]; *...განარინნა... ძენი ისრაელისანი* [8, 212]; *მოვიხილნეთ... ადგილნი აფხაზეთისანი* [12, 268]; *ზღუდენი რაფათისანი...* [5, 177].

### 9. 1. 6. ნანათესაობითარი მიცემითი მრავლობით რიცხვში

საკვლევ ძეგლებში ნანათესაობითარი მსაზღვრელის ბრუნვის ფორმა ყოველთვის გავრცობილია; წყობა პოსტპოზიციური:

ზრუნვად აქუნდა ძმათა მათ *მკვდრთა ხანცთისათა...* [12, 308]; წარვიდა *კვეთა მამორვანისათა* [7, 191]; მოიწია იგი *საზღვარსა ქართლისათა* [1, 12]; საფასწ დიდძალი მისცა... *მკვდრთა იერუსალჴმისათა* [4, 166]; იყო სანახებსა მათ *სოფლისა სომხითისათა* [7, 186]; წარავლინნა იგინი *კვეთა* მათ *ვაჟვანისათა* [7, 188]; მოიწინეს... *ქუეყანისა სამცხისათა* [13, 322]; ...არა ინებეს... *ადვილთა* მათ *ზანავისათა* [13, 327]; *მეფეთა ისრაჴლისათა...* აღუდგინეს [12, 262]...

### § 10. სამმაგი ბრუნება გეოგრაფიულ სახელებში

საზოგადო სახელებში, როგორც ცნობილია, სამმაგი ბრუნებისათვის აუცილებელია სულ მცირე სამი სახელი გვექონდეს, რომელთაგან ერთი იქნება საზღვრული ამა თუ იმ ბრუნვაში, მეორე – ამ საზღვრულის მსაზღვრელი, უეჭველად ნათესაობითში დასმული, მესამე – ამ უკანასკნელის მსაზღვრელი (ე.ი. მსაზღვრელის მსაზღვრელი), ესეც ნათესაობით ბრუნვაში დასმული.

ზუსტად ამდგვარი მდგომარეობა გვაქვს გეოგრაფიულ სახელებთანაც. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ორი შემთხვევა, რომელიც ძეგლებში გვხვდება: ...*აუწყა გამოსლვად* იგი *ძეთა ისრაჴლისათად* [4, 164]; ...*ჩუეულებად მეფეთა ბაბილონისათად* გაიძულეს შენ [4, 169].

ზემოთ განხილულ მაგალითებში წარმოდგენილია სამმაგი ბრუნების მესამე შემთხვევა.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ჩვენ მიერ საკვლევ აგიოგრაფიული ძეგლების საკუთარი სახელები ბრუნების მხრივ მთლიანად მიჰყვებიან იმ სისტემას, რომელიც ჩამოყალიბებულია ჯერ კიდევ მწერლობის წინა პერიოდში, ზეპირ მეტყველებაში. ადამიანთა საკუთარი სახელების გათანაბრება ბრუნვებში საზოგადო სახელებთან უფრო იშვიათია, ვიდრე გეოგრაფიული სახელებისა. გათანაბრების პროცესი, მაშასადამე, უფრო ადრე დაწყებულია გეოგრაფიულ სახელებში, ვიდრე ადამიანთა სახელებში.

## თავი II

### საისტორიო წყაროების ტოპონიმები

#### § 1. საისტორიო წყაროებისა და აგიოგრაფიული ძეგლების მსგავსება-განსხვავება ტოპონიმთა თვალსაზრისით

საისტორიო წყაროები ისევე მდიდარია ტოპონიმებით, როგორც აგიოგრაფიული ძეგლები. საისტორიო წყაროების კვლევისას ჩვენ, პირველ რიგში, ყურადღება შევაჩერეთ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულ იმ გეოგრაფიულ სახელებზე, რომლებიც აგიოგრაფიულ ძეგლებშიც შეგვხვდა:

და დაიპყრეს *ქართლი*... [14, 139];

და დასუა მეფედ *მცხეთას* [14, 139];

მასვე უამსა გამოვიდეს ბერძენნი *აფხაზეთით* [14, 146];

და დასუა ერთი ეპისკოპოსად *კლარჯეთს* [14, 198];

მოსცა *სომხითი* და ყოველნი კაკასიისანი ზითვად [14, 158];

და აქუნდა მათ *კუხეთი* [14, 159];

და აქუნდა მათ *კახეთი* [14, 159];

...რომელსა სოფელსა ერქუა *არტანუჯი* [14, 177];

მოწევნულ იყო ლაშქარი ბერძენთა *ჯავახეთს* [14, 181];

რამეთუ *ტფილისი*... მორჯებულ იყო მაშინ [14, 181];

დასუა ეპისკოპოსად... ერთი *არტანს ერუშეთს* [14, 198];

... მოწაფენი მისნი წარგზავნა... რომელიმე უდაბნოდ *გარესჯად* [14, 208];

აღიღო ქუეყანა *ჰერეთისა* [16, 279];

და მოვიდა *სამცხეს* [14, 80];

რომელი მთავრობდა... *ტაშირს* [14, 241];

და შეიპყრეს კლდე ერთი *ტაოს*... [14, 244];

და დადგა *რეჯს* [16, 255];

და დამარხეს *ოპიზას* [16, 260];

და დადგა *მარგის მერეს* [16, 270];

... იცვალა ადარნასე ბაგრატიონიანმან ნასამალი... *აჭარისა* [16, 251];

მისცა ქალაქი... *ნეკრესისა* [14, 139];

აღვიდა მთასა *ზადენსა* [14, 208];

ხოლო გუამი წმიდისა შუშანიკისი... დაფლეს *ცორტავს* [14, 216];

და დაესვენებინა მცირესა ეკუდერსა შინა *აწყუერს* [14, 224];

ნასამადლი *შეშეთისა*... რომელნი ჰქონდეს შეილიშვილთა ვახტანგ მეფისასა [16, 251].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებული ოცდახუთი ტოპონიმიდან ოთხი: *არტანი*, *ზადენი*, *ცორტავი* და *აწყური* აგიოგრაფიულ ძეგლებში სახეცვლილი ფორმით დასტურდება: *არტანი* (7), *ზედაზენი* (8), *ცურტავი* (1); *აწყური* (12; 13), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისტორიულ საქართველოში გეოგრაფიულ სახელთა დაწერილობა საბოლოოდ ნორმად არ იყო ჩამოყალიბებული.

საისტორიო წყაროების კვლევისას შეგვხვდა ბინარული ოპოზიციის ცალმხრივი მაგალითებიც:

**ქვემო ტაო** (არამედ სიცოცხლესავე ჯუნშერისსა იცვალა ადარნასე ბაგრატიონიან მან ნასამადლი... *ქვემოსა ტაოსა* [16, 251]). აღნიშნული შემთხვევა იმაზე მიგვანიშნებს, რომ არსებობდა ზემო ტაოც, რაც ჩვენ მიერ საკვლევ წყაროებში არ დასტურდება. თუმცა ცნობილი ფაქტია ის, რომ ქვემო ტაოს ამიერ ტაო ერქვა, ზემო ტაოს – იმიერ ტაო.

**ზემო ქართლი** (... სრულიად ოვსეთსა და ყოველსა *ზემო-ქართლსა* [14, 232]).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართლის მნიშვნელობით საისტორიო წყაროებში **ზენა სოფელი** იხმარება (... განუყო *ზენა სოფელი*, რომელ არს ქართლი [14, 242]).

ტოპონიმი **ზენა სოფელი** დასტურდება აგიოგრაფიულ ძეგლებშიც (4; 8; 9; 11) და აღნიშნავს შიდა ქართლს.

საისტორიო წყაროებზე დაკვირვებისას ჩვენ განვიზრახეთ, აღგვეჩვენა ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ის ტოპონიმებიც, რომლებიც აგიოგრაფიულ ძეგლებში არ გვხვდება და შეგვესწავლა მათი ლოკალიზაცია-ეტიმოლოგია.

და მისცა მეფემან *სამშვლდე* ძესა თუსსა [14, 142];

... წარიყვანა იგი ქალაქად *კახპისა* [14, 143];

და მოტყუენეს... თავითგან მტკურისათ ვიდრე *ხუნანამდე* [14, 145];

დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე *შორაბნამდე* [14, 243];

და დაიბანაკეს *მუხრანს* და *ხერკს* [14, 150];

წარვიდა... და დადგა *თიანეთს* [14, 151];

... *კლაიცი*ა მოოჭრებულ იყო მაშინ [14, 181];

და გქონდეს საუხუცესოდ: *ეგრისი*, *სუანეთი*, *თაკური*, *არუეთი* და *გურია* [14, 241];

ერისთავნი: *მარგუსა*... *წუნდისა*... *ოდრკისა* [14, 185];

და დასუა ეპისკოპოსი ერთი *მანგლისს*, ერთი *ბოლნისს*, ერთი *რუსთავს*, ერთი *ნინოწმიდას*, *უჯარმის კარსა*... ერთი *ჭერემს*... ერთი *ჩელეთს*... ერთი *ხორნაბუჯს* და ერთი *აგარაკს*, რომელ არს *ხუნანს* გამართებით [14, 189-199];

დაჩის მისცა... და ქალაქი *კამბეჩოვანისა*, რომელ არს *ხორნაბუჯი* [14, 199];

მოიწივნეს *კახეთად...* დადგეს ველსა ზედა... სადა ჰრქჳან *დარფაკა* [14, 201];  
 ... რომელ *რაბატსა* შინა *უჯარმოსასა* აღმიშენებოეს [14, 201];  
 ... მიმიცემია *ტახისკართგან* და *წუნდითგან...* [14, 203];  
 ...აღაშენა აფხაზეთს შინა *ბიჭვინტას* [14, 215];  
 ... და საგანძური... დასხნა *გორს* [14, 233];  
 ...დაიბანაკა არეთა *ოდრჯისათა* [14, 234];  
 და შეეგლო ზღუდე იგი საზღვარი *კლისურისა* [14, 235];  
 შემეუსრა ქალაქი *აფშილეთვისა ცხუმი* [14, 235];  
 ...დასდევით იგი *ქუთათისს* [14, 236];  
 დაიბანაკა პიტიოტას... რომელსა ჰრქჳან *ცხუმი* [14, 238];  
 რომელი მთავრობდა *თრიალეთს, ტაშირს* და *აბოცს* [14, 241];  
 მისცა *ჯუარი...* და ყოველი *მთიულეთი* [14, 242];  
 დაემკვიდრა *ევრისს* ვიდრე *შორაპნამდე* [14, 243];  
 და დაჯდა *წუქეთს* და აღაშენა *კასრი...* [14, 243];  
 დამარხეს *ნოტკორას*, მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა [15, 248];  
 ...ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, *ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა*  
 და ქუემოსა ტაოსა... რომელნი ჰქონდეს შვილიშვილთა ვახტანგ მეფისასა [16, 251];  
 მოკლეს აშოტ კურაპალატი *გარდაბანს*, ეკლესიასა შინა [16, 253];  
 და დადგა *რეკს* [16, 255];  
 ... წარიღეს უფლისციხე [16, 255];  
 და მოადგა ჭართალეთს [16, 256];  
 განაღო კარი *დარუბანდისა* და გამოიყვანა ხაზარნი, სახლი სამასი.  
 და დასხნა იგინი *დმანისს* [16, 256];  
 ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი *ჩიხისა* [16, 258];  
 ადარნასე... აღაშენა *ბანა* [16, 261];  
 აიღეს *ბოჭორმა* [16, 263];  
 ...მოსცა აფხაზთა მეფესა *არიში, გავაზნი* და კვრიკეს ორჭობი [16, 264];  
 კუალად დადგა *ატენს* [16, 268];  
 ...ასწყვდა *მუხნარი, ხერკი* და *ბაზალეთი* [16, 270];  
 ...გარდამოვიდა ქართლს... და დადგა *თიღუას* [16, 276];  
 იყო მას ჟამსა ერისთავად *კლდეკართა* რატი [16, 276];  
 ჰქონდა... ქართლისაგან მტკუარსა სამხრეთით კერძო ყოველივე, *თრიალეთი,*  
*მანგლის-კვეი* და *სკურეთი* [16, 276];

მას ჟამსა მოსრულ იყო ბაგრატ *თრიალეთს* [16, 277];

დადგა *კარუშეთს* [16, 277];

დადგა *თიანეთს* [16, 279];

წარმოემართა... წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფისა. შეკრბეს ორნივე *ძორაკეტს* [16, 280].

## § 2. საისტორიო წყაროების ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია-ეტიმოლოგია ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნააზრევში

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელების ლოკალიზაცია-ეტიმოლოგიის საკითხებით ბევრი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი დაინტერესებულა დღემდე. აღნიშნულ პარაგრაფში სწორედ მათ ნააზრევს წარმოვადგენთ. ამავე თავში გვაქვს ჩვენეული დაკვირვებაც.

**არგუეთი(//არგეთი, არგეთა)** (14, 16) სოფლებია ზემო იმერეთში, საჩხერისა და ზესტაფონის რაიონებში. ზემოთ აღნიშნული ტოპონიმი ჩვენ **არგუეთის** ფორმით დავადასტურეთ. არგეთი, ძველი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, მთელი კუთხის „ქვეყნის“ სახელი ყოფილა.

კ. ჰანი ტოპონიმ **არგეთში** ქართულ დარგვას, რგებას, სარგებლობას გულისხმობდა (294, 36).

მ. ჯანაშიელის მოსაზრებით, **არგეთი არგ-** სიტყვას უკავშირდება, რომელიც მნიშვნელობით თურმე სახლს ნიშნავს. აღნიშნული დაკვირვების მიხედვით, **მარგვეთი** მიჩნეულ იქნა სვანური წარმოშობის სახელად. იგი უნდა გავიგოთ როგორც „მეურნე ხალხის ქვეყანა“ (279, 127).

ს. კაკაბაძის აზრით, **მარგვეთი, არგეთი** სატომო **მარგ-** სახელისაგან მომდინარეობდა. მკვლევარი თვლიდა, რომ *მარგები* ძვ. წელთაღრიცხვის VI საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში სახლობდნენ, შემდგომ მათ ჩრდილოეთისაკენ გადმოიწიეს და ლიხის მთების სიახლოვეს დასახლდნენ და *მარგების* ტომთა ეს მიგრაცია გეოგრაფიულ სახელ **მარგვეთში** არის ასახული (83, 66).

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „...რაჭის სამცხრით არს მთას იქით **არგეთი** ანუ **მარგეთი**, რომელი იწოდება ქვეყნის ნაყოფიერებისაგან და მრგველობისა მუშაკობისათვის (52, 162). ამ მოსაზრების მიხედვით ტოპონიმი **არგეთი** „დარგვას“ უკავშირდება.

ზ. ჭუმბურიძე თვლის, რომ **არგეთ-**ში გამოიყოფა ქართულ გეოგრაფიულ სახელებში გავრცელებული **-ეთ** სუფიქსი, **მარგვეთი** კი **-ეთ** სუფიქსთან ერთად **მ-** პრეფიქსსაც შეიცავს. ამ თავსართ-ბოლოსართების ჩამოცილების შემდეგ რჩება

ფუძე არგ. იგივე ფუძე გამოიყოფა *მარგ-ალ* („მეგრ-ელ“) სატომო სახელში (259, 422). აღნიშნული მოსაზრებით არგვეთი იგივეა, რაც „სამეგრელო“.

ა. შანიძე არგ- ფუძეს გაურკვეველი შინაარსის ერთეულად მიიჩნევს და დაასკვნის, რომ არგვეთის მნიშვნელობა „ამჟამად ნათელი არ არის“ (216, 138).

ბ. ბედოშვილი შენიშნავს, რომ ტოპონიმ არგვეთის ეტიმოლოგიის ასახსნელად მარგ- ეთონიმი არ გამოგვადგება, ვინაიდან მარგვეთში თავკიდური მ-ანი ადამიანის სადაურობის (სამწყსოს მფლობელობა-კუთვნილების) მიმანიშნებელი პრეფიქსია (*მროგ-ელი*, *მეგრ-ელი*, *მაჩაბ-ელი*). მკვლევარი ვარაუდს გამოთქვამს აღნიშნული ტოპონიმის ზანურენოვან (მეგრულ) წარმოშობაზე: არგვეთი მეგრ. *ო-რაგე-ე* (*ო-რაგე-ე* ქართულად *ს-რაგე-ე* ადგილს ნიშნავს: („გარეულ წვრილფეხა ნადირზე და ფრინველზე რაგვით სანადირო ადგილები“). შემდგომ, როცა *ო-რაგე-ე* ფორმას ქართული -ეთ სუფიქსი დართვია, ზანური *ო-* პრეფიქსი ა ხმოვნად ქცეულა (საფიქრალია, ფუძისეული ა ხმოვნის ფონეტიკური ზემოქმედების გამო). ამასთან ერთად, -ეთ სუფიქსის დართვას თვითონ მაასიმილირებელი ა ხმოვნის რედუქცია გამოუწვევია და საბოლოოდ *არგვეთი* მიგვიღია (*ო-რაგე-ე* *ო-რაგე-ეთი* *არგვეთი*). აქვე მკვლევარი შენიშნავს, რომ გურიაში (ლანჩხუთის რ.) დღესაც დასტურდება სოფელი *ორაგე*, რომელიც მას *ორაგვეთ-//არგვეთ* ტოპონიმის ამოსავალ ფორმად ესახება. გ. ბედოშვილს საგულისხმოდ მიაჩნია მეგრული ენის სხვა მონაცემებიც, კერძოდ, აღნიშნავს, რომ მეგრულში გვაქვს სიტყვა არგვანი „ჭური“, „ქვევრი“. სოფელ მარანში (აბაშის რ.) სიტყვა არგვანი ტოპონიმად ქცეულა, ამიტომ, სვამს კითხვას, საფიქრალი ხომ არ არის ისტორიული არგვეთის სიტყვა არგვანთან რაიმე კავშირი? ხომ არ ნიშნავს არგვეთი „კუთხეს, ქვეყანას, რომელიც მეთუნეობით (თიხის ნაწარმის დამზადებით) იყო ცნობილი?“ ამგვარი ვარაუდი („სარაგვე ადგილები“, „რაგვით სანადირო ადგილები“, ან: „ქვეყანა, სადაც არგვებს, არგვანებს ანუ ჭურებს ამზადებდნენ“) მკვლევარს უფრო სარწმუნოდ მიაჩნია (22, 48-49).

ბაზალეთი (16) ისტორიული სოფელია დუშეთის რაიონში. აღნიშნული ტოპონიმის ამოსავლად კ. ჰანს საკუთარი სახელი *ბასილი* – *ბასილეთი* მიაჩნია (270, 12).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ბაზალეთს სახელწოდება „დაბისა გამო მიუღია“ და აქვე გვთავაზობს ტოპონიმის ლოკალიზაციას: „აქვს ბაზალეთს აღმოსავლით არაგვი, სამჯრით ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გრემის ჰევი, და აღევის მთა, ჩრდილოთ ჭართლის მთა“ (52, 64-65).

ხალხური ეტიმოლოგიით ბაზალეთი ბაზარეთს ნიშნავს (22, 71).

გ. ბედოშვილს მიაჩნია, რომ ბაზალეთი ანთროპონიმული (გვაროვნული) წარმოშობის სახელია. მკვლევარი ემყარება ძველ ქართულ გვარს *ბაზალს* და აღნიშნავს,

რომ ამჟამად *ბაზალთა* გვარის წარმომადგენლები ძირითადად ხევში (ყაზბეგის რ.) სახლობენ. *ბაზალთა* გვარი ეკონომიკურად დაწინაურებული ყოფილა. მათ სჭერიათ სასაძოვრე მთები როგორც თვით ხევში, ისე მთიულ-გუდამაყარში. სოფელ არშაში ერთ-ერთ მთას *ბაზალთ მთა* ჰქვია. არაგვის ხეობის ბარის სოფლების 1781 წლის აღწერის მასალებში სოფელი *ბაზალეთი* მოხსენიებულია -*ეთ* სუფიქსის გარეშე: *ბაზალი*, მეკომურთა სიაში „აზნაურიშვილი ბაზლიძე“. ყოველივე ამის გათვალისწინებით მკვლევარი თვლის, რომ ტოპონიმი *ბაზალეთი* ქართულ გვარ *ბაზალთან* კავშირში უნდა განიხილებოდეს.

**ბიჭვინთა** (14) საქვეყნოდ განთქმული კურორტია შავი ზღვის პირას. ჩვენ აღნიშნული ტოპონიმი **ბიჭვინტას** ფორმით დავადასტურეთ. ბიჭვინთას ბერძენი და რომაელი ავტორები **პიტიუნტას** ან **პიტიუსს** უწოდებენ. პიტიუნტა **ბიჭვინთა**-ს დამახინჯებული ფორმაა, ხოლო **პიტიუსი** ქართული სახელწოდების თარგმანია: პიტიუს ბერძნულად ფიჭვს ნიშნავს. მკვლევრის, ზ. ჭუმბურიძის, განმარტებით „ფიჭვნარისაგან მიუღია კურორტს სახელწოდება ბიჭვინთა“ (259, 434).

**ბოჭორმა** (16) კახეთის მთიანეთის ერთი უძველესი ტოპონიმთაგანია. იგი მნიშვნელოვანი იყო ციხე-ქალაქთა შორის. ამჟამად ერწოს (თიანეთის რ.) ერთ-ერთი სოფელია. გაშენებულია მდ. ივრის სანაპიროზე.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, **ბოჭორმა** აუგია ქართველთა ეთნარქის, ქართლოსის, მეუღლეს და მისთვის **დედაციხე** უწოდებია. შემდგომ, როცა კუხოსი ჩელეთს აშენებდა, მას მშენებლობაში თავისი ძმა კახოსი მიხმარებია, რის სანაცვლოდაც კუხოსს ძმისთვის ბოჭორმა დაუთმოა. ამის შემდეგ **ბოჭორმას ვეჭორმა** უწოდეს, რაც ნიშნავს: „ვეჭ, ორმა ძმამ ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა. მერმე უწოდეს ბოჭორმა“ (52, 90-91).

ჯ. ლომაშვილი ტოპონიმ **ბოჭორმას ბოჭორ-** („გადასახადების ამკრეფი“) სიტყვისაგან მომდინარედ მიიჩნევს (103, 78).

ბ. ბედოშვილის აზრით, ქართულ ენაში არ დასტურდება არც ერთი შემთხვევა, როცა ტოპონიმი წარმოქმნილია მოთხრობით ბრუნვაში დასმული (**ბოჭორმა**) საკუთარი, ან თუნდაც ხელობის აღმნიშვნელი საზოგადო სახელის მიხედვით, რის გამოც, მკვლევარი უარყოფს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას და დაასკვნის, რომ **ბოჭორმის** მეცნიერული ეტიმოლოგია დღესდღეობით არ მოგვეპოვება (22, 88).

**გარდაბანი** (14, 16) ქვემო ქართლის ისტორიული „ქვეყნის“ ზოგადი (კრებითი) სახელია.



ვახუშტი ბატონიშვილი გარდაბანს იმ „ქვეყანად“ ასახელებს, რომელსაც აღმოსავლეთით უდის მტკვარი, ხოლო სამხრეთით უძევს „შულავრის“, ჭაპალისა და ბოლნისის გორაები, ჩრდილოთ მტკვარიდან ტფილისის გორაები ტაგნაგეთამდე; დასავლით – ჰევი ასურეთისა წინწყაროს გამომართებით, ნახიდურამდე და ბოლნისის მცირე მთამდე. მეცნიერის დამატებითი ცნობით, გარდაბანში ანუ აგარანში, ზემოთ ჩამოთვლილი მიწების გარდა, შედიოდა გრდანი, ლილო, მარტყოფი და „იწოდებოდა ესენი გარდაბანად“ (52, 50).

ნ. მარი გარდაბან- ფორმაში სატომო სახელს – *ქართს* ხედავდა: *ქართ-აბან-ი* (76, 470).

პ. ინგოროყვამ გარდაბანი *ქართ-აბანი* „ქართველთა მხარედ“ განმარტა, რადგან სომხურ წყაროებში გარდაბნის კუთვნილი ტერიტორია *ვრაც დაშტის* („ქართველთა მხარე“) სახით მოიხსენიება (76, 470).

ა. შანიძის მოსაზრებით, გარდაბანი *გარდაუბანი*-საგან გვექონია მიღებული (216, 261).

გ. ბედოშვილი უარყოფს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს *გარდაბან-* სახელში სატომო სახელის *ქართისა* და *-აბან* (*ობან, უბან*) სიტყვათა ძიების გამო და დაასკვნის, რომ *გარდაბანი* ნიშნავს: „აგარანი“, „ტფილისის გარეთ მდებარე სახნაგ-სათესი მიწები“, „დაბნები“, „გარე დაბანი“ (22, 94). აქვე მკვლევარი საეჭვოდ ხდის მ. ჰაჯიხალილოვის „მტკიცებას“, თითქოს *გარდაბანი* აზერბაიჯანული *Гара-ყзы*-საგან მომდინარეობდეს (22, 94).

*გურია* (14) ისტორიული ეგრისის შემადგენელი ნაწილია. იგი ორ სხვა კუთხის – სამეგრელოსა და აჭარას – შუა არის მოქცეული.

ნ. მარი ფიქრობს, რომ *გურიისათვის* ამოსავალი ყოფილა სატომო სახელი *გვერ-* რომელიც, თავის მხრივ, *ჰიბერ*//*ჰბერ*, *ჰივერ*//*ჰერ-* ფორმების შეცვლის შედეგად გვექონია მიღებული ჰ-აეს გ თანხმოვნად ქცევის გზით (117, 179).

ვახუშტი ბატონიშვილი *გურიას* ზმნურ *გურიაობასთან* (გულის მოსვლა, გაბრაზება, გაგულისება...) აკავშირებს (52, 174).

თ. სახოკიამ ტოპონიმი *გურია* მეგრულ *გურ-* სიტყვას („გული“ დაუკავშირა, რადგან „გურული ცნობილია ბრაზიანობით...“ „კუჭიანობით“ და „ამასთან გულადობითაც სწორუპოვარია“ (171, 18).

მკვლევართა უმრავლესობა: მ. ჯანაშვილი (1909); ნ. მარი (1937); პ. ინგოროყვა (1954); ივ. ჯავახიშვილი (1960); ზ. ჭუმბურიძე (1987) და სხვ. თვლის, რომ ტოპონიმი

გურია იმავე ძირის შემცველია, რაც *ეგურ-ის*(//*ეგრ-ის*) და *მ-ეგრის-ელ* ანუ *მ-ეგრ-ელ* – სახელებში გვაქვს.

გ. ბედოშვილის დაკვირვებით, სატომო სახელად *გვერ-//გურ* სიტყვას ქართული ისტორიოგრაფია საერთოდ არ იცნობს. მკვლევრის აზრით, მხარც რომ დავუჭიროთ ცნობილ ვარაუდს *გურიის* სატომო სახელისაგან (*გურ-*) ან მდ. *ვერისისაგან* წარმომავლობის შესახებ, ბევრი რამ მაინც აუხსნელი დაგვრჩება. გარკვევას მოითხოვს, კერძოდ, რეალურად არსებობდა თუ არა გურების ტომი. მკვლევარი სვამს კითხვას: თუ *გურია ვერისისაგან* მომდინარეობს, რამ გამოიწვია თავიდაურა *ე* ხმოვნის გაქრობა და რა ფუნქცია აქვს ტოპონიმ *გურია*-ში *-ია* სუფიქსს. ყოველივე ამის გათვალისწინებით გ. ბედოშვილი თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული ტოპონიმი ჯერ კიდევ საჭიროებს შესწავლას (22, 121).

**ვერისი** (12). ძველი სამეფო დასავლეთ საქართველოში (წარმოიქმნა IV-V სს.).

ს. კაკაბაძის აზრით, **ვერისი** მდ. ენგურს უნდა უკავშირდებოდეს, რადგან **ვერისწყალი** და **ენგური** მკვლევარს ერთსა და იმავედ მიაჩნია (84, 22).

ა. შანიძის მიხედვითაც **ვერისწყალი** და **ენგური** ერთი და იგივეა (211, 138).

პ. ინგოროყვას დაკვირვებით, **ვერისი** *ეგურ-ისი*//*ეგერ-ის-* ფორმისაგან არის მიღებული, იმავე სიტყვისაგან, რომლიდანაც ქვეყნის სახელი *გურია* მიგვიღია (76, 139).

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ვერისი *ჰეგარ*//*ეგარ*//*ვერ-* სატომო სახელისაგან არის მიღებული. „ჰეგართა“ ქვეყანა იგივე ვერთა ქვეყანა, ვერისი, კოლხეთი უნდა იყოს“ (273, 292).

გ. ბედოშვილი თვლის, რომ **ვერის-ი** *ეგურ-//ენგურ-* სიტყვისაგან ჩანს მიღებული. იგი ნიშნავს: „ეგურის (ენგურის) ქვეყანა“, „ენგურისწყლის მხარე“, „ქვეყანა, სადაც მიედინება ვერის-წყალი, იგივე ენგური“ (22, 137).

**თაკუერი**(//**თაკვერი**) (14) ლექსუმის (ნაწილობრივ რაჭის) ისტორიული სახელწოდებაა. აღნიშნული ტოპონიმი ჩვენ **თაკუერი**-ს ფორმით დავაფიქსირეთ.

**თაკვერი** ერთი კონკრეტული ობიექტის (მთის) საკუთარი სახელი ყოფილა, მაგრამ ეს სახელწოდება, იმავდროულად, ვრცელი ტერიტორიის (ლექსუმის ხეობის) აღმნიშვნელ ერთეულადაც გამოდიოდა.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ჳეობა ლექსუმისა, რომელსა უწოდებენ თაკვერად“. ტოპონიმ **თაკვერს**, მისივე თქმით, სახელი „მოუგია“ „გარემოსთა მთათაგან, კვერსავით მდებარისა“ (52, 148).

ტოპონიმ **თაკვერში** მკვლევარები გამოყოფენ სვანურ **-ერ** სუფიქსს, რომელიც ძალზე ხშირად გვხვდება აქაურ სახელებში (*ცაგ-ერ*, *ნახ-ერ*, *ლატ-ერ*, *ფხუტ-ერ*, *მაზ-ერ*, *ლენჯ-ერ*, *უცხ-ერ*, *ლამხ-ერ* და სხვ.) (191, 75).

ლექსუმის მიკროტოპონიმიაში გვხვდება *კვერ//კვერე*- ფუძიანი სახელები: **საკვერე, თაკვერა** (ასხის მთის განშტოებანი), **კვერეშულა, კვერეში გვერდი...** (99, 30).

გ. ბედოშვილის დაკვირვებით: **საკვერიე, თაკვერა, კვერეშულა, კვერეში გვერდი** უნებურად **კვირეს** (კვირაცხოველს) უკავშირდება – მთაკვირე და ფიქრობს, რომ შეიძლება **თაკვერ-ი** მცენარე **ბოკვის** (ნეკერჩხალი) სვანური სახელისაგან მომდინარეობდეს, რადგან სვანურში მაღალმთიან ბოკვს **თეკრა** ეწოდება. მკვლევრის აზრით, იქნებ საგარაუდო იყოს **თაკუერის** სვანურ – *თეკე-რა//თეკუ-ერ-ა* ფორმებთან რაიმე კავშირი (22, 148).

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების გაცნობისას, ჩვენეული შეხედულება შეგვექმნა ტოპონიმ **თაკვერის** ეტიმოლოგიაზე. იმერეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სოფელი კინჩხა (ხონის რ.). ასხის მთა კინჩხის ჩრდილოეთითაა და სიმაღლით 2440 მეტრს აღწევს. სწორედ ასხის მთაზე დასტურდება მიკროტოპონიმი **საკვერია** (სოფელში ასე უწოდებენ), რომელიც ლექსუმის მიკროტოპონიმიაში **საკვერიე** ფორმით გვხვდება. მართლაც, **საკვერია-საკვერიე** ფორმები ხომ არ იქნება ტოპონიმ **თაკუერის** ამოსავალი? ან კიდევ: მართალია, მთა-კვერი ხეობას ნიშნავს, მაგრამ ხომ არ მომდინარეობს იგი მთა კვერი-საგან? რადგან ქართულის დასავლურ კილოებში მთა-ს **თა** ჰქვია და გადააზრიანება ხომ არ მოხდა (**მთა** → **თა//მთა კვერი** → **თაკვერი**)?

**თიანეთი** (14) დაბა. რაიონული ცენტრი მდ. ივრის ხეობაში; ისტორიული კახეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, კახეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია.

**თიანეთს** ადამიანის სახელისაგან მომდინარედ მიიჩნევს ვახუშტი ბატონიშვილი: „გარნა სახელი ეწოდა თიანეთს, ვინაიდან არს ძველივე, ვგონებ ძეთაგან კახოსისათა“ (52, 91).

**თიანეთი** ქალის სახელს, *თინას*, უკავშირდება ადგილობრივ გავრცელებული აზრის მიხედვით, *თინა* თურმე *იორამის* (აქედან იორი) სატრფო ყოფილა (63, 61).

ჯ. ლომაშვილი შენიშნავს, რომ ტოპონიმ **თიანეთის** ნათელი შინაარსის მიუხედავად, სპეციალისტთა ერთი ნაწილი მას წინააზიიდან საქართველოში წარმართული ღმერთის *თინა*-ს სახელს უკავშირებს და უარყოფს ტოპონიმის **მთ-იან-** სახელისაგან მომდინარეობის შესაძლებლობას (102, 4).

კ. ჰანი ტოპონიმ თიანეთს ასე განმარტავს: от мта „гора“, „страна гор“ (294, 138).

გ. ბედოშვილის აზრით, **თიანეთის** ერთადერთი მეცნიერული ახსნა არის **მთიანეთ-ი**: „მთიანი ქვეყანა“. ტოპონიმი ეტიმოლოგიურად ნათელი სახელია. იგი მომდინარეობს

რეობს **მთა** სიტყვისაგან, რომელსაც ჯერ ქონება-თვისების აღმნიშვნელ **-იან** სუფიქსი, ხოლო შემდეგ – გეოგრაფიული **-ეთ** სუფიქსი დართვია (22-172-173).

**კამბბეოვანი(//ხორნაბუჯი, ქიზიყი)** (14) ისტორიული მხარე კახეთში. სახელწოდება წარმოდგება *კამეხ-კამბენისაგან* (277, 382).

**მანგლისი** (14). თბილისის ახლოს მდებარე კურორტი, საისტორიო წყაროებში იხსენიება IV-V საუკუნიდან.

ზ. ჭუმბურიძის აზრით, ტოპონიმის სახელწოდება ნაწარმოებია **-ის** სუფიქსით: **მანგლ-ის-ი**. **მანგლ** არის შეკუმშული ფორმა **მანგალ** ანუ **ნამგალ** სიტყვისა. **მანგლისი** ძველი სამეურნეო იარაღის სახელწოდებისაგან არის მიღებული **მ** და **ნ** ბგერების გადაადგილებით: **ნამგლისი**→ **მანგლისი** (259, 466).

არსებობს სხვაგვარი ეტიმოლოგიაც: **მანგლისი** აქადურ-შუმერულად „ციხეს“, „სიმაგრეს“ ნიშნავს და თითქოს ამის მიხედვით დარქმევია ტოპონიმს **მანგლისი** (259, 466).

**მუხნარი//მუხრანი** (14). ქართლის ერთ-ერთი ისტორიული სოფელი.

ზ. ჭუმბურიძის აზრით, ტოპონიმის სახელწოდება **მუხნარს** უკავშირდება. **მუხრანი** მიღებულია **მუხნარისაგან** **ნ** და **რ** ბგერების გადაადგილებით (259, 473).

ძველ საისტორიო წყაროებს შემოუნახავს ტოპონიმის ძველიძველი სახელი.

**ოდრხე(//ოცხე)** (14) ისტორიული სახელწოდებაა სამცხის ერთ-ერთი ხეობისა. ტრადიციული გაგებით, **ოდრხე** დღევანდელ აბასთუმანსა და მის შემოგარენ ტერიტორიას მოიცავდა.

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში უპირატესად *ოდრახე/ოდრხე* ფორმები დასტურდება. ჩვენ იგი **ოდრხე** ფორმით შეგვხვდა, რომელიც, ს. ჯიქიას დაკვირვებით, **ოდრახეს** ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს და უფრო გვიანდელი ხანის მასალაში იჩენს თავს (283, 163).

გ. ბედოშვილი შენიშნავს, რომ მემატრიანეები ზოგჯერ *ოდრახე/ოდრხე*-ს სამცხესთან აიგივებენ, რაც ყოველად შეუძლებელია. მკვლევრის დასკვნით, **სამცხე** ქვეყნის მხარის სახელია, *ოდრახე/ოდრხე* კი ერთი კონკრეტული ხევის (თემის) სახელი, რომელსაც მხარის აღნიშვნის ფუნქცია უკისრია (22, 315). მეცნიერი თვლის, რომ *ოდრახე/ოდრხე* ტოპონიმის ამოსავალი განუმარტავია.

**საძმორი** (14). ისტორიული რეგიონი, მხარე ერწოს ველზე.

მკვლევრის, გ. ბედოშვილის აზრით, ტერმინი *საძმორ-ი//სა-ძმორ-ე* უნდა გავიგოთ როგორც „სა-ვეძო-ადგილები“, „მლაშე ვეძა-წყლიანი ადგილები“. ამ ვარაუდის სისწორეს მკვლევარს ადასტურებინებს ერწოს რეგიონში სოფელ ვეძათხევას არსე-

ბობა და დასძენს, რომ ძველ ქართულ ენაში მლაშე მინერალური წყლის, იმავე ვე-  
დის, აღმნიშვნელი სიტყვა **ძმორ-** ფუძით გადმოიცემა (22, 375).

**სუანეთი**(//**სვანეთი**) (14) საქართველოს დასავლეთ მთიანეთის ერთ-ერთი კუთხეა.  
აღნიშნული ტოპონიმი საკვლევ წყაროებში ჩვენ „სუანეთი“ ფორმით დავადასტურეთ.

ვახუშტი ბატონიშვილი ტოპონიმ **სვანეთს** „სავანეს“ უკავშირებს (52, 173).

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას უარყოფს რუსი ტოპონიმისტი ვ. ა. ნიკონოვი  
(301, 276), ხოლო მეორე რუსი მკვლევარი, მ. ნ. მელხეევი, იზიარებს ვახუშტი  
ბატონიშვილის თვალსაზრისს და მის მართებულობაში ეჭვიც არ ეპარება (297, 74).

გ. ბელოშვილის დაკვირვებით, ტოპონიმ **სვანეთის** ამოსავალია ეთნონიმი *სვანი*,  
რომელსაც კრებითობა-სიმრავლის აღმნიშვნელი **-ეთ** სუფიქსი აქვს დართული (22, 379).

**ტასისკარი** (//**ტაშისკარი**) (14). ისტორიული სოფელი ქართლში (ხაშურის რ.).

**ტაშისკარი** **ტასისკარის** ფონეტიკური სახეცვლილებით უნდა გვექონდეს  
მიღებული, რადგან საკვლევ წყაროებში ჩვენ **ტასისკარი**-ს ფორმით შეგვხვდა.

ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებით, ტოპონიმს სახელწოდება მიუღია ვაკე  
ადგილის გამო: „**ტაშირი-სივაკისათჳს**“. იგი წერს: „აქ, მოვიწროებულსა შინა, არს  
განსავალი კარი... ქართლიდამ ჳეობასა შინა სავალი, ამის მიერ ეწოდება **ტაშის-  
კარი** (ესე არის ქვის-კარი“) (52, 37-38).

ზ. ჭუმბურიძის აზრით, სახელწოდება **ტაშისკარი** მიღებული ჩანს **ტაშირის**  
კარ-ისაგან. **ტაშირი** მთებს შორის მოქცეულ ვაკე ადგილს, მთებით მოზღლულ  
ველს ეწოდება (258, 506).

**ტაშისკარს** ჰიბრიდული წარმოშობის სახელად მიიჩნევს გ. ბელოშვილი და აღნიშნავს,  
რომ სწორედ თურქულ **ტაშ-** („ქვა, კლდე“) სიტყვა დასდებია საფუძვლად ტოპონიმის წარ-  
მომავლობას (22, 394). მკვლევარი უარყოფს კ. ჰანის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ტო-  
პონიმის პირველი ფუძე (**ტაშ-**) ქართულ **ტაშტ-** სიტყვას უკავშირდება. მისი რწმენით, ად-  
გილობრივი მცხოვრებლები მტრის (თურქების) შემოსევის დროს სპილენძის ტაშტებს ურ-  
ტყამდნენ და თავისიანებს მოსალოდნელ საფრთხეს ასეთი წესით აცობინებდნენ (22, 395).

**ხერკი** (14). ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში,  
მდინარე არაგვის ხეობის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, მარცხენა სანაპიროზე,  
დღევანდელი მცხეთისა და დუშეთის რაიონების ტერიტორიის ნაწილი.

ტოპონიმი **ხერკი** ერთ-ერთი უძველესია აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრა-  
ფიულ სახელწოდებათა შორის.

ლეონტი მროველი ხერკის ეტიმოლოგიას საისტორიო წყაროებშივე ხსნის: „და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ (ლტოლვილ ებრაელებს) ხარკითა, აწ ჰქვან ხერკ ხარკისა მისთვის“ (193, 16).

ვახუშტი ბატონიშვილის აზრითაც: „ეწოდება ხერკი ამის გამო, ოდეს ლტოლვილნი ნაბუქოდონოსოსაგან მოსულნი ურიანი დასხნა აქა მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მოხარკედ“ (52, 86).

გ. ბედოშვილი მიიჩნევს, რომ ხერკი ადგილის მიხედვით დაერქვა. ის ადგილები, რომელსაც ისტორიულად ხერკი ეწოდებოდა (საგურამო-ხედახენი-თეზმის ხევი-გალავანი...), უმეტესად მშრალი, ხრიოკი, ბუჩქნარ-ჯაგიანი, უწყლო, ხირხატი ადგილია. მკვლევარი დასაშვებად თვლის, რომ ტოპონიმი ხერკი მეტათეზირებული სახე იყოს ხრეკ – ფორმისა: გა-ხრეკილ-ი „მწირი, ქვიანი, უბალახო, შიშველი ადგილი“. საწყის (ამოსავალ) ფორმად უნდა გვექნოდნა ხრეკი (ხრიოკი → ხრიაკი → ხრეკი → ხერკი) (22, 538).

სამეცნიერო ლიტერატურაში ტოპონიმ ხერკის წარმომავლობაზე გაჩნდა სრულიად ახალი მოსაზრება, რომელიც ზ. ჭუმბურიძეს ეკუთვნის. მკვლევარი სპეციალისტების მიერ გამოთქმულ ყველა დაკვირვებას საყურადღებოს და ანგარიშგასაწევს უწოდებს, მაგრამ აღნიშნული ტოპონიმის წარმომავლობაზე კვლევა-ძიების გაგრძელებას ზედმეტად არ თვლის. მისი აზრით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლტოლვილთა დასახლება ქართლში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც ხდებოდა ძირითადად მანამდე აუთვისებელ და დაუსახლებელ ადგილებში, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამ ადგილებს სახელს მისი პირველი მოსახლენი არქმევდნენ (თუ ყველას არა, ზოგიერთს მაინც). ასეთი ვარაუდის შემთხვევაში, ბუნებრივია, ეტიმოლოგიური ძიებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც აბორიგენტთა, ისე მიგრანტთა ენები და ტოპონიმიკური მოდელები.

ამგვარი კვლევა-ძიების პროცესში მკვლევრის ყურადღება მიიქცია სემიტურმა ძირმა hereq (ხერკ) – „მწერი“, „მუმლი“, „ქინქლა“.

ზ. ჭუმბურიძე აქვე დაასკვნის, რომ ხერკი არ არის ერთადერთი ტოპონიმი საგურამოს მიდამოებში, რომელიც ებრაელთა ცხოვრების ნაკვალევზე მიგვანიშნებს (262, ხელნაწერი).

### § 3. ზმნური ტოპონიმი საისტორიო წყაროებში

ხერთვისი ძველისძველი გეოგრაფიული სახელია. იგი რამდენიმე ადგილას გვხვდება: ჯავახეთში, ფოცხოვში, კლარჯეთში, აჭარაში, აჭარაშივე, მაჭახელის წყალზე (ქვედა ხერთვისი), უინვალის გაღმა და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ქართულში, რა თქმა უნდა, დღეს არ მოიპოვება ზმნის ფორმა **ხერთვის**, მაგრამ მოიპოვება ამ ფორმისაგან ნაწარმოები სახელი **ხერთვისი**.

ს.-ს. ორბელიანი **ხერთვისს** ასე განმარტავს: „ხერთვისი არის ზღვათა და წყალთა საშუალო ადგილი ხმელი“ (180, 421).

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ **ხერთვისს** უნდა მოველოდეთ ჩვეულებრივ იქ, სადაც მდინარე მდინარესვე ან არადა ზღვას ერთვის. მეცნიერი **ხერთვისის** ეტიმოლოგიას ასე ხსნის: „ერთვის, აი ის ზმნის ფორმა, რომელთანაც ეტიმოლოგიური კავშირი აქვს **ხერთვისს**“; დღევანდელი **ერთვის** ფორმა ისტორიულად ჰერთვის ფორმისაგან არის წარმოშობილი: *ჰე (ჰერთვის > ერთვის)* და *ხანი (ხერთვის)* (208, 272,-272).

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, **ხერთვისი** მიღებულია **ერთვის** ზმნისაგან, რომელსაც წინ დაერთვის III ობიექტური პირის ნიშანი **ხ**. ტოპონიმმა **ხერთვისმა** დღევანდლამდე შემოგვინახა ძველებური ფორმა.

ჩვენ მიერ საკვლევ წყაროებში ტოპონიმი **ხერთვისი** ორ შემთხვევაში დავადასტურეთ:

რომელ არს ჭალაკი, რიყე *ხერთვისისა* [14, 173];

რომელი იგი მუხნარით და არაგუსა *ხერთვისისა* იყო [14, 202].

#### § 4. ტოპონიმთა ლოკალიზაციის მწერლისეული მინიშნება

საისტორიო წყაროების კვლევისას დავადასტურეთ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მწერალი გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობის შესახებ:

და აღიძრა და დაიბანაკა *პიტიოტას ზღვს* პირს, ქალაქსა, რომელსა ჰქვან *ცხუმი* [14, 238];

ციხესა შინა *სობლისასა*, რომელ არს გარდასავალსა *ოვსეთისასა* [14, 235];

და შეიპყრეს *კლდე ერთი ტაოს*, რომელსა ერქუა *კალმახი* [14, 244].

ზემოთ აღნიშნული შემთხვევის ანალოგია აგიოგრაფიულ ძეგლებშიც დავაფიქსირეთ, კერძოდ, „წმ. აბო ტფილელის მარტვილობაში“: „...ადგილსა მას, რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან სადილეგო, პირსა კლდისასა, რომელ არს კბოდღ, კლდღ მდინარისა მის დიდისად, რომელ განჰვლის აღმოსავლით ქალაქსა, ესე არს სახელით მტკუარი“ [3, 73].

## § 5. ტერიტორიული და ქრონოლოგიური იდენტიფიკაციის შემთხვევები საისტორიო წყაროებში

ჩვენ მიერ საკვლევ წყაროებში გვაქვს ორი ტერიტორიული და ერთი ქრონოლოგიური იდენტიფიკაციის შემთხვევა, როდესაც ავტორი ერთსა და იმავე გეოგრაფიული ობიექტის სახელს ორნაირი დასახელებით გვთავაზობს.

### ა. ტერიტორიული იდენტიფიკაცია:

და შეიქმნა *კარნი ოვსეთისა*, რომელთა ჩუენ *დარიანისად* უწოდოთ [14, 156];

... განუყო *ზენა სოფელი*, რომელ არს *ქართლი* [14, 242].

### ბ. ქრონოლოგიური იდენტიფიკაცია:

მოადგა ციხე-ქალაქსა *კარასპოლა*, ხოლო აწ ეწოდების *კარნუ-ქალაქი* [14, 156].

## § 6. ვარიანტული ტოპონიმები საისტორიო წყაროებში

საისტორიო წყაროებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე გეოგრაფიული ობიექტის სახელი, ფონეტიკური სახესხვაობის გამო, სამ ვარიანტადაა წარმოდგენილი.

V-VII სს. საისტორიო წყაროებში ტოპონიმ „*დარიალან*“-ის გვერდით ჩნდება „*დარიან*“, „*დარიელა*“ ფორმებიც; VIII-X სს. წყაროებში კი მხოლოდ „*დარიალანი*“.

განვლო კარი *დარიალანისა* [14, 151];

წარემართა გზასა *დარიალანისა* [16, 250];

შეიქმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ *დარიანისად* უწოდოთ [14, 156];

და დაიპყრა კარი *დარიელისა* [14, 234].

როგორც ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, ისტორიულ საქართველოში გეოგრაფიულ სახელთა დაწერილობის სრული სისტემა არ იყო შემუშავებული.

## § 7. ჰიდრონიმების ტიპები საისტორიო წყაროებში და „*აბაშისა*“ და „*ცხენისწყლის*“ ავტორისეული გააზრება

ჰიდრონიმი ტოპონიმის სახეობაა. ჰიდრონიმთა წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლიტერატურული და დიალექტური ჰიდროგრაფიული ნომენები. ჰიდრონიმები ზოგჯერ თავიანთ ლოკალურ მონაცემებზეც მიგვანიშნებენ. ამ შემთხვევაში ისინი ტოპოჰიდრონიმებად გვევლინებიან. საისტორიო წყაროებში გვხვდება როგორც ჰიდრონიმთა, ისე ტოპოჰიდრონიმთა სახელები, რომლებიც ერთი ან ორი ლექსემით გადმოიცემიან.



**ა. ჰიდრონიმები:**

ეწყო მუნ მდინარესა ზედა ბერდუჯისასა [14, 140];  
და მასაცა მდინარესა არაგვ ჰქვან [14, 15,];  
სადა მიერთვის მდინარეს ანაკურტისა მტკუარსა [14, 216];  
გამოვლენ... ორნი მდინარენი: ნილოსი და გეონი [14, 162];  
დაჯედ ორთავე მდინარეთა შორის, ეფურატსა და ჯილასა [14, 162];  
... მდინარესა მას ზედა, რომელსა რქვან აბაშა [14, 237];  
...მდინარისა კიდესა, რომელსა რქვან ცხენისწყალი [14, 237];  
და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ [16, 252];  
და მისცა... ფარავნითვან მტკურამდე [14, 205];  
და შეკრბეს ბაზალეთს, ტბისა პირსა [16, 269].

**ბ. ტოპოჰიდრონიმები:**

და დაიპყრეს ეგრის-წყლითვან... ციხე-გოჯამდე [14, 146];  
და დაუწერა ეგრის წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა ზითვად [14, 177];

საისტორიო წყაროებშივეა ჰიდრონიმების: „აბაშისა“ და „ცხენისწყლის“ ეტიმოლოგიების ავტორისეული გააზრება. წყაროებში ვკითხულობთ: „... რამეთუ აბაშთა ნათესავი იყო დაბანაკებული მდინარესა მას ზედა, რომელსა რქვან აბაშა, ხოლო უნები და ეტლები მდინარისა კიდესა, რომელსა რქვან ცხენისწყალი“ [14, 237].

ავტორი გვისხნის: „...და ვითარცა აღიარეს ციხე გოჯი, და დაიბანაკეს მათ ზედა ორთა, მსგავსად ერთისა, და გარდამოხდა წუმბა ფიცხელი, აღდგეს მდინარენი სასტიკად; და მიმართა უმცროსმან წყალმან სპათა აბაშთასა, და წარიღო მათგან მკურცხელი ოცდასამი ათასი. და მიმართა უფროსმან წყალმან მკვდართა, რომელთა – იგი ბანაკი იყო უჭალაკე, რომელნიმე ივლტოდეს ადგილითა და რომელნიმე ხეთა ზედა გაკდეს, და წარიღო ცხენი ოცდათხუთმეტი ათასი. და მიერთვან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთთა აბაშა“ [14, 238].

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სხვა მოსაზრების მიხედვით, „მდინარე ცხენისწყალს ადრე ცენისწყალი უნდა რქმეოდა, რადგან მის სათავეებთან, სვანეთში, მდებარეობს სოფელი ცანა ანუ ცენა, შემდეგ ცენისწყალი ცხენისწყალად გადაკეთდა“ (259, 526).

როგორც ძველი ბერძნული წყაროებიდან ჩანს, ამ მდინარეს უკვე შორეულ წარსულში ერქვა ცხენისწყალი, „ბერძნები თარგმნიდნენ მას და ჰიპპოს-ს უწოდებდნენ, რაც ბერძნულად „ცხენს“ ნიშნავს“ (259, 526).

## § 8. ციხეებისა და ციხე-ქალაქების სახელები საისტორიო თხზულებებში

საისტორიო წყაროებში უხვად გვხვდება სახელწოდებანი ისტორიულ საქართველოში არსებული ციხეებისა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საფრთხის შემთხვევაში. ორკომპონენტურობისას უფრო ხშირია პოსტპოზიციური წყობა, ვიდრე პრეპოზიციური. საკვლევ წყაროებში ციხე-ქალაქების აღნიშვნის მხოლოდ სამი სახეობა დავადასტურეთ. აქაც გვხვდება როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა.

### ა. ციხეები

ა) *პრეპოზიციური წყობა:*

...შემუსრა... *ჭერმისა ციხე*, და *ველის-ციხე* [14, 201];

აუგეს *შურის-ციხე* [16, 268];

*ხოლო წირქუალის ციხე*... თვთ დაიჭირეს [16, 275].

ბ) *პოსტპოზიციური წყობა:*

... მცხეთით აღვიდეს *ციხესა არმაზისასა* [14, 159];

...მოგცე *ციხე თუხარისი* [14, 171];

არტავაზ აღაშენა *ციხე არტანუჯისა* [14, 178];

და განაახლა *ციხე ახიზისა* [14, 178];

ხოლო *ციხესა კალისასა* დარჩეს კაცნი [14, 224];

...*ციხე-გოჯი* შემუსრა, და მოადგა *ციხესა ანაკოფისასა* [14, 235];

აღაგო *ციხე კლდეკართა* [16, 258];

მოადგა *ციხესა თმოგვსასა* [16, 263];

შევიდა *ციხესა კაპოეტისასა* [16, 264];

მოადგეს *ციხესა ვეჟინისასა* [16, 264];

ააგო *ციხე ლოწობანთა* [16, 265];

მოუტანა თანა *ციხე მისი უჯარმო* [268];

...სამთა *ციხეთა: ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა* [16, 268].

*ციხე მარნისა* ჰქონდა მაშინ ხახუასა [16, 268];

და ჰქონდა *ციხე ატენისა* [16, 276];

შევიდა *ციხესა წუფთისასა* [16, 277];

*ციხესა შინა ფანასკერტისასა* [16, 283];

*ციხესა შინა თმოგვსასა* [16, 283]..

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ერთ შემთხვევაში ციხის სახელი მსაზღვრელ-საზღვრულის გარეშე შეგვხვდა:

მუნით მოვიდა *ყუელს* [16, 263].

ერთ შემთხვევაში კი ციხის სახელი ნაციხარის მნიშვნელობით დავაფიქსირეთ, წყობა პოსტპოზიციურია:

დაჯდა *ნაციხარსა კიდრისასა* [14, 243].

### ბ. ციხე-ქალაქები

ა) *პრეპოზიციური წყობა*

და ცხოვრობდეს *რუსთავს ციხე-ქალაქსა* [14, 159].

ბ) *პოსტპოზიციური წყობა*

მოადგეს *ციხე-ქალაქსა კარასპოლა* [14, 159];

სპანი ვახტანგისი დადგეს ველსა ზედა... *ციხე-ქალაქსა... დარფაკა* [14, 201].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართული წყაროებისა და აგიოგრაფიული ძეგლების შედარებისას ამ უკანასკნელში ციხის სახელის აღნიშვნის მხოლოდ ორი ფორმა აღვნიშნეთ: არტანუჯის ციხე (12) და ყუელის ციხე (12). ორივე შემთხვევაში წყობა პრეპოზიციურია.

## § 9. ეკლესიონიმები საისტორიო წყაროებში

ეკლესიონიმი ტოპონიმის სახეობაა და იგი რელიგიური ნიშნით გამორჩეული საკუთარი სახელია. ეკლესიონიმების აღნიშვნის ორი შემთხვევა დასტურდება: ერთი, როდესაც იგი ტოპონიმის როლს ასრულებს; მეორე – როდესაც ტოპონიმი ეკლესიონიმად ქცეულა. საისტორიო წყაროებში, იშვიათ შემთხვევაში, ორკომპონენტიანი ეკლესიონიმი პრეპოზიციური წყობით აღინიშნება, უფრო ხშირად კი პოსტპოზიციური წყობით.

ა. *პრეპოზიციური წყობა*

...რომელნი დიან... გარემოს *ბერთუბნის მონასტრისა* [14, 210];

...გუარამისა განუსრულებიეს აღშენება *ტფილისის სიონისა* [14, 222].

ბ. *პოსტპოზიციური წყობა*

...აღაშენა *სიონი სამშჯღდისა* [14, 142];

არტავაზ აღაშენა... სამნი ეკლესიანი *დაბა მერისა, შინდობისა და ახიზისა* [14, 178];

არტავაზ აღაშენა... *მონასტერი* რომელ არს *ოპიზა* [14, 178];

შემდგომად მისსა აღაშენა *ეკლესია ნიქოზისა* [14, 199];

...აღაშენა... *ეკლესია წყაროსთავისა* [14, 205];

დავით კურაპალატმან აღაშენა *ეკლესია ხახულისა* [16, 259];

აღაშენა *ეკლესია საძმორს* [14, 243];

აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა [16, 265];

აღაშენა ეკლესია მოქჯსა [16, 274];

აღაშენა საყდარი ბედისა [16, 281];

ბასილი მოსცა მონასტერი კესტორია [16, 282].

აქვე შევნიშნავთ, რომ საისტორიო წყაროებში გვხვდება შემთხვევები, როდესაც რელიგიური ნიშნით გამორჩეული ადგილები „სახელობითი“ აღნიშვნისაა, მაგ.:

ილოცა ალაგურდს წმიდისა გიორგის წინაშე [16, 264];

აღაშენა ეკლესია სტეფან-წმიდისა მცხეთას [14, 140];

ტაძარი წმიდისა ღმრთისმშობლისა აღაშენა აფხაზეთს შინა, ბიჭვინტას [14, 215].

ანალოგიები გვაქვს აგიოგრაფიულ ძეგლებშიც. მაგ.: „... ვინაფთვან პოვნილ იყო წმიდად იგი მცირე ეკლესიად (ოპიზას) წმიდისა ნათლის-მცემლისად“ [12, 253]; „...მოვიდეს ხანცთად საყოფელსა დიდისა მოწამისა გიორგისა“ [12, 275]; „მაშინ სიხარულითა აღივსო (წმ. გრიგოლი – დ.კ.), რამეთუ მოჰმადლა უფალმან გულისაებრ მისისა საქმე იგი კეთილი მადლითა და მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაფთა, რომლისაცა სახელსა ზედა აღაშენა წმიდად იგი მონასტერი (შატბერდში) მარადის დიდებად დედისა ღმრთისა...“ [12, 283].

საისტორიო წყაროებისა და აგიოგრაფიული ძეგლების შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეკლესიონიშნა სახელების აღნიშვნის შემთხვევები ამ უკანასკნელში უფრო ხშირად გვხვდება.

1. ენაში უამრავი ანთროპონიმი მოიპოვება. მათგან ზოგი ძირძველია, საკუთარი ფონდის კუთვნილებაა, ზოგიც – ნასესხები. ადგილობრივი ანთროპონიმის განვითარებაზე თავისებური გავლენა იქონია ქართლის მოქცევამ. ქართველ ტომებში გავრცელებული წარმართული ანთროპონიმია თანდათანობით შეავიწროვა და დავიწყებას მისცა ქრისტიანულმა მწიგნობრობამ. აგიოგრაფიული ძეგლების ანალიზმა დადასტურა, რომ კალენდარული წარმოშობის ადამიანის სახელები უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე არაკალენდარული, რაც, რა თქმა უნდა, ბუნებრივი მოვლენაა. ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ განაპირობა ქრისტიანული (კალენდარული) პირის სახელების დამკვიდრება.

2. საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პირის სახელთა კნინობით-აღერსობითი ფორმები ქართული სამწერლობო ენის ადრეულ საფეხურზე იჩენს თავს. აგიოგრაფიულ თხზულებებში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადამიანის საკუთარი სახელი ნაწარმოებია კნინობითის -ა სუფიქსით. -ა აქ დერივატია, მაწარმოებელი მოფერებითობისა (კნინობისა), რომლის დართვამ სიტყვა საკუთარ სახელთა თანრიგში გადაიყვანა. ასეთებია: *კუპრა, სულა, წურტა*.

3. ფუძის გაორკეცება ერთ-ერთი საშუალებაა კომპოზიტების შესადგენად როგორც სახელეში, ისე ზმნებში. აგიოგრაფიულ ძეგლებში ფუძის გამეორებით პირის სახელების წარმოქმნის ერთი შემთხვევა დასტურდება: *ლაკლაკი*.

4. აგიოგრაფიულ მწერლობაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც პირის სახელად გამოყენებულია ტომის (ხალხის) სახელი. მაგ., *კახად* და, ჩვენი ვარაუდით, ცხოველის სახელი – *კრავი*.

5. აგიოგრაფიულ ძეგლებში პირის სახელთა ერთი ჯგუფი გადმოცემულია იმ სახით, რომ სიტყვის ფუძედ მიღებულია ბერძნულის ნომინატივის ფორმა. ესენია: *მარკლაოზ, კლემენტოზ, ვუედოოს, დიმიტრიოს, ანტონიოს, ანასტოს*. ანალოგიები გვაქვს საისტორიო წყაროებშიც: *დომნოს, დამიანოს, ევტიქიოს, ივბიმიანოს, იუსტინიანოს, პალეკარპოს* და სხვ.

6. აგიოგრაფიულ ძეგლებს შემოუნახავთ პერსონაჟთა როგორც ბერად (მონაზვნად) აღკვეცის შემთხვევაში დარქმეული სახელები, ისე მათი ერისკაცობის სახელებიც: *მიქელ – გობრონ, ბევრეულის – ანასტასია; ანატოლე – ანტონიოს, ლატაური – თეკლა; საბა – საბან, გვრობანდაკ – ევსტათი*. თუმცა გვხვდება შემთხვევები, როდესაც პერსონაჟები მხოლოდ ბერობის სახელებს ატარებენ. მაგ.: *არსენი, დიმიტრიოს*. საისტორიო წყაროებში მხოლოდ ერთი შემთხვევა აღვნიშნეთ, როდესაც

პერსონაჟს ერობის და ბერობის სახელებით მოიხსენიებენ: *ადარნასე – ყოფილი // მონაზონ-ქმნილი ბასილი.*

7. ერთსა და იმავე ან სხვადასხვა აგიოგრაფიულ ძეგლებში პირის სახელები წარმოდგენილია ორ ან მეტ ვარიანტად. ვარიანტებს ქმნის ფონეტიკური ცვლილებები: ბგერის დაკარგვა ან ჩართვა, ხმოვნის ან თანხმოვნის შენაცვლება. მაგ.: *ადრნესე//ადარნასე//ადარნესე//ადარნერსე, ბურზო//ბორზო, სჰმიონ//სჰმეონ, აბულასად//აბულასათ...* ანალოგიები გვაქვს საისტორიო წყაროებშიც. მაგ., *გურანდუხტ//გურანდუხტ, მიქაელ//მიქელ, მირი//მიჰრი, ჯიბლა//ჯიბლუ, სტეფანე//სტეფანოზ//სტეფანოს* და სხვ. აღნიშნული შემთხვევები მეტყველებს იმაზე, რომ ანთროპონიმთა დაწერილობა საბოლოოდ არაა ჩამოყალიბებული.

8. აგიოგრაფიულ ძეგლებში აღნუსხული პირის სახელები ძირითადად ძველი ებრაული, ბერძნული, ლათინური, არაბული, სპარსული, არამეული და ქართული წარმოშობისაა. უფრო პროდუქტიულია ბერძნული და ძველი ებრაული წარმოშობის ადამიანთა სახელები. ძველ საქართველოში გავრცელებული ადამიანის სახელები იმავე ფორმით დავადასტურეთ თანამედროვე საქართველოში 57, ხოლო სახეცვლილი ფორმით – 23 შემთხვევამდე. შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ძეგლებში მოცემულ პირის სახელთაგან დღეს ყველაზე მეტად გავრცელებული სახელია *გიორგი* (147454 შემთხვევა), ნაკლებად გავრცელებული – *იოანე* (51 შემთხვევა).

საისტორიო წყაროების პირის სახელები, როგორც კვლევამ გვიჩვენა ძირითადად ძვ. ებრაული (//ებრაული), ძვ. ირანული (//ირანული), ძვ. ბერძნული (//ბერძნული), ძვ. სპარსული (//სპარსული), არაბულ-სპარსული, ლათინური და არამეული წარმოშობისაა. ბევრი სახელი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. უფრო გავრცელებულია ბერძნული და ირანული წარმოშობის ადამიანთა სახელები. V-X სს-ში დადასტურებულ 105 პირის სახელიდან თანამედროვე საქართველოში იმავე ფორმით გვხვდება 69, ხოლო სახეცვლილი ფორმით – 46. პირის სახელთა გავრცელების მხრივ იგივე შედეგი მივიღეთ, რაც აგიოგრაფიული ძეგლების კვლევის დროს. კერძოდ, ისტორიულ საქართველოში გავრცელებულ ადამიანთა სახელთაგან დღევანდელ საქართველოში ყველაზე გავრცელებულია *გიორგი* (147454 შემთხვევა), ნაკლებად გავრცელებული – *იოანე* (51 შემთხვევა).

9. ონომასტიკაში გენეტიკური ანალიზი გამოავლენს საერთო ამოსავალი ფუძის მქონე სახელებსა და მათს ვარიანტებს. ეს ხდება კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა და შესაძლებელ ფონეტიკურ პროცესთა გათვალისწინებით. ზოგჯერ სხვადასხვა ენის საკუთარ სახელთა კომოგენურობის დადგენა თავისთავად

გულისხმობს დიფერენცირებულ ანალიზსაც, ანუ ჰეტეროგენური საკუთარი სახელების გამოჯენასაც. გენეტიკური ანალიზისათვის ჩვენ შევარჩიეთ შემდეგი ანთროპონიმები: *აბო, ბასილი, გიორგი, დემეტრე, ევსტათი, თეოდორე, თეკლა, ია, იოანე, იოსები, კახა, არჩილი, ბაგრატი, ბარამი, ღაჩი, ვახტანგი, მარიაში* და სხვ.

აგიოგრაფიული ძეგლებისა და საისტორიო წყაროების პირის სახელების გენეტიკური თვალსაზრისით კვლევამ გამოავლინა, რომ ბევრი პირის სახელის წარმომავლობა, მნიშვნელობა და ფონეტიკური სახესხვაობის გამომწვევი მიზეზები ნაწილი შესწავლილია, ნაწილი – შესასწავლი.

10. საკუთარი სახელების ბრუნება ძველ ქართულში ასახავს სახელთა ბრუნების განვითარების უძველეს ეტაპებს, იმ საფეხურებს, რომლებიც წინ უსწრებდა საზოგადო სახელების კარგად ჩამოქნილ და მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას. აგიოგრაფიული ძეგლების ანალიზმა დაგვანახვა, რომ ადამიანთა საკუთარი სახელების გათანაბრება ბრუნვაში საზოგადო სახელებთან უფრო იშვიათია, ვიდრე გეოგრაფიული ობიექტების სახელებისა. გათანაბრების პროცესი, მაშასადამე, უფრო ადრე დაწყებულა გეოგრაფიულ სახელებში, ვიდრე ადამიანთა სახელებში.

11. ანთროპონიმია, თავის მხრივ, ორი სახის მონაცემებს აერთიანებს: ადამიანთა საკუთარ სახელებსა და გვარებს. მათი შესწავლა ერთმანეთთან მიმართებით, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე ხდება, რის გამოც პატრონიმიკა ანთროპონიმის ცალკე დარგად გვევლინება. აგიოგრაფიულ ძეგლებში გვარები (დღევანდელი მნიშვნელობით), გარდა ორი შემთხვევისა (*დაფანხელი, ბაჭლაუნდი*), არ დასტურდება. გვხვდება მხოლოდ წარმომავლობა-სადაურობის (*საბა იშხნელი, ზაქარია ანხელი, გიორგი ჩორჩანელი...*), ხელობა-პროფესიის (*სვიმონ მესვეტე*), დახასიათების (*მაკარი უძღური, არსენი დიდი...*), ტიტულის (*ვარსკენ პიტიახში, აშოტ კურაპალატი...*) აღმნიშვნელი ფსევდოგვარები, რომლებიც მემკვიდრეობით არ გადადის. ამ ტიპის ნიმუშები ძირითადად ორწევრიანი ანთროპონიმული ფორმულითაა გაფორმებული.

დიდძალი პატრონიმული მასალაა ფიქსირებული ქართულ საისტორიო წყაროებში. დასტურდება წარმომავლობა-სადაურობის: *აბიბოს ნეკრესელი, გრიგოლ ფხუნელი, ღაჩი კორინთელი, კვირიკე ბანელი, სტეფანე ხირსელი, გიორგი აღწეფელი...*; საგვარეულო შტოს (გენეტიკური ერთიანობის): *სამოელ დონაური, გაბრიელ დონაური, ვოდერძი მდგეური, ადარნასე ბაგრატიონი, ადარნასე ადარნასიანი, ნერსე ნერსიანი, ჯუანშერ ჯუანშერიანი*; ეთნონიმური წარმოშობის: *ბულა თურქი, ლეონ ბერძენი, ხალილ არაბი, თარკან ხაზარი*. მამისახელობითი: *ივანე არშის ძე, ისე შიხის ძე,*

ხალილ იზიდის ძე... ეპითეტიანი: არტავაზ ძუძუმტე, აშოტ კეკელა, ბაგრატ რეგუენი, ბარამ ხუბინი, სუმბატ ტიეზერაკელი, ქასრე ამბარვეზი, ვახტანგ გორგასალი... ტიტულის: მირიან მეფე დავით კურაპალატი, გუარამ მამფალი, ბაგრატ მაგისტრო კურაპალატი...; ტიტულისა და დინასტიურის: ივანე მთავარი შავლიანი, საეკლესიო ტიტულის: მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქი, ბართლომე კათალიკოსი, მიქაელ ეპისკოპოსი, ფადლა ქორეპისკოპოსი...; სამოელ მონაზონი...; წარმომავლობისა და ტიტულის: სტეფანე მტკვარ ეპისკოპოსი, სუმბატ მამფალ არტანუჯელი...; ორმაგი: გოდერძიანი ტბელნი, ბივრიტიან სეფეწული და ცალმხრივი: მამეანნი ანთროპონიმული ფორმულის კომპონენტები. უფრო ხშირია პიროვნების სახელის ორწევრიანი ანთროპონიმული ფორმულის კომპონენტებით აღნიშვნა.

12. აგიოგრაფიული ძეგლებისაგან განსხვავებით საისტორიო წყაროებში დასტურდება ტოლადშერწემული ონიმის ერთი ჯგუფი, რომლის კომპონენტები ასიდენტურად არის შეერთებული. მაგ.: აბდალ – მელიქი, ვარაზ – ბაკურ, ფარსმან – ფარუხ და სხვ.

13. ტოპონიმები, ისევე როგორც ანთროპონიმები, ენის ლექსიკური ფონდის ორგანული ნაწილია. ტოპონიმი ლექსიკურად ენის ერთეულია, ფუნქციით – საკუთარი სახელი. ქართულ ტოპონიმიაში სტრუქტურულ-ენობრივი თვალსაზრისით გამოიყოფა სამი ჯგუფი: მარტივი (ანზი, დივრი...), წარმოქმნილი (ერუშეთი, გოდერძისა, არსიანი...) და თხზული (ბერას ჯუარ, ყველის ციხე, ვარესჯა...). გვხვდება როგორც თანხმოვანფუძიანი (მტკვარი, ქართლი, ჩორი, ნეძვი, ბაბგენი...), ისევე ხმოვანფუძიანი გეოგრაფიული სახელები (ანჭკორა, უძწა, გუნათლე, ძინძე, ტაო...).

პირის სახელთა მსგავსად, აგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება ვარიანტული ტოპონიმები: ბობხა//ბობლა, შეშისთავი//თავი შეშისაჲ, კვრიკეთი//კვრიკე წმიდა, წყაროს თავი//წყაროსთავი. ანალოგიები გვაქვს V-VII სს. საისტორიო წყაროებშიც: დარიალანი//დარიანი//დარიელა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გეოგრაფიულ სახელთა დაწერილობა ძველ საქართველოში ნორმად არ იყო ქცეული.

14. ქართული მხატვრული და საისტორიო მწერლობის უძველეს ძეგლებში არის მსჯელობა ტოპონიმთა წარმოშობის გზებსა და საშუალებებზე. საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მსაზღვრელ-საზღვრულიანი სინტაქსური კონსტრუქციის გამარტივება ერთ-ერთი კომპონენტის მოკვეცის გზითა და დარჩენილი კომპონენტის ტოპონიმიზაცია, როგორც ერთსიტყვიან ტოპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი გზა, ათასწლეულის მანძილზე მოქმედებდა. ეს მიიღწევა რამდენიმე საშუალებით: 1. ელიპტირებით (მოკვეცილია საზღვრული ან მსაზღვრელი კომპონენტი: წერ-



ტაძსნი ← ადგილი წერტაძსნი, ბაკთა ← ადგილი ბაკთა...); 2. წარმოქმნით (სათახვე, სტრუქტურული თვალსაზრისით დერივაციული ფორმა); 3. სიტყვათშეერთებით (შეშისთავი, ზარზმა, გარეჯა... შედგენილობით რთული ორკომპონენტიანი ერთეულებია).

15. ადამიანებს გეოგრაფიული სახელწოდებათა წარმოშობის საკითხები უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ. აგიოგრაფიულ ძეგლებშივე ჩანს ავტორთა მაღალი ლინგვისტური აზროვნება. მოცემულია: *საგოდებლის, დივრის, სათახვის, ზარზმისა* და სხვათა ეტიმოლოგია.

16. ტოპონიმთა ლოკალიზაცია-ეტიმოლოგიის კვლევით არა ერთი და ორი მეცნიერი დაინტერესებულა. ნაშრომის მეორე ნაწილის I და II თავში წარმოდგენილი გვაქვს: ვახუშტი ბაგრატიონის, კ. ჰანის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, პ. ინგოროყვას, ი. სიხარულიძის, მ. ჯანაშვილის, ს. ჯანაშიას, ს. კაკაბაძის, ზ. ჭუმბურიძის, გ. ბედოშვილისა და სხვათა დაკვირვებები ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტების ადგილმდებარეობისა და სახელის წარმომავლობის შესახებ.

17. საისტორიო წყაროებში გვხვდება ზმნური ტოპონიმი **ხერთვისი**, რომელიც მიღებულია **ერთვის** ფორმისაგან და დაერთვის III ობიექტური პირის ნიშანი **ხ**-ანი. ზემოთ აღნიშნული ტოპონიმი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ დღემდე შემოგვინახა ძველებური ფორმა.

18. საისტორიო თხზულებებში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ავტორი გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ამა თუ იმ ტოპონიმის ადგილმდებარეობაზე. ასეთებია: *პიტიოტა, სობლის ციხე, კალმახის კლდე* და სხვ. ანალოგიები გვაქვს აგიოგრაფიულ ძეგლებშიც, კერძოდ, “წმ. აბო ტფილელის მარტვილობაში”, როდესაც იოანე საბანისძე მიგვანიშნებს მიკროტოპონიმ საგოდებლის *ადგილმდებარეობაზე*.

19. საისტორიო წყაროებში შეგვხვდა სამი ტერიტორიული და ერთი ქრონოლოგიური იდენტიფიკაციის შემთხვევა, როდესაც ავტორი ერთსა და იმავე გეოგრაფიული ობიექტის სახელს ორნაირი დასახელებით გვთავაზობს. ასეთებია: *კარნი ოვსეთისა//დარიანი, აგარაკი//ხუნანი, ზენა სოფელი//ქართლი; კარასპოლა//კარნუ-ქალაქი*.

20. ჰიდრონიმი ტოპონიმის სახეობაა. ჰიდრონიმთა წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლიტერატურული და დიალექტური ჰიდროგრაფიული ნომენები. ჰიდრონიმები ზოგჯერ თავიანთ ლოკალურ მონაცემებზეც მიგვანიშნებენ. ამ შემთხვევაში ისინი ტოპოჰიდრონიმებად გვევლინებიან. საისტორიო წყაროებში გვხვდება როგორც ჰიდრონიმები (*ბედრუჯი, არაგვი, აბაშა, ცხენისწყალი...*), ისე ტოპოჰიდრონიმი (*ევრის-წყალი*), რომლებიც ერთი ან ორი ლექსებით გადმოიცემიან. საისტორიო

წყაროებშივეა შენახული პიდრონიმების: „აბაშისა“ და „ცხენისწყლის“ ეტიმოლოგიის ავტორისეული გააზრება, რაც ძირითადად ხალხური ეტიმოლოგიის შთაბეჭდილებას ტოვებს.

21. საისტორიო თხზულებებში ფიქსირდება ისტორიულ საქართველოში არსებული ციხეებისა და ციხე-ქალაქების სახელწოდებანი, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საფრთხისას. ორკომპონენტურობის შემთხვევაში გვხვდება როგორც პრეპოზიციური (*ჭერმის ციხე, შურის ციხე, წირქუალის ციხე...*), ისე პოსტპოზიციური წყობა (*ციხე კალისა, ციხე ვეუინისა, ციხე მარნისა...*).

22. ეკლესიონიმი ტოპონიმის სახეობაა და იგი რელიგიური ნიშნით გამორჩეული საკუთარი სახელია. ეკლესიონიმებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ორი შემთხვევა: ერთი, როდესაც იგი ტოპონიმის როლს ასრულებს და მეორე – როდესაც ტოპონიმი ეკლესიონიმად ქცეულა. საისტორიო წყაროებში, იშვიათ შემთხვევაში, ორკომპონენტუანი ეკლესიონიმი პრეპოზიციური წყობით აღინიშნება (*ბერთუბნის მონასტერი, ტფილისის სიონი*), უფრო ხშირად კი პოსტპოზიციური წყობით (*სიონი სამშკლდისა, ეკლესია ნიქოზისა, საყდარი ბედიისა, მონასტერი კესტორია...*). საისტორიო წყაროებში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ეკლესიონიმი „სახელობით“ აღნიშვნისაა. ასეთია: ალავერდის *წმ. გიორგის სახელობის ეკლესია*, *ბიჭვინთის წმ. ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია* და მცხეთაში *სტეფანე-წმინდის სახელობის ტაძარი*. ანალოგიები გვაქვს აგიოგრაფიულ ძეგლებშიც. მაგ.: *წმ. იოვანე ნათლისმცემლის ტაძარი* (ოპიზაში), *წმ. ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი* (შატბერდში), *წმ. გიორგის სახელობის ტაძარი* (ხანძთაში).

## აგიოგრაფიული ძეგლების საერო წოდების პერსონაჟები

ა

**აბლილა** (3) – ძეგლის მიხედვით, იგივე ხალიფა *მანსური* ბაღდადში (754-775 წ.წ.).

**აბულასათი** (12) – ძეგლის მიხედვით, გაბრიელ დაფანჩულის ვაჟი (დაახლ. VIII-IX სს.).

**აბულ-კასიმ** (5) – იგივე აბულ ყასიმ იუსუფ აბუსაჯის ძე, სამხრეთ აზერბაიჯანის არაბი ამირა (901-927 წ.წ.) საჯიდების დინასტიისა (277, 96).

**ადრნასე კურაპალატი** (3) – ქართლის ერისმთავარი და კურაპალატი VIII ს. II ნახევარში, ნერსე ერისმთავრის მამა (196, ტ. I, გვ. 85).

**ადრნასე** (12) – იგულისხმება ადარნასე I (დაახლ. 867-869 წ.წ.), აშოტ დიდის უფროსი ძე, ქართველ ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს მამამთავარი, ბაგრატ I კურაპალატისა და გვარამ მამფლის ძმა და თანამმართველი (277, 99).

**ადრნასე მეფე** (5) – ადარნასე II, დავით I კურაპალატის ძე, ქართველთა მეფე (881-923 წ.წ.) (277, 99).

**არვანდ ბუშნასპი** (2) – ძეგლის მიხედვით, ქართლის მარზპანი (540-544 წ.წ.).

**არშაპ** (7) – სომხეთის მეფე (368-386 წ.წ.) (196, ტ. I, გვ. 613).

**არშუშა პიტიახში** (1) – ქვემო ქართლის, ანუ გუგარეთის მთავარი (პიტიახში) V ს. შუა წლებში. ქართული და სომხური წყაროების ცნობით, იგი ყოფილა კაცი „ტკვიანი და გამორჩეული“, მშობლიური კულტურის, ქრისტიანული ეკლესიის მოამაგე (277, 146).

**არშუშა** (12) – ძეგლის მიხედვით, გაბრიელ დაფანჩულის ვაჟი (დაახლ. VIII-IX სს.).

**აშოტ კურაპალატი** (12) – 1. აშოტ I დიდი (გ. 29.I.826, დოლისყანა), ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი. IX ს. 20-იან წლებამდე იყო ქართლის ერისმთავარი. სათავეში ედგა ქართლის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო შავშეთ-კლარჯეთში, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიას ეკუთვნოდა. აშოტ I ამ ადგილების მფლობელი და ბიზანტიის ვასალი გახდა, მიიღო ბიზანტიის სამეფო კარის კურაპალატის პატივი. განაახლა და რეზიდენციად გაიხადა ციხე-სიმაგრე არტანუჯი. აშოტ I მოკლეს შინაგამცემლებმა. მისმა მემკვიდრეებმა, რომლებიც „ქართველთა მეფეებად“ იწოდებოდნენ, სათავე დაუდეს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას; 2. ადარნერსე მეფის ძე (X ს.) (277, 159).

**აშოტ კუხი** (5) – ერისთავთერისთავი (გ. 918), ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, გურგენ I კურაპალატის ძე, ტბეთის საკათედრო ტაძრის დამაარ-

სებელი. მისი შეკვეთითაა დაწერილი ქართული აგიოგრაფიული მწერლობის თვალსაჩინო ძეგლი სტეფანე მტბევარის „მიქელ-გობრონის წამება“ (277, 159).

**ბ**

**ბაბრატ კურაპალატი** (12) – ბაგრატ I, ტაო-კლარჯეთის მთავარი (826-876 წ.წ.). დაახლ. 330 ბიზანტიის კეისრისაგან მიიღო „ქართველთა კურაპალატის“ ტიტული. ბაგრატ I დროს ტაო-კლარჯეთში გრძელდებოდა აშოტ I მიერ დაწყებული დიდი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი გრიგოლ ხანძთელი იყო (277, 168).

**ბაბრატ ერისთავთ-ერისთავი** (12) – X საუკუნის ქართველი მწიგნობარი (გარდ. 966), აღარნასე კურაპალატის შვილი. გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ იგი მოხსენიებულია როგორც ეკლესიის მშენებელი, საღმრთო წიგნების მაძიებელი და შემკრები. 958-966წ.წ. მას განუახლებია „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ჩაურთავს რამდენიმე სასწაული (196, ტ. II, გვ. 128).

**ბაბრატ შაროელი** (12) – ძეგლის მიხედვით, აღარნასე კურაპალატის ცოლის, ბევრეულის, მამა (დაახლ. VIII-IX სს.).

**ბუშქენ** (13) – ძეგლის მიხედვით, გიორგი მთავრის დის, ლატავრის, ვაჟი (დაახლ. IX ს.).

**ბუშქენ ბაკლაუნდი** (13) – ძეგლის მიხედვით, იოვანეს ძე, მირიანის მამა (დაახლ. IX ს.).

**ბუბაძრი** (10) – გულზვიადი აზნაური, რომელიც დავით გარეჯელის მიერ სასწაულების მოხდენის შემდეგ წმინდა ნათლობით მოინათლა, ოჯახიც და მსახურებიც მონათლა და გარეჯას, დავითის სალოცავი და სადგომი გამოქვაბულის პირდაპირ, კლდეში, ფერისცვალების სახელობის ეკლესია გამოაკეთინა (154, 77).

**ბუღა** (4) – არაბთა ლაშქრის სარდალი, „თურქი მონა“. იგი თბილისს 853-854 წ.წ. შემოესია (277, 202).

**ბ**

**ბაბრიელ დაჟანჩული** (12) – (დაახლ. VIII-IX სს.) გიორგი მერჩულის დახასიათებით, გაბრიელი იყო „აზნაური დიდებული“, „დიდებული მთავარი“, „ერისმთავარი“, „კეთილად მორწმუნე“... ძეგლის მიხედვით, გაბრიელი და მისი მეუღლე, მარიამი, იყვნენ გრიგოლის პირველი ხელისშემწყობნი ხანძთის მონასტრის მშენებლობაში.

**ბარბანელი** (13) – ძეგლის მიხედვით (დაახლ. IX ს.).

**ბიორბი** (12) – აფხაზთა მეფე გიორგი II (922-957) კონსტანტინე III ძე (277, 226).

**გიორგი ჩორჩანელი** (13) – ადრინდელი ფეოდალური ხანის დიდი აზნაური სამხრეთ საქართველოში, სამცხეში (დაახლ. IX ს.). ბასილი ზარზმელი მას დიდ მთავარს უწოდებს. გიორგი ჩორჩანელის სამფლობელო სამცხეში ყველაზე ვრცელი და ერმრავალი იყო. ჰქონდა ტაძრები და სასახლეები ზანავსა და ჩორჩანში (ახლანდელი ადიგენის რაიონი). აქედან მოდის ჩორჩანელის გვარიც. გიორგი ჩორჩანელმა დიდძალი სიმდიდრე დაუტოვა ზარზმის მონასტერსაც, რომელიც მისი ხელშეწყობით ააშენეს სერაპიონ ზარზმელის მეთაურობით სამცხეში ჩასულმა ბერებმა (277, 232).

**ბრიგოლი** (2) – ძეგლის მიხედვით, ქართლის მამასახლისი (დაახლ. VI ს.).

**ბრიგოლი** (12) – ძეგლის მიხედვით, შატბერდის მამასახლისი, აზნაურის, ლიპარიტის ძე (დაახლ. VIII-IX სს.).

**ბუარამი** (12) – ძეგლის მიხედვით, გაბრიელ დაფანჩულის ვაჟი (დაახლ. VIII-IX სს.).

**ბუარამ მამფალი** (12) – გუარამ დიდი (დაახლ. VIII-IX სს.), აშოტ კურაპალატის უმცროსი ვაჟი (277, 223).

**ბურბენ** (12) – 1. გურგენ I, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, ადარნასე I ძე, ერისთავთერისთავი, კურაპალატი (881-891 წ.წ.) ფლობდა ამიერტაოს ნაწილს და კალმახს. ანდერძის თანახმად, დაკრძალეს ხანძთაში, გრიგოლ ხანძთელის საფლავის მახლობლად; 2. გურგენ IV, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, ადარნასე II ძე, ერისთავთერისთავი (918-941 წ.წ.). აღნიშნული ტიტული მიიღო აშოტ კუხის (გურგენ I კურაპალატის ძე) გარდაცვალების შემდეგ. წყაროები მას მოიხსენიებენ როგორც დიდ ერისთავთერისთავს. გურგენ IV დაასრულა ხანძთის ახალი ეკლესიის მშენებლობა (277, 248).

**ბურბენ ერისთავი** (3) – ძეგლის მიხედვით (დაახლ. VIII ს.), ქართლის ერისთავის, სტეფანოზის, მამა.

**ბურბენ ერისთავთა ერისთავი** (5) – ძეგლის მიხედვით, ყველის ციხის პატრონი (დაახლ. X ს.).

**დ**

**დავით კურაპალატი** (12) – დავით I (876-881 წ.წ.). ბაგრატ I უფროსი ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი. კურაპალატი 876 წლიდან. 881 წელს ვერაგულად მოკლა გუარამ (გუარამ) მამფლის ძემ – ნასრამ (277, 252).

**დავით მამფალი** (12) – ძეგლის მიხედვით (X ს.).

**დემეტრე/დიმიტრი** (12) – აფხაზთა სამეფოს (დასავლეთ საქართველო) მეფე (დაახლ. 825-861 წ.წ.), ლეონ II ძე. ენერგიულად იბრძოდა ახლად შექმნილი სამეფოს დამოუკი-

დებლობის დასაცავად. მისი საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის გაგლეხის განმტკიცება დასავლეთ საქართველოში. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ხელშეწყობით IX ს. I ნახევარში დასავლეთ საქართველოში წმ. გრიგოლ ხანძთელის მიერ ქართული მონასტრის დაარსება (277, 270).

**ვ**

**ვაზბენი** (7) – ძეგლის მიხედვით, დაბა ვაჟბანის მკვიდრი, დავითისა და ტირიჭანის ნათესავი (დაახლ. IV ს.).

**ვარამშაპო** (7) – ძეგლის მიხედვით, სპარსეთის მეფე (დაახლ. IV ს.).

**ვარღანი** (1) – ვარდან მამიკონიანი, შუშანიკის მამა, გამოჩენილი სომეხი სარდალი. სათავეში ედგა ირანის წინააღმდეგ აჯანყებას. დაიღუპა სპარსელებთან ბრძოლაში 451 წ. (277, 305).

**ვარღანი** (7) – ძეგლის მიხედვით, წარჩინებული ერისთავი ბასიანის ხევში, დაბა ონკომში, დავითისა და ტირიჭანის მამა (დაახლ. IV ს.).

**ვარსქენ პიტიახში** (1) – ქვემო ქართლის მმართველი V ს. II ნახევარში. მიიღო ირანული სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებული მაზდეანობა და დაუპირისპირდა ქართლის მეფეს. ვახტანგ გორგასალმა იგი მოაკვლევინა 482 წ. (277, 306).

**ვეჟან ბუზმირი** (2) – ქართლის მარზპანი VI ს. 40-იან წლებში (196, ტ. IV, გვ. 367).

**თ**

**თაბინე** (7) – ძეგლის მიხედვით, დავითისა და ტირიჭანის დედა, ვარდან ერისთავის მეუღლე (დაახლ. IV ს.).

**თევლორე** (12) – ძეგლის მიხედვით, ხანძთის მამასახლისი (დაახლ. VIII-IX სს).

**თევლოსი** (7) – ძეგლის მიხედვით, დავითისა და ტირიჭანის წარმართი ბიძა (დაახლ. IV სს). დისწულების დახოცვის შემდეგ იგი სინანულში ჩავარდა და ქრისტიანად მოინათლა.

**თეოდორა** (4) – ძეგლის მიხედვით, საბერძნეთის დედოფალი (დაახლ. IX ს.).

**ო**

**ობ** (13) – ძეგლის მიხედვით, აქ მამაკაცის სახელია (დაახლ. IX ს.).

**ოოვანე** (13) – ძეგლის მიხედვით, ბეშქენ ბაჰლაუნდის მამა (დაახლ. IX ს.).

**ოოვანე** (12) – ძეგლის მიხედვით, ჯიბლარის მამა (დაახლ. VIII-IX სს).

**პ**

**კოსტანტინე** (3) – ლეონის ძე, კოსტანტინეპოლის მეფე (დაახლ. VIII ს.) (196, ტ. V, გვ. 641).

**პრაპი** (12) – ძეგლის მიხედვით, მირეან აზნაურის მეუღლე, არსენ კათალიკოსის დედა (დაახლ. VIII-IX სს.).

**პვიპრიანე** (13) – ძეგლის მიხედვით, სერაპიონ ზარზმელის მამა (დაახლ. IX ს.).

**რ**

**ლაკლაკი** (13) – ძეგლის მიხედვით, გიორგი მთავრის დის, ლატაერის, ვაჟი (დაახლ. IX ს.).

**ლატავრი (მონაზვნობაში თეპლა)** (13) – ძეგლის მიხედვით, გიორგი მთავრის და (დაახლ. IX ს.).

**ლეონი** (3) – კოსტანტინეპოლის მეფის, კოსტანტინეს მამა (დაახლ. VIII ს.) (196, ტ. VI, გვ. 191).

**მ**

**მირეანი (//მირიანი)** (12) – ძეგლის მიხედვით, გაბრიელ დაფანხელის მეუღლე, მართლმორწმუნე ქრისტიანი (დაახლ. VIII-IX სს.).

**მაჰლი** (3) – ხალიფა (775-785 წ.წ.), ხალიფა მანსურის (აბდილა) ვაჟი (196, ტ. VI, გვ. 524).

**მიძაქლი** (4) – ძეგლის მიხედვით, საბერძნეთის დედოფლის, თეოდორას, ვაჟი (დაახლ. IX ს.).

**მირიანი** (13) – ძეგლის მიხედვით, გიორგი ჩორჩანელის სიძე, დის ქმარი, ბემქენ ბაჰლაუნდის ძე (დაახლ. IX ს.).

**მირეანი(//მირიანი)** (12) – ძეგლის მიხედვით, კეთილმორწმუნე აზნაური, არსენ კათალიკოსის მამა (დაახლ. VIII-IX სს.). მირიანს დიდი როლი მიუძღვის არსენის გაკათალიკოსებაში.

**მირიან მეფე** (8) – ქართლის მეფე მირიან III (IV ს.), რომლის დროსაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა (196, ტ. VII, გვ. 11).

**მოსე** (3) – ძეგლის მიხედვით, სარკინოზთა მეფე, ამირა მუმნი (დაახლ. VIII ს.).

**მცხუედა(//მცხუედა)** (12) – ძეგლის მიხედვით, კეთილმორწმუნისა და ეკლესიათა მაშენებლის არსენის ვაჟი (VIII-IX სს.).

**ნ**

**ნერსე** (3, 12) – ნერსე II, ქართლის ერისმთავარი VIII ს. II ნახევარში, 781 წლამდე. ადარნასე კურაპალატისა და ერისმთავრის ძე. 772 ხალიფა მანსურმა ანტიარაბული საქმიანობისათვის ბაღდადში გაიწვია და საპრობილეში ჩასვა. ხალიფა მაჰდიმ (775-785 წ.წ.) გამეფებისთანავე გაათავისუფლა ნერსე II და იმავე პატივით ქართლში გამოისტუმრა. სუთი წლის შემდეგ ნერსე II კვლავ შეებრძოლა არაბებს, შემდეგ თავისი მხლებლებით ხაზარებთან გაიქცა (დარიალის გზით), რადგან მათი დახმარების იმედი ჰქონდა. ხაზარეთიდან ნერსე დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) გადავიდა, სადაც წინასწარ ჰყავდა ცოლ-

შეილი გახიზნული. აქ მან შეიტყო, რომ ხალიფას ქართლის ერისმთავრად მისი დისწული, სტეფანოზ გურგენის ძე, დაენიშნა. ნერსემ ამირასაგან ქართლში დაბრუნების ნებართვა და უშიშროების გარანტია ითხოვა. ამირამ ეს თხოვნა შეუსრულა. ნერსეს ცხოვრების ამ პერიოდთან არის დაკავშირებული მისი არაბი მსახურის, აბოს, ტრაგიკული თავგადასავალი (196, ტ. VII, გვ. 394).

**პ**

**პატრიკ** (12) – ძეგლის მიხედვით, გაბრიელ დაფანჩულის ვაჟი (დაახლ. VIII-IX სს.).

**ს**

**საჰაპი** (12) – ისმაელის ძე, ტფილისის ამირა (დაახლ. VIII-IX სს.) (196, ტ. IX, გვ. 262).

**სულა** (13) – ძეგლის მიხედვით, გიორგი მთავრის დის, ლატაურის, ვაჟი (დაახლ. IX ს.).

**სუმბატ** (12) – 1. ქართველთა მეფის ადარნასეს ძე, გიორგი მერჩულეს მოხსენიებული ჰყავს ერისთავთა ერისთავად. თავისი ძმის, აშოტ კურაპალატის, გარდაცვალების შემდეგ (954 წ.). მიიღო კურაპალატობა (196, ტ. IX, გვ. 262).

**სუმბატ** (5) – ძეგლის მიხედვით, სომხეთის მეფე (დაახლ. X ს.).

**უ**

**უსტამი** (2) – ძეგლის მიხედვით, ციხისთავი მცხეთაში (დაახლ. VI ს.).

**ც**

**ცჰირი** (12) – ამირა საჰაკის მიერ „აღზრდილი“, აშოტ კურაპალატის კარზე მოციქულად მავალი (დაახლ. VIII-IX სს.). ანჩის ეპისკოპოსის გარდაცვალების შემდეგ, მან მძლავრებით დაიპყრა ანჩი და მრავალი ავი საქმე ჩაიდინა (277, 726).

**წ**

**წერტა** (12) – ძეგლის მიხედვით (დაახლ. VIII).

**ხ**

**ხუასრო** (2) – ძეგლის მიხედვით, სპარსთა მეფე ხუასრო ანუშირვანი (531-579 წ.წ.).

**ჯ**

**ჯაფარი** (4) – ძეგლის მიხედვით, ბაბილონის მეფე (დაახლ. IX ს.).

**ჯიბლარი** (12) – ძეგლის მიხედვით (დაახლ. VIII-IX სს.).

**ჯოჯიპი** (1) – ძეგლის მიხედვით, არშუშა ქართლის პიტიახშისა და ანუშვრამ არწრუნის ვაჟი, ვარსკენის ძმა (V ს.).

**კ**

**კერაკლე** (7) – ძეგლის მიხედვით, საბერძნეთის მეფე (დაახლ. IV ს.).



## დანართი II

### აგიოგრაფიული ძეგლების სასულიერო წოდების

### პერსონაჟები და წმინდანები

ა

**აბიგოს ნეკრესელი** (11) – საეკლესიო მოღვაწე, ასურელი მამა, საქართველოში მოვიდა სირიიდან VI ს. II ნახევარში. თავდაპირველად მოღვაწეობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ განაგებდა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრას. ეწეოდა ფართო მისიონერულ მოღვაწეობას: გააქრისტიანა არაგვისპირის მთიელი კახელები. ებრძოდა ირანის ოფიციალური რელიგიის (ცეცხლთაყვანისმცემლობა) გავლენას. მოსპო ნეკრესის ტაძრის მახლობლად სპარსთა საგზებელი, რისთვისაც VI ს. დამლევს მარზაპანის ბრძანებით ჩაქოლეს. დასაფლავებულია მცხეთაში, სამთავროს ტაძარში (248, წ. I, გვ. 389).

**აბო** (3) – (დაახლ. 757-786 წ.წ.), ქართლის ერისმთავრის, ნერსეს, მსახური, ნელსაცხებელთა ოსტატი, ტომით არაბი. ბაღდადიდან ქართლში ჩამოჰყვა ნერსეს. შემდეგ ქართლიდან დევნილ ერისთავს თან გაჰყვა ხაზარეთში, სადაც ქრისტიანობა მიიღო. არაბებმა მოსთხოვეს მაჰმადიანობას დაბრუნებოდა. აბომ უარი განაცხადა. ამის გამო მას თავი მოჰკვეთეს. ქართულმა ეკლესიამ აბო წმიდანად შერაცხა (248, წ. I, გვ. 32).

**აბათონი** (12) – ძეგლის მიხედვით, იერუსალიმის პატრიარქი (დაახლ. X ს.).

**ადამ არეზაწოტელი** (7) – ძეგლის მიხედვით (IV ს.).

**ამასპო** (13) – ძეგლის მიხედვით, ზანავის მონასტრის პირველი მაშენებელი.

**ამონა** (12, 13) – X ს. I ნახევრის ქართველი ხუროთმოძღვარი, ხანძთის ეკლესიის აღმშენებელი. მოღვაწეობდა ააშოტ კუხის დროს (248, წ. II, გვ. 315).

**ანატოლე (ანტონოს)** (12) – დეკანოზი ქალი (დაახლ. VIII-IX სს.). წმ. ანატოლე მერის დედათა მონასტერში დაყუდებით მოღვაწეობდა. ზეციურ უხორცო ძალთა მსგავსი ცხოვრებით გაბრწყინებულ წმიდა დედას ხშირად ეცხადებოდნენ ანგელოზები. სანატრელ დედებს თემესტიასა და ანატოლეს ანგელოზთაგან ეუწყათ მათი მოძღვრის, მატოს, ამ ქვეყნიდან გასვლა (248, წ. II, გვ. 320).

**ანდრია** (12, 13) – ოპიზის მაშენებელი (248, წ. II, გვ. 319).

**ანტონი დიდი** (3, 10, 12, 13) – (დაახლ. 251-350/357 წ.წ.), წმინდანად წოდებული. ქრისტიანი განდევნილი, დაიბადა კომაში (ეგვიპტე) შეძლებული ქრისტიანი კოპტის

ოჯახში. ანტონ დიდმა ქონება გლაკახებს დაურიგა, თავისი სოფლის მახლობლად ერთ ქოხში დაეყუდა და მოსაგრე ცხოვრება დაიწყო. ანტონი საკუთარი შრომის ნაყოფით ირჩენდა თავს და მოწყალებსაც გასცემდა. შემდეგ სოფლიდან მოშორებით აკლდამაში დაეყუდა. ოცდათხუთმეტი წლისა თებაიდის უდაბნოს სიღრმეში შევიდა და იქ ოცი წელი სრულ მღუმარებაში გაატარა. ღირსმა ანტონმა სულ ოთხმოცდახუთი წელი დაჰყო უდაბნოში. იგი 357 წ. მიიცვალა ას ხუთი წლის ასაკში. მისი ნეშტი ორმა მოწაფემ, მოძღვრის ანდერძისამებრ, უდაბნოში, ერთ განკერძოებულ ადგილას მიაბარა მიწას. 544 წ. წმ. ანტონი დიდის უხრწნელი ნაწილები ალექსანდრიაში გადაასვენეს. XV ს. კი ისინი არასში (საფრანგეთი), წმ. ივლიანეს სახელობის ტაძარში დააბრძანეს (248, წ. I, გვ. 62).

**არიოზი (8)** – ალექსანდრიელი (ეგვიპტე) ხუცესი. მან დაახლ. 318 წ. საფუძველი ჩაუყარა არიოზელობას (მიმდინარეობა, წარმოშობილი ქრისტიანულ ეკლესიაში IV-VI სს.). წინააღმდეგ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის დოგმისა, რომლის მიხედვით ძე ღმერთი (იესო ქრისტე) მამა ღმერთის ერთარსი და თანასწორია. არიოზის თანახმად, ქრისტე დასაბამიდან არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად, იგი შემდეგშია შექმნილი ადამიანის მსგავსად. ქრისტეში, რომელიც ერთსა და იმავე დროს ღმერთიც არის და ადამიანიც, ჭარბობს ადამიანურობა (იგი ნახევარ-ღმერთია). არიოზის მოძღვრებამ დიდი განხეთქილება შეიტანა როგორც ქრისტიანულ წრეებში, ისე მაშინდელ ბიზანტიურ საზოგადოებაში. იგი მჭიდროდ იყო გადახლართული სოციალურ მოძღვრებასა და რომის (მოგვიანებით ბიზანტია) ორბიტაში მოქცეული პროვინციების პოლიტიკურ ბრძოლასთან. 320 წ. ალექსანდრიის საეკლესიო კრებაზე არიოზობა დაგმეს, მაგრამ მას მხარი დაუჭირა აღმოსავლეთის ეპისკოპოსთა ნაწილმა. კონსტანტინე დიდის მიერ მოწვეულმა ნიკეის საეკლესიო კრებამ (325 წ.) არიოზი მწვალებლად გამოაცხადა და საეკლესიო დოგმად აღიარა ძე ღმერთის მამა ღმერთთან ერთარსობა. 381 წ. კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებამ საბოლოოდ დაგმო არიოზი, ხოლო დასავლეთის ეკლესიაში მოძღვრებას წმ. სამების შესახებ დაუმატეს დოგმატი სულიწმიდის წარმოშობისა არა მარტო მამა ღვთისაგან, არამედ ძე ღვთისაგან (148, წ. I, გვ. 449).

**არსენი (11, 12, 13)** – არსენ I, არსენ დიდი, არსენ საფარელი (დაახლ. 820/830 – 877/887), ქართველი საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. ცნობები მისი ბიოგრაფიიდან გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებამ“ შემოგვინახა. არსენი, სამცხის დიდი ფეოდალის, მირიანის ძე, ექვსი წლისა იყო, როცა წმ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებმა, თეოდორემ და ქრისტეფორემ, ხანძთის მონასტერში წაიყვანეს, იქ

კარგი აღზრდა-განათლება მიიღო. მირიანმა არსენი საეკლესიო კრების დაუკითხავად ქართლის კათალიკოსად დაადგინა. ქართლის ეპისკოპოსებმა მიიმხრეს მამფალი გუარამ დიდი, საეკლესიო კრება მოიწვიეს და მძლავრობით დადგენილი კათალიკოსის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მაგრამ წმ. გრიგოლ ხანძთელის ჩარევით ყველაფერი არსენის სასარგებლოდ გადაწყდა. არსენ I მიეწერება პოლემიკური თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, თუმცა ზოგი მკვლევარი ამ თხზულებას თვლის არსენის სახელით ცნობილ სხვადასხვა მოღვაწეს: VII ს. არსენ კათალიკოსს; X ს. არსენ II კათალიკოსს; არსენ იყალთოელს და სხვ. (248, წ. II, გვ. 271).

**არსენი** (12) – 1. ხანძთის წინამძღვარი, წარმოშობით აზნაური (დაახლ. X ს.); 2. *უხმარის* სახელით ცნობილი (დაახლ. X ს.) (248, წ. II, გვ. 319).

**არსენი** (8) – არსენ II კათალიკოსი (X ს.). საეკლესიო მოღვაწე, მწერალი. ქართლის კათალიკოსი ყოფილა დაახლოებით (955-980 წ.წ.). აღუწერია ასურელ მამათა: იოანე ზედაზნელის, ისე წილკნელისა და შიო მღვიმელის ცხოვრება. ეს თხზულება „ასურელ მამათა ცხოვრებათა“ მოკლე რედაქციაა; თავდაპირველი სახით მას ჩვენამდე არ მოუღწევია. XI-XII სს.-ში იგი მეტაფრასულ ყაიდაზე შეუკვსიათ და განუვრციათ. სწორედ ამ რედაქციებს შემოუნახავთ ცნობა არსენ II ავტორობაზე (196, ტ. I, გვ. 584).

**არსენი ჰრომაელი** (12) – (354-449/450 წ.წ.). დაიბადა რომში კეთილმსახური ქრისტიანის ოჯახში. ღრმა სარწმუნოებამ ყმაწვილში მეცნიერებათა შესწავლის შეწყვეტისა და ღვთის მსახურებისთვის თავის გადადების სურვილი აღძრა. მალე წმ. არსენი დიაკვანი გახდა. მისი ოცნება ბერული ცხოვრება იყო, რაშიც უფალმა შეუწყო ხელი. მალულად დატოვა სასახლე და ალექსანდრიაში წავიდა, აქედან კი უდაბნოს მიაშურა. წმ. მამამ ბერულ მოღვაწეობაში ორმოცდათხუთმეტი წელი გაატარა, თანამედროვეთაგან „დიდის“ ზედწოდება დაიმსახურა და ოთხმოცდათხუთმეტი წლისა აღესრულა (248, წ. II, გვ. 77).

**აზოცი** (1) – ძეგლის მიხედვით, ქვემო ქართლის ეპისკოპოსი V ს. II ნახევარში.

**ბ**

**ბასილი** (12, 13) – ბასილი ხანძთელი (IX ს.). საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი. იგი გრიგოლ ხანძთელის დედის მსახურის შვილი ყოფილა. აღიზარდა ხანძთაში, სადაც ერთხანს გრიგოლს მეჯინბეობას უწევდა, შემდეგ კი ხანძთის მონასტრის მესამე წინამძღვარი გამხდარა. გარდაიცვალა პარესში, მიქელ პარესელის სავანეში (248, წ. II, გვ. 318).

**ბასილი (13)** – ბასილი ზარზმელი (X ს.), ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე (დაახლ. 916-926 წ.წ.) იყო ზარზმის მონასტრის წინამძღვარი. ბასილ ზარზმელმა თავისი ბიძის, IX ს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, სერაპიონ ზარზმელის, ცხოვრებას მიუძღვნა ვრცელი აგიოგრაფიული თხზულება (248, წ. II, გვ. 317).

**ბახდიად (2)** – ძეგლის მიხედვით, წარმოშობით სპარსი (დაახლ. VI ს.), რომელმაც აღიარა ქრისტე, ხოლო შემდეგ მარზაპნის შიშით უარყო.

**ბავრეული (მონაზვნობაში ანასტასია) (12)** – (დაახლ. VIII-IX სს.). ბაგრატ შაროელის ასული, წარმოშობით აფხაზეთიდან იყო. იგი მონაზვნად აღკვეცამდე მეფე ადარნასეს ცოლი იყო და, როგორც დედოფალი, უაღრესად შეეწოდა მერის მონასტერს. მონაზვნად აღკვეცის შემდეგ მონასტერში ყველაზე მძიმე მორჩილების საქმეებს აღასრულებდა, მარადუამ ძაბა ემოსა, თავისი ხელით ეზიდებოდა ტყიდან შეშას და გამუდმებით ლოცულობდა. ბევრეულის ფერსათის მონასტერში ლოცვის შედეგად განიკურნა ადარნასე (რომელმაც უკანონოდ მოიძულა ცოლი). მის საფლავთან განიკურნენ მისი შვილები, გურგენ კურაპალატი და სუმბატი, რამაც დასაბამი მისცა იმავე საფლავთან სხვადასხვა სნეულებით შეპყრობილთა განკურნებასაც (248, წ. II, გვ. 321).

**ბმსარიონი (13)** – (IV-V სს.). ახალგაზრდობაში მოინათლა, რის შემდეგაც თავშეკავებულად ცხოვრობდა. საღვთო შურით აღძრულმა მამამ იერუსალიმის წმიდა ადგილები მოილოცა. წმინდანმა მდუმარების აღთქმა დადო, საჭმელს კვირაში ერთხელ იღებდა, ზოგჯერ კი მთელი ორმოცი დღე უჭმელ-უსმელი იყო. ღირსი მამა მრავალ სასწაულს აღავლენდა: შეეძლო ფეხით გაეარა მდინარეზე, მისი ლოცვით უფალი წვიმას გარდამოავლენდა, ატკობდა უვარგის წყალს... რის გამოც, მას საკვირველმოქმედი შეარქვეს. სიცოცხლის უმეტესი ნაწილი ღია ცის ქვეშ, განმარტოებულ ლოცვაში გაატარა და მშვიდობით მიიცვალა ღრმა სიბერეში (248, წ. I, გვ. 465).

**ბურხო(//ბორხო) (2)** – ძეგლის მიხედვით, წარმოშობით სპარსი (დაახლ. VI ს.), რომელმაც მიიღო ქრისტიანობა და მტკიცედ დაიცვა იგი.

**ბ**

**ბაბრიელი (12)** – ბერი, ხანძთის მკვიდრი (დაახლ. VIII-IX სს.). წმ. გაბრიელი ერთგულად ემსახურებოდა მონასტერში მცხოვრებ სნეულ და მოხუცებულ ბერებს. იგი ყველას მოუთხრობდა მისთვის ცნობილი მამების მოღვაწეობის შესახებ და მოუწოდებდა, მტკიცედ დაეცვათ მამათა მიერ დადგენილი წესები (248, წ. II, გვ. 318).

**ბერასიმე (13)** – წარმოშობით ლუკიიდან (მც. აზია) იყო. ბერად აღკვეცის შემდეგ იგი თებაიდის (ეგვიპტე) უდაბნოში განმარტოვდა, დაახლ. 450 წელს კი პალესტინაში ჩავიდა და იორდანეს ნაპირას მონასტერი დააარსა. ღირსი გერასიმე სამაგალი-

თო იყო თავისი ღვაწლით. დიდმარხვაში ბრწყინვალე აღდგომამდე არაფერს ჭამდა, მთელ მარხვას უდაბნოში ატარებდა. ერთხელ, უდაბნოში, წმ. მამამ სასწაულებრივად განუკურნა ფეხი მასთან შემწეობის მისაღებად მისულ ლომს. როცა ამბა გერასიმე გარდაიცვალა (475 წ.), ლომმა ვერ გაუძლო ღირს მამასთან განშორების მწუხარებას და მის საფლავზე გარდაიცვალა (248, წ. I, გვ. 211).

**ბიორბი (5)** – ძეგლის მიხედვით, მარტვილის სახელით წოდებული წმინდანი.

**წმ. ბიორბი (4, 12)** – (*აგიონიმი*) III საუკუნის II ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებული დედა კაბადოკიიდან თავის სამშობლოში წავიდა და იქ განაგრძო შვილის ქრისტიანულად აღზრდა. ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში განმწესდა მხედრად. ასოვანმა, მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე იმპერატორ დიოკლიტიანეს (284-305 წ.წ.) ყურადღება მიიპყრო, თავის პირველ მცველად დანიშნა და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა. კერპთაყვანისმცემელმა მეფემ ურჩია წმ. გიორგის განდგომოდა ქრისტიანობას, მაგრამ, როცა მტკიცე უარი მიიღო, მისი წამების ნებართვა გასცა. უფლის სასწაულებრივი ძალით ძლევაშემოსილი და სასწაულთმოქმედი ჭაბუკი წამების შემდეგ უვნებლად გამოიყურებოდა. ბოლოს, უფლისგან გამხსნეებულმა წმინდანმა თავისი ნებით მორჩილებით მოუდრიკა ქელი ჯალათის მახვილს. იგი აღესრულა 303 წლის 23 აპრილს. ანდერძისამებრ, წმ. გიორგის სხეული დაკრძალეს პალესტინის ქალაქ რამლაში, კონსტანტინე დიდის მეფობის დროს კი გადაასვენეს წმინდანის სახელზე აშენებულ დიდ ტაძარში, ქალაქ ლიდაში. წმ. გიორგი ეწამა ოცდაათი წლის ასაკში და ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი (248, წ. I, გვ. 352).

**ბიორბი (12)** – ამბა (დაახლ. VIII-IX სს.) (248, წ. II, გვ. 316).

**ბიორბი (13)** – 1. გიორგი შუარტყელელი, მღვდელ-მოძღვრად წოდებული (დაახლ. IX ს.); 2. ძეგლში იხსენიება როგორც „კაცი ვინმე მღვდელი“ (დაახლ. IX ს.) (248, წ. II, გვ. 317).

**ბიორბი მაწყვერელი (12, 13)** – (IX ს. დასაწყისი), მწერალი, აწყურის ეპისკოპოსი VIII-IX ან X ს. I მეოთხედში. „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ იმ ცნობილ საეკლესიო მოღვაწეთა შორისაა მოხსენიებული, რომელთაც გიორგი მერჩულის რწმენით, „წმ. გრიგოლის ცხოვრების“ აღწერა შეჰფეროდათ. გიორგი მაწყვერელი მოხსენიებულია აგრეთვე ბასილი ზარზმელის „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“. იგი შუარტყელის ხევიდან ყოფილა, წარჩინებული ოჯახიშვილი. იცნობდა სერა-

პიონ ზარზმელს, რომლის შესახებ შემდეგ ცნობები მიუწოდებია ბასილი ზარზმელისათვის (248, წ. I, გვ. 288).

**ბობრონი (ნათლობის სახელით მიქაელ) (5)** – წმიდა მოწამე. 914 წელს არაბები უკანასკნელად შემოესივნენ ამიერკავკასიას, დაამარცხეს სომხეთი და საქართველოში შემოიჭრნენ. ოცდარვა დღე იგერიებდნენ სარკინოზთა გაშმაგებულ იერიშებს ყველის ციხის დამცველნი. მეციხოვნეებს სათავეში ახალგაზრდა მხედარი, გობრონი, ედგა. უკანასკნელი ქართველთაგანი, ვინც სიკვდილს გადაურჩა, სულ ას ოცდაცამეტი კაცი, ცოცხლად შეიპყრეს სარკინოზებმა. მათ შორის იყო გობრონი. აბულ-კასიმის ბრძანებით გააგრძელებულ ქრისტიანს თავი მოჰკვეთეს. ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ ქრისტესთვის და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირს ახალი სახელი მიქაელი უწოდა და ქართველ მოწამეთა პანთეონში ჩარიცხა (248, წ. II, გვ. 439).

**ბერობანღაპ (2)** – იხ. ევსტათი.

**ბუშნაპ (2)** – ძეგლის მიხედვით, წარმოშობით სპარსი (VI ს.), რომელმაც უარყო თავისი სჯული და შეერთო ქრისტიანობას.

**ბრიგოლი (7)** – ძეგლში იხსენიება როგორც მღვდელი (დაახლ. IV ს.).

**ბრიგოლ ღვთისმეტყველი (12)** – (329-390 წ.წ.), დაიბადა კაბადოკიაში, განათლებულსა და შეძლებულ ოჯახში. მამას გრიგოლი (ნაზიანზის ეპისკოპოსი) ერქვა, დედას ნონა. ისინი მრავალი წლის მანძილზე უშვილონი იყვნენ. მშობლებმა უფალს შესთხოვეს შვილი და აღუთქვეს, რომ მასვე შესწირავდნენ. მართლაც, ნონამ იხილა ჩვენება, რომელშიც მომავალი შვილის სახეც წარმოუდგა და სახელიც ემცნო. გრიგოლს ემაწვილობიდანვე გაუჩნდა სურვილი სხვადასხვა მეცნიერების შესწავლისა; ზრუნვა სულის სრულყოფილებისათვის. ამ მიზნით ჯერ ალექსანდრიაში გაემგზავრა, შემდეგ ელადაში, კერძოდ, ათენში. კუნძულ კვიპროსთან მძვინვარე ქარებისაგან აღელვებული ზღვა მისი უფალთან ვედრების შემდეგ დაწყნარდა. ათენში დაუმეგობრდა ბასილი დიდს. 362 წ. მამა გრიგოლმა, ნაზიანზის ეპისკოპოსმა, შვილი იძულებით მღვდლად აკურთხა. ბასილი დიდთან დასამშვიდებლად მისული გრიგოლი მეგობარმა სასიმას ეპისკოპოსად გაამწესა, რაზეც გრიგოლმა უარი თქვა და ნაზიანზში გააგრძელა ცხოვრება მშობლებთან ერთად. 380 წ. იმპერატორ თეოდოსის მხარდაჭერით, გრიგოლი კოსტანტინეპოლის პატრიარქად აკურთხეს. იოანეს მსგავსად მას ღვთისმეტყველი უწოდეს. წმ. გრიგოლმა კვლავ განმარტოება არჩია და საბოლოოდ დამკვიდრდა თავის მამულში, სადაც გარდაიცვალა 390 წ. შემორჩენილია წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ორმოცდახუთი სიტყვა, მათ გარდა წმინდანს ეკუთვნის თეოლოგიური და ავტობიოგრაფიული ხასიათის პოეტური თხზულებანიც (248, წ. I, გვ. 101).

**გრიგოლ ხანძთელი** (12) – (759-861 წ.წ.) ქართველი სასულიერო მოღვაწე და მწერალი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის ორგანიზატორი. დაიბადა ქართლში, წარჩინებულ ოჯახში. აღიზარდა ქართლის ერისთავის, ნერსეს, კარზე. მან თავისი დროისათვის ბრწყინვალე განათლება მიიღო. აღმზრდელთა და ქართლის დიდებულთა ნებით მღვდლად აკურთხეს, ხოლო შემდეგ, როცა მისი ეპისკოპოსად კურთხევა განიზრახეს, ფარულად მიატოვა ქართლი და VIII ს. 80-იანი წლებიდან ტაო-კლარჯეთში დაიწყო მოღვაწეობა. გარდა სამონასტრო მშენებლობისა, იგი მონაწილეობას იღებდა კლარჯეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. IX ს. 30-იან წლებში წმ. გრიგოლი, კლარჯეთის მონასტერთა გადაწყვეტილებით, არქიმანდრიტად დაადგინეს. მისი ენერგიული ჩარევით გადააყენეს თბილისის ამირა საჰაკის აგენტი, ანჩის ეპისკოპოსი ცქირი. წმ. გრიგოლ ხანძთელმა დიდი როლი შეასრულა IX ს. 50-იან წლებში ჯავახეთში მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, რომელმაც არსენ I კათალიკოსად არჩევის კანონიერების საკითხი გაარჩია. გრიგოლ ხანძთელი იყო მის მიერ დაარსებულ მონასტერში გაჩაღებული მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის სულისჩამდგმელი. გიორგი მერჩულის ცნობით, მას საბავშიდის მონასტრის წესის საფუძველზე თავისი ძმობის წევრთათვის შეუდგენია ქტიტორული ტიპიკონი და შეუთხზავს ჰიმნოგრაფიული კრებული „საწელიწდომ იადგარი“ – ლიტურგიული კრებული მთელი წლისა (248, წ. II, გვ. 309).

**დ**

**დავითი** (7) – ღმრთისმსახური ცოლ-ქმრის ვარდანისა და თავინეს შვილი (IV ს.), ქართველ მეფეთა ნათესავი. აღესრულა ბიძის, თევდოსის, ხელით. წმინდა მოწამის ხელიდან გავარდნილი კომბალი მიწაზე დაეცა და უზარმაზარ ხედ იქცა. ორასი წლის შემდეგ მლოცველებმა ის ხე წმინდა ნაწილებად დაინაწილეს. კათალიკოსისაგან შენდობამიღებულმა თევდოსიმ ირწმუნა უფალი იესო ქრისტე და წმ. დავითის სახელზე ეკლესია ააშენა (248, წ. I, გვ. 424).

**დავით ბარძეული** (9, 10) – ერთ-ერთი ასურელი მამა. საქართველოში შემოვიდა ქანტიოქიდან VI ს. I ნახევარში და დააარსა გარეჯის მონასტერი, რომლის პირველი წინამძღვარი თვითონაც ყოფილა. დავით გარეჯელის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო საქართველოში ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცებას და ჯერ კიდევ შემორჩენილი წარმართი მოსახლეობის გაქრისტიანებას. ხანგრძლივი და ღვთივსათნო ცხოვრების შემდეგ აღსრულებული წმ. დავითი იქვე, გარეჯის სავანეში დაკრძალეს (248, წ. I, გვ. 390).

**დავით მიძნაძორელი** (12) – IX ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მიძნაძორის მონასტრის (კლარჯეთი) მაშენებელი და პირველი წინამძღვარი. იგი იყო ილარიონ კათალიკოსის სულიერი მამა (248, წ. II, გვ. 319).

**ღამიანე** (1) – წმიდა მოწამენი, უვერცხლონი, კოზმა და დამიანე, წარმოშობით არაბები, დაიარებოდნენ სოფლებსა და ქალაქებში, სახარებას ქადაგებდნენ და ქრისტეს ძალით სწეულებს კურნავდნენ. გაწეული სამსახურისათვის ისინი არანაირ საზღაურს არ თხოულობდნენ. კილიკიაში წარმართებმა მკურნალები შეიპყრეს და მმართველ ლისიუსთან მიიყვანეს. უსჯულო ლისიუსმა ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა მოითხოვა მათგან, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ამისთვის, ლისიუსის ბრძანებით, წმიდანები სასტიკად გვემეს და ზღვაში ჩაყარეს, მაგრამ ანგელოზმა ისინი მორვეიდან ნაპირზე გამოიყვანა. მაშინ წარმართებმა უფლის რჩეულებს თავები მოჰკვეთეს. წმ. კოზმასა და დამიანეს ქრისტიანული ეკლესია 17(3) ოქტომბერს მოიხსენიებს (248, წ. II, გვ. 348).

**დიმიტრიოსი** (12) – გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთი მოწაფე (დაახლ. VIII-IX სს.). დედა ფებრონიას გაზრდილი. მისი პირვანდელი სახელი ძეგლში არ გვხვდება. წმ. დიმიტრიოსი იხსენიება იმ წმიდა მამების გვერდით, რომლებიც სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც მრავალ სასწაულს აღავლენდნენ. იგი იერუსალიმის სიწმიდეების მოსალოცად გაემგზავრა და იქ გარდაიცვალა (248, წ. II, გვ. 319).

**დოდო** (10) – ქართული აგიოგრაფიული ძეგლების თანახმად, „ღირსი და სათნოებით შემკული ბერი“, დავით გარეჯელის უახლოესი მოწაფე და თანამშრომელი, კახეთის (ნინოწმინდის) მკვიდრი. VI ს. I ნახევარში გარეჯის მრავალმთის სანახებში დაუარსებია წმ. მარიამის სახელობის მონასტერი (154, 78).

## ე

**ევაგრე** (9) – VI ს. II ნახევრის საეკლესიო მოღვაწე. შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარი, ერისკაცობაში – ქართლის სპასპეტი, ციხედიდის მთავარი. ბერად აღიკვეცა შიომღვიმელის ზეგავლენით და მისგანვე მიიღო წინამძღვრობა. ევაგრემ მონასტერს საკუთარი სახსრებით უყიდა მამულები – სოფ. სხალტბა მიმდგომი გოროვანით. იგი გამოსახულია შიოსთან ერთად ამავე მონასტრის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის (VI ს. II ნახ.) ქვის კარდელის რელიეფზე (XI ს.), მოხსენიებულია ღვთისმშობლის ეკლესიის (XII ს.) გვიანდელ წარწერაში. შემონახულია შიოსა და ევაგრეს ცხოვრების ამსახველი ორი რედაქცია (248, წ. I, გვ. 22).

**ეპსტატი** (2) – წარმოშობით სპარსი, სარწმუნოებით მოგვი, პირვანდელი სახელით გვირობანდაკ, ასაკით ოცდაათი წლის. მცხეთაში მოვიდა VI ს., ეზიარა ქრისტიანო-



ბას, შეერთო ქრისტიანი ცოლი და მოინათლა ქრისტიანად. ევსტათიმ თავისიანებს სასტიკი უარი განუცხადა ტოზიკობის (ნავროზობის) დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე, რის გამოც, ჯალათებმა თავი მოჰკვეთეს. სამოელ კათალიკოსის ბრძანებით წამებულის ნეშთი მცხეთის სვეტიცხოველში დაკრძალეს (248, წ. II, გვ. 92).

**ეზრა** (12) – X ს. ჰიმნოგრაფი. ზოგი მეცნიერის (კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვა) ვარაუდით, ეზრა „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ეზრა ანჩელი ეპისკოპოსია, „დიდებულთა აზნაურთა დაფანულთა შვილი“. უკანასკნელი კვლევა-ძიებით (ლ. ჯღამაია) ეზრა მიჩნეულია სინურ ხელნაწერებში დადასტურებულ ეზრა ქობულენად. ამ თვალსაზრისის თანახმად, ეზრა X ს. 80-იანი წლებისათვის მღვდელია და იოანე-ზოსიმეს თანამოღვაწე (248, წ. II, გვ. 315).

**ელია დიაკონი** (8, 9) – ერთ-ერთი ასურელი მამა, იოანე ზედაზნელის მოწაფე. საქართველოში მოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI ს. შუა წლებში. ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში (248, წ. I, გვ. 24).

**ელია** (10) – ძეგლის მიხედვით, იერუსალიმელი პატრიარქი (494-516 წ.წ.).

**ეფთვიმი(//ეჰთვიმე დიდი)** (13) – მდიდარ და კეთილმსახური ქრისტიანების – პავლესა და დიონისიას დიდი ხნის ნანატრი ვაჟი. მშობლების აღთქმისამებრ სამი წლისამ ეკლესიურ ცხოვრებას მიჰყო ხელი, შემდეგ კი ბერად აღიკვეცა. ოცდაათ წელს მიღწეულმა წმ. ეფთვიმემ ფარულად დატოვა ქალაქი, მოილოცა იერუსალიმის წმინდა ადგილები, ფარანის ლავრაში მივიდა და ერთ პატარა ქოხში დაეყუდა. თავს კალათების წვნით ირჩენდა და მოწყალებას გასცემდა. ეფთვიმი, ღირს თეოქსიტესთან ერთად, მკვდარი ზღვის ახლოს გამოქვაბულში დამკვიდრდა, რომელიც შემდეგ მონასტრად აქციეს. განმარტოების მიუხედავად მამამ რუბის უდაბნოში, მარდას მთაზე დაიდო ბინა მოწაფესთან, დომენტიანესთან, ერთად. აქ იპოვა გამოქვაბული, რომელშიც იმალებოდა საულის დევნას განრიდებული დავითი და აქვე მონასტერი დააარსა. წმ. ეფთვიმი მრავალ სასწაულებს ახდენდა, სნეულებსა და ეშმაკეულებს კურნავდა, რისთვისაც მას „დიდი“ უწოდეს. 473 წლის 20 იანვარს წმ. ეფთვიმი მიიცვალა (248, წ. I, გვ. 85).

**ეფრემ ასური** (12) – (დაახლ. 306-373 წ.წ.). სირიელი პოეტი, მწერალი, ასკეტურ-მისტიკური მიმართულების საეკლესიო მოღვაწე. დაიბადა ქ. ნისიბინში, წარმართთა ოჯახში. ჭაბუკობის ასაკში მიიღო ქრისტიანობა. როდესაც ნისიბინი სპარსელთა ხელში გადავიდა, იძულებული გახდა 363 წ. დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი და 365 წ. ედესაში დასახლდა. წმ. ეფრემის თხზულებები განსაკუთრებით პოპულარული იყო ქრისტიანულ აღმოსავლეთში, კერძოდ, საქართველოში. მისი ლიტერატურული

მიმდინარეობა მოიცავს მრავალ პროზაულ და პოეტურ თხზულებას. წმ. ეფრემს ეკუთვნის ბიბლიური ტექსტის კომენტარები, თეოლოგიური პოლემიკა, დიდაქტიკური ხასიათის ჰომილიები, აპოკრიფები, ჰიმნები საღვთისმეტყველო და ისტორიულ თემებზე. ეფრემ ასურის თხზულებანი ფართოდ იყო ცნობილი ჯერ კიდევ VIII-IX სს. საქართველოში. ამ თხზულებებს სწავლობდნენ, თარგმნიდნენ, მათი ავტორი კი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა, რაც კარგად ჩანს გიორგი მერჩულის „წმ. გრიგლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“ (248, წ. I, გვ. 116).

**ეფრემ მაწყმარელი** (12) – აწყურის ეპისკოპოსი (დაახლ. 845-885 წ.წ.). დაიბადა ქართლში, დიდებული აზნაურის ოჯახში, იზრდებოდა ხანძთის მონასტერში, შემდეგ ცხოვრობდა ნეძვის მონასტერში. იყო გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. წყაროებში იხსენიება „დიდი ეფრემის“ სახელით. ეფრემმა არსენ I კათალიკოსის წინააღმდეგ მოწყობილი ძლიერი დაჯგუფება მშვიდობიანი გზით დაშალა, კათალიკოსს შეარიგა უკმაყოფილო ეპისკოპოსები და მთავარი გვარამ მამფალი. წმ. ეფრემის მცდელობით ქართულმა ეკლესიამ იერუსალიმის პატრიარქის – სერგის (843-859 წ.წ.) თანხმობით მიიღო უფლება „მირონის კურთხევისა“ ქართლში. დასაფლავებულია აწყურის მონასტერში (248, წ. I, გვ. 328).

**ეფროსინე** (12) – მონაზონი ქალი, ძეგლში იხსენიება გველია ეფროსინეს სახელით (დაახლ. VIII-IX სს.).

**მტყვანა(//მპივანა)** (12) – ძეგლის მიხედვით, წმ. მამა, წმ. გრიგოლ ხანძთელის მოწაფე (დაახლ. VIII-IX სს.), უადრესად თავმდაბალი. წმ. გრიგოლის მკაცრ გამოცდას (უამის წირვისას უმიზეზოდ თავში კვერთხის ჩარტყას) საღმრთო სიმდაბლით შეეგება წმ. ეტვიფანე, რასაც წმ. ბერის აღფრთოვანება მოჰყვა.

**ზ**

**ზარმილ** (2) – ძეგლის მიხედვით, წარმოშობით სპარსი (VI ს.), რომელმაც ეგვიპტისთან ერთად აღიარა ქრისტიანობა.

**ზამარია** (12) – ანჩელი ეპისკოპოსი; დავით მიძნაძორელის მოწაფე. ზაქარია, წმ. დავით მეფსალმუნის მსგავსად, ბავშვობიდანვე მწყემსის ღალი და მკაცრი ცხოვრების წესით იზრდებოდა. ერთხელ ანჩელმა ეპისკოპოსმა მის თავზე „ზეცით მოწვენული“ ნათლის სვეტი იხილა. ღვთის მინიშნებით სრულწლოვანებას მიღწეული წმინდანი მალე მთელი საძმოს მოძღვარი შეიქნა. მისი ხელით უამრავი სასწაული აღესრულა: მან ლოცვით შეაჩერა კლდეს მოწყვეტილი უზარმაზარი ღოღი, განდევნა მონასტრის ბაღ-ვენახს შერეული ფრინველი და კალიები, შემუსრა ორი საშინელი გველი, რომლის შიშით ძმები ვენახში ვეღარ მიდიოდნენ სამუშაოდ (248, წ. II, გვ. 315).

**ზენონი (12)** – სამცხელი დიდგვაროვნის შვილი (დაახლ. VIII-IX სს.), „ღვთისმსახურებით აღზრდილი“. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ზენონმა გადაწყვიტა დისთვის დაეტოვებინა ქონება და უდაბნოში მონაზვნად შემდგარიყო. მაგრამ, სანამ ამ განზრახვას შეასრულებდა, მისი და გაიტაცა ვიღაც „უკეთურმან კაცმან“ და შავშეთის გზას გაუყენა. ზენონმა შურისძიებას ღვთის გზაზე დადგომა არჩია. იგი წმ. გრიგოლის უახლოესი და უსაყვარლესი მოწაფე იყო, უფრო მეტიც: „ზღუდს მტკიცე კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთაჲ“. ზენონი ღრმა მოხუცებულობაში აღესრულა (248, წ. II, გვ. 318).

**თ**

**თათა(//თაღეოზ)** (7, 9) – ათ-ცამეტოვანი ერთ-ერთი ასურელი მამა (VI ს.) (154, 75).

**თევდორე(//თეოდორე)** (12) – წმ. გრიგოლ ხანძთელის უპირველესი ძმათაგანი (დაახლ. VIII-IX სს.). თევდორე, ქრისტეფორესთან და საბა იშხნელთან ერთად, უმკაცრეს მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა ჯერ ოპიზაში და შემდეგ ხანძთაში. თეოდორესა და ქრისტეფორეს „საღმრთო შური“ გაუჩნდათ მონასტრების დამოუკიდებელი შენებისა და ამ მიზნით ჯერ აფხაზეთში (დასავლეთ საქართველო) გაიპარნენ, ხოლო შემდეგ სამცხეში. სწორედ ამ უკანასკნელ ადგილას აისრულეს მათ წადილი. თევდორეს მიერ აგებულ მონასტრს უწოდეს ნეძვი, ხოლო ქრისტეფორესას – კვრიკე-წმიდა. თევდორემ და ქრისტეფორემ პირნათლად შეასრულეს აღმზრდელობითი მისია, როცა მათ მამა გრიგოლმა არსენისა და ევრემის აღზრდა დაავალა (248, წ. II, გვ. 316).

**თევდოსი(//თეოდოსი დიდი)** – დაიბადა 424 წ. კაბადოკიაში ღვთისმომში ქრისტიანთა ოჯახში. მშობლებმა იგი ეკლესიაში მედავითნედ დაადგინეს. წმ. თევდოსის ოცნება იყო, განშორებოდა ამ სოფლის საქმეებს და თავი ღვთისთვის მიეძღვნა. ამ მიზნით მან დატოვა მშობლიური ქალაქი და იერუსალიმის სიწმიდეთა მოსალოცად გაემშურა. წმიდა ქალაქიდან გამობრუნებულმა ყმაწვილმა ანტიოქიაში გამოიარა და სვიმეონ მესვეტისაგან კურთხევა მიიღო. სვიმეონმა მას სიტყვიერ ცხოვართა მწყემსობა უწინასწარმეტყველა. განდევნილი ბერი ჯერ კათისმას მონასტერში ცხოვრობდა, ბოლოს კი პალესტინის უდაბნოს იმ გამოქვაბულში დაეყუდა, სადაც იესოს თაყვანისცემის შემდგომ ბეთლემიდან გამობრუნებულ მოგვებს გაუთევიათ ღამე. ოცდაათი წელი ცხოვრობდა წმ. მამა ამ მღვიმეში, დღე და ღამე ლოცულობდა და მხოლოდ კვირა დღეს ჭამდა. წმიდა თევდოსის ირგვლივ შემოკრებილ ძმათა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. წმინდანმა გადაწყვიტა მოწაფეთათვის საცხოვრებელი ნაგებობის აგება. მან ღმერთს შესთხოვა, განეცხადებინა თავისი ნება და დახმარებოდა ადგილის არჩევაში. წმ. თევდოსიმ საცეცხლურში ნახშირი ჩაყარა, ზედ საკმეველი

დაადო და მოიარა სამონასტრედ საგონებელი ყველა ადგილი, მაგრამ ღმერთმა ნიშანი არ მისცა. როცა უკან გამობრუნდა და თავის მღვიმეს მიუახლოვდა, უეცრად ნახშირი ნაკვერცხლად იქცა და საკმევლის საამო სურნელი დაიფრქვა ირგვლივ. ასე გაცხადდა ღვთის ნება. იგი ბასილი დიდის ტიპიკონით ხელმძღვანელობდა. წმ. თევდოსის ღმერთმა წინასწარხედვის ნიჭი მიჰმადლა და მისი ლოცვით მრავალი სასწაული აღესრულა. ღირსმა მამამ წინასწარ განჭვრიტა თავისი მიცვალების დღე 105 წლის ასაკში. აღესრულა 529 წელს. იგი პატივით დაკრძალეს იმ გამოქვაბულში, სადაც მოღვაწეობდა (248, წ. I, გვ. 43).

**თეპლა** (12) (იხ. საერო წოდების პერსონაჟებთან *ლატავრი*).

**თემესტია** (12) – დეკანოზი ქალი მერეში (დაახლ. VIII-IX სს.), რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ემსახურებოდა მერეს დელათა მონასტერში მწირველ მღვდელ წმ. მატოს. როგორც თემესტია აღნიშნავდა, ისეთი მოკრძალებული იყო მათი ურთიერთობა, რომ მატოს უშუალოდ მისი ხელიდან საცეცხლურიც კი არ მიუღია არასოდეს (248, წ. II, გვ. 320).

**თეოდორე** (5) – წარმოშობით ეგვიპტელი (განწმენდილის სახელით ცნობილი), იზრდებოდა მდიდარი და ცნობილი ქრისტიანი მშობლების ოჯახში. მასში ადრევე გაიღვიძა ბერული ცხოვრებისადმი მიდრეკილება. თოთხმეტი წლისა სახლიდან გაიპარა და ერთ-ერთ მონასტერში დასახლდა. როცა ღირსმა მამამ პახუმი დიდის მოღვაწეობის შესახებ შეიტყო, დატოვა მონასტერი და მასთან წავიდა. ღირსმა პახუმიმ, რომელსაც უფლისაგან წინასწარ განეცხადა ყრმის მოსვლა, სიყვარულით მიიღო იგი. წმ. თეოდორე მალე შეეგუა მეუღაბნოეთა ცხოვრების წესს. ოცი წლისა იყო, როცა ღირსმა პახუმიმ მას ძმებისათვის წმიდა წერილის სწავლება დაავალა. ღირსეული მოძღვრის სიკვდილის შემდეგ, ტაბენისის მონასტერს წმიდა თეოდორე განაგებდა, მოგვიანებით კი სათავეში ჩაუდგა თებოდის ყველა სავანეს. წმ. თეოდორეს სასწაულმოქმედის ნიჭი მიემადლა. იგი 368 წ. აღესრულა (248, წ. II, გვ. 221).

**ო**

**იაკობი** (12) – „მრავალფერი მადლით“ შემკული X საუკუნის დიდი მამა, თავდაპირველად შატბერდში მოღვაწეობდა, შემდეგ კი მიძნადოროს ხევში დამკვიდრდა და „ბრწყინვიდა... ვითარცა მთიები შორის ვარსკვლავთა“. ცნობილია იაკობ მიძნადორელის სახელით (248, წ. II, გვ. 319).

**ილარიონი** (10) – ძეგლის მიხედვით, ერთ-ერთი წმ. მამა გარეჯის უდაბნოში (დაახლ. VI ს.). მან განავრცო და აკურთხა ახლადმონათლული აზნაურის, ბუბაქრის მიერ აგებული ეკლესია, რომელშიც წმ. მამა დავით გარეჯელია დაკრძალული.

**ილარიონი** (12) – 1. საქართველოს (ქართლის) კათალიკოსი დაახლ. IX ს. I ნახევარში. მოღვაწეობდა მიძნადოროს მონასტერში (ისტორიული კლარჯეთი), იყო დავით მიძნადორელის მოწაფე. აგრეთვე წყაროსთავის მონასტრის მაშენებელი და წინამძღვარი. 2. ილარიონ პარეხელი, რომელსაც გიორგი მერჩულე იხსენიებს როგორც მისი დროის ერთ-ერთ თვალსაჩინო მწერალსა და საეკლესიო მოღვაწეს. 3. უბის წინამძღვარი. გიორგი მერჩულის ცნობით, ილარიონს დიდხანს უმოღვაწია იერუსალიმში (ალბათ, ქართველთა საბაწმიდის მონასტერში), მოხუცებულობისას ჩამოსულა საქართველოში და ხანძთის მონასტერში დამდგარა. დამოუკიდებელი საეკლესიო მოღვაწეობის სურვილი მოხუცებულობის ჟამსაც არ განელებია და ამიტომ გაჰყოლია ის ხანძთიდან აფხაზეთის სამეფოში მონასტრების საშენებლად თევდორესა და ქრისტეფორეს. როცა წმ. გრიგოლ ხანძთელმა აფხაზეთის მეფის, დემეტრეს, თხოვნით ააშენა მონასტერი უბე (უბისა), მის მამასახლისად დააყენა (248, წ. II, გვ. 314).

**იოვანე(//იოანე)** (7) – ძეგლში მოხსენიებულია როგორც მღვდელი (დაახლ. IV ს.).

**იოვანე(//იოანე)** (12) – ძეგლის მიხედვით: 1. ეპისკოპოსი (დაახლ. X ს.); 2. ხანძთის წინამძღვარი რომელიც წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორს, გიორგი მერჩულეს, დახმარებია „წმ. გრიგოლის ცხოვრების“ აღწერაში (X ს.).

**იოვანე(//იოანე)** (13) – კლარჯი, სერაპიონ ზარზმელის უმცროსი ძმა (IX ს.), რომელიც სერაპიონთან ერთად წავიდა სამცხეში, შეუდგა ბერულ ცხოვრებას და ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობას. სწორედ იოვანეს აუგია სამცხეში თავისი სახელობის ტაძარი – იოვანე-წმიდა (248, წ. II, გვ. 376).

**იოვანე(//იოანე) ზედაზნელი** (8, 9, 11) – ზედაზნის მონასტრის დამაარსებელი, სახელგანთქმული სირიელი საეკლესიო მოღვაწე. სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიიღო. ჯერ სრულიად ახალგაზრდა ბერად აღიკვეცა და უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ. ღირსმა იოანემ სახელი გაითქვა თავისი ცხოვრებითა და სასწაულებით. ერთხელ წმ. ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, თავის მოწაფეთა შორის თორმეტი ბერი აერჩია და მათთან ერთად საქართველოში წასულიყო, რათა წმ. ნინოს მოქცეულ ხალხში ქრისტეს სჯული განემტკიცებინა. წმ. იოანე მოწაფეებთან ერთად საქართველოში VI ს. შუა წლებში მოვიდა. იგი ჯერ მცხეთაში ცხოვრობდა, შემდეგ მცხეთის მახლობლად, მდ. არაგვის გაღმა, ზედაზნის მთაზე. ერთ ღამეს წმ. იოვანეს კვლავ გამოეცხადა ღვთისმშობელი და უბრძანა, თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს გაეგზავნა ქრისტიანობის საქადაგებლად. წმ. იოანეს ღოცვით მრავალი სასწაული აღეველინა. იოვანე, მისი ანდერძისამებრ, იმ მღვიმეში დაკრძალეს, სადაც მოღვაწეობდა (248, წ. I, გვ. 387).

**ისე წილკნელი (8)** – სასულიერო მოღვაწე საქართველოში, ერთი ასურელ მამათაგანი. იყო დიაკონი, იოვანე ზედაზნელის მოწაფე. მოვიდა ანტიოქიდან (VI ს. შუა წლებში). ცხოვრობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ განაგებდა წილკნის საეპისკოპოსო კათედრას. გააქრისტიანა საქართველოს ჩრდილოეთ მთიანეთის მოსახლეობა, სადაც დაანგრია წარმართულ კერპთა ტაძრები და ააშენა ეკლესიები. დასაფლავებულია წილკნის ეკლესიაში (248, წ. I, გვ. 391).

**პ**

**პლემენტოზ კათალიკოსი (9)** – ძეგლის მიხედვით (დაახლ. VI ს.).

**პოზმან (1)** – იხ. დამიანე.

**პონონ (9)** – ძეგლის მიხედვით, ერთი ძმათაგანი, წმ. ბერი (დაახლ. VI ს.).

**კონსტანტი(//კონსტანტი კახი) (4)** – ქართველი ერისთავი(768-853 წ.წ.). იბრძოდა არაბი სარდლის ბუღა თურქის წინააღმდეგ. 853 წლის 26 აგვისტოს ის და მისი ძე თარხუჯი არაბებმა შეიპყრეს და კონსტანტი კახი წამებით მოკლეს. ატენის სიონის ერთ-ერთ წარწერაში ის მოხსენიებულია კახაძს სახელით 48, წ. II, გვ. 409).

**ლ**

**ლუკიანე (10)** – VI ს. I ნახევრისა და შუა წლების ქართველი საეკლესიო მოღვაწე. დავით გარეჯელის უახლოესი მოწაფეთაგანი. წმ. დავითის თხოვნით დააარსა გარეჯის მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი (154, 77).

**მ**

**მაკარი (12)** – 1. უძღურის სახელით ცნობილი; 2. ანჩის ეპისკოპოსი (X ს.); 3. ოპიზის მონასტრის მაშენებელი (დაახლ. VIII-IX სს.) (248, წ. II, გვ. 315).

**მაკარი (13)** – ოპიზის მონასტრის მაშენებელი (248, წ. II, გვ. 316).

**მაკარი (13)** – დიდის სახელით ცნობილი (390-391). დაიბადა ქვემო ეგვიპტის სოფელ პტინაფორში. მშობლების გარდაცვალების შემდეგ უდაბნოს მიაშურა. მაკარი ანტონი დიდის საყვარელი მოწაფე გახდა და მისივე რჩევით სკიტის უდაბნოში დაემკვიდრა. ოცდაათი წლისას „მცხოვანი ჭაბუკი“ შეარქვეს. ორმოცი წლისა მღვდლად აკურთხეს და სკიტის უდაბნოში მცხოვრები ბერების წინამძღვრად დაადგინეს. ღირსმა მამამ ოთხმოცდაჩვიდმეტი წელი იცხოვრა. წმ. მაკარიმ თავისი უხვი სულიერი გამოცდილება საღვთისმეტყველო შრომებში გაგვიზიარა. ღირსი მაკარის ლოცვები საყოველთაოდ გამოყენებულ დილა-საღამოს ლოცვით კანონებშიცაა ჩართული (248, წ. I, გვ. 74).

**მარკელაოზი (13)** – ერთი ძმათაგანი, მიქელ პარეხელის მოწაფე (248, წ. II, გვ. 319).

**მატო(//მატოი)** (12) – მღვდელი (დაახლ. VIII-IX სს.). იგი ეპიფანესთან ერთად, პირველი შეემატა წმ. გრიგოლის მიერ ხანძთაში შექმნილ ძმობას. მერის ეკლესიის წინამძღვრის სიკვდილის შემდეგ, მატო ორმოც წელს წინამძღვრობდა მერის ქალთა მონასტერს და თავისი სანიმუშო ქცევით ყოველგვარი კეთილის მაგალითი იყო (248, წ. II, გვ. 318).

**მიქაელი** (5) – იხ. გობრონი.

**მიქაელ პარმელი** (13) – (დაახლ. IX ს.) წარმოშობით შავშელი იყო, სოფელ ნორგი-ალიდან. ბერად მიძნადორში აღიკვეცა. როცა ხანძთაში მოღვაწე ბერთა შესახებ გაიგო, იქ ჩავიდა, პარეს დაემკვიდრა და ღვთის მოწიწებით კაცთაგან მიუვალ კლდოვან ადგილას მცირე ეკლესია და ძმათა საცხოვრისი ააშენა. თვითონ მარტომყოფობას ეძიებდა და ღვთიესათნოდ ცხოვრობდა. ღირსმა მამამ ღვთაებრივი გამოცხადებით მიიღო ბრძანება, რომ თავისი მოწაფეები, სერაპიონი და იოანე სამცხეში გაეგზავნა მონასტრის ასაშენებლად. წმ. მიქაელმა მრავალგზის გაუძლო ეშმაკის ცდუნებას. აღესრულა ღრმა მოხუცებულობაში. სულიერმა ძმებმა წმიდანი მის მიერ დაარსებულ სავანეში დაკრძალეს. ცნობები წმ. მიქაელის შესახებ შემონახულია „წმ. გრიგოლ ხანძთელისა“ და „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (248, წ. I, გვ. 443).

**მიქელი** (12) – კათალიკოსი მცხეთაში (X ს.) (196, ტ. VII, გვ. 28).

6

**ნერსე** (7) – კათალიკოსი (IV ს.) (196, ტ. VII, გვ. 394).

**ნერსე** (12) – წმ. ნერსე III კათალიკოსი. ცნობას მის შესახებ გვაწვდის გიორგი მერჩულე. ნერსე ეროვნებით სომეხი იყო. იგი აღიარებდა მართლმადიდებლურ (დიოფიზიტურ) მრწამსს და მოღვაწეობდა ქართველი მამების გვერდით. წმ. ნერსემ VII ს. 30-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა იშხნის ტაძარს და იქვე მოღვაწეობდა სიწმიდითა და სასწაულთქმედებით (248, წ. II, გვ. 314).

**წმ. ნინო** (8) – (ავიონიმი) კაბადოკიელი (წმ. დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავი), რომის მხედართმთავრის ზაბულონისა და იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის დის, სოსანას, ერთადერთი ასული. როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ. ზაბულონმა ბერად აღკვეცა გადაწყვიტა და იორდანის გაღმა უდაბნოს მიაშურა სამოღვაწეოდ. სოსანა იერუსალიმის პატრიარქმა, იუბენალმა, დიაკონისად აკურთხა, ნინო კი აღსაზრდელად მისცა მოხუც ქალს, სანა ნიაფორს, რომელიც ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს, უამბობდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრებისა და წამების ამბავს. სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი წარმართთა ქვეყანაში, სა-

ქართველოში. საყოველთაოდ ცნობილია წმ. ნინოს მიერ საქართველოს გაქრისტიანების ამბავი (337 წ.). წმ. ნინო საქართველოში აღესრულა. წმინდანის სურვილისამებრ მისი პატიოსანი გვამი ბოდბეში (კახეთი) დაფლეს. შემდგომ მის საფლავზე მირიან მეფემ წმ. გიორგის სახელობის ტაძარი ააგო (248, წ. I, გვ. 52).

პ

**პავლე** (13) – მღვდელი (დაახლ. IX ს.) (248, წ. II, გვ. 317).

**პავლე თებელი** (13) – ღირსი პავლე ეგვიპტის ქალაქ თებაიდაში დაიბადა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მთის ძირში ერთ გამოქვაბულში დამკვიდრდა და ოთხმოცდაცამეტი წელი დაჰყო. საკვებს, ფინიკებსა და პურს, ყვავი უზიდავდა. ნეტარი მამა უფლის თვალში ანტონი დიდზე უფრო მეტი ღვაწლმოსილი იყო. ღირსი პავლე მუხლმოყრილი აღესრულა 341 წელს ას ცამეტი წლის ასაკში. მის გარდაცვალებას ანტონი დიდი ესწრებოდა და ხედავდა, თუ როგორ მაღლდებოდა მისი სული ზეცად ანგელოზების, წინასწარმეტყველებისა და მოციქულების თანხლებით. უდაბნოდან გამოსულმა ორმა ღომმა წმიდანს თათებით გაუთხარა სამარე. XII ს-ში იმპერატორ მანუელის (1143-1180) ბრძანებით, წმინდანის უხრწნელი ნაწილები კონსტანტინეპოლში გადააბრძანეს, შემდეგ ვენეციაში, აქედან კი – უნგრეთში. ღირსი პავლეს პატიოსანი თავის ნაწილი რომშია დაცული (248, წ. I, გვ. 58).

**პანაბუშნასპ** (2) – ძეგლის მიხედვით, წარმოშობით სპარსი (VI ს.), ჯერ ეზიარა ქრისტიანობას, ხოლო შემდეგ უარყო.

**პროზაპ** (2) – ძეგლის მიხედვით, წარმოშობით სპარსი, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა (VI ს.).

**პეტრე** (13) – ოპიზის მონასტრის მაშენებელი (248, წ. II, გვ. 316).

ს

**საბა** (12) – წმ. საბა იშხნელი, წმ. გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილი და მისი ერთ-ერთი თანამზრახველი (დაახლ. VIII-IX სს.). მან ნერსე კათალიკოსის მიერ იშხანში აშენებული და შემდეგ უპატრონობით დანგრეული ეკლესია აღადგინა და მისი ეპისკოპოსი გახდა (248, წ. II, გვ. 315).

**საბა** (8, 13) – განწმენდილის სახელით ცნობილი, დაიბადა კაბადოკიაში, კეთილმსახური ქრისტიანების, იოანესა და სოფიას, ოჯახში. უფალზე შეყვარებული რვა წლის საბა ფლაბიანოსის მონასტერს შეეხიზნა. ათი წლის შემდეგ იერუსალიმში წავიდა, ხოლო შემდეგ ექვთიმე დიდის ლავრას მიაშურა. წინამძღვრის, თეოქსისტეს, გარდაცვალების შემდეგ წმ. საბა სავანის მახლობლად, გამოქვაბულში დამკვიდრდა. კვირაში ხუთი დღე არაფერს ჭამდა, გამუდმებით ლოცულობდა და შრო-



მოხდა. ღირსი ექვთიმეს გარდაცვალების შემდეგ, წმ. საბა ნეტარი გერასიმეს საგანის სიახლოვეს დამკვიდრდა და „გამობრწყინდა, ვითარცა მთიები, იორდანეს უდაბნოს“. უფლის ბრწყინვალე ანგელოზის რჩევით წმიდანი სილოანის ხევთან მდებარე გამოქვაბულში დამკვიდრდა, სადაც დიდი ლავრა დააარსა და შექმნა პირველი წესგანგება, „იერუსალიმის“ სახელით ცნობილი. ამის გარდა კიდევ ექვსი საგანე დააარსა. ადასრულებდა მრავალ სასწაულს: მისი ღოცვით უდაბნოში წყარო აღმოცენდა და გვალვის დროს წვიმა გარდამოდოდა, მრავალი სნეული და ეშმაკეული განკურნა... ნეტარ მამას მხეცებიც უდრტვინველად ემორჩილებოდნენ. წმ. მამამ 532 წ. 25 დეკემბერს მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს (248, წ. I, გვ. 504).

**სამოელო (1)** – ეპისკოპოსი V ს. 70-80-იან წლებში. წარმოშობით ბერძენი. ვახტანგ გორგასალმა იგი ბიზანტიიდან მოიწვია სხვა ეპისკოპოსებთან ერთად. ჯერ ქართლის ეპისკოპოსი იყო, შემდეგ კათალიკოსი. სამოელი პირადად იცნობდა შუშანიკს და თანაუგრძნობდა მას (196, ტ. IX, გვ. 19).

**სამოელო (2)** – ქართლის კათალიკოსი V ს. შუა წლებიდან – VI ს. 70-იან წლებამდე. სამოელს მოუნათლავს სპარსი ცეცხლთაყვანისმცემელი ევსტათი, რომელიც დაახლოებით 550 წელს აწამეს. მანამდე სამოელ კათალიკოსმა, სხვა მთავრებთან ერთად, ქართლის მარზპანს, არვანდ გუშნასპს, სოხოვა ქრისტიანობის მიღებისათვის დაპატიმრებული ევსტათის ციხიდან გათავისუფლება. სამოელს ევსტათი მცხეთის საკათედრო ტაძარში დაუკრძალავს (196, ტ. IX, გვ. 20).

**სამოელო (3)** – ქართლის კათალიკოსი (780-790 წ.წ.). სამოელს აღძვრია სურვილი, რათა დაწერილიყო „წმ. აბოს მარტვილობა“. ამ საქმეს, კათალიკოსის რწმენით, იოანე საბანისძეზე უკეთ ვერავენ შეასრულებდა და ხსართან მღვდლის ხელით გაუზავნა იოანეს ეპისტოლე. იოანეს, თანახმად ეპისტოლისა, დაუწერია შეკვეთილი თხზულება და გაუზავნია სამოელისათვის (196, ტ. IX, გვ. 20).

**სამოელო (12)** – ძეგლის მიხედვით, ოპიზის მონასტრის ყოფილი წინამძღვარი.

**საჰაპი (7)** – ძეგლის მიხედვით, მღვდელი (დაახლ. IV ს.).

**სერაპიონ ზარზმელი (13)** – IX ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ზარზმის მონასტრის დამაარსებელი და პირველი წინამძღვარი (აქედან მიიღო ზედწოდება ზარზმელი). სერაპიონი წარმოშობით სამხრეთ საქართველოდან, კლარჯეთიდან იყო. ადრე დაობლდა. როცა წამოიზარდა, მიატოვა სახლი და პარეხის მონასტერში დაემკვიდრა, დაემოწაფა მიქაელ პარეხელს. პარეხში სერაპიონ ზარზმელმა ბრწყინვალე საეკლესიო განათლება მიიღო, შემდეგ მიქაელის დავალებით გაემგზავრა სამცხეში თავის ძმასთან იოანესთან და ოთხ სხვა თანამოღვაწესთან ერთად. იქ დააარსა ზარზმის

მონასტერი – შემდგომ ქართლში კულტურის მნიშვნელოვანი კერა, სადაც ღრმა მოხუცებულობამდე მოღვაწეობდა და სადაც არის დაკრძალული (248, წ. II, გვ. 375).

**სოფრონ დიდი** (12) – შატბერდის ეკლესიის განმაახლებელი. ცნობილი საეკლესიო მწერალი. სამწუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია მისმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ. გიორგი მერჩულე მას იმ ბრძენ და სრულ მამათა რიცხვს მიაკუთვნებს, რომელთაგან ელოდა იგი „ცხოვრებისა ამის დაწერად“ (248, წ. II, გვ. 319).

**სტეფანე** (2) – ძეგლის მიხედვით, ქრისტიანობის ჭეშმარიტი დამცველი (VI ს.). იგი წმ. ევსტათისთან ერთად თბილისში წაიყვანეს და ვეჟან ბუზშირს წარუდგინეს. გაირკვა, რომ პატიმარი მთელი თავისი ოჯახით: მამით, დედით, ძმებითა და დებით ქრისტიანი იყო, რის შემდეგაც სტეფანე გაათავისუფლეს.

**სტეფანე მტკვარძი** (5, 12) – IX ს. გასულისა და X ს. I მეოთხედის საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, ტბეთის ეპისკოპოსი, განსწავლული თეოლოგი და მწიგნობარი. სტეფანეს კალამს ეკუთვნის აგიოგრაფიული თხზულება „წამებად წმიდისა მოწამისა გობრონისი“, რომელიც დაწერა ერისთავთერისთავის აშოტ კუხის თხოვნით (248, წ. II, გვ. 315).

**სვიმეონ მისვეტი** (8) – (521-596 წ.წ.) დაიბადა ანტიოქიაში, ღვთისმშობლის ქრისტიანების, იოანესა და მართას ოჯახში. მისი დაბადება და ღვთის სამსახურში ჩადგომა იოანე ნათლისმცემლის გამოცხადებით წინასწარ ეუწყა დედას. ორი წლის იყო, როცა მონათლეს. ექვსი წლის სვიმეონი უდაბნოში გავიდა და გარკვეული ხანი მარტოობაში გაატარა, შემდეგ კი ნათელმოსილმა ანგელოზმა განმარტოებულ მონასტერში მიიყვანა, რომლის წინამძღვარი, ამა იოანე, სვეტზე იყო დაყუდებული. გავიდა ხანი და წმ. სვიმეონმა იოანეს სვეტზე ასვლის ნებართვა სთხოვა. წინამძღვრის კურთხევით მონასტრის ძმებმა შორიახლოს ახალი სვეტი ააგეს. შემდეგ ამა იოანემ ბერად აღკვეცა შვიდი წლის წმიდანი და თვითონ აიყვანა სვეტზე. თერთმეტი წლის სვიმეონმა უფრო მაღალ სვეტზე ასვლა გადაწყვიტა. მასთან მივიდნენ ანტიოქიისა და სელევიის ეპისკოპოსები, დიაკვნად დაასხეს ხელი და უფლება მისცეს ორმოც საფეხურიან სვეტზე ასულიყო, სადაც რვა წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. წმ. სვიმეონი ღვთის მინიშნებით საკვირველ მთაზე ავიდა, ჯერ ქვაზე იდგა, შემდეგ კი უფლის გამოცხადების ადგილას აგებულ სვეტზე დაეყუდა. ღირს სვიმეონს წინასწარმეტყველის ნიჭიც მიემადლა. საკვირველმოქმედ მთაზე სვიმეონისაგან დაარსებულ მონასტერში სასწაულები აღესრულებოდა. 590 წელს ოცდაცხრამეტი წლის მოღვაწე სელევიის ეპისკოპოსმა, დიონისემ, მღვდლად აკურთხა. წმ. სვიმეონის სულიერი შვილი იყო ღირსი იოანე ზედაზნელი. სწორედ მისი კურთ-

ხვეით ჩამოვიდა საქართველოში ცამეტი ასურელი მამა. სვიმეონმა სვეტზე სამოცდარვა წელი გაატარა (248, წ. I, გვ. 439).

**ტ**

**ტირიჭანი (7)** – ღმრთისმსახური ცოლ-ქმრის ვარდანისა და თაგინეს ვაჟი. აღესრულა ბიძის, თევდოსის, ბრძანებით (დაახლ. IV ს.). მღევრებმა იგი სოფელ დივრში მოკლეს. დივრის მთავარმა წაასვენა წმ. ტირიჭანის ნაწილები და მისი სახელობის ტაძარი ააშენა (248, წ. I, გვ. 424).

**ფ**

**ფებრონია (12)** – მერის დედათა მონასტრის მონაზონი (დაახლ. VIII-IX სს.), წმ. გრიგოლის სულიერი მეგობარი. დედა ფებრონიას გამორჩეულ პიროვნულ ღირსებებს დიდად აფასებდნენ წმ. გრიგოლი და მისი თანამდგომნი, მის უკითხავად მნიშვნელოვან საეკლესიო საკითხებს არ წყვეტდნენ. დედა ფებრონიას წინაშე მეფე აშოტ კურაპალატიც კი უძღური აღმოჩნდა. იგი ნუგეშს აძლევს ადარნერსე კურაპალატის სიძვის დიაცს. მიწიერმა, წმინდა ამქვეყნიურმა ადამიანურმა საწყისმა შეძლებინა მკაცრ ფებრონიას, წმ. გრიგოლისაგან ცოდვებშიუტევებელი ქალი მერეში დაეტოვებინა და სიკვდილის შემდეგ უცოდველ ბერ-მონაზონთა საფლავების გვერდით დაეკრძალა (248, წ. II, გვ. 320).

**ქ**

**ქრისტეშორე (12)** – იხ. თევდორე.

**ქურღია (13)** – ძეგლის მიხედვით, ზანავის ეკლესიის პირველი მაშენებელი.

**შ**

**შიო მღვიმელი (9, 11)** – საეკლესიო მოღვაწე, ერთ-ერთი ასურელი მამა. შიომღვიმის მონასტრის დამაარსებელი. დაიბადა ანტიოქიაში. ოცი წლისა განთქმული მეუღაბნოსი, იოანე ზედაზნელის მოწაფე გახდა, თავისი ქონება გლახაკებსა და მონასტრებს დაურიგა და ბერად აღიკვეცა. VI ს. შუა წლებში იოანეს ჩამოჰყვა საქართველოში. ოთხი წლის შემდეგ გამოეყო ძმობის წევრებს და სარკინეს მთაზე დააარსა შიომღვიმის მონასტერი. თავდაპირველად შიო მღვიმელი ცხოვრობდა მცირე გამოქვაბულში, რომელიც დაახლოებით IX ს. ეკლესიად უქცევიათ. მონასტერი შიო მღვიმელის დროსვე იქცა მსხვილ ორგანიზაციად. მისივე ინიციატივით აქ ააგეს პირველი ეკლესია იოანე ნათლისმცემლის სახელობისა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები შიო მღვიმელმა განმარტოებით გაატარა თორმეტი მეტრი სიღრმის მღვიმეში (აქედან მიიღო ეს ზედწოდება „მღვიმელი“). ანდერძის თანახმად, იგი იქვე დაკრძალეს (248, წ. I, გვ. 392).

**შიო საკვირველთმოქმედი** (13) – ბასილი ზარზმელის „წმ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით, წმ. მიქელ პარესელის მოძღვარი იყო (248, წ. II, გვ. 319).

**შუშანიკი** (1) – ქვემო ქართლის პიტიახშის, ვარსქენის, მეუღლე (V ს. II ნახევარი), სომეხი მხედართმთავრის, ვარდან მამიკონიანის, ასული. როდესაც საქართველოში ირანის პოლიტიკის გამტარებელმა ვარსქენმა უარყო ქრისტიანობა და ცეცხლ-თაყვანისმცემლობა მიიღო, შუშანიკი გაემიჯნა ქმარს. ვარსქენმა ის საპყრობილეში ჩასვა და უღმობლად ტანჯა და გეგმა იგი. შუშანიკი ციხეში გარდაიცვალა წამების მეშვიდე წელს. ქრისტიანობისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის წამებული შუშანიკი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა (248, წ. II, გვ. 184).

**ც**

**ცხრა ძმა კოლაელები:** *ადარნასე, ბარძიმ, ბაქარ, გუარამ, დანი, ვახე, რამაზ, ფარსმან, ჯუანშერ.* ისინი მღ. მტკვრის სათავეში მდებარე სოფელ კოლაში ცხოვრობდნენ და წარმართული წესებით იზრდებოდნენ. ქრისტიანთა და წარმართთა ბავშვები ერთად თამაშობდნენ. ერთ დღეს ყრმებმა გადაწყვიტეს და სიხარულით აღუთქვეს ქრისტიანებს, რომ მოინათლებოდნენ და ასეც მოიქცნენ, რისთვისაც გაკერპებულმა მშობლებმა შვილები ქვებით ჩაქოლეს (248, წ. I, გვ. 188).

**ხ**

**ხარლამპი/ხარალამპისი** – თესალიის ქალაქ მაგნეზიის (საბერძნეთი) ეპისკოპოსი, ქრისტეს სიტყვის მხურვალე მქადაგებელი იყო. იგი მრავალ შეცდომილ სულს მოაქცევდა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. ოლქის მმართველის, ლუკიანესა და მხედართმთავარ ლუკიუსის ბრძანებით სამსჯავროზე წარდგენილმა წმ. ხარლამპიმ მტკიცედ აღიარა ქრისტე და კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვაზე უარი განაცხადა, რისთვისაც 113 წელს ნეტარი მამა სასტიკად აწამეს (248, წ. I, გვ. 149).

**ხუედიოსი** (12) – „კაცი მართალი და წმიდა“, დაყუდებული ხანძთელი ბერი, რომელიც წმ. გრიგოლს დახვდა ხანძთაში (დაახლ. VIII-IX სს.) (248, წ. II, გვ. 317).

### ღანართი III

#### აბიობრაჟიული ეპიკების ბიბლიური პერსონაჟები

ა

**აბელი** (3, 5) – ადამისა და ევას მეორე ვაჟი, მწყემსი. უფროსმა ძმამ, კაენმა, მოშურნეობით მოკლა, რადგან ღვთისმოსავი აბელი გამორჩეულად უყვარდა ღმერთს. იუდაისტური და ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, აბელი თვინიერი და უდანაშაულო მსხვერპლის ზოგადი სახეა (33, ტ. I, გვ. 7).

**აბრაამი(//აბრაჰამი)** (2, 3, 5, 8, 12) – ებრაელთა მამამთავარი. ბიბლიური ტრადიცია აბრაამის სამშობლოდ მიიჩნევს ურს, საიდანაც იგი ახლობლებს ქ. ხარანში გადაუყვანიათ. აბრაამმა პირველმა აღიარა ერთღმერთიანობა, რის გამოც, წარმართი თანამემამულენი სდევნიდნენ. მან დატოვა სამშობლო და უფლის „აღთქმულ ქვეყანაში“ – ქანაანში (პალესტინა) გადასახლდა. იცოცხლა 175 წელი. ყურანში აბრაამი (იბრაჰიმი) მიჩნეულია ებრაელთა და არაბთა საერთო წინაპრად, მაჰმადის ერთ-ერთ წინამორბედად (33, ტ. I, გვ. 7).

**აბარი** (12) – აბრაამის ეგვიპტელი მხევალი, რომელიც აბრაამს თავისმა ცოლმა სარამ აურჩია. აგარი დაორსულდა და უშიგლო სარას თავგასულად ექცეოდა, რის გამოც, სარამ სახლიდან გააგდო. უდაბნოში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე აგარს ჩაეძინა, ჭასთან უფლის ანგელოზი გამოეცხადა და სარასადმი მორჩილება ურჩია. ასეც მოიქცა. მას შეეძინა ძე, ისმაელი. აგარის შვილის შთამომავლებს ისმაელელებს უწოდებენ (32, 301).

**ადამი** (5, 8, 12) – ადამიანთა მოდემის წინაპარი. ძველი აღთქმის მიხედვით, ღმერთმა სამყაროს შექმნა მეექვსე დღეს დაასრულა იმით, რომ ადამი შექმნა თიხისაგან „ხატისაებრ თვისისა“, სიცოცხლის სული შთაბერა და საბრძანებლად დაუმკვიდრა დედამიწა და ყოველი სულიერი (33, ტ. I, გვ. 8).

**ანა წინასწარმეტყველი** (8, 12) – ფანოელის ასული, ასერის ტომიდან იყო. „ესე გარდასრულ იყო დღეთა მრავალთა და ცხოვრებულ იყო ქმრისა თანა შუღ წელს სიქალწულითგან თვისით. და ესე იყო ქურივ ვითარცა ოთხმეოც და ოთხი წლის, რომელი არა განემორა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა დღე-ღამე“. უფლის ნებით, „ესე მასვე ჟამსა მოიწია“, ჩვილში შეიცნო მაცხოვარი და გამოხსნის მოლოდინით მცხოვრებ იერუსალიმელებს ახარებდა მის განკაცებას (248, წ. I, გვ. 130).

**არონი(//აჰრონი)** (3, 13) – მოსეს უფროსი ძმა და თანამდგომი, ძველ ებრაელთა პირველი უზენაესი ქურუმი (გამ. 5, 20).

**აძაბი** (5) – ყომრის ძე, ისრაელის მეფე, წარმართი, უსჯულო იეზაბელის ქმარი (III მეფ. 20, 2).

**ბ**

**ბუსელიელი** (13) – ხუროთმოძღვარი. მან, მოსეს ბრძანებით, მონაწილეობა მიიღო მოძრავი ტაძრის აგებაში (გამ. 31, 2).

**ბ**

**ბეღეონი** (13) – იგივე იერობაად, აბიეზრელი იოაშის ვაჟი (მსაჯ. 6, 11). უფლის ბრძანებითა და თანადგომით გედეონმა ისრაელი მიდიანის დაპყრობისაგან იხსნა მას შემდეგ, რაც უფალმა საწმისზე სასწაული მოახდინა.

**ბრიგოლ საკვირველმოქმედი** (13) – ნეოკესარიელი ეპისკოპოსი (ნათლილებამდე – თეოდორე) ქალაქ ნეოკესარიაში (მცირე აზიის ჩრდილოეთი) წარმართულ ოჯახში დაიბადა. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო, შემდეგ კი ძმასთან, ათინოდორესთან, ერთად ბირითში გაემგზავრა, რომ იქაურ სამართლისმცოდნეობის ცნობილ სკოლაში დაესრულებინა სწავლა. გზად ჭაბუკებმა კესარიაში გაიარეს. იქ იმუამად ალექსანდრიის სასწავლებლის დიდი მოძღვარი, ხუცესი ორიგენე, ასწავლიდა ფილოსოფიას, რომლისგანაც ყმაწვილებმა ცისა და ქვეყნის შემოქმედი უფალი ირწმუნეს და მოინათლნენ. ნეოკესარიაში დაბრუნებულმა გრიგოლმა უარი თქვა საერო მოღვაწეობაზე და უდაბნოში გავიდა. აქ ნეტარმა გამუდმებული მარხვითა და ღოცვით სრულყოფილების მაღალ საფეხურს მიაღწია და განჭვრეტისა და წინასწარმეტყველების მაღლი მოიგო. პატივს მორიდებული წმ. გრიგოლი კაბადოკიის ქალაქ ამასიის ეპისკოპოსმა, ფედიმმა, დაუსწრებლად დაადგინა ნეოკესარიელ მღვდელმთავრად და უფალს შესთხოვა, ამგვარი უჩვეულო ქიროტონიის კურთხევა. მრავალი სასწაული აღაველინა წმიდანმა. მისი ქადაგებები ქმედითი, ცოცხალი და ნაყოფიერი იყო. დევნის შემდეგ წმ. გრიგოლი ნეოკესარიაში დაბრუნდა. მისი კურთხევით დადგინდა საეკლესიო დღესასწაულები ქრისტესთვის აღსრულებულ მოწამეთა მოსახსენიებლად. ნეტარი მამა დაახლოებით 266-270 წ.წ. მიიცვალა (248, წ. II, გვ. 440).

**დ**

**დავით წინასწარმეტყველი** (1, 2, 3, 5, 7, 12, 13) – (ძვ. წ. X ს. მიწურული, – დაახლ. ძვ.წ. 950), იუდაველთა და ისრაელთა გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელი და პირველი მეფე, ბეთლემელი ისაიას (იესე) ძე. წმინდა წიგნის მიხედვით, დავითი მწყემსი ყოფილა, ფილისტიმელთა გოლიათი დაუმარცხებია და, ჯერ კიდევ ჭაბუკი, მხედარ-

მთავრად დაუნიშნავს მეფე სავლეს (საული) და თავისი ქალიც მიუთხოვებია. შემდეგ კი დავითის პოპულარობას შეუშინებია და დევნა დაუწყია. როცა სავლე დაიღუპა, დავითი ქებრონში მოიხმეს და იუდეველთა მეფედ აირჩიეს. დავითმა დაიმორჩილა ფილისტიმელები, მოაბელები, ედომელები, ამონელები. მის გამგებლობაში მოექცა სირიის მნიშვნელოვანი ნაწილიც. დავითმა გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქად იუდეველთა და ისრაელთა საზღვარზე მდებარე ქალაქი იერუსალიმი აირჩია და რელიგიურ ცენტრად გამოაცხადა. ამ მიზნით „კიდობანი იგი შჯულისად“ გადმოსვენეს. დავითის ჯარი სახელმწიფოს ძლიერების დასაყრდენი ჯარი იყო. ქვეყნის სახელმწიფო გამგებლობა მან ეგვიპტურ ყაიდაზე გარდაქმნა. დავითის მიერ დაარსებულმა დინასტიამ ძვ.წ. 586 წლამდე იმეფა. თავის შვილს, სოლომონს, მან დაუტოვა სახელმწიფო, რომლის საზღვრებიც დამასკოდან ეგვიპტემდე და ხმელთაშუა ზღვიდან მდ. იორდანეს აღმოსავლეთით მდებარე მიწებამდე იყო გადაჭიმული. რელიგიური ტრადიცია დავითს მიაწერს ფსალმუნის (ქართ. დავითნი) შექმნას (33, წ. I, 102).

**ღანიელი** (5, 8, 9, 10, 12) – ერთ-ერთი წინასწარმეტყველი. ნაბუქოდონოსორ II მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ დანიელი ბაბილონში გადასახლებულ ტყვეთა შორის ყოფილა. ბაბილონეთის მეფის ბრძანებით იქ სხვა წარჩინებულ და ნიჭიერ ჭაბუკებთან ერთად იზრდებოდა მეფის კარზე. დანიელს თავი გამოუჩენია როგორც ბრძენ წინასწარმეტყველსა და სიზმრების ამხსნელს, რის გამოც სამეფო კარზე დაუწინაურებიათ. მოგვიანებით, მოშურნეების დაბეზღებით, სპარსეთის მეფეს იგი ლომებით სავსე ხაროში ჩაუგდია, მაგრამ რაღაც სასწაულით გადარჩენილა. წმინდა წიგნში დანიელის სახელითაა ცნობილი სამნაწილიანი წიგნი – „წინასწარმეტყველება დანიელისა“ (248, წ. II, გვ. 538).

**ე**

**ევა** (5) – ადამიანთა მოდგმის წინაპრის, ადამის, ცოლი, პირველი ქალი და „ყველა სულიერის დედა“. ძველი აღთქმის მიხედვით, ღმერთმა ევა შექმნა ადამის ნეკნიდან და ადამთან ერთად ედემში დაასახლა. აქ ევა გველმა შეაცდინა და აკრძალული ხის „ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ ნაყოფი იგემა და ადამსაც შეაჭამა. განრისხებულმა ღმერთმა ადამი და ევა სამოთხიდან განდევნა და სამუდამოდ დასწყევლა ადამიანთა მოდგმა. ევას სახელთან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა და თქმულება, რაც აპოკრიფულ და წმინდა წიგნის შემდგომ იუდაისტურ ლიტერატურაში გვხვდება (33, ტ. I, გვ. 10).

**ელია** (3, 5, 8, 9, 10, 12, 13) – ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი. ლევიტელთა ტომიდან აღმოცენდა ქრისტეს შობამდე 900-ზე მეტი წლის წინ. ნეტარის ზედწოდება

– თეზბიტელი, მისი მშობლიური ქალაქის, თეზბას, სახელიდან მომდინარეობს (ეს ქალაქი, ერთი ვარაუდით, გალილეაში მდებარეობდა, სხვა მოსაზრებით კი – მდინარე იორდანის მახლობლად, გალაადის ქვეყანაში). ეპიფანე კვიპრელის ცნობით, როცა ელია დაიბადა, მისმა მამამ იდუმალი ჩვენება იხილა: კეთილსახიერი ჭაბუკები ცეცხლის აღში ხვევდნენ ახალშობილს და ცეცხლს აჭმევდნენ. ელიამ სიყრმიდანვე ღმერთს უძღვნა თავი, უდაბნოში განმარტოვდა და მკაცრი ცხოვრებით ცხოვრობდა. მან ამხილა აქაბისა და იეზაბელის უსჯულოება. იეზაბელის რისხვას გარიდებული ელია, ღვთის რჩევით, მდ. იორდანის ახლოს დამკვიდრდა, სადაც ყორნები უზიდავდნენ საკვებს. ელიას სასწაულებრივი ძალა ყველას აკვირებდა. იეზაბელი მის დასჯას მოითხოვდა. ღვთის ნებით, დაუცხრომელი მოშურნეობით აღსავსე ელია ცეცხლოვანი ეტლებითა და ჰუნებით ზეცად ცოცხლად აიტაცეს. თავისი ხალენი კი მან ელისე წინასწარმეტყველს გადმოუგდო. საეკლესიო გადმოცემით, ელიას ხალენი საქართველოშია დაფლული, სვეტიცხოვლის ტაძარში, წმ. ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკვდერში (248, წ. II, გვ. 63).

**ელიაბ** (13) – ღვთის წინასწარმეტყველის ძმა (I მეფ. 16, 6).

**ელისე** (8) – ერთ-ერთი წინასწარმეტყველი (IX ს. ქრისტეს შობამდე). იგი წინასწარმეტყველ ელია თეზბიტელის მოწაფე და მემკვიდრე იყო. მსახურებისათვის ღმერთმა მას სიყრმის ასაკშივე მოუწოდა. ერთხელ ელია მინდორში მომუშავე ელისეს მიუახლოვდა და თავისი ხალენი მოახურა, რაც მის წინასწარმეტყველად მოწოდებას ნიშნავდა. როცა ელიას ზეცად აღტაცების დრო მოვიდა, წინასწარმეტყველმა დაკეცა ხალენი, ორდანეს დაჰკრა და როცა წყალი გაიპო, მოწაფესთან ერთად შიგ გავიდა. ზეცად აღტაცებულმა ელია წინასწარმეტყველმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი ხალენი მოწაფეს გადაუგდო. ელისე წინასწარმეტყველი სამოცდახუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა ისრაელის მეფეების, აქაბისა და იოსიას, დროს. წმ. ელისე მრავალ სასწაულს ახდენდა. იგი დაახლოებით ასი წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი საფლავი, ნეტარი იერონიმეს აზრით, სამარიის მახლობლად მდებარეობდა (248, წ. I, გვ. 492).

**ენუში** (13) – ადამის მესამე ვაჟის, სეითის, შვილი, შემდგომში წინასწარმეტყველი. ის წმინდა ცხოვრებისათვის ცოცხლად იქნა აღტაცებული ზეცას (დაბ. 4, 17).

**ესაია** (5, 12) – ერთ-ერთი წინასწარმეტყველი (ძვ. წ. 770/760 – ძვ. წ. 687/642). იგი სამეფო გვარის შთამომავალი, ძველებრავლთა პოლიტიკური მოღვაწე და რელიგიის რეფორმატორი იყო. ესაიამ იხილა უფალი „მჯდომარე საყდარსა ზედა და სავსე იყო სახლი დიდებითა მისითა“. ესაია მოწამეობრივი სიკვდილით გარდაიცვალა. მანასეს



მეფობის დროს ხის ფულუროში დამალული ესაია ხესთან ერთად შუაზე გაუხერხავთ. წმ. ესაიას სახელს უკავშირებენ ცნობილი ბიბლიური წიგნის „წინასწარმეტყველება ესაიასი“ – ებრაული ტექსტის ნაწილს. ესაია წინასწარმეტყველის წიგნი ადრევეა თარგმნილი ქართულ ენაზე, მოიპოვება „ომკის ბიბლიაში“ (248, წ. I, გვ. 399).

**ზ**

**ზაქარია (3)** – ათორმეტი მცირე წინასწარმეტყველთაგანი. იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როცა უფალმა საწინასწარმეტყველო მსახურებისაკენ მოუწოდა და არაამქვეყნიური სახილველების ჭვრეტის ღირსი გახადა. სწორედ ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნშია გაცხადებული მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი მოვლენები. გადმოცემის მიხედვით, ღვთის მადლის რჩეულმა ჭურჭელმა, ზაქარიამ, ღრმა მოხუცებულობამდე იცხოვრა. წმიდანი იერუსალიმის მახლობლად დაკრძალეს. ზაქარია წინასწარმეტყველს „მანგლისმხილველი“ ეწოდება, რადგან მან ჩვენებით იხილა მანგალივით მოდრეკილი გრავნილი, რომელიც რისხვის მომასწავებლად ფრინავდა ჰაერში (248, წ. I, გვ. 145).

**ი**

**იაკობ მონციქული (1, 3, 7, 8, 10, 12, 13)** – ხორციელი ძმა უფლისა. იყო იოსებ დამწინდველის უფროსი ძე მისი პირველი ქორწინებიდან სოლომონიასთან. გადმოცემით, წმინდანი თან ახლდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, როცა იგი ჰეროდეს რისხვას განერიდა და ყრმა იესოსთან და იოსებთან ერთად ეგვიპტეში გაიქცა და შემდეგ მათთან ერთადვე დაბრუნდა იუდეაში. წმ. იაკობი მკაცრი ცხოვრებით ცხოვრობდა: არ ღებულობდა ღვინოსა და ხორციულს, თმებს არ იკვეცდა, ჯვალს სამოსელს ატარებდა, ღრმად ინახავდა ქალწულობას და ისეთი გულმოდგინე მლოცველი იყო, ხშირი მეტანიებისაგან კანი მუხლისთავეებზე აქლემის ტყავით გაუხუხმდა. ასეთი კეთილმსახური ცხოვრებისათვის მთელი ერი იაკობს მართალს ეძახდა. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ წმ. იაკობი იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი გახდა და დიდი პატივით სარგებლობდა როგორც ქრისტიანებს, ისე იუდეველებს შორის. ნეტარი მოწამეობრივად აღესრულა, ღვთის სიტყვის ქადაგებისათვის იერუსალიმის ტაძრის გუმბათიდან ჩამოაგდეს. ზოგი ცნობით, წმ. მონციქულის ნაწილები რომში, თორმეტი მონციქულის ტაძარში ინახება. ზოგი მათგანი 1853 წელს ალექსანდრიელ პატრიარქს, იეროთეოსს მოსკოვში გაუგზავნია. წმ. მონციქულ იაკობს ეკუთვნის ახალი აღთქმის წიგნებში ჩართული დიდი სამოძღვრო ძალის მქონე კათოლიკე ეპისტოლე. მასვე მიეწერება შექმნა საღვთო ლიტურგიის ტიპიკონისა, რომელიც საფუძვლად დაედო ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ლიტურგიებს (248, ტ. 2, გვ. 196).

**იუზაბელი** (5) – ციდონელთა მეფის, ეთბაყალის, ასულის; ისრაელის მეფის, აქაბის, წარმართი ცოლი. მან თავისი მეუღლე ბაალის სამსხვერპლოს აგებაზე დაიყოლია და ათასი უსჯულოება შესძინა ქალაქს (III მეფ. 21, 5).

**იერემია** (5) – ძველი აღთქმის ოთხ უდიდეს წინასწარმეტყველთაგან ერთ-ერთია. იყო ანათოთელი მღვდლის, ექელკისიას, შვილი. თხუთმეტი წლის იერემიას გამოცხადებით ეუწვა, რომ შობამდე იყო მოწოდებული წინასწარმეტყველად. შეშინებულ ყმაწვილს უფალმა თანადგომა და მფარველობა აღუთქვა. ოცდასამი წელი წინასწარმეტყველებდა, ქადაგებდა იერუსალიმის ტაძარში, ქალაქის კარიბჭესთან, მეფის სასახლეში, მოედანზე და სხვ. ამხელდა იუდეველებს ჭეშმარიტი ღვთისაგან განდგომისა და კერპთაყვანისმცემლობისათვის. იერუსალიმის დაცემის შემდეგ (ძვ.წ. 586) ეგვიპტეში წაიყვანეს და იქ გარდაიცვალა (248, წ. I, გვ. 373).

**იშხმ** (8) – ყობედის ვაჟი, დავით წინასწარმეტყველის მამა, ისრაელის მეფე (რუთ. 4, 17).

**იოზანა(//იოანე) ნათლისმცემელი** (4, 6, 10) – სახარების (მათე, მარკოზი) თანახმად, იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რომელმაც მესიის (ქრისტეს) მოსვლა იწინასწარმეტყველა. ცხოვრობდა უდაბნოში (ბაძაფა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს ილიას). „ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისაჲ წელთა მისა, ხოლო საზრდელად მისი იყო მკალი და თაფლი ველური“. ამხელდა საზოგადოების ბიწიერებას და მოუწოდებდა მონანიებისაკენ. მონათლა მრავალი ებრაელი, აგრეთვე, იესო ქრისტე მდ. იორდანეში. იოსებ ფლავიუსის (ახ. წ. I ს.) ცნობით, იოანე ნათლისმცემელი ჰეროდე I (I ს. I ნახ.) თანამედროვე იყო. ჰეროდემ თავისი საყვარლის, ეროდიას, საამებლად იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში ჩასვა, შემდეგ კი თავი მოჰკვეთა (33, ტ. I, გვ. 223).

**იოზი** (4, 5) – (დაახლ. 2000-1800 წ.წ. ქრისტემდე) ცხოვრობდა ჩრდილოეთ არაბეთში, ყუცის ქვეყანაში. არსებობს ვარაუდი, რომ იოზი აბრაამის ძის, ნაქორის ვაჟი იყო. ღვთისმოსიში და ღვთისმოსავი იოზი ღმერთმა აკურთხა და უამრავი სიძლიდრე მიჰმადლა. სამართლიანობისა და პატიოსნებისათვის წმ. იოზი საყოველთაო პატივით სარგებლობდა თანამოქალაქეებში. სატანა რომ დაერწმუნებინა უფალს იოზის უდიდეს მოთმინებაში, უფლება მისცა, სულის გარდა ყველაფერი წაერთმიათ მისთვის. მართალი იოზი განსაცდელშიც უფლის ერთგული დარჩა. ამგვარი მოთმინებისათვის ღმერთმა ხელახლა დააჯილდოვა იგი, სრულიად განიკურნა და უწინდელზე უფრო გამდიდრდა. ამის შემდეგ იოზმა კიდევ ას ორმოცი წელი იცოცხლა და ორას ორმოცდარვა წლისა გარდაიცვალა (248, წ. I, გვ. 384).

**იოანე(//იოანე მახარებელი)** (3, 8) – თავდაპირველად იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო, ხოლო შემდეგ ქრისტეს უსაყვარლესი მოწაფეთაგანი. წმ. იოანე მძინვარედ ქადაგებდა ქრისტეს წარმართებს შორის, რისთვისაც ნეტარს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ უფალმა დაიცვა თავისი რჩეული. ნეტარი მახარებელი თავის მოწაფესთან, პროხორესთან, ერთად უდაბურ მთაზე ავიდა და სამი დღე იმარხულა. მისი ლოცვის დროს მთა შეხანზარდა და საშინლად იქუხა. შეძრწუნებული პროხორე მიწაზე დაემხო. იოანემ წამოაყენა ნეტარი და უბრძანა, ჩაეწერა, რასაც მისგან გაიგონებდა. ასე დაიწერა დაახლოებით 67 წელს იოანეს გამოცხადება, ანუ აპოკალიფსი, რომელშიც ეკლესიისა და სამყაროს მომავალი და დასასრულია გაცხადებული. წმ. იოანე სიყვარულს უქადაგებდა ყველას. იგი ას წელს იყო გადაცილებული, როცა სასუფეველს შეერთო. გარდაცვალების შემდეგაც მრავალი სასწაული ხდებოდა მის საფლავთან. წმინდა ეკლესიამ ქრისტეს მოციქულთაგან მხოლოდ იოანეს მიაკუთვნა ზედწოდება „ღვთისმეტყველი“ (248, წ. II, გვ. 274).

**იოსებ** (2, 5, 7, 11) – იაკობისა და რახილის პირმშენიერი და საყვარელი ძე. იოსები მონად მიჰყიდეს ვაჭრებს, რომლებმაც იგი ეგვიპტეში წაიყვანეს. აქ იოსები ჯერ საპყრობილეში მოხვდა, მაგრამ ბოლოს ფარაონის კარზე აღზევდა და მამა და ძმები ეგვიპტეში მიიწვია. იოსების სიკვდილის შემდეგ ებრაელები ეგვიპტეში მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და მონობისაგან თავის დასაღწევად მოსეს წინამძღოლობით ქანაანში დაბრუნდნენ (32, 410).

**ისმაელი** (3, 13) – აბრაამისა და მისი მონა-ხარჭის, ეგვიპტელი აგარის ძე. მას შემდეგ, რაც აბრაამის ცოლს, სარას, ისააკი შეეძინა, მისი დაჟინებით აბრაამმა ისმაელი და დედამისი უდაბნოში განდევნა. ბიბლიის კომენტატორთა აზრით, ისმაელი არის ისრაელის ახლო მონათესავე არაბი (ბედუინები) ტომის წინაპარი. მუსულმანური ტრადიციით (ყურანი), ისმაელი წინასწარმეტყველი და მაჰმადის უშუალო წინამორბედი. უცოცხლია ას ოცდაათი წელი. ასვენია მექაში, ქაბის მახლობლად (დაბ. 16, 15).

**ისო ნავე** (13) – მართალი ისუ, ძე ნავესი, ებრაელთა ტომის ბელადი იყო მოსეს სიკვდილის შემდეგ. სწორედ მას ხვდა წილად უფლის რჩეული ერის შეყვანა აღთქმულ ქვეყანაში. ღმერთი ისუს მიერ მრავალ სასწაულს აღასრულებდა: ნეტარის წინამძღვრობით ებრაელებმა ისე გაიარეს მდ. იორდანეში, როგორც ხმელეთზე; იერიქონის კედლები, ქალაქის ირგვლივ, შვიდი დღის მანძილზე შჯულის კიდობნის შემოტარებით თავისით ჩამოიქცა; ბოლოს, გაბაონში, ქანაანელებთან ბრძოლისას, ისუს ბრძანებით „დადგა მზე საშუალსა ცისასა“ და მხოლოდ მაშინ ჩაესვენა, როცა მტერი საბოლოოდ დამარცხდა. ომის დამთავრების შემდეგ ისუ ნავემ აღთქმული

ქვეყანა ისრაელის თორმეტ ტომს დაუნაწილა და ას ათი წლის ასაკში მშვიდობით შეჰყვდრა სული უფალს (XVI ს. ქრისტეს შობამდე). სიკვდილის წინ მან ებრაელებს მოსეს სჯულის ერთგულება დაუბარა (248, წ. II, გვ. 198).

## ღ

**ლაზარე** (2, 13) – ძმა მართასი და მარიამისა. ქრისტეს მეგობარი. სწორედ ლაზარე აღადგინა ქრისტემ მკვდრეთით (33, ტ. I, გვ. 270).

**ლოთი** (5) – მართალი აბრაამ მამამთავრის ძმისწული. ქრისტეს შობამდე 2000 წლის წინ ცხოვრობდა (248, წ. II, გვ. 329).

## მ

**წმ. მარიამი** (2, 3, 4, 9) – ღვთისმშობელი, იოაკიმესა და ანას მოხუცებულობაში ღვთისგან ბოძებული შვილი. წმ. მარიამი, როცა სამი წელი შეუსრულდა, მშობლებმა, აღთქმისამებრ, იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს. აქ მას მღვდელმთავარი ზაქარია შეეგება. ყოვლადწმინდა მარიამი ტაძარში დამკვიდრდა. იგი გამუდმებით ლოცულობდა, გულმოდგინედ კითხულობდა წმინდა წერილს, ხელსაქმეობდა, ემსახურებოდა სნეულებს, განრღვეულებს, გლახაკებს... როცა ადრე დაობლებულმა მარიამმა სრულწლოვანებას მიაღწია, მან პირველმა დედათა შორის, თავი უფალს განუკუთვნა და, ღვთის მადლით, მაცხოვრის დედად შეიქმნა (33, ტ. I, გვ. 298).

**მარიამ მებვიპტელი** (13) – დაიბადა ეგვიპტეში, თორმეტი წლისა ალექსანდრიაში გაიქცა და იქ უწესო ცხოვრებას ეწეოდა. იგი ჯვართამაღლების დღესასწაულზე ეგვიპტიდან იერუსალიმში მიმავალ ხალხს გაჰყვა, რათა ცოდვებით დაცემისათვის მეტი ადამიანი ენახა. მარიამი სინანულში მას შემდეგ ჩავარდა, რაც ღვთის უხილავმა ძალამ ტაძარში შესვლისა და ჯვრის ნახვის უფლება არ მისცა. ღვთისმშობლის შემწეობით იხილა ცხოველსმყოფელი ჯვარი. სამადლობლად კვლავ ღვთისმშობლის ხატს მიაშურა. უცებ მოესმა ხმა: „თუ იორდანეს გადალახავ, ნეტარი აღსასრული მოგეღის“. ღვთისმშობლის შემწეობით შეძლო მარიამმა იორდანის გადალახვა და უდაბნოში ორმოცდაშვიდი წელი წმინდად ცხოვრობდა. ჩვიდმეტი წელი იერუსალიმიდან წამოდებული ორ-ნახევარი პურით იკვებებოდა, შემდეგ ფესვებითა და ბალახით. მას სამოსელიც არ ჰქონდა. წერა-კითხვა არ შეეძლო, მაგრამ ზებუნებრივი ძალით ზეპირად იცოდა წმინდა წერილი; ისე გადადიოდა მდ. იორდანეზე, როგორც ხმელეთზე. მარიამი უდაბნოში გარდაიცვალა. მის ტერფებს ლომი ლოკავდა. სწორედ ლომის დახმარებით შეძლო წმ. ზოსიმემ მიწის გათხრა და მეუდაბნოვე ქალის დამარხვა (248, წ. I, გვ. 283).

**მოსე** (2, 4, 5, 8, 12, 13) – წინასწარმეტყველი, ებრაელთა წინამძღვარი და სჯულისმდებელი, ლევიტელთა ტომის ჩამომავალი. იგი ეგვიპტეში დაიბადა მაშინ, როცა ტყვედ

წასხმული ისრაელები აქ მონობის უღელქვეშ იტანჯებოდნენ. ფარაონის ბრძანებით უნდა დაეხოცათ ებრაელთა ახალშობილი ვაჟიშვილები, რომ ერი არ გამრავლებულიყო. ამ ბრძანების შიშით მოსეს დედა სამი თვე მალავდა შვილს, შემდეგ კი გაფისულ კიდობანში ჩააწვინა და მდინარის პირას, ლერწმოვანში დატოვა. აქ ყრმა საბანაოდ ჩამოსულმა ფარაონის ასულმა იპოვა, შეეპოვა, იშვილა და მოსე დაარქვა, რაც წელიდან ამოყვანილს ნიშნავს. სიმამრის ცხვრის მწყემსვისას მოსემ იხილა აღმოღებულ მცველის ბუჩქი, რომელიც არ იწვოდა. ბუჩქს რომ მიუახლოვდა, მოესმა ბრძანება, რომ მოსეს უნდა გამოეყვანა ეგვიპტიდან ებრაელი ხალხი. უფალმა მას სასწაულთქმედების ძალა მისცა, რათა ყველა დარწმუნებულიყო, რომ ის ღვთისგან იყო გამოგზავნილი და შემწედ მისი ძმა, არონი დაუნიშნა. უფალმა მრავალი სასწაული აღასრულა თავისი რჩეულის მეშვეობით. ერთხელ მთაზე ამადლებულმა მოსემ, ორმოცი დღის მარხულობის შემდეგ, უფლისაგან მიიღო ქვის ორი ფილა, ზედ დაწერილი ათი მცნებით. ღმერთმა მას მისცა სხვა კანონებიც, რომელიც ძველი აღთქმის პირველ ხუთ წიგნშია შესული, და უბრძანა, აეშენებინა სამლოცველო კარავი ანუ მოძრავი ტაძარი; უფლისავე ბრძანებით მოსემ თავისი ძმა, არონი, მღვდელმთავრად დაადგინა, მისი შვილები – მღვდლებად, ლევის დანარჩენი შტამომავლობა კი – მოძრავი ტაძრის მსახურებად. სჯულის მიღებიდან მეორმოცე წელს მოსემ უფლის რჩეული ერი ქანაანის საზღვარზე მიიყვანა, თვითონ კი შორიდან შეხედა აღთქმულ ქვეყანას და ას ოცი წლისა მიიცვალა. მოსე წინასწარმეტყველის საფლავის ადგილსამყოფელი უცნობია (248, წ. II, გვ. 207).

6

**ნათანაელ(//პართლომე)** (8) – თორმეტ მოციქულთაგანი. მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლისას მას, მოციქულ ფილიპესთან ერთად, წილად ხვდა სახარების ქადაგება სირიასა და მცირე აზიაში. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ინდოეთში გაემართა, ებრაულიდან ადგილობრივ ენაზე თარგმნა მათეს სახარება და მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. სომხეთში მან ბოროტი სულისაგან განკურნა მეფის ასული, რისთვისაც მადლიერმა მეფემ, სხვებთან ერთად, ნათელ-იღო. გაბოროტებულმა მეფის ძმამ, ასტივიაგმა, ქალაქ ალბანში (დღევანდელი ბაქო) შეიპყრო წმ. მოციქული და თავდალმა გააკრა ჯვარზე. ნათანაელი კვლავ აგრძელებდა ქრისტეს ქადაგებას. ასტივიაგის ბრძანებით მას ტყავი გააძვრეს და თავი მოჰკვეთეს. მორწმუნეებმა წმინდანის ნეშტი ტყვიის ლუსკუმაში ჩაასვენეს და დამარხეს. 508 წელს მისი წმინდა ნაწილები მესოპოტამიიდან გადაასვენეს, იქიდან კი კონსტანტინეპოლში (248, წ. I, გვ. 345).

**ნოვამ(//ნოე მართალი)** (5, 8, 12) – წმიდა წერილის მიხედვით, ნოე განასახიერებს ღმრთისმოყვარე ადამიანს, რომელიც განეშორა სასჯელს და მიიღო ხსნა. იგი წარმო-

ადგენს ახალი კაცობრიობის სიმბოლოს, რითაც მოასწავებს ქრისტეს... წარღვნის დროს ნოე ჩანს როგორც მართალი. თავისი სიმართლის წყალობით, ის გადაურჩა დაღუპვას დასჯილ კაცობრიობასთან ერთად; მან შეარიგა ღმერთთან დედამიწა და მისი მცხოვრებნი. ეს შერიგება ვრცელდება ნოეს მთელ შტამომავლობაზე (33, ტ. I, გვ. 439).

**რ**

**რაქელი** (11) – ლაბანის უმცროსი ქალიშვილი, იაკობის საყვარელი ცოლი, რომლის გამოც იაკობმა ლაბანის კარზე ოცი წელიწადი იმუშავა. მას გვიან შეეძინა შვილები: იოსები და ბენიამინი. რაქელი ბენიამინის მშობიარობისას დაიღუპა (დაბ. 29, 16).

**პ**

**პავლე მოციქული** (1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9, 12, 13) – ისრაელიანი იყო, ბენიამინის ტომიდან, სჯულით ფარისეველი. ის კილიკიის ქალაქ ტარსუსში დაიბადა და რომის მოქალაქედ ითვლებოდა. მოციქულად მოწოდებამდე მას სავლეთი ერქვა. უფლის გამოცხადების შემდეგ სავლეთი მონათლა და მაცხოვრის რჩეული მოწაფეც გახდა. არაბეთიდან წმ. პავლემ იერუსალიმში ჩავიდა პეტრე, იაკობ და იოანე მოციქულებთან. წმ. პავლემ მრავალი ქვეყანა მოიარა და ყველგან ქადაგებდა ქრისტეს სჯულს. უფლის არც ერთ მოწაფეს არ დაუთმენია იმდენი ვნება, ტანჯვა და წვალება, რამდენიც წმ. პავლემ დაითმინა. იგი მტარვალეებმა კესარიასში შეიპყრეს, აქედან რომში გააგზავნეს და იმპერატორი ნერონის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. პავლემ მოციქულმა დაგვიტოვა თოთხმეტი ეპისტოლე, რომელიც „ახალი აღთქმის“ წიგნში შედის (248, წ. I, გვ. 536).

**პეტრე მოციქული** (9, 12) – იგივე სვიმეონი, გალილეელი მეთევზის, იონას ძე. განკაცებული უფლის გამოჩენა ძმამ, ანდრია პირველწოდებულმა, ახარა და მანვე მიიყვანა იგი იესოსთან. წმ. პეტრე უფლის საყვარელი მოწაფე გახდა. იგი მოწამებრივად აღესრულა რომის სისხლიანი იმპერატორის, ნერონის ზეობისას (248, წ. I, გვ. 538).

**ს**

**სამოელი** (5, 8, 12) – (XI ს. ქრისტეს შობამდე) ისრაელის მეთხუთმეტე და უკანასკნელი მსაჯული იყო ლევიტელთა ტომიდან. მისი დედა, ანა, დიდხანს იტანჯებოდა უშვილობის გამო. ბოლოს, უფალმა შეისმინა თავისი მხევლის მხურვალე ვედრება და ძე უბოძა, რომელსაც სამოელი – „გამოთხოვილი“ დაარქვეს. სამი წლის სამოელი მშობლებმა სელომში წაიყვანეს, სკინიაში და მღვდელმთავარ ელის მიაბარეს, რომელიც იმავდროულად, ისრაელის მსაჯულიც იყო. ელის გარდაცვალების შემდეგ ისრაელის მსაჯული სამოელი გახდა. სამოელმა იწინასწარმეტყველა, ღვთის რჩეული ერის დაცემა. პირველი მეფე, რომელიც აკურთხა წინასწარმეტყველმა, იყო საული. ღვთის ურჩობაში საულის მხილების შემდეგ კი დავითს სცხო მირონი. წმინდა წი-

ნასწარმეტყველი ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა. 406 წელს უფლის სათნო-  
ყოფელის ნაწილები იუდეიდან კოსტანტინეპოლში გადაასვენეს (248, წ. II, გვ. 264).

**სოლომონი** (13) – ისრაელის მეფე, დავით წინასწარმეტყველის ვაჟი, რომელიც  
ცნობილია თავისი სიბრძნით, შორსმჭვრეტელობითა და სამართლიანობით. იმეფა ძვ.  
წ. 1015 წლიდან 975 წლამდე. ტახტზე ასვლისთანავე სოლომონმა ღმერთს სიბრძნე  
გამოსთხოვა და უფალმა ისეთი სიბრძნით დააჯილდოვა, როგორც არავის ჰქონია  
მანამდე და არც შემდეგ. მოხუცებულობისას სოლომონი დიდ ცოდვაში ჩავარდა.  
ააშენა კერპების ტაძარი, სადაც ბოლო ღროს თვითონაც მონაწილეობდა. ამიტომ  
ღმერთმა დასაჯა იმით, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ისრაელის სამეფო ორად  
გაიყო: ისრაელისა და იუდას სამეფოდ. სოლომონმა წიგნებიც ბევრი დაწერა, სადაც  
კიდევ უფრო გამოიკვეთა მისი სიბრძნე. მნიშვნელოვანია ის, რომ მას აქვს  
მოთხრობილი მომავალ მაცხოვარზე, მის მოსვლაზე (32, 608).

**სტეფანე** (7) – პირველდიაკონი, პირველმოწამე. მრავალი ებრაელი მოაქცია ქრისტეს  
რჯულზე. იერუსალიმში, ქადაგების ღროს, პირი მისი იხილვებოდა „ვითარცა პირი  
ანგელოზისა“. წმინდანი იუდეველებს ადანაშაულებდა წინასწარმეტყველთა დევნასა  
და განკაცებული მესიის – იესო ქრისტეს მკვლელობაში, რისთვისაც ქალაქარეთ  
გაიყვანეს და ქვებით ჩაქოლეს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „უფალო, ნუ  
შეურაცხ ამათ ცოდვასა ამას“ (საქმე, 6, 7). წმ. სტეფანე მოწამეობრივად აღსრულებუ-  
ლი პირველი ქრისტიანი იყო. გარდაიცვალა ოცდაათი წლის ასაკში. 415 წელს მისი  
უხრწნელი ნაწილები იერუსალიმში, სიონის ტაძარში, დააბრძანეს (248, წ. II, გვ. 663).

**ტ**

**ტიმოთე** (2) – წმინდა მოციქული (96-97), დაიბადა მცირე აზიის ქალაქ ლუსტრაში.  
ქრისტეს სჯულზე წმ. მოციქულმა პავლემ მოაქცია 52 წელს. პავლე თავის ეპისტოლე-  
ებში საყვარელ შვილს უწოდებს მას. 65 წელს პავლე მოციქულმა ტიმოთე ეფესოს  
ეპისკოპოსად დანიშნა. წმ. ტიმოთე კერპმსახურებმა გვემეს და ქვებით ჩაქოლეს. ტიმო-  
თე მოციქულის უხრწნელი ნაწილები IV საუკუნეში პატივით გადაასვენეს კოსტანტი-  
ნეპოლში და წმინდა მოციქულთა სახელობის ტაძარში დააბრძანეს (248, ტ. 2, გვ. 302).

**ჰ**

**ჰეროდე** – მეოთხედ მთავარი გალილეაში. მას სურდა იესოს ნახვა. ეგონა, იესო  
იყო აღმდგარი იოანე ნათლისმცემელი. მან დაატყვევა და შემდეგ თავი მოჰკვეთა  
იოანე ნათლისმცემელს. სწორედ ჰეროდემ, ჯვარცმის წინ, დაჰკითხა მაცხოვარი და  
გაუგზავნა უკან პილატეს (33, ტ. II, გვ. 446).

## ბიბლიოგრაფია

1. აბესაძე, 1956 – ნ. აბესაძე, პირის (ადამიანის) სახელთა ბრუნება ძველსა და ახალ ქართულში (თეზისები): სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 129-130.
2. აბულაძე, 1943 – ი. აბულაძე, ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის („ღადონი“ და „პარეხნი“): საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, IV, თბ., 1943, გვ. 31-33.
3. აბულაძე, 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., „მეცნიერება“, 1973.
4. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევებით, ტფ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1935.
5. ანდრონიკაშვილი, 1987 – მ. ანდრონიკაშვილი, ირანული ტოპონიმიკური ელემენტები ზოგიერთ ქართულ დიალექტში: ონომასტიკა I, თბ., თსუ გამომც., 1987, გვ. 5-15.
6. ანდრონიკაშვილი, 1966 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. 1, თბ., თსუ გამომც., 1966.
7. ანდრონიკაშვილი, 1986 – მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. 2, თბ., თსუ გამომც., 1986.
8. ანტონი, 1885 – ანტონ კათალიკოსი, ქართული ღრამატიკა (შედგ. ანტონ კათალიკოსის მიერ), ტფ., ექვთიმე ხელაძის სტამბა, 1885.
9. არაბული, 2003 – ა. არაბული, ქართულ ეთნიკურ ტერმინთა წარმოების ზოგადი თავისებურება: ქუთაისური საუბრები, X, ქუთ., 2003.
10. არველაძე, 1994 – ბ. არველაძე, ვიდრე გვიან არ არის: გაზ. „ივერია ექსპრესი“, თბ., 1994, 2/III, გვ. 2.
11. არველაძე, 2002 – ბ. არველაძე, ლეონ მელიქსეთ-ბეგი, თბ., „დედაენა“, 2002.
12. ასათიანი, 1980 – ლ. ასათიანი, ქართული ჰიდრონიმების რიონისა და არაგვის ეტიმოლოგიების შესახებ: კრებ. „კავკასიის ონომასტიკა“, ორჯონიკიძე, 1980, გვ. 42-47.
13. აფრიდონიძე, 1977 – შ. აფრიდონიძე, რთული ტოპონიმების კომპონენტთა შესამებითი უნარისათვის: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1977, გვ. 82-88.



14. აფრიდონიძე, 1981 – შ. აფრიდონიძე, ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, IV, თბ., 1981 გვ. 55-60.
15. ახუაშივილი, 2005 – ი. ახუაშივილი, ქართული გვარ-სახელები, თბ., „მესხეთი“, 2005.
16. ბაბუნაშივილი, 1956 – ე. ბაბუნაშივილი, მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ურთიერთობისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 288-402.
17. ბაბუნაშივილი, 1957 – ე. ბაბუნაშივილი, ნაწილაკი ძველ ქართულში: თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957, გვ. 217-248.
18. ბარათაშივილი, 1961 – ი. ბარათაშივილი, საიდან წარმოსდგა? დასახლებული ადგილების ისტორიისათვის: გაზ. „თბილისი“, 1961, 13. X, გვ. 3.
19. ბარამიძე, 2001 – მ. ბარამიძე, ტაოს ქართული ტოპონიმია: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001, გვ. 26-27.
20. ბაქრაძე, 1987 – დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., „საბჭოთა აჭარა“, 1987.
21. ბედოშივილი, 1996 – გ. ბედოშივილი, ტოპონიმკური საუბრები: „სალიტერატურო გაზეთი“ (ნაკადულის), III, №4, თბ., 1996, გვ. 15.
22. ბედოშივილი, 2002 – გ. ბედოშივილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., ბაკურ სულაკაურის გამომც., 2002.
23. ბერიძე, 1980 – მ. ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის, ვახუშტის „აღწერის“ მიხედვით: ტოპონიმოკა II, თბ., 1980, გვ. 295-311.
24. ბერიძე, 1981 – მ. ბერიძე, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981.
25. ბერიძე, 1992 – მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმკური ანალიზი), თბ., თსუ გამომც., 1992.
26. ბერიძე, 2004 – მ. ბერიძე, მესხური ტოპონიმის სტრუქტურული და ისტორიული ანალიზის პრობლემები: დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004.
27. ბერძენიშივილი, 1975 – დ. ბერძენიშივილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, (საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული), ტ. 5, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1975.
28. ბერძენიშივილი, 1979 – დ. ბერძენიშივილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, თბ., „მეცნიერება“, 1979.

29. ბერძენიშვილი, 1985 – დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ზემო ქართლი, თბ., „მეცნიერება“, 1985.
30. ბერძენიშვილი, 1990 – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., „მეცნიერება“, 1990.
31. ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია, 1948 – ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., „სახელგამი“, 1948.
32. ბიბლია, თბ., საქართველოს საპატრიარქო, 1989.
33. ბიბლიის ლექსიკონი (შემდგენლები: ე. გიუნაშვილი, ზ. კალანდაძე). რედაქტორი – ზ. სარჯველაძე, ტ. 1-2, თბ., 2000.
34. გამრეკელი, 1958 – ვ. გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმის ანალიზისათვის: ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. I, თბ., 1958.
35. გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი: საქართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987.
36. გეორგიკა I (აღლ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1961.
37. გეხტმანი, გეხტმანი, ზარდალიშვილი, მესხი, 1965 – გ. ნ. გეხტმანი, ნ. ზ. გეხტმანი. გ. ი. ზარდალიშვილი, ე. პ. მესხი, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., „განათლება“, 1965.
38. გვასალია, 1976 – ჯ. გვასალია, არაგვის კარი (დარი-ალანი), თბ., 1976.
39. გვასალია, 1983 – აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., „მეცნიერება“, 1983.
40. გვენეტაძე, 1987 – ლ. გვენეტაძე, ტოპონიმთა ოდენსუფიქსური წარმოება ოკრიბის ტოპონიმის მიხედვით: ონომასტიკა I, თბ., თსუ გამომც., 1987, გვ. 50-60.
41. გიგინეიშვილი, 1986 – ივ. გიგინეიშვილი, მოსაგვარებელი საკითხები ადამიანის სახელთა ბრუნებისას: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., „მეცნიერება“, 1986, გვ. 75-86.
42. გიგინეიშვილი, 1972 – ივ. გიგინეიშვილი, უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემისათვის: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. I, თბ., 1972, გვ. 246-255.
43. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1 (გერმანული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა), თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1962.

44. გოგატიშვილი, 1981 – შ. გოგატიშვილი, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, I გამოც., თბ., თსუ გამომც., 1981.
45. გოგატიშვილი, 1989 – შ. გოგატიშვილი, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, II გამოც., თბ., თსუ გამომც., 1989.
46. გოდერძიშვილი, 1987 – ქ. გოდერძიშვილი, საკუთარი სახელის საკითხისათვის ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში: ონომასტიკა I, თბ., თსუ გამომც., 1987, გვ. 260-290.
47. გოდერძიშვილი, 1995 – ქ. გოდერძიშვილი, საკუთრივ ანთროპონიმი და მეტსახელი: ონომასტიკური ძიებანი, ახალციხე, 1995, გვ. 29-38.
48. გონიაშვილი, 1938 – თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ჰადიშის ძეგლებში: ენიმკის მოამბე, IV, თბ., 1938, გვ. 223-230.
49. დანელია, 1995 – კ. დანელია, წრფელობითის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXIII, თბ., 1995, გვ. 34-42.
50. ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, შეადგინა რაფიელ შამელაშვილმა, თბ., „განათლება“, 1975.
51. ერთელიშვილი, 1998 – ფ. ერთელიშვილი, ტოპონიმთა აღწერა-შესწავლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., თსუ გამომც., 1998, გვ. 40-53.
52. ვახუშტი, 1941 – ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., თსუ გამომც., 1941.
53. ვახუშტი, 1973 – ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973.
54. ვახუშტი, 1997 – ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., „მეცნიერება“, 1997.
55. ზარდალიშვილი, 1965 – გრ. ზარდალიშვილი, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., „განათლება“, 1965.
56. ზარდალიშვილი, 1974 – გრ. ზარდალიშვილი, ტოპონიმიკური ეტიუდები: ჟურნ. „ცისკარი“, №2, თბ., 1974, გვ. 129-133.
57. ზაქარაია, 1957 – პ. ზაქარაია, დარიალის ციხე, თბ., „სახელგამი“, 1957.

58. ზედგენიძე, 1972 – გ. ზედგენიძე, საქართველოს რამდენიმე პუნქტის ლოკალიზაციისათვის: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1972, გვ. 164-169.
59. ზურაბიშვილი, 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 127-159.
60. თანამედროვე ქართული ენის ნორმები, თბ., „მეცნიერება“, 2001.
61. თაყაიშვილი, 1946 – ე. თაყაიშვილი, თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე: გაზ. „კომუნისტი“, №105, 1946, გვ. 3.
62. თაყაიშვილი, 1960 – ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1960.
63. თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში (დღიურები): ენისკის მოამბე, XI, თბ., 1941.
64. თოფურია, 1956 – ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 286-289.
65. თოფურია, 1956 – ვ. თოფურია, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოების საკითხისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 32.
66. თოფურია, 1956 – ვ. თოფურია, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 234-238.
67. თოფურია, 1956 – ვ. თოფურია, წოდებითი ბრუნვისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 36-47.
68. თოფურია, 1965 – ვ. თოფურია, წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXXVIII: 2, 1965, გვ. 503-508.
69. თოფურია, გიგინეიშვილი, 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., „განათლება“, 1998.
70. თოფჩიშვილი, 1997 – რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1997.
71. თოფჩიშვილი, 2003 – რ. თოფჩიშვილი, ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წ. 1, თბ., „ენა და კულტურა“, 2003.
72. თოფჩიშვილი, 2005 – რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. 1, თბ., „ენა და ლიტერატურა“, 2005.

73. ითონიშვილი, 1989 – ვ. ითონიშვილი, არაგვი და არაგველები, თბ., „მეცნიერება“, 1989.
74. იმნაიშვილი, 1956 – ი. იმნაიშვილი, წრფელობითი ბრუნვის საკითხი საკუთარ სახელებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 59-75.
75. იმნაიშვილი, 1957 – ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., თსუ გამომც., 1957.
76. ინგოროყვა, 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1954.
77. ინგოროყვა, 1978 – პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტ. IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978.
78. იოვანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., „მეცნიერება“, 1986.
79. იოსელიანი, 1840 – პლ. იოსელიანი, პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა დრამატიკისა, თფ., 1840.
80. იოსელიანი, 1850 – პლ. იოსელიანი, საქართველოში ძველად არსებული და აწინდელი ქალაქები, თფ., 1850.
81. იოსელიანი, 1978 – პლ. იოსელიანი, თხზულებათა კრებული შვიდ ტომად, ტ. IV, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978.
82. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ (სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ), თბ., „მეცნიერება“, 1969.
83. კაკაბაძე, 1924 – ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები: საისტორიო მოამბე, II, ტფ. 1924, გვ. 1-107.
84. კაკაბაძე, 1928 – ს. კაკაბაძე, საისტორიო კრებული, წ. II, ტფ. 1928.
85. კეკელიძე, 1942 – კ. კეკელიძე, „წინაშე“, „თანა“, „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, №2-3, 1942, გვ. 66-71.
86. კეკელიძე, 1980 – კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., „მეცნიერება“, 1980.
87. კეკელიძე, 1986 – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 14, თბ., თსუ გამომც, 1986.
88. კეკელიძე, ბარამიძე, 1987 – კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., თსუ გამომც, 1987.

89. **კემულარია, 1998** – მ. კემულარია, ქვემო ქართლის ტოპონიმია (დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მიხედვით): დისერტაცია ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998.
90. **კიზირია, 1956** – ა. კიზირია, სახელობითისა და მოთხრობითის ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 262-373.
91. **კიკნაძე, 1998** – ი. კიკნაძე, გეოგრაფიული სახელწოდება მწერლის შემოქმედებაში (მასალა ეკ. გაბაშვილის ლექსიკონისათვის): ქართველური ონომასტიკა, I, თბ., თსუ გამომც., 1998, გვ. 125-130.
92. **კირთაძე, 2003** – დ. კირთაძე, ხანძისა და შატბერდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის: უერნ. „რელიგია“, №2-3-4, თბ., 2003, გვ. 22-29.
93. **კირთაძე, 2005** – დ. კირთაძე, საკუთარ სახელთა წრფელობითი ბრუნვის ფორმები ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, თბ., „ქართული ენა“, 2005, გვ. 148-156.
94. **კირთაძე, 2006** – დ. კირთაძე, ანთროპონიმების საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები აგიოგრაფიულ ძეგლებში: კრებ. კავკასიის მაცნე, 1, თბ., 2006, გვ. 266-269.
95. **კირთაძე, 2006** – დ. კირთაძე, ანთროპონიმთა თანდებულებიანი ფორმები აგიოგრაფიულ ძეგლებში: კრებ. კავკასიის მაცნე, 1, თბ., 2006, გვ. 270-274.
96. **კირთაძე, 2007** – დ. კირთაძე, ქართული აგიოგრაფიული ძეგლების ტოპონიმთა სტრუქტურის, სემანტიკის, ლექსიკის საკითხები და მწერლისეული ეტიმოლოგიები: კრებ. ქართველური ონომასტიკა, III, თსუ გამომც., 2007, გვ. 85-90.
97. **კოშორიძე, 2001** – ე. კოშორიძე, ტოპონიმთა შესწავლისათვის მხატვრულ ნაწარმოებში: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001, გვ. 61-62.
98. **კუდავა, საითიძე, ჯოჯუა, 2005** – ბ. კუდავა, გ. საითიძე, თ. ჯოჯუა, შავშეთისა და ერუშეთის ისტორიული გეოგრაფიისათვის, 2004 წლის ექსპედიციის წინასწარი ანგარიში: გელათის მეცნ. აკად. უერნ., №10-11. თბ., 2005.
99. **ლენხუმი, თბ., „მეცნიერება“, 1983.**
100. **ლექვაა, 1979** – ლ. ლექვაა, -ეთ და -ის აფიქსებიან ტოპონიმთაგან სადაურობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, თბ., 1979, გვ. 175-202.
101. **ლომაშვილი, 1975** – ჯ. ლომაშვილი, წერილები, თბ., „მერანი“, 1975.

102. ლომაშვილი, 1981 – ჯ. ლომაშვილი, თიანეთის შესახებ: გაზ. „ახალი თიანეთი“, №5. 1981, 5. 09, გვ. 3.
103. ლომაშვილი, 1984 – ჯ. ლომაშვილი, ეტიუდები, თბ., „მერანი“, 1984.
104. ლომსაძე, 1975 – შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუაწლებიდან XIX ს. შუაწლებამდე), თბ., „მეცნიერება“, 1975.
105. ლორთქიფანიძე, 1966 – მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., „მეცნიერება“, 1966.
106. ლორთქიფანიძე, 1979 – მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს. მეორე ნახევარში, თბ., „მეცნიერება“, 1979.
107. მაისურაძე, 1971 – ი. მაისურაძე, ავამეტყველოთ ტოპონიმები, რას ამბობენ ადგილთა სახელები თავის თავზე? გაზ. „ახალგარდა კომუნისტი“, 1971, 21.VIII. გვ. 3.
108. მაისურაძე, 1977 – ი. მაისურაძე, მშობლიურ ადგილთა სახელები: გაზ. „ბორჯომი“, 1977, 25.VII, გვ. 4.
109. მაისურაძე, 1979 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბ., თსუ გამომც., 1979.
110. მაისურაძე, 1981 – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., „მეცნიერება“, 1981.
111. მაკალათია, 1934 – ს. მაკალათია, ხევი, ტფ., „სახელგამი“, 1934.
112. მაკალათია, 1938 – ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომი), ფედერაცია, თბ., 1938.
113. მაკალათია, 1987 – ფ. მაკალათია, სინონიმური ტოპონიმები ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით: ონომასტიკა I, თბ., თსუ გამომც., 1987, გვ. 113-12.
114. მაკალათია, 1993 – ფ. მაკალათია, ონომასტიკურ დაბოლოებათა ვარიანტულობა: ტოპონიმიკური კრებული, თბ., თსუ გამომც., 1993, გვ. 13-28.
115. მარი, 1911 – ნ. მარი, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, тр., VII, 1911.
116. მარი, 1925 – ნ. მარი, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.
117. მარი, 1937 – ენის ისტორიის საკითხები, რჩეული, IV მ-ლ., 1937.
118. მარი, 1938 – ნ. მარი, აფხაზთა ენისა და ისტორიის შესახებ. მ-ლ., 1938.
119. მარტიროსოვი, 1946 – ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946, გვ. 203-246.
120. მარტიროსოვი, 1956 – ა. მარტიროსოვი, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 374-391.

121. მარტიროსოვი, 1964 – ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., „მეცნიერება“, 1964.
122. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის, წ. 1 (გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ, შ. ბურჯანაძემ), თბ., „მეცნიერება“, 1964.
123. მაღრაძე, 1987 – ვ. მაღრაძე, რეგიონული ტოპონიმის წარმოების საკითხები: ონომასტიკა I, თბ., თსუ გამომც., 1987, გვ. 122-136.
124. მაღრაძე, 2003 – ვ. მაღრაძე, ტოპონიმებისა და გვარსახელების წარმოება და ურთიერთმიმართება ქართულში: დისერტაცია ფილოლოგიის მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003.
125. მგელაძე, 2000 – ნ. მგელაძე, ტოპონიმისა და საკუთარი სახელის გოდერძის მნიშვნელობისათვის: XX რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000, გვ. 79-82.
126. მელიქიშვილი, 1965 – გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., „მეცნიერება“, 1965.
127. მელიქსეთ-ბეგი, 1934 – ლ. მელიქსეთ-ბეგი, თრიალეთ-წალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმის შესწავლისათვის: საიუბილეო კრებ., თსუ გამომც., 1934.
128. მენაბდე, 1962 – ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. 1, თბ., თსუ გამომც., 1962.
129. მესხია, 1952 – შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., „საბლიტგამი“, 1952.
130. მეტრეველი, 1979 – რ. მეტრეველი, საქართველოს ისტორია, ლექსიკონი, თბ., „განათლება“, 1979.
131. მიქაუტაძე, 1996 – მ. მიქაუტაძე, საკუთარ და საზოგადო სახელთა ბრუნების გათანაბრების ტენდენციისათვის (ოშკური ხელნაწერის მოსეს ხუთწიგნეულის მიხედვით): ქუთაისური საუბრები, III, ქუთ., 1996, გვ. 76..
132. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის შეერთებული კალენდარი, თბ., 2001.
133. მურიე, 1962 – უ. მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, თბ., თსუ გამომც., 1962.
134. მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები, ტფ., 1913.
135. მუსხელიშვილი, 1977 – დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ. I, თბ., „მეცნიერება“, 1977.
136. ნაჭყებია, 1971 – ნ. ნაჭყებია, თურქეთი, თბ., თსუ გამომც., 1971.
137. ნებიერიძე, 1986 – გ. ნებიერიძე, წოდებითი ბრუნვა როგორც სახელობითის ვარიანტი: ენათმეცნიერება, №10, თსუ გამომც., 1986, გვ. 50-56.



138. ნიკოლაიშვილი, 1956 – ე. ნიკოლაიშვილი, საკუთარი სახელი მსახდვრელად ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 325-326.
139. ნიკოლაიშვილი, ახალაია, 2000 – დ. ნიკოლაიშვილი, მ. ახალაია, საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების ახსნა-განმარტებანი, თბ., 2000.
140. ნიკოლაიშვილი, კირთაძე, 2003 – დ. ნიკოლაიშვილი, დ. კირთაძე, ტოპონიმები და გეოგრაფიული გარემო გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით: კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი, 2, 2003, გვ. 86-95.
141. ნოზაძე, 1989 – ვ. ნოზაძე, საქართველოს ადღენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., „საქ. თეატრის მოღვაწეთა კავშირი“, 1989.
142. ონიანი, 1978 – შ. ონიანი, იაკობ ხუცესის „წამებად წმიდისა შუშანიკისი“, თბ., „მეცნიერება“, 1978.
143. ონომასტიკა, I, თბ., თსუ გამომც., 1987.
144. ონომასტიკური კრებული, თბ., თსუ გამომც., 1994.
145. ონომასტიკური ძიებანი, I, ახალციხე, 1998.
146. პაპუაშვილი, 1970 – თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., „მეცნიერება“, 1970.
147. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, წ. 1, თბ., „მეცნიერება“, 1991. წ. 2, თბ., „მეცნიერება“, 1993. წ. 3, თბ., „არტანუჯი“, 2004.
148. ჟორდანია, 1889 – თ. ჟორდანია, ქართული გრამატიკა, ტფ.: სტამბა ე. ხელაძესი, 1889.
149. ჟორდანია, 1967 – თ. ჟორდანია, ქრონიკები III, თბ., 1967.
150. რიჟვაძე, 2005 – მ. რიჟვაძე, საკუთარი სახელი საშუალო ქართულში (სულთა მატრიანებისა და სიგელ-გუჯრების მიხედვით), ავტორეფერატი, 2005.
151. როგავა, 1948 – გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში: ქუთ. სახ. პედ. ინსტ. შრ., ტ. VIII, 1948, გვ. 377-381.
152. სამაჰმადიანო საქართველო, ნ. მარი, ი. ჭავჭავაძე, პ. უმიკაშვილი, ტფ., 1915.
153. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) ქ. შარაძის გამოც., თბ., „მეცნიერება“, 1961.
154. სანიკიძე, 1988 – ლ. სანიკიძე, წიგნი მოწამეთა, თბ., „განათლება“, 1988.
155. საპატრიარქოს უწყებანი, №21(229), 30.IV, 2003.

156. **სარსევანიძე, 2001** – ქ. სარსევანიძე, პირთა სადაურობის -ელ სუფიქსიანი ტოპონიმების შესახებ: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001, გვ. 90-91.
157. **სარსევანიძე, 2004** – ქ. სარსევანიძე, ქართული ონომასტიკის ისტორიისათვის (XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის სამეცნიერო გამოკვლევათა მიხედვით): დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004.
158. **სარჯველაძე, 1982** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ქართველური ანთროპონიმისა და ტოპონიმის შესწავლისათვის: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1982, გვ. 73-80.
159. **სარჯველაძე, 1984** – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., „განათლება“, 1984.
160. **სარჯველაძე, 1987** – ზ. სარჯველაძე, ანთროპონიმთა იშვიათი ფორმები ძველ ქართულში: ონომასტიკა I, თბ., თსუ გამომც., 1987, გვ. 299-303.
161. **სარჯველაძე, 1995** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., თსუ გამომც., 1995.
162. **სარჯველაძე, 1997** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, სახ. პედ. უნივერს. გამომც., თბ., 1997.
163. **საქართველოს გეოგრაფია**, ნაწ. II, ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონები, ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, საქართველოს გეოგრაფიის კათედრა, თბ., „მეცნიერება“, 2001.
164. **საქართველოს გეოგრაფია**, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., „მეცნიერება“, 2003.
165. **საქართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიული ლექსიკონი**, თბ., ქართ. საბჭ. ენციკლ. მთავარი სამეცნ. რედაქცია, 1987.
166. **საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული**, 1, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1960.
167. **საქართველოს სსრ ტოპონიმია II**, უ. სახლთხუციშვილისა და პ. ცხადაიას რედაქციით, თბ., თსუ გამომც., 1999.
168. **სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში**, I, ახალი ქართული ენის კათედრის შრომები, ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1956.
169. **სახლთხუციშვილი, 1997** – უ. სახლთხუციშვილი, ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, თბ., თსუ გამომც., 1997.

170. სახლთხუციშვილი, ცხადაია, 1999 – უ. სახლთხუციშვილი, პ. ცხადაია, საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. 2, თბ., თსუ გამომც., 1999.
171. სახოკია, 1985 – მოგზაურობანი, ბათ., „საბჭოთა აჭარა“, 1985.
172. სახოკია, 1950 – თ. სახოკია, მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბ., „სახელგამი“, 1950.
173. სილაგაძე, თოთაძე, 1997 – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე – გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.
174. სირაძე, 1987 – რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., „ნაკადული“, 1987.
175. სიხარულიძე, 1958 – ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. 1, ბათ., „სახელგამი“, 1958.
176. სიხარულიძე, 1977 – ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი) საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათ., „საბჭოთა აჭარა“, 1977.
177. სიხარულიძე, 1988 – ი. სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი: საისტორიო გეოგრაფიის მასალები, ბათ., „საბჭოთა აჭარა“, 1988.
178. სულხან-საბა ორბელიანი, 1949 – ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., „სახელგამი“, 1949.
179. სულხან-საბა ორბელიანი, 1966 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. 1, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1966.
180. სულხან-საბა ორბელიანი, 1993 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. 2, თბ., „მერანი“, 1993.
181. ტოპონიმია I, თბ., თსუ გამომც., 1976. II – თბ., თსუ გამომც., 1980.
182. ტოპონიმკური კრებული, თბ., თსუ გამომც., 1993.
183. უთურგაძე, 1966 – თ. უთურგაძე, კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XV, თბ., 1966. გვ. 214-227.
184. უთურგაძე, 1985 – თ. უთურგაძე, სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსის შესორცებისათვის ადამიანთა სახელებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIV, 1985, გვ. 49-65.
185. უთურგაძე, 1986 – თ. უთურგაძე, ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., „მეცნიერება“, 1986.
186. უხტანესი, 1975 – უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან (სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ), თბ., „მეცნიერება“, 1975.

187. ფრონელი, 1991 – ალ. ფრონელი, დიდებული მესხეთი, თბ., „მარიხი“, 1991.
188. ფეიქრიშვილი, 1992 – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის მორფოლოგია (სალექციო კურსი), ქუთ., „სარანგი“, 1992.
189. ფუტყარაძე, 1998 – ტ. ფუტყარაძე, ლოკალური ბრუნვების შესახებ გეოგრაფიულ სახელებში: ქართველური ონომასტიკა, I, თსუ გამომც., 1998, გვ. 171-176.
190. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (თურქულიდან თარგმნა შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ), თბ., „მეცნიერება“, 1978.
191. ქალდანი, 1963 – მ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ(//-შ) სუფიქსის საკითხისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963, გვ. 67-79.
192. ქართველური ონომასტიკა, I, თბ., თსუ გამომც., 1998. II – თბ., თსუ გამომც. 2004.
193. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., „სახელგამი“, 1955.
194. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით) I-VIII, თბ., „მეცნიერება“, 1950-1964.
195. ქართული მწერლობა, წ. 1, თბ., „განათლება“, 1984.
196. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XI (ტ. I, 1975. ტ. XI, 1987), სხვადასხვა სტატია.
197. ქუთათელაძე, 1894 – ა. ქუთათელაძე, პირუელ-დაწყებით ქართული გრამმატიკა, ტფ., 1894.
198. ღლონტი, 1964 – ქართული ლექსიკოლოგია, თბ., „ცოდნა“, 1964.
199. ღლონტი, 1965 – ალ. ღლონტი, განძი ეროვნებისა: გაზ. „კომუნისტი“, 1965, 22.VIII, გვ. 9.
200. ღლონტი, 1971 – ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, წ. 1, თბ., თსუ გამომც., 1971.
201. ღლონტი, 1986 – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1986.
202. ყაზბეგი, 1874 – გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., „აჭარა“, 1874.
203. ყანდარელი, 1987 – დ. ყანდარელი, რატომ „მტკვარი“ და „კურა“? უურნ. „საქართველოს ბუნება“, №9, 1987, გვ. 14.
204. ყაუხჩიშვილი, 1956 – ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული მამაკაცის სახელების გადმოცემისათვის ქართულში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 145-161.

205. ყაუხჩიშვილი, 1957 – თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., საქ. მეცნ. აკად., გამომც., 1957.
206. ყაუხჩიშვილი, 1980 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., „მეცნიერება“, 1980.
207. ყიფიანი, 1882 – დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურგი, 1882.
208. შანიძე, 1922-1923 – ა. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922-1923, გვ. 262-281.
209. შანიძე, 1935 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ტფ., თსუ გამომც., 1935.
210. შანიძე, 1939 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, თბ., თსუ გამომც., 1939.
211. შანიძე, 1953 – ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., თსუ გამომც., 1953.
212. შანიძე, 1956 – ა. შანიძე, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956, გვ. 34-35.
213. შანიძე, 1956 – ა. შანიძე, წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 48-55.
214. შანიძე, 1956 – ა. შანიძე, წოდებითი ფორმის დაბოლოება: სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 56-58.
215. შანიძე, 1967 – ა. შანიძე, თეოფორული სახელები ქართველურ ენებში: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1967, გვ. 191-196.
216. შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., თსუ გამომც., 1973.
217. შანიძე, 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, თბ., თსუ გამომც., 1976.
218. შანიძე, 1978 – ა. შანიძე, ტერმინ ქართლისა („საქართველო“) და ქართველთა ეტიმოლოგიის შესახებ: ჟურნ. ენათმეცნიერული საკითხები, №4, მოსკ., 1978, გვ. 85-90.
219. შანიძე, 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., თსუ გამომც., 1980.
220. შანიძე, ბარამიძე, აბულაძე, 1953 – ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, მე-12 გამოც., თბ., „სახელგამი“, 1953.
221. შანიძე, 1969 – მზ. შანიძე, ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნვის ისტორიისათვის ქართულში, გ. ახვლედიანს (საიუბილეო კრებული), თბ., თსუ გამომც., 1969, გვ. 131-144.
222. შანშოვანი, 1881 – ზ. შანშოვანი, მოკლე დრამატიკა ქართულისა ენისა, დაწერილი 1737, სანკტ-პეტერბურგი, გამოცემული 1881.

223. **შარაძენიძე, 1956** – თ. შარაძენიძე, -თა სუფიქსიანი მრავლობითი მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 271-285.
224. **შარაძენიძე, 1956** – თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 410-433.
225. **შარდენის მოგზაურობა საქართველოში** (ფრანგულიდან ქართულად თარგმნა მზ. მგალობლიშვილმა), თბ., 1975.
226. **შენგელია, 2005** – კ. შენგელია, ტაო-კლარჯეთის წერილობითი ძეგლების შესწავლა, თბ., „არტანუჯი“, 2005.
227. **ჩიქობავა, 1940** – არნ (ბენედიქტე). ჩიქობავა, მესამე პირის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., 1940, გვ. 13-42.
228. **ჩიქობავა, 1946** – არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, №1-2, 1946, გვ. 61-68.
229. **ჩიქობავა, 1954** – არნ. ჩიქობავა, მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, VI, 1954, გვ. 67-77.
230. **ჩიქობავა, 1956** – არნ. ჩიქობავა, ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპისათვის ქართულ ბრუნვათა შორის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 165-168.
231. **ჩიქობავა, 1956** – ფუძეუკვეც სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 239-262.
232. **ჩიქობავა, 1974** – არნ. ჩიქობავა, ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIX, 1974, გვ. 70-75.
233. **ჩიქობავა, 1979** – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., თსუ გამომც., 1979, გვ. 130.
234. **ჩიქობავა, 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1942.
235. **ჩიქოვანი, 1939** – მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრომები, ტ. 9, თბ., 1939, გვ. 135-155.

236. ჩხენკელი, 1956 – სტ. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, 1956, 76-128.
237. ცეცხლაძე, 2000 – ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმის კომპლექსი, ბათ., „აჭარა“, 2000.
238. ცხადაია, 1988 – პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., თსუ გამომც., 1988.
239. ცხადაია, 1999 – პ. ცხადაია, ასჯერ გაზომეთ: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1999, 27. X. გვ. 9.
240. ცხადაია, 2001 – პ. ცხადაია, საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში, დისერტაცია: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2001.
241. ცხადაია, 2005 – პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბ., „უნივერსალი“, 2005.
242. ძოწენიძე, 1946 – ქ. ძოწენიძე, -გან თანდებულებიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბ., 1946, გვ. 195-202.
243. ძოწენიძე, 1950 – ქ. ძოწენიძე, სახელთა ბრუნება ძველ ქართულში პავლეს ეპისტოლეთა წიგნების მიხედვით (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1950.
244. ძოწენიძე, 1956 – ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 212-223.
245. ძოწენიძე, 1974 – ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., „განათლება“, 1974.
246. ძიძიშვილი, 1956 – მ. ძიძიშვილი, ნანათესაობითარი ვითარებითი ძველ ქართულში (VII-X სს.) ძეგლების ენის მიხედვით: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 212-223.
247. წიბახაშვილი, 1972 – გ. წიბახაშვილი, კიდევ გეოგრაფიულ ტერმინთა გამო: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1972, 28.I, გვ. 3.
248. წმიდანთა ცხოვრებანი, წ. 1-2. თბ., „ბაკური“, 2006.
249. ჭალელი, 1975 – პ. ჭალელი, კლდემაღალას ციხე (ისტორიული ლეგენდა): გაზ. „დროება“, ტფ. 1875, № 38-39.
250. ჭანტურია, 1956 – დ. ჭანტურია, მოქმედებითი ბრუნვის ზოგიერთი ფუნქციისათვის ძველ ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1, თბ., 1956, გვ. 181-227.

251. ჭელიძე, 1980 – ვ. ჭელიძე, ქართლის ცხოვრების ქრონიკები, III, თბ., „ნაკადული“, 1980.
252. ჭიჭინაძე, 1913 – ზ. ჭიჭინაძე, მუსულმანური ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.
253. ჭკადუა, 1974 – ამბ. ჭკადუა, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძის მქონე ტოპონიმის ისტორიისათვის: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1974, გვ. 108-119.
254. ჭკადუა, 1987 – ამბ. ჭკადუა, ტოპონიმიკურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები: ონომასტიკა I, თბ., თსუ გამომც., 1987, გვ. 181-227.
255. ჭუმბურიძე, 1966 – რა გქვია შენ? თბ., „ნაკადული“, 1966.
256. ჭუმბურიძე, 1971 – რა გქვია შენ? თბ., „ნაკადული“, 1971.
257. ჭუმბურიძე, 1978 – როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ., „ნაკადული“, 1978.
258. ჭუმბურიძე, 1982 – რა გქვია შენ? თბ., „თეატრონი“, 1982.
259. ჭუმბურიძე, 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., „ნაკადული“, 1987.
260. ჭუმბურიძე, 1992 – რა გქვია შენ? – გამომც., „თეატრონი“, თბ., 1992.
261. ჭუმბურიძე, 2003 – რა გქვია შენ? თბ., „ლოგოს-პრესი“, 2003.
262. ჭუმბურიძე, 2009 – ებრაული ლექსიკის კვალი ქართულ ტოპონიმიაში, (ხელნაწერი), 2009.
263. ხარაძე, 1987 – კ. ხარაძე, საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის ასპექტები: ონომასტიკა I, თბ., თსუ გამომც., 1987, გვ. 234-244.
264. ხარაძე, 1989 – კ. ხარაძე, ადამიანი და ტოპონიმიკა: ჟურნ. „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, №2, 1989, გვ. 55-60.
265. ხარაძე, 1991 – კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი, თბ., „მეცნიერება“, 1991.
266. ხარაძე, 1992 – კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., „განათლება“, 1992.
267. ხარაძე, 1996 – კ. ხარაძე, გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., „მეცნიერება“, 1996.
268. ხარაძე, 2000 – კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ზემო ქართლი, თბ., „მეცნიერება“, 2000.
269. ხორნაული, 2003 – გ. ხორნაული, ქართული ონომასტიკა, თბ., თსუ გამომც., 2003.



270. ხუციშვილი, შენგელია, მაჭავარიანი, სილოგავა, 2004 – თ. ხუციშვილი, კ. შენგელია, შ. მაჭავარიანი, ვ. სილოგავა, შატბერდის მონასტრის იდენტიფიკაციის პრობლემისათვის: საისტორიო შტუდიები: № 5, 2004, გვ. 44-57;
271. ჯავახიშვილი, 1946 – ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1946.
272. ჯავახიშვილი, 1950 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წ. I, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც., 1950.
273. ჯავახიშვილი, 1960 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., თსუ გამომც., 1960.
274. ჯავახიშვილი, 1977 – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1 თსუ გამომც., 1977.
275. ჯავახიშვილი, 1983 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მდგომარეობა VIII-X სს., თხზულებანი 12 ტომად, ტ. II, თბ., „მეცნიერება“, 1983, გვ. 109-122.
276. ჯავახიშვილი, 1998 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული: თხზულებანი, ტ. XII, თბ., „სახელგამი“, 1998.
277. ჯავახიშვილი, 2002 – ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., თსუ გამომც., 2002.
278. ჯანაშვილი, 1894 – მ. ჯანაშვილი, აფხაზეთი და აფხაზები, ტფ., 1894.
279. ჯანაშვილი, 1909 – მ. ჯანაშვილი, ქართველური ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული სახელების ეტიმოლოგია: ჟურნ., „კავკასიის ტომთა და ადგილთა სახელწოდებების აღწერილობათა მასალების კრებული“ ნაწ. 40, თბ., 1909, გვ. 46-55.
280. ჯანაშია, 1937 – ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი: ენიმკის მოამბე, ტ. 1, 1937, გვ. 185-241.
281. ჯანაშია, 1959 – ს. ჯანაშია, ჩერქეზული ელემენტები საქართველოს ტოპონიმიაში: თსუ შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 30-37.
282. ჯანაშია, 1988 – ს. ჯანაშია, „შუშანიკის წამება“, ისტორიული წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1988.
283. ჯიქია, 1958 – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958.
284. ჯიქია, 1973 – ს. ჯიქია, თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში: აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1973, გვ. 211-218.

285. ჯიშიაშვილი, 1958 – ა. ჯიშიაშვილი, -ეთ დაბოლოებიან გეოგრაფიულ სახელთა წარმომავლობისათვის ქართულში: უცხო ენათა პედაგოგ. ინსტ., შრ., 1, თბ., 1958, გვ. 451-457.
286. ჯორბენაძე, 1975 – ბ. ჯორბენაძე, ტბ//ტაბ ფუძე ქართულ ტოპონიმებში: სმამ, ტ. 79, №2, თბ., საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1975, გვ. 505-508.
287. ჯორბენაძე, 1986 – ბ. ჯორბენაძე, ტოპონიმთა კლასიფიკაციისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXV, თბ., 1986, გვ. 36-40.
288. ჯორბენაძე, 1989 – ქართული ენის დიალექტოლოგია, I, თბ., „მეცნიერება“, 1989.
289. ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, საკუთარ სახელთა წარმოებისა და ფუნქციონირების პრინციპები: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVI, თბ., 1989, გვ. 171-187.
290. ჯორბენაძე, 1993 – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., „მეცნიერება“, 1993.
291. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., „მეცნიერება“, 1988.
292. ჯოჯუა, 1976 – ვ. ჯოჯუა, ქართული ტოპონიმები ბერძნულ წყაროებში: ტოპონიმიკა, I, თბ., თსუ გამომც., 1976, გვ. 432-451.
293. ჯოჯუა, 1998 – ვ. ჯოჯუა, გეოგრაფიული ტერმინები და მათი როლი ტოპონიმიაში: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., თსუ გამომც., 1998, გვ. 237-247.
294. ჰანი, 1909 – კ. ჰანი, კავკასიის ტომთა და ადგილთა სახელწოდებების აღწერილობათა მასალების კრებული, ნაწ. 40, 1909.
295. Библейская энциклопедия, Москва, 1990.
296. Климов Г. А., 1964 – Г.А. Климов, Этимологический словарь кавказских языков, М., 1964.
297. Мелхеев М. Н., 1961, – М. Н. Мелхеев, Географические наименования, М., 1961.
298. Мурзаев Э. М., 1974 – Э. М. Мурзаев, Очерки по топонимике, М., 1974.
299. Надеждин Н. И., 1937 – Н. И. Надеждин, опыт исторической географии русского мира, Библиотека для чтения, т. 22, ч. 2, С-Пб., 1937.
300. Никонов В. А., 1965 – В.А. Никонов, Введение в топонимику, М., 1965.
301. Никонов В. А., 1966 – В.А. Никонов, Краткий топонимический словарь, М., 1966.
302. Павлинов А. А., 1983 – А.А. Павлинов, Экспедиция на Кавказе 1888 года, Материалы по археологии Кавказа, III, ч. 63-68, М., 1983.

303. **Подольская Р. В., 1988** – Р. В. Подольская, Словарь русской ономастической терминологии, М., 1988.
304. **Суперанская А. В., 1977** – А. В. Суперанская, Имя и эпоха (к постановке проблемы): Историческая ономастика, М., 1977.
305. **Суперанская А. В., 1981** – А. В. Суперанская, Что такое топонимика? М., 1981.
306. **Hemnz Fahrnich, 1998** – Heinz Fahrnich, Georgische Toponymie, Iena, 1998.

### საილუსტრაციო მასალა

1. მარტვლობად შუშანიკისი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. 1 (დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა, ც. ჯღამაიამ) ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., საქ. მეცნ. აკად. გამომც. 1963.
2. მარტვლობად ევსტათი მცხეთელისაჲ, ძეგლები, 1963.
3. მარტვლობად ჰაბო ტფილელისაჲ, ძეგლები, 1963.
4. მარტვლობად კოსტანტი-კახაძისი, ძეგლები, 1963.
5. მარტვლობად გობრონისი, ძეგლები, 1963.
6. მარტვლობად ყრმათა კოლაელთაჲ, ძეგლები, 1963.
7. ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი, ძეგლები, 1963.
8. ცხორებაჲ იოვანე ზედაზნელისაჲ, ძეგლები, 1963.
9. ცხორებაჲ შიოსი და ევაგრესი, ძეგლები, 1963.
10. ცხორებაჲ დავით გარესჯელისაჲ, ძეგლები, 1963.
11. მარტვლობად აბიბოს ნეკრესელისაჲ, ძეგლები, 1963.
12. ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, ძეგლები, 1963.
13. ცხორებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ, ძეგლები, 1963.
14. ცხორება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. 1 (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ), თბ., „სახელგამი“, 1955.

15. მეფე ქართლისა არჩილი, ქართლის ცხოვრება, 1955.
16. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1955.

### შემოკლებათა განმარტება

- აკად. – აკადემიკოსი
- არაბ. – არაბული
- არაბ.-სპ. – არაბულ-სპარსული
- არამ. – არამეული
- ასურ. – ასურული
- ა. შ. – ასე შემდეგ
- ახ. წ. – ახალი წელთაღრიცხვის
- ბათ. – ბათუმი
- ბერძ. – ბერძნული
- გაზ. – გაზეთი
- გამომც. – გამომცემლობა
- გამ. – გამოსვლა
- გამოც. – გამოცემა
- გარდ. – გარდაიცვალა
- გვ. – გვერდი
- დაბ. – დაბადება
- დაახლ. – დაახლოებით
- და სხვ. – და სხვა
- ებრ. – ებრაული

ენიმკის მოამბე – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე  
თბ. – თბილისი  
თბ. სახ. პედ. უნივერს. გამომც. – თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური  
    უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თსუ გამომც. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თფ. – თფილისი  
ირან. – ირანული  
იხ. – იხილეთ  
კრებ. – კრებული  
ლათ. – ლათინური  
მაგ. – მაგალითად  
მდ. – მდინარე  
მეფ. – მეფეთა  
მეცნ. – მეცნიერებათა  
მოსკ. – მოსკოვი  
მსაჯ. – მსაჯულნი  
ნაკვ. – ნაკვეთი  
ნაწ. – ნაწილი  
ნახ. – ნახევარი  
ჟურნ. – ჟურნალი  
რ. – რაიონი  
რეთ. – რეთი  
საბლიტგამი – საბჭოთა ლიტერატურის გამომცემლობა  
ს. – საუკუნე  
სს. – საუკუნეები  
ს-ის – საუკუნის  
საქ. მეცნ. აკად. გამომც. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
    გამომცემლობა  
სახელგამი – სახელმწიფო გამომცემლობა  
სახ. პედ. ინსტ. შრ. – სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები  
სახ. პედ. უნივერს. გამომც. – სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის  
    გამომცემლობა  
სპ. – სპარსული

სხვ. – სხვა

ტ. – ტომი

ტფ. – ტფილისი

ქართ. – ქართული; ქართულად

ქართ. საბჭ. ენციკლ. მთ. სამეცნ. რედაქც. – ქართული საბჭოთა

ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ქუთ. – ქუთაისი

ქუთ. სახ. პედ. ინსტ. შრ. – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შრომები

შდრ. – შეადარე

შედგ. – შედგენილი

ცხრ. – ცხრილი

ძვ. – ძველი

ძვ. ბერძ. – ძველი ბერძნული

ძვ. ებრ. – ძველი ებრაული

ძვ. წ. – ძველი წელთაღრიცხვის

წ. – წიგნი; წელი

წმ. – წმინდა

წ.წ. – წლებში

## შინაარსი

	ბვ.
<b>შესავალი</b> -----	1
<b>ნაწილი I. აღამიანთა საკუთარი სახელები</b> -----	6
<b>თავი I. აბიოგრაფიული ძეგლების ანთროპონიმის ძირითადი საკითხები</b> -----	7
§ 1. კალენდარული და არაკალენდარული პირის სახელები -----	7
§ 2. „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებული კალენდარული და არაკალენდარული პირის სახელები -----	11
§ 3. პირის სახელთა კნინობით-აღერსობითი ფორმები -----	12
§ 4. ფუძეგარკეცებული კომპოზიტი პირის სახელად -----	13
§ 5. ტომისა და ცხოველის სახელი პირის სახელად -----	13
§ 6. ბერძნული წარმოშობის პირის სახელები -----	13
§ 7. ერობისა და ბერობის აღმნიშვნელი პირის სახელები -----	13
§ 8. პირის სახელთა ვარიანტული ფორმები -----	14
§ 9. აგიოგრაფიულ ძეგლებში დადასტურებული პირის სახელები თანამედროვე საქართველოში -----	15
§ 10. აგიოგრაფიული ძეგლების ზოგიერთი პირის სახელის გენეტიკური ანალიზი -----	20

§ 11. საკუთარ სახელთა ბრუნება აგიოგრაფიული ძეგლების მიხედვით -	24
§ 12. პირის სახელების ბრუნება -----	24
§ 13. მსაზღვრელიანი პირის სახელები -----	40
§ 14. ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრი პირის სახელებთან ----	43
§ 15. პირის სახელი მართულ მსაზღვრელად -----	50
§ 16. პირის სახელი ნანათესაობითარ მსაზღვრელად -----	52
§ 17. სამმაგი ბრუნება პირის სახელებთან- -----	58
<b>თავი II. გვარების საპითხი აბიოგრაფიულ ძეგლებში -----</b>	<b>60</b>
§ 1. წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვები გვარსახელებად --	62
§ 2. ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი ეპითეტი პირსახელთან -----	63
§ 3. დახასიათების შემცველი ეპითეტები პირსახელებთან -----	63
§ 4. ტიტულის გამომხატველი სიტყვები პირსახელებთან -----	63
§ 5. სასულიერო წოდების ამსახველი სიტყვები პირსახელებთან -----	64
<b>თავი III. პირის სახელები საისტორიო წყაროებში -----</b>	<b>65</b>
§ 1. ისტორიული წარსული და დღევანდელი პირის სახელთა გაერცელების თვალსაზრისით -----	65
§ 2. ვარიანტული პირის სახელები საისტორიო წყაროების მიხედვით -----	70
§ 3. ბერძნული ნომინატივის კვალი პირის სახელებში -----	70
§ 4. აპოზიციური პირის სახელები საისტორიო წყაროებში -----	71
§ 5. ერობისა და ბერობის აღმნიშვნელი პირის სახელები -----	71
§ 6. საისტორიო წყაროების პირის სახელები გენეტიკური თვალსაზრისით -	71
<b>თავი IV. გვარების საპითხი საისტორიო წყაროებში -----</b>	<b>75</b>
§ 1. წარმომავლობა-სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვები საისტორიო წყარო- ების ანთროპონიმულ ფორმულაში -----	75
§ 2. საგვარეულო შტოს (გენეტიკური ერთიანობის) გამომხატველი ეპონიმური გვარსახელები -----	77
§ 3. ეთნონიმური წარმოშობის კომპონენტები ანთროპონიმულ ფორმულაში -	78
§ 4. მამისახელობა ორწევრიან ანთროპონიმულ ფორმულაში -----	78
§ 5. ეპითეტი ანთროპონიმული ფორმულის მეორე წევრად -----	79
§ 6. ტიტულისა და სასულიერო წოდების გამომხატველი ტერმინები ანთროპონიმულ ფორმულაში -----	80
§ 7. წარმომავლობისა და ტიტულის გამომხატველი სიტყვები სამწევრიან ანთროპონიმულ ფორმულაში -----	84



§ 8. ორგანო და ცალმხრივი ანთროპონიმული ფორმულის კომპონენტები საისტორიო წყაროებში -----	84
<b>ნაწილი II. გეოგრაფიული სახელები -----</b>	<b>86</b>
<b>თავი I. აბიოგრაფიული ძეგლების ტოპონიმის ძირითადი საკითხები -</b>	<b>86</b>
§ 1. ტოპონიმები და მათი მნიშვნელობა -----	86
§ 2. აგიოგრაფიული ძეგლების ტოპონიმთა სტრუქტურის, სემანტიკისა და ლექსიკის საკითხები -----	91
§ 3. გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობის საკითხები აგიოგრაფი ძეგლების შემოქმედებაში -----	94
§ 4. აგიოგრაფიული ძეგლების ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია- ეტიმოლოგიისათვის ვახუშტის „აღწერის“ მიხედვით -----	94
§ 5. აგიოგრაფიული ძეგლების ტოპონიმთა ლოკალიზაცია-ეტიმოლოგია სხვადასხვა ძეგლების ნაშრომებში -----	96
§ 6. აგიოგრაფიული ძეგლების ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგია თანამედროვე ძეგლების ნაშრომში -----	114
§7. საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელები აგიოგრაფიულ ძეგლებში -----	117
§ 8. გეოგრაფიულ სახელთა ბრუნება -----	130
§ 9. გეოგრაფიული სახელი ნანათესაობითარ მსაზღვრელად -----	142
§ 10. სამმაგი ბრუნება გეოგრაფიულ სახელებში -----	145
<b>თავი II. საისტორიო წყაროების ტოპონიმები -----</b>	<b>146</b>
§ 1. საისტორიო წყაროებისა და აგიოგრაფიული ძეგლების მსგავსება- განსხვავება ტოპონიმთა თვალსაზრისით -----	146
§ 2. საისტორიო წყაროების ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია- ეტიმოლოგია ქართველ და უცხოელ ძეგლევართა ნააზრევში -----	149
§ 3. ზმნური ტოპონიმი საისტორიო წყაროებში -----	157
§ 4. ტოპონიმთა ლოკალიზაციის მწერლისეული მინიშნება -----	158
§ 5. ტერიტორიული და ქრონოლოგიური იდენტიფიკაციის შემთხვევები საისტორიო წყაროებში -----	159
§ 6. ვარიანტული ტოპონიმები საისტორიო წყაროებში -----	159
§ 7. ჰიდრონიმების ტიპები საისტორიო წყაროებში და „აბაშისა“ და	159

„ცხენისწყლის“ ავტორისეული გააზრება -----	
§ 8. ციხეებისა და ციხე-ქალაქების სახელები საისტორიო თხზულებებში --	161
§ 9. ეკლესიონიმები საისტორიო წყაროებში -----	162
დასკვნები -----	164
დანართი I. აბიოგრაფიული ძეგლების სამეცნიერო კლასიფიკაცია --	170
დანართი II. აბიოგრაფიული ძეგლების სასულიერო კლასიფიკაცია კლასიფიკაცია და წინდგინებები -----	176
დანართი III. აბიოგრაფიული ძეგლების ბიბლიური კლასიფიკაცია -----	196
ბიბლიოგრაფია -----	207
საილუსტრაციო მასალა -----	226
შემოკლებათა განმარტება -----	227
შინაარსი -----	230